

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო ძ ი ე ბ ა ნ ი

XX

Linguistic P a p e r s



გამომცემლობა „ქართული ენა“
“KARTULI ENA“ Publications
თბილისი 2005 Tbilisi

81.2
800
ს 157

„საენათმეცნიერო ძიებანი“

XX წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

“Linguistic Papers“ volume 20 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეჯია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, გ. ბურჭულაძე, კ. გაბუნია, M. Beridze, G. Burchuladze, K. Gabunia, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **L. Goksadze** (editor of the English part), N. Daraselia, **ტს. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), (scientific secretary), M. Kikonishvili, მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), ჭ. ქირია, რ. ქურდაძე, მ. ქურდიანი, R. Kurdadze, M. Kurdiani N. Chumburidze, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

ლემან აზგანიზარაშვილი

კლასნიზნიანი სუფიქსები ხუნძური
ენის არსებით სახელეგზე

ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის კვლევისას შ. მიქაილოვმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ამ დიალექტის ტოხურსა და ჭადაქოლოურ კილოკავებში I და II კლასის რიგ არსებით სახელებს ბოლოკიდურში ა ხმოვანი მოუდით, მაგ., ტოხ. ვას-ა, ჭად. ვაშ-ა „ბიჭი“, „ვაჟიშვილი“ (ლიტ. ვას), ტოხ. ას-ა, ჭად. აშ-ა „გოგო“, „ქალიშვილი“ (ლიტ. ას), დიბირ-ა „ყადი“ (ლიტ. დიბირ „მოლა“), შაბდალ-ა „სულელი“ (ლიტ. შაბდალ), ვენ-ა „მწყემსი,“ (ლიტ. ვენ), ვაცა-ა „ძმა“ (ლიტ. ვაცა), აცა-ა „და“ (ლიტ. აცა), ვაცაშალ-ა „ბიძაშვილი (ვაჟი)“, აცაშალ-ა „ბიძაშვილი (ქალი)“ (ლიტ. ვაცაშალ, აცაშალ) (შ. მიქაილოვი, 1959, გვ. 80), ხოლო ილ. ცერცვაძის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ ანწუხურ ფრაზაში გვხვდება ყებედ-ა „მჭედელი“ (ლიტ. ყებედ): დასაივე ყებედ და ვატუნ ვოყა „მას მჭედელი უნდოდა“ (ცერცვაძე, 1948, 166).

იგივე ვითარებაა დღეს სოფ. თივში (კახეთი, ყვარლის რ-ნი) მოსახლე ანწუხელთა ტოხურ-ჭადაქოლოურ მეტყველებაშიც, მაგ., ვაცა-ა „ძმა“: ბიშაუგუ კუდა ვაცაა „ყველაზე უფროსი ძმა“, აცა-ა „და“: აცაა ლჷკა უგუ „და კარგი არის“, ტოხ. ვას-ა, ჭად. ვაშ-ა „ბიჭი“, „ვაჟიშვილი“: დედევ ვასა ვატანა „მამას ვაჟიშვილი უყვარს“, ტოხ. ას-ა, ჭად. აშ-ა „გოგო“, „ქალიშვილი“: დედე ვასა ატანა „მამას ქალიშვილი უყვარს“... -ა გვხვდება დახურულ პოზიციაშიც: ვაცა-ა-გი აცა-ა-გი „ძმა და და“...

ეს -ა ელემენტი სოფ. თივის ანწუხურ თქმაში ფაკულტატიურად ჩანს ხმარებული. ერთსა და იმავე სახელს იგი შეიძლება ერთვოდეს კიდევ, ან არ ერთვოდეს. პარალელურად ითქმის, მაგალითად, ვაცაა რუყის სვა („ძმა შინ მოვიდა“) და ვაცა რუყის სვა... ან კიდევ: რუცაბ-ა || რუცაბ „ცოლი“: საუ დურ რუცაბა? — დირ რუცაბ უჩითელ ულა „ვინ არის შენი ცოლი?“ — ჩემი ცოლი მასწავლებელი არის“...

რაიმე გარკვეული დანიშნულება -ა ელემენტს ტოხურ-ჭადაქოლოურ კილოკავებში ამჟამად არ უჩანს, იგი უფუნქციოდ გამოიყურება.

ანწუხურის ამ ფაქტებს შ. მიქაილოვი ჭარულისას უდარებს, რომელთაც ბოლოკიდურებში მოუღივებდა კლასნიშნის სუფიქსები -ოვ (I კლ.), -ე (II კლ.): **დიბირ-ოვ** „ყაღი“, **ვაცაშალ-ოვ** „ბიძაშვილი (კაცი)“, **თუმ-ოვ** „ლაკი (კაცი)“, **უსდარ-ოვ** „ოსტატი (კაცი)“, **აცაშალ-ე** „ბიძაშვილი (ქალი)“, **თუმ-ე** „ლაკი ქალი“, **უსდარ-ე** „ოსტატი ქალი“. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ანწუხურის ფორმები ჭარულის შეკვეცილი ვარიანტები უნდა იყოს (მიქაილოვი, 1959, 80-81).

ფიქრობ, საკითხს უფრო მეტ ნათელს მოჰფენს თვითონ ანწუხურის ზოგ კილოკავთა ჩვენება. მაგალითად, თლებელურში კარგადაა დაცული კლასნიშნის არსებითი სახელები: **ვაცა-ავ** „ძმა“, **აცა-ა** „და“, **ებელ-ა** „ბები“ (მდრ. ლიტ. ებელ „დედა“), **ნუს-ა** „რძალი“ (ლიტ. ნუს „რძალი“), **რუჩაბ-ა** „ქალი“, „ცოლი“, **ვას-ავ** „ბიჭი“, **ას-ა** „გოგო“, „ქალიშვილი“. იმავე თლებელურში ადასტურებენ კლასნიშნის დაბოლოებებს ნასესხებ სიტყვებშიც: **უჩითელ-ავ** (I კლ.), **უჩითელ-ა** (II კლ.) მასწავლებელი“, **შოფირ-ავ** „მძღოლი“, **დურაქ-ავ** „(I კლ.), **დურაქ-ა** „(II კლ.) „სულელი“, **დოსდ-ავ** (I კლ.), **დოსდ-ა** (II კლ.) ამხანაგი“, **ყუმში-ავ** (I კლ.), **ყუმში-ა** (II კლ.) „მეზობელი“... კლასნიშნით გაფორმებული არსებითი სახელები გამოვლენილია ტომურულ კილოკავშიც, ოღონდ კითხვით სიტყვებთან მეზობლობაში. მაგ.: **ჩი-ავ** „კაცი“: ჰავ შივ ჩი ავ? „ეს ვინ კაცია?“ **შადამ-ა** „ქალი“, „ცოლი“: ჰა ლილ შადამა? „ეს ვისი ცოლია?“... აღსანიშნავია, რომ ტომურულში III კლასის სახელებიც კლასნიშნით შეიძლება იყოს გაფორმებული, მაგ., **ჩუ-აბ** „ცხენი“: ჰაბ ჩუ აბ ლილ? „ეს ცხენი ვისია?“ (ისაევი, 1989).

თლებელური და ტომურული მონაცემებით ტოხურ-ჭადაქოლოური -ა ელემენტის ოდინდელი დანიშნულების გამოკვლევა კიდევ უფრო იოლად ხერხდება. ამჟამად, იგი კლასის ნიშანია, ამჟამად უკვე გამარტივებული სახით წარმოდგენილი: **ვაცა-ა** „ძმა“ ← **ვაცა-ავ**, **აცა-ა** „და“ ← **აცა-ა**. ცნობილია, რომ სამხრულ ხუნძურისათვის დამახასიათებელია დიფთონგთა გამარტივება (მონოფთონგიზაცია), რის შედეგადაც ქრება I და II კლასის **ვ**, ნიშნები (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, 35-37).

შესაძლებელია, უკვე აღარც ის ფაქტი მოგვეჩვენოს უცნაურო-

ბად, რომ ქართულიდან ნასესხები ზოგიერთი სიტყვა, რომელიც ილ. ცერცვაძემ კახეთში მცხოვრებ ანწუხელთა მეტყველებაში თავის დროზე გამოავლინა, კლასის ნიშნებითაა გაფორმებული, მაგ., **ზაქი-აბ** „ზაქი“, **კოლი-აბ** „კოლი“, **მაჭარი-აბ** „მაჭარი“, **ყუთი-აბ** „ყუთი“, **ჩურჩხელი-აბ** „ჩურჩხელი“, **შვინდი-აბ** „შვინდი“, **ვილი-აბ** „თხილი“ (ცერცვაძე, 1948, 193-194). ანწუხურის კილოკავთა შესაბამისი მონაცემების გათვალისწინება ამ მოვლენასაც, ასე თუ ისე, გასაგებს ხდის.

სალიტერატურო ხუნძურში კლასის ნიშნებით გაფორმებული არსებითი სახელები მეტად მცირეა. ვნახოთ ზოგიერთი მათგანი:

ვას „ბიჭი“, „ვაჟიშვილი“ დაირთავს -ავ სუფიქსს და იქნება **ვას-ავ**. იგი გამოიყენება ხოლმე მიმართვისას: „ბიჭო!“ მსგავსად ამისა: **ას-ა!** „გოგო!“

ნუცალ ხუნძახის ხანთა ტიტული იყო XVIII ს. შუა ხანებამდე. ეს სიტყვა დაირთავს II (ქალის) კლასის ნიშანს: **ნუცალ-ა** „ხანის ცოლი“, „დედოფალი“, მაგრამ მამაკაცის შემთხვევაში I კლასის ნიშანი მას არ მოუღივებდა. ამისგან განსხვავებით I კლასის (მამაკაცის) ნიშნითაა გაფორმებული **ნუცი-ავ** „თავადი“; მდრ. **ნუცი-ა** (II კლ.). სხვათა შორის, კლასის ნიშნები ერთვის ქართულიდან ნასესხებ სიტყვასაც: **თავათი-ავ** (I კლ.), **თავათი-ა** (II კლ.). ეს სიტყვა ხუნძურში ქართველ დიდგვაროვანთა აღმნიშვნელია.

ჰობოლ „სტუმარი“. კლასის ნიშნების დართვით ამისაგან ერთგვარად განსხვავებული სემანტიკის სიტყვა მიიღება: **ჰობოლ-ავ** „სხვა სოფლის მცხოვრები“, აგრეთვე **ჰობოლ-აბ**: ჰობოლაბ ჰო „სხვა სოფლის ძალი“.

ებელ „დედა“. როგორც ვნახეთ, ანწუხურის თლებელურ კილოკავში ამ სიტყვას II კლასის ნიშანი მოუღივებდა: **ებელ-ა**, ოღონდ ეს უკვე „ბებიას“ აღნიშნავს. სალიტერატურო **ებელ** II კლასს განეკუთვნება, მაგრამ შეიძლება დაირთოს III კლასის ფორმანტიც: **ებელ-აბ**. ამ შემთხვევაში იგი III კლასის სახელთა ატრიბუტივად მოგვევლინება, მაგ., **ებელ-აბ ბაწ** „დედა მგელი“, **ებელ-აბ ცი** „დედა დათვი“, **ებელ-აბ შანკ** „დედა კურდღელი“, **ებელ-აბ წაუნ** „დედა არწივი“ და ა. შ.¹

¹ მაგალითები მომყავს მ. საიდოვის „ხუნძურ-რუსული ლექსიკონიდან“ (მ. საიდოვი, 1967).

მაშასადამე, არსებით სახელებზე კლასნიშნის სუფიქსების დართვით სალიტერატურო ხუნძურში უმეტესწილად ზედსართავები იწარმოება ხოლმე.

ლიტერატურა

ისაევი, 1989 — М. Г. Исаев, Особенности функционирования классных показателей в говорах анцухского диалекта аварского языка, сб., Категория грамматических классов в иберийско-кавказских языках, Тб., 1989.

მიქაილოვი, 1959 — Ш. И. Микаилов, Очерки аварской диалектологии, М.-Л., 1959.

საიდოვი, 1967 — М. Саидов, Аварско-русский словарь. Составил М.-С. Саидов, М., 1967.

ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962 — არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე. ხუნძური ენა, თბ., 1962.

ცერცვაძე, 1948 — ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, თბ., 1948.

LEVAN AZMAIPARASHVILI

Classmarker Suffixes in Avar Nouns

Summary

In Standard Avar, the nouns with classmarker suffixes are rare. Classmarker suffixes are more common in the formation of adjectives. However, the nouns with classmarker suffixes are evidenced in the Southern dialects of Avar viz. in Antsukh and Char. The classmarker suffixes are particularly well-preserved in the Tlebel and Tomur accents of the Antsukh dialect: Cf. wacə-aw-meaning 'brother' — lit, wacə; jacə-aj meaning 'sister' lit. jace. In Tokh and Chadakol only the remnant *r* of the classmarker is evidenced wacə-a, jac.ə-a. Today the suffix in question seems to be functionless, the paper considers it the simplified version of -aw and aj.

ციცინო ბაბუხაძის

მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინბლისურ ენაში

მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სტრუქტურის მიხედვით მოდალობის მაკროველი შეიძლება დავეყოთ ორ ველად — სინამდვილისა და არასინამდვილის /რეალობისა და ირეალობის/ ველებად. ისინი თავიანთი მნიშვნელობებით ქმნიან ოპოზიციებს, პოლარულნი არიან. თუმცა ზოგჯერ მათ შორის ზღვარიც კი იშლება.

ეს ორი ველი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო შინაარსით, არამედ — გამოხატვის საშუალებებითაც.

სინამდვილის ველს, მისი გამოხატვის საშუალებების სიხშირის გამო, გაცილებით უფრო დიდი სივრცე უჭირავს მეტყველებაში. მისი დომინანტია თხრობითი კილო. სინამდვილის მოდალობის გამოსახატავად გამოიყენება არა მარტო ამ ველის შემადგენელი ნაწილები, არამედ ისინიც, რომლებიც სინამდვილის ველის პერიფერიებშია გალაგებული.

არასინამდვილის ველს სინამდვილის ველთან შედარებით გაცილებით უფრო მცირე სივრცე უკავია, მაგრამ გამოირჩევა რთული სტრუქტურით. იგი იყოფა სამ მიკროველად: პოტენციურ-ირეალურ, შეგულიანებისა და ვარაუდის მიკროველად. პოტენციურ-ირეალური მიკროველის დომინანტია, როგორც აღვნიშნეთ, კავშირებითი კილო; შეგულიანების მიკროველის კი — ბრძანებითი კილო. ორივე მიკროველში სხვა შემადგენელი ნაწილებიც გვხვდება, რომლებსაც პერიფერიული მდგომარეობა უჭირავთ. ვარაუდის მიკროველის სტრუქტურის სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ აქ დომინანტი არ გვხვდება; ხოლო თანაბარი უფლებების მქონე შემადგენელი ნაწილები მრავალფეროვანია.

ირეალობის დენოტატი რეალურ სამყაროში არსებული საგნებისა და მოვლენების ისეთი ურთიერთკავშირის რეალიზაციას ემყარება, რომელიც სინამდვილეში შეიძლება არსებობდეს, მაგრამ წარმოდგენაში გააზრებულია როგორც არარსებული (irrealis -ძვ. ლათინური —


არასაგნობრივი, არანივთიერი). საგანთა და მოვლენათა შორის არარსებული და მხოლოდ წარმოდგენილ ურთიერთობათა ცნების შემუშავება, ცხადია, შესაძლებელი ხდება მხოლოდ ბუნებაში რეალურად არსებული საგნებისა და მოვლენების ურთიერთობის საფუძველზე შექმნილ ცნებასთან შეპირისპირებით. ამრიგად, ჩნდება რეალობისა და ირეალობის ლოგიკური ანტინომია, რომელიც შესაბამისად ენის სისტემაშიც საჭიროებს ასახვას. ირეალობისა და რეალობის ლოგიკური ცნებების მანიფესტაცია ენობრივი საშუალებებით ხორციელდება ზმნის მიკროსისტემაში, რადგან მხოლოდ ზმნის კატეგორიისათვის დამახასიათებელი პრედიკაციისა და მოდალობის საშუალებით შეიძლება გამოხატულ იქნეს ის რთული ურთიერთობანი, რომლითაც ხასიათდება რეალობისა და ირეალობის დენოტატები. მხოლოდ ამ ორი კატეგორიის სინთეზის შედეგად მოექცევა გამოთქმული აზრი ენის კარკასში და მიიღებს იმ სრულყოფილი ენობრივი ფენომენის სახეს, რომელსაც წინადადება ეწოდება.

პრედიკატულობა გულისხმობს მოლაპარაკის მიერ თავისი თვალსაზრისის გამოხატვას გარემო სინამდვილისადმი, ხოლო მოდალობა ამ თვალსაზრისის ტრანსფორმაციას ახდენს გადმოსაცემი მოქმედების ან მდგომარეობის რეალობის, ირეალობის ან აუცილებლობის მნიშვნელობის კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ე. ი. ირეალურ მოდალობას რელევანტური ღირებულება იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ მისი ველის წევრების გამოყენება სემანტიკური მოტივითაა გამართლებული. მოდალობისა და პრედიკაციის კატეგორიათა რეალიზაციის ცენტრს, როგორც აღვნიშნეთ, ზმნის კილოს მიკროსისტემა წარმოადგენს. ამ მიკროსისტემის თითოეული რგოლი მოდალობის რომელიმე სახეობის გამოხატვას ემსახურება.

ირეალურ მოდალობას ზმნის კილოს მიკროსისტემაში თავისი ერთგვაროვანი გამოხატულების პლანით საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უჭირავს. იგი თავის გარშემო იკრებს ამ მიკროსისტემაში შემავალი პატარა რგოლის, II კავშირებითის ფორმებს და მათი მეოხებით ახდენს მრავალფეროვანი სინტაქსური ურთიერთობების რეალიზაციას, ხოლო მისი ოპოზიციური წევრის — რეალური მოდალობის ველი იქმნება როგორც მთლიანად თხრობითი კილოს, ისე აწმყოს კავშირებითის ფორმების საშუალებით.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, სინამდვილის ველი მდიდარი ინ-

ვენტარით არ ხასიათდება. იგი შემდეგი სქემით (სქემა №4) წარმოდგინეთ:



თხრობითი კილო გამოირჩევა დროთა ფორმების სიმრავლით და გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ფუნქციობას დროის ველზე. მოდალური მნიშვნელობა როგორც უკანა პლანზე გადადის. საგულისხმოა, აღინიშნოს, რომ გრამატიკულ-ლექსიკური ველები მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. განსაკუთრებით ახლოს დროისა და მოდალობის ველები დგას. ერთი და იგივე ზმნური ფორმა ვლინდება ერთდროულად ორივე ველის კონსტიტუენტად და დროსა და მოდალობას გამოხატავს. მხოლოდ ვარაუდის მიკროველში პოტენციური მოდალური სიტყვების არარსებობისას იყოფიან მათი ფუნქციები: ზმნური ფორმა მხოლოდ დროს გამოხატავს, მოდალური სიტყვა მოდალობას.

თხრობით კილოში მოდალური მნიშვნელობა რატომღაც უკანა პლანზე ინაცვლებს. არ არის შემთხვევითი, რომ ლინგვისტიკაში არსებობს აზრი, რომლის თანახმად ინდიკატივი ითვლება „არამოდალურად“. ჩვენ კი ვიზიარებთ საპირისპირო თვალსაზრისს, რომ მოდალობა ახასიათებს ყოველ წინადადებას, როგორც მისი აუცილებელი კონსტრუქციული ნიშან-თვისება. სინამდვილის მოდალობა გვიჩვენებს, რომ გამონათქვამი მოლაპარაკის თვალსაზრისით შეესატყვისება

სინამდვილეს. სინამდვილის მოდალობის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

In Winesburg no attention was paid to Wash Williams and his hatred of his fellows. /Sh. A./

He finally sent me a postcard from some place in Greece and that was the first I knew that sonny was still alive. /J. B./

თხრობით კილოს აწმყოს ფორმებიც გამოხატავენ, რომ გამონათქვამი რეალურია და სინამდვილეს შეესატყვისება. ყველაფერი ეს განეკუთვნება აწმყოს ფორმას იმისდა მიუხედავად, განგრძობითია იგი თუ მარტივი სახე, პერფექტული თუ არაპერფექტული ფორმაა. მაგალითად:

I am sorry you are going away. /O. W./

Who can calculate on the fortitude of one whose life has been a round of pleasures? /Sh.A./

Begin with an individual and before you know it you find that you have created a type; begin with a type, and you find that you have created ონთინგ. /F. S. F./

რიგ შემთხვევებში ახლანდელი დროის ფორმაში წამყვანი და ძირითადია მისი მოდალური (და არა დროითი) მნიშვნელობა.

1) ასეთია დროისა და რეალური პირობითი დამოკიდებული წინადადებები. ამ შემთხვევაში მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც გადმოცემულია დამოკიდებულ წინადადებაში, მოლაპარაკის მიერ წარმოდგენილია როგორც რეალურად არსებული. ზმნის ფორმა კი შეიძლება იყოს როგორც პერფექტული, ისე არაპერფექტულიც. მაგალითად:

If I fail as a writer, I shall have proved for the carrier of editor ship. /J. L./

I'll go there as soon as I have finished my breakfast. /Ch. D./

2) ზოგჯერ დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში, როცა მთავარში ისეთი ტიპის ზმნები და ფრაზეოლოგიური შეხამებანი გამოიყენება, როგორცაა, მაგალითად: to see, to look, to make sure, to take care of, to mind.

You see that I'm here to let you teach yourselves. /J.Up./

წარსულის ფორმები გამოხატავს დროს, რომელიც უკვე წარსულში მოხდა, ოღონდაც სინამდვილეს შეესატყვისებოდა. ეს არის წარსულის რეალური ფაქტი, რომელიც ახლანდელთან კავშირში არ არის. მაგალითად:

I didn't sleep any more that night but sat in the dark thinking about Tom Maitland. /F. S. F./

The story of Louise Benrtley, who became Mrs. John Hardy and lived with her husband in a brick house on Elm Street in Wiresburg, is a story of misunderstanding. /Sh. A./

მომავლის ფორმები გამოხატავს დროს, რომელიც ჯერ კიდევ არ დამდგარა. მაშასადამე, იგი გადმოსცემს ისეთ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მომავალში შესრულდება და გახდება რეალური:

But I suppose you will be back soon? /O. W./

They'll let him out and then it'll just start all over again./Sh. A./

მომავლის მოდალური მნიშვნელობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამონათქვამს ყოველთვის ხდის სავარაუდოს, პრობლემატურს. მომავალი დროის მოდალური მნიშვნელობა (მოქმედების პრობლემატურობა) ვლინდება დროისა და პირობით დამოკიდებულ წინადადებებში:

I will be happy if I know I will never have to go off your place. /Sh. A./

I am aware what will happen to him if I don't stay. /Ch. D/

გარდა ამისა, მომავალი დროის ფორმები ინგლისურ ენაში ანალიტიკურიცაა, რომელიც თავისთავად სიტყვათა შეერთებისაგან წარმოიშვა, ისინი ხშირად ვალდებულებას, აუცილებლობას (shall), ნების გამოძახებებს, გადაწყვეტილებას (will) გამოხატავენ. მაგალითად:

"Shall I tell him?" he added. /J. G./

"And I promise you, Miss Morse, that I will make good". /J. L./

ზოგჯერ გამონათქვამი, რომელიც თავისი შინაარსით არ შესატყვისება ობიექტურ სინამდვილეს, წარმოდგენილია მოლაპარაკის მიერ როგორც რეალური, ნამდვილი:

I know her, believe me she couldn't have done what she did, for money. /F. S. F./

სინამდვილის მოდალობის მნიშვნელობის ყველა შეფერილობა, პირველ ყოვლისა დამოკიდებულია ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაზე და განისაზღვრება რეალობის სემით. სინამდვილის მოდალობას განეკუთვნება აგრეთვე აუცილებლობის, რეალური შესაძლებლობის, ნებაართვის და ა.შ. მნიშვნელობანი, რომელიც მოდალური ზმნებით გამოიხატება. მოდალური ზმნები ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით თხრობითი კილოს ფორმაში გამოიყენება და გამოხატავს სუბი-

ექტის დამოკიდებულების მოქმედებისადმი ე. წ. „შინაგან მოდალობას“. მაგალითად:

At any rate he knew he could do it better now. /J. L./

მოდალური სიტყვები კი ახდენენ სინამდვილის მოდალობის ინტენსიფიცირებას. ამავე ფუნქციას ასრულებს არსებითი და ზედსართავი სახელები, რომლებსაც შეფასებითი ხასიათი აქვთ და აგრეთვე მოდალური სიტყვათშეხამებანი მთავარ წინადადებაში. მაგალითად:

Timothy, indeed, was seldom seen. /J. G./

That's what I was about to observe too, certainly. /Ch. D./

თანამედროვე ინგლისურ ენაში ირიბ ნათქვამში (იშვიათად ავტორის გამონათქვამშიც), ფორმის „მომავალი წარსულში“ გადმოსაცემად თხრობითი კილოს ფორმებთან ერთად გამოიყენება | კავშირებითი.

დიდ დამოუკიდებლობას იჩენენ კავშირებითი კილოს ფორმები, რომლებიც მთავარ წინადადებაში გვხვდებიან და თხრობით კილოს სინამდვილის ველში შეუძლიათ უშუალოდ შეუპირისპირდნენ. ამის შედეგად წარმოიქმნება ოპოზიცია: სინამდვილისა და არასინამდვილის ველი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ზმნა თხრობით კილოში შეიძლება გადაყვანილ იქნეს კავშირებით კილოში. თუმცა ისეთი ფორმით, რომელიც უშუალო კავშირშია წინადადებაში კავშირებით კილოსთან და ითვლება ორივე კილოს ძირითად დისტრიბუციულ კრიტერიუმად. მაგალითად:

You do not not imagine he would sign /have signed/ the documents without reading /O.W./

ამ მაგალითში would sign არის კავშირებითი კილოს ფორმა, რადგან იგი დამოკიდებულია მთავარი წინადადების ზმნის ახლანდელ დროზე. Would sign შეიძლება გადაყვანილ იქნეს თხრობითში would sign გარემომცველ ერთეულთა შესაცვლელად, ოღონდაც მისი მნიშვნელობა იქნება „მოაწერს“ და შესატყვისად წინადადება ასეთ სახეს მიიღებს:

You do not imagine he will sign documents without reading.

გარემოებას would sign შეიძლება მთავარ წინადადებაში უსწრებდეს წარსული დრო: **You did not imagine he would sign** (თქვენ არ ფიქრობდით, რომ ის მოაწერდა), მაშინ არასინამდვილის ველის დიფერენციალური ნიშან-თვისება (რამდენადაც გრამემა ანონიმურია) იკარგება და იგი იქცევა ფორმის „მომავალი წარსულში“ (Future-in-

the-Past)-ის გრამემად.

ამ მოვლენაზე პირველად გაამახვილა ყურადღება შვედმა ლინგვისტმა ე. ჰერდინმა მე-20 საუკუნის დასაწყისში. იგი ვარაუდობდა, რომ ფორმის „მომავალი წარსულში“ გამოყენება თხრობითი კილოს გარემოცვაში იძლეოდა შესაძლებლობას, რომ ეს ფორმა და აწმყო კავშირებითი ირეალურ მნიშვნელობაში ომონიმურად განხილულიყო (ჰერდინი, 1905, 47).

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ აწმყო კავშირებითი მრავალფუნქციური ფორმაა. იგი რამდენიმე სემის მატარებელია. ერთ-ერთი მათგანი, „მომავალი წარსულში“, საშუალებას იძლევა იგი სინამდვილის ველს მივაკუთვნოთ.

ლიტერატურა

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბ., 2003.

ლებანიძე, 2004 — გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: ენა და კულტურა. 2004.

მეგრელიშვილი, 1986 — მ. მეგრელიშვილი, ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში. თბ., 1986.

ბარხუდაროვი, შტელინგი, 1973 — Бархударов Л. С. Штелинг, Д. А. Грамматика английского языка. Москва: Высшая школа. 1973.

ვინოგრადოვი, 1950 — Виноградов В.В. О категории модальности и модельных словах в русском языке. Москва: Труды Института русского языка III, II 1950.

ბეტროვი, 1982 — Петров Н. Е О содержании и объеме языковой модальности. Новосибирск: Наука. 1982.

TSITSINO BABUKHARDIA

The Functional-Semantic Category of Modality in English

Summary

The paper examines two fields of modality - the field of reality and that of irreality. It is argued, that although the two fields form an opposition, at times it is difficult to differentiate between them. The paper discusses various means of expressing the two fields. The field of reality is quite frequent in various types of discourse. The field of irreality, though not so frequently used, is characterized by a complex structure.

ენო ბარნოზი

თავკიდური თანხმომავანთკომპლექსები სვანურში

როგორც ცნობილია, კომპლექსი განისაზღვრება როგორც ერთი და იმავე კლასის ფონემათა შეერთება მიმდევრობაში. კომპლექსის სიგრძე განისაზღვრება როგორც ელემენტთა რაოდენობა ფონემურ მიმდევრობაში. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა თანხმომავანთა ორწევრა, სამწევრა და ა.შ. კომპლექსები. სვანურში მაქსიმალური სიგრძის თანხმომავანთკომპლექსი მორფემის ფარგლებში უდრის სამს (ივარაუდება თანმიმდევრობა #-V-თავკიდურ პოზიციაში).

თანხმომავანთწყვილების განაწილება აღიწერა ფ. ჰარარისა და კ. პეიპერის მეთოდით და შემდეგი დისტრიბუციული მახასიათებლები მივიღეთ; სისტემის სისრულის ხარისხი: $K(R)=0,14$; ანტისიმეტრიულობის ხარისხი: $S^1(R)=0,88$; სიმეტრიულობის ხარისხი: $S(R)=12$; ტრანზიტულობის ხარისხი: $T(R)=0,39$; ირეფლექსურობის ხარისხი: $G^1(R)=1$; გამოვითვალეთ აგრეთვე თითოეული თანხმომავანი ფონემის შესატყვისი მახასიათებლები ზემოაღნიშნულ პოზიციაში (#-V) (ჰერარი, პეიპერი, 1959, 143-169). ფონემათა განაწილების წესები თავკიდურ კომპლექსებში შესწავლილ იქნა ბ. სიგურტისა და ლ. გერდინგის მეთოდის საშუალებით (ჰარისი, 1960, 61), გაანალიზებულმა მასალამ მოგვცა საშუალება გამოგვეყო კლასები ისეთი ფონემებისა, რომლებიც გვხვდება კონსონანტური ჯგუფის მხოლოდ თავკიდურ, საწყის პოზიციაში ანდა ჯგუფის მხოლოდ ბოლოკიდურ პოზიციაში (#-(C)CV და #(C)-V შესატყვისად). სახელდობრ, სონორებისათვის დამახასიათებელია ჯგუფის ჩამკეტი პოზიცია (#CSV.), მაშინ როდესაც ალვეოლარული აფრიკატები გვხვდება მხოლოდ ჯგუფის დასაწყისში.

ჩვენ მიერ გამოყენებული აპარატი გვაძლევს საშუალებას მივიღოთ მონაცემები, გამოსადეგი ტიპოლოგიურ-შედარებითი კვლევის დროს, კერძოდ, მონათესავე და არამონათესავე ენათა შედარებისას, აგრეთვე ცალკეული ენის ევოლუციის შესწავლისას. გარდა ამისა,

თანხმოვანთა ფონოტაქტიკის თვალსაზრისით ერთეულთა განაწილება ზუსტი რიცხვითი გამოსახულება ეძლევა (ფიშერ-იორგენსენი, 1952, 11).

ლიტერატურა

ჰერარი, პეიპერი — Harary F., Paper H., Toward a General Calculus of Phonemic Distribution, Language, 33, 2, p. 143-169.

ჰარისი, 1960 — Harris Z.S. Structural Linguistics, Chicago, 1960.

ფიშერ-იორგენსენი, 1952 — Fischer-Jrgensen E. On the Definition of Phoneme Categories on Distributional Basis, Acta Linguistica, Copenhagen, 1952, 7, p. 11.

NINO BARNOV

Initial Consonant-clusters in Svan

Summary

Phonotactically, initial consonantclusters in Svan are characterized by combinatorial rules. The latter are based on the principle of "consonant cluster decomposition".

მერაბ ბერიძე

ტამალის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ასპინძის რაიონში არის სოფელი **დამალა**.¹ იგი საბჭოთა პერიოდში ცალკე **დამალის სასოფლო საბჭოს** ქმნიდა. დღეს სოფელში ცხოვრობენ 1828 წელს თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები. სოფელი ისტორიულ გარემოში მდებარეობს. ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან აკრავს ტყე და ბაკურიანის მთების ფერდობები. სოფელს თავზე დასცქერის **კოხტის ციხე** და **კოხტას თავი**. სამხრეთით, ხევში დგას წმინდა გიორგის სახელობის მე-10 საუკუნის ეკლესია. სოფელს ჩაუდის **კოხტას** || **კოხტის ხევი**, რომელიც **ხვილიშის** ეკლესიასთან ერთვის მდინარე მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან.

მე-16 საუკუნეში, როდესაც ტამალა ოსმალებმა აღწერეს, პატარა სოფელი იყო და იქ 5 ოჯახი ცხოვრობდა. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მაშინდელი ოჯახის უფროსებიც: **ბასილი, ნათენა ვარდიას ძე, ტეტია ზათელაძე, როსება ძმა მისი, დემეტრეს შვილიშვილი**. მიუხედავად ამისა, სოფელს შეწერილი ჰქონდა გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სელის თესლზე, იონჯასა და თივაზე, ღორზე, ფუტკარზე, ბოსტანზე, ცხვარსა და ქორწილზე (ჯიქია, 1941, 140). სოფ. კოხტაც ასევე პატარა, 3-კომლიანი სოფელია და მისი მოსახლენი, ოჯახის უფროსები, **გულია, ანანა დარისბანის ძე და ციკარა ანაის ძე** (ჯიქია, 1941, 140). მეციხოვნეები არიან.

სოფლის სახელი დამალა ადმინისტრაციული ჩარევის შედეგია, რადგან სახელი „გააშინაარსიანეს“, დაუკავშირეს მალავს ზმნის ნამყო წყვეტილის ფორმას, რასაც ხელი შეუწყო სოფელში მცხოვრებ სომეხთა მეტყველებაში მკვეთრი **ტ** ბგერის გაყდერებამ. ასევე აყდერებენ ამ ბგერას თურქები.

რაც შეეხება გაშინაარსებას: მესხეთში გავრცელებულია თქმულება, რომ, როდესაც თამარმა ნუქნადინი დაამარცხა, ბრძოლები ამ

¹ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 21.

ადგილებში მიდიოდა. ნუქნადინმა ცხენი ძველი თოკით აქ დამალა, დააბა, ხოლო თამარმა **აწყვეტინა**, ამიტომაც სოფლებს ეწოდა სახელები: **ძველი, თოკი, დამალა** და **აწყვიტა**. ადმინისტრატორებსაც მეტი რა უნდოდათ, ტამალის ნაცვლად ჩნდება სახელი **დამალა**.

ადგილობრივ ქართველთა მეტყველებაში, მიუხედავად ადმინისტრაციის „განათლებული“ ზეწოლისა, წარმოითქმის მხოლოდ ტამალა. „... ამ შემთხვევაშიც „**ტამალა**“ უფრო სწორი ქართული ფორმა უნდა იყოს ამ სახელისა, „დამალა“ კი უკვე გადათურქულებული, ყოველ შემთხვევაში არაქართულ ენობრივ კოლექტივში გადატეხილი ვარიანტია „ტამალა“-სი („ტამალა“-ს მკვეთრი „ტ“ ჩვეულებრივად თურქული მყდერი ასოთია გადმოცემული). გაზეთი „ივერია“, მაგალითად, **ტამალა**-ს წერდა, „...პატარ **ტამალა** მოხსენიებულია აგრეთვე „საქართველოს სიძველენის“ I ტომში“ (ჯიქია, 1958, 188).

ტამალას ჩაუდის ტამალის დედე, რომელსაც Тамалка-ს უწოდებენ მე-19 საუკუნეში (ჯიქია, 1958, 188). **ტამალის დედე** მშრალი დედეა ზაფხულობით და მარცხენა ნაპირიდან ერთვის **ოთის წყალს**.

მართალია, **ტამალა** ნაკლებად პოპულარულია საქართველოს ისტორიაში, მაგრამ, სამაგიეროდ **კოხტა** ცნობილი ადგილი. გავიხსენებთ კოხტის შეთქმულებას: „ამათ შფოთთა შეკრიბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი **კოხტის თავსა**, იმერნი და ამერნი, ევარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუბარი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაოელნი და ყოველნი იტყოდეს: „რა ვუყოთ? არღარა არის ნათესავი ქართველთა მეფეთა ერთა წინამძღუარ გვექმნას და ვბრძოდეთ თათართა და ჩუენ ერთი ერთისგან განდგომილ ვართ, ვერ წინააღმდეგებით თათართა“... დაამტკიცეს ომი, და დადგეს პაემანი ქართლს შეკრებისა და განიყუარნეს“ (ყამთააღმწერელი, 1959, 215).

იდგა 1245 წლის ზაფხული. ჩვენი ისტორიის ერთი ბრწყინვალე ფურცელი სწორედ **კოხტის** თავზე, **ტამალაში** იწერება. ანისში ჩაყვანილი მთავარნი და წარჩინებულნი ნოინისაგან საწამებლად გაიწირნენ. **ცოტნე დადიანი** ქართლისაკენ შეთანხმებისამებრ ლაშქრითურთ მოდიოდა და გზად გაიგო შეთქმულთა შესახებ, გაუშვა ლაშქარი უკან, გამოიარა **რკინის ჭუარი**, სამცხესა და დაღოს შორის „განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისს“.

ანისისაკენ მიმავალ ცოტნეს კიდევ რამდენიმე **ტამალა** უნდა გა-

ეგლო. **ფოცხოვის** შემდეგ **მზვარის** რაიონში **მერის ციხის** რაბათან იყო სოფ. **ტამალა** (ჯიქია, 1958, 453).

კიდევ სამი სოფელია ამავე სახელით, ოღონდ ბოლოკიდური -ა-ს გარეშე დიდი არტაანის მხარეში, ესენია, **პატარა ტამალი, დიდი ტამალი, ქვემო ტამალი** (ჯიქია, 1958, 515). მიდიოდა ცოტნე დადიანი და ასხენდებოდა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე მდებარე ტამალა კოხტის თავთან, ერთად შეკრებილი თანამემამულენიც და ალბათ ყველაზე მეტად მაინც გამცემებზე ფიქრობდა, ვინ უღალატა თანამოძმეთაგან.

საბედნიეროდ, ამ **ტამალების** ლოკალიზაცია შეიძლება დღეს. მათგან შემორჩა ფოცხოვიდან არტაანისაკენ მიმავალ გზაზე ერთი დასახლებული პუნქტი **დამალის** სახელწოდებით. ბუნებრივია, სამი პატარა სოფლიდან, სამი ტამალიდან, შემორჩა, ან გაერთიანდა და გვაქვს თანამედროვე, მაღალი შენობებით დამშვენებული დასახლებული პუნქტი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არტაანის (არდაგანის) გუბერნიაში.

ტამალა-ში აშკარად გამოსაყოფია ფუძე **ტამ**- ალ-ა მაწარმოებელია. -ა როგორც ქართული გეოგრაფიული ფორმატი თურქმა ადმინისტრატორმა ჩამოაცილა და დღეს არდაგანის გუბერნიაში მას - **Damal** ჰქვია. -ალ, როგორც მაწარმოებელი -არ, -ურ, -ელ, -ულ ფორმანტებთან ერთად გვხვდება არა მარტო ზოგადად სახელებში, არამედ ტოპონიმიაშიც.

პ. ცხადაიამ მიუთითა, რომ ი. ყიფშიძეს -ალა გამოყოფილი აქვს მასდარსა და აბსტრაქტულ სახელებში, მათ ტოპონიმიაში ერთნაირი ფუნქცია უჩანთ. ადგილის აღმნიშვნელი საზოგადო თუ საკუთარი სახელებისაგან აწარმოებენ იმ ადგილას ჩამდინარე მდინარის სახელს“. ხუბერი-ხუბერ-ალა, წყაბაში-წყაბაშ-ალა, გარამი-გარამელა და სხვა (ცხადაია, 1985, 174-175).

საბოლოოდ პ. ცხადაია ასკვნის: „მიუხედავად საანალიზო მასალის სიმცირისა, შეიძლება ითქვას, რომ მეგრულში -ალა, -ელა, ჰიდროფორმანტებია **ისევე, როგორც ქართულში -ურა**“ (ცხადაია, 1985, 174-175).

ტოპონიმიაში -ალ, -ელ, რომელსაც შეიძლება დაურთოს -ა სუფიქსი და შეიძლება აღნიშნოს წარმომავლობა, ან მიმართება სხვა ადგილისადმი, მაგალითად, **ურავი > -ურაველი, ბარი > -ბარალი > ბარალეთი** და სხვა. თავად ტამალის შემთხვევაში აშკარად

გამოიყოფა -ა ე. ი. -ალ-ა, რადგან გვაქვს, როგორც **ტამალა**, ასევე **ტამალი**.

-ალა შეიძლება გამოიყოს მდინარის სახელში -**დუმალა**, რომელიც მოედინება ზემო იმერეთში, სათავეს იღებს **კორბოულის** მთებში, გამოივლის სოფლებს: **მეჩხეთურს**, **ჩხირულს**, **ერეთას** და ბოლოს სოფ. **ბორითთან** უერთდება მდინარე **ძირულას** მარჯვენა ნაპირიდან.

ასევე ამოსავალი უნდა იყოს **დუმალა** და უნდა გამოიყოს -**ალა**, ასპინძის რაიონის სოფ. **იდუმალის** სახელშიც, სადაც ი- გარკვეული გადააზრების შედეგად უნდა იყოს გაჩენილი, სიტყვის სემანტიკა დაუკავშირდა **იდუმალ-ს**. ასევე იყო სოფელი **დუმელია**, რაც დღეს მხოლოდ მდინარეს ჰქვია ასპინძის რაიონის ნასოფლარების ნიალა-აგარის მიდამოებში, მისი ფონეტიკური ვარიანტი **დუმელია**. აქ გამოიყოფა ელ-ია დაბოლოება.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელებს **დუმალა**, **იდუმალა**, **დუმელია**, აქვთ ერთი ფუძე **დუმ-**, რომელიც ასევე ცალკე შეიძლება დავადასტუროთ ჯავახეთის ტოპონიმიში, კერძოდ **სალამოს** ტბის ნაპირზე არის ნასოფლარი დუმა, რომელსაც ერქვა **დუმანი** (ჯიქია, 1958, 340), შდრ. **განძა**, **განძანი**, **ფოკა**, **ფოკანი** და სხვა. სალამოს ტბას ამ სოფლის გამო **დუმანის** ან **დუმის** ტბაც ერქვა. ამდენად აშკარაა -ალ-ა დაბოლოების გავრცელება მთელ საქართველოში, რის გამოც ტამ-ალ-აში მათი გამოყოფა შეუძლებელი არ არის.

ასე რომ, ტამალაში შეიძლება გამოიყოს -ალ-ა მაწარმოებლები, -ალ-ა მაწარმოებელთა ჩამოცილების შემდეგ გვრჩება ფუძე **ტამ-**, რომლის გეოგრაფიაც აგრეთვე საკმაოდ ვრცელია.

ტამ- ფუძით შემდეგი ტოპონიმები გვხვდება ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურებში: სოფ. **ტამ-ი** მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდინარე **ტამისწყლის** (თემის შენაკადი) ხეობაში გორის რაიონის მდებარეთის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში. როდესაც ადგილის სახელი ერქმევა ფუძის სახით, ყოველგვარი გაფორმების გარეშე, შეიძლება იყოს გეოგრაფიული ტერმინი, უბრალოდ, არსებითი სახელი, ვთქვათ ველი. (სოფელი იყო ისტორიულ საქართველოში), **გორი**, **მთა**, **ხევი**, **წყარო** და ა. შ. შეიძლება იყოს ზედსართავი სახელი **ცივი**, **ძველი**... არა აქვს მნიშვნელობა ეს ზედსართავი სახელი საზღვრულდაკარგულია თუ არა.

ამდენად, ამ ტიპის სახელდება ქართულ ტოპონიმიში გვხვდება.

ტამ- ფუძე გამოიყოფა აშკარად ჯავახეთის სოფ. ბალანთაში სოფლის სახელში **ტამ-ებ-ი** (დლონტი, 1987, 83).

ვფიქრობთ **ტამ-** უნდა გამოიყოს სამურზაყანოს ტოპონიმიში დელის სახელში **ტამ-აკვარა** (დლონტი, 1971, 89) დღე პირველ გავლში და მისგან ნაწარმოებ ტოპონიმში **ტამაკვარაშ ოტოფუე** (ცხადაია, ჯოჯუა, 2003, 176).

აფხაზეთში იყო მდინარე **ტამა**, რომელთანაც გაშენებულ სოფელს, რქმევია **ტამაში** თუ **ტამუში** (ინგოროყვა, 1954, 170). ეს დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით არის აფხაზეთში ოჩამჩირის რაიონის სოფ. **ტამიში**, რომელიც ბოლო დროს ცნობილი იყო მაიმუნსაშენით და მდებარეობს მდინარე **დლამიშის** ნაპირას.

ტამიში ცნობილია არქეოლოგიური გათხრებით და გვიან ბრინჯაოს ხანის მასალით შავი ზღვისპირეთისათვის უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობით — არხით და სხვა (ინალი-ლა, 1976, 101, 248-249).

ტამ-იშ-ის, ასე დაყოფის, -იშ დაბოლოების გამოყოფის, უფლებას გვაძლევს ამ ტიპის სახელთა სიმრავლე საქართველოში და მისი კავშირი -ის დაბოლოებასთან.

ცნობილია, რომ -ის და -თა დაბოლოებიანი ნაგენტივარი სახელები საზღვრულდაკარგული სახელებია, „რომელთაც რაღაც საზღვრული (დაბა, სოფელი, ციხე, ქალაქი და სხვ.) უნდა ჰქონოდათ ერთ დროს, მაგრამ საზღვრულის ჩავარდნის გამო მსაზღვრელს დაჰკარგვია პირვანდელი მნიშვნელობა და ახალი მიუღია: დაბა რუ-ის-ი > რუისი; ციხე ქუთათისი > ქუთათისი და მისთ“ (შანიძე, 115). დღეისათვის -ის დაბოლოებას მიღებული აქვს სიტყვათწარმოების ძალა და როგორც სუფიქსს აღარ სჭირდება ყოველთვის დაკარგული საზღვრული ჰქონდეს. ის შეიძლება დაერთოს სიტყვას და აწარმოოს სახელი (დლონტი, 109, 211).

ბ. ცხადაიამ მთიანი სამეგრელოს ტოპონიმთა მაგალითზე აჩვენა, რომ ქართული -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შესატყვისი მეგრული -იშ(ი), ტოპონიმიში გავრცელებულია და იგი მონაწილეობს ადგილთა სახელის წარმოქმნის, მათი კომპოზიციის ძირითად ნაწილში.

„კომპოზიტიური წარმოების ნაგენტივარი სახელწოდებანი, რომლებიც თავდაპირველად, როგორც მსაზღვრელი კომპონენტები კომპოზიტის შემადგენლობაში შედიოდნენ და საზღვრულის ჩამოცილების შემდეგ ახალი ფუნქციით (ადგილის აღნიშვნის ფუნქციით)

აღიჭურვინენ. ამ რიგის ტოპონიმთა ამოსავალი ფუძეებია პირის, ცხოველის, ფრინველის, მცენარის, ნივთის, ნაგებობის სახელები. საზღვრულ კომპონენტებად საგულვებელია რომელიმე გეოგრაფიული ობიექტის სახელი: **აბრამიში < აბრამიშ(ი) რობუ** „აბრამის ხევი“ (ცხადაია, 1985, 98).

-იშ(ი)||-შ(ი) დაბოლოებიანი სახელები ყოველთვის ნაგენტივარიც შეიძლება არ იყოს და -იშ(ი)||-შ(ი), როგორც სუფიქსი აწარმოებს ადგილის სახელს. ამ შემთხვევაში მან, როგორც ფლექსიის ნიშანმა, მიიღო მატოპონიმბელი ფუნქცია, ოღონდ „ასეთ შემთხვევაში ამოსავალი ფუძეა გეოგრაფიული ტერმინი ან დანიშნულების სახელი, ხოლო ტოპონიმი აღნიშნავს იმასვე, რასაც ამოსავალი ფუძე“ (ცხადაია, 1985, 99). ე. ი. **ტობა**, ქვაბულის, ტაფობის აღნიშვნელი ტერმინი, შეიძლება შეგვხვდეს **ტობა-იშ** ფორმით (ცხადაია, 1985, 99), რომელიც ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება. აქვს ერთი სემანტიკა.

დასავლეთ საქართველოს ტოპონიმაში გავრცელებული -იშ, ხმოვანფუძიანებთან -შ, განსაკუთრებით პროდუქტიულია მართულ-მსაზღვრელიან კომპოზიტურ ტოპონიმებში.

მხოლოდ მთიან სამეგრელოში აღნუსხულია 7160 მართულ-მსაზღვრელიანი ტოპონიმი, თავისი ყველა ფონეტიკური ვარიანტით (ცხადაია, 1985, 130). მათ შორის -იშ დაბოლოების მთლიანად მოკვეცის შემთხვევებით. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ -იშ, -ემ დაბოლოებანი გავრცელებულია მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ბევრია სვანეთსა და ლეჩხუმში.

პ. ცხადაია, მ. ქალდანის, გ. მელიქიშვილისა და მ. ქურდაძის მოსაზრებათა მიმოხილვისა და სამეგრელო-აფხაზეთის ტოპონიმთა ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ -იშ || -ში სუფიქსი შეიძლება ჩაითვალოს საერთო ზანურ-სვანურ სიტყვაწარმოებით ელემენტად. არც ისაა გამორიცხული „სვანურ-ზანური ერთობა“ მეორეული იყოს — შედეგი ენობრივი ინტერფერენციისა კოლხეთის ბარის გარკვეულ ნაწილში“ (ცხადაია, 2001, 158).

მართალია, დამატებით კვლევას მოითხოვს, მაგრამ -იშ || -იში დაბოლოებიანი, როგორც ტოპონიმწარმოებელი ფაქტია მესხეთის ტოპონიმაშიც, რაც კიდევ უფრო აფართოებს მისი მოხმარების არეალის და შეიძლება ითქვას, რომ საერთო ქართულ მოვლენად ხდის მას. მით უმეტეს ტამ-იშ-ის შემთხვევაში მის გამოყოფას არაფერი

უშლის ხელს.

აქედან გამომდინარე, დამაჯერებელია პ. ცხადაიას მიერ აფხაზი მეცნიერების (ხ. ამლაჟა, შ. ინალიფა, ი. ანჭავაბი) კრიტიკა, რომ ტამ-იშ-ში -იშ დაბოლოების ქართული სუფიქსის ნაცვლად ადილურ-ჩერქეზული ან მხოლოდ აფხაზური ტოპონიმური სუფიქსი -შ დავინახოთ (ცხადაია, 2001, 154). ამყამად არასერიოზული ჩანს მტკიცება, რომ **ტამიშ ტამშ** ფორმიდანაა მიღებული.

ქვემო იმერეთში საძოვრის სახელია **ტამოსოული** (მასალები, 2003, 297), სადაც აშკარად გამოიყოფა ტამა-, ოღონდ იგი უეჭველად ადამიანის საკუთარი სახელი, მეტსახელია, ან გვარის ნაწილია, რადგან, სადაც ეს სახელი დასტურდება, ამავე წიგნზე დართული ინვერსიული ლექსიკონი გვიჩვენებს, რომ -სოულ-ზე დაბოლოებული ტოპონიმები, რომელთა რიცხვი თითქმის 800-ს აღწევს, გამონაკლისის გარეშე, ყველას საფუძველად ადამიანის სახელი უდევს.

როგორც დავინახეთ, **ტამ-** ფუძე გამოიყო შემდეგ გეოგრაფიულ სახელებში:

- ტამ-ი
- ტამ-ებ-ი
- ტამ-ალ-ა || ტამ-ალ-ი
- ტამ-იშ-ი
- ტამ-(ა)კვარა

მისი გავრცელების არეალი ფართოა და მოიცავს ქართლს, დასავლეთ საქართველოს, ჯავახეთს, ისტორიულ საქართველოს — არტანს, მიუხედავად ამისა, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული **ტამ-** ფუძის სემანტიკის დადგენა, რადგან იგი უნდა ვეძებოთ სხვა სიტყვის შემადგენლობაში. კერძოდ, ასეთი ჩანს **ნატამალი**, რომელიც ძველ ქართულში გვხვდება და ნანგრევს ნიშნავს: „ვიყავ მე, ვითარცა ბუფი **ნატამალისა**“ (აბულაძე, 1973, 322).

ნატამალი სულხან-საბასთან არის „მიდამო, გინა ნაოჯარი, მიდამო, გინა ნაოჯარი მისგან, გარეშემო თუ ნაოჯარი ნაშენები“, მითითებულია ფსალმუნი (ორბელიანი, 1965, 581).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ნატამალის რამდენიმე განმარტებას იძლევა. 1. სულ მცირე ნარჩენი-ნაკვალევი, ნასახი. 2. საბასეული განმარტება, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ, საინტერესოა იმით, რომ განმარტებით ლექსიკონში დამოწმებულია სულხან-საბას შემდეგდროინდელი ავტორები და მათი ციტატები: „აწ შორის ნა-

ნგრევთ და **ნატამალთა** მარტო ქარილა დადის და ქშუსი“ (ილია).

მჭაუნაშვილი და მისი გადარეული მეუღლე დასახლდნენ დიდებული გვარის **ნატამალზე** (ნ. ლომ.), 3. ძვ. სამკვიდრო, მამული, სამფლობელო (დ. ჩუბინაშვილი), 4. შთამომავალი, ნათესავი (ქეგელ, V, 1375).

ამ ოთხი მნიშვნელობიდან ჩვენთვის საინტერესოა ორი, საბასეული და დ. ჩუბინაშვილისეული განმარტებები, რომლებიც უფრო ძველიც ჩანს თუნდაც დადასტურების თვალსაზრისით.

ნატამალში თუ გამოვყოფთ ნა- ალ მაწარმოებლებს, მაშინ სემანტიკის მატარებელი ფუძე უნდა იყოს **ტამი**-ი. ხოლო ნატამალი მისგან წარმოქმნილი წინავითარების სახელი. როგორც, ვთქვათ, **საყდარი** და **ნასაყდრალი, სოფელი — ნასოფლარი**.

თუ **ნატამალი** არის „ნაოხარი, ნანგრევი, მიდამო“, ნაოხარი ნაშენები, ნასახლარი, **ტამი** უნდა იყოს **მიდამო, ნაგებობა, დასახლება**, „სამკვიდრო, მამული, სამფლობელო“ და ის შეიძლება დამოუკიდებლად შეგვხვდეს ადგილის სახელად და ამასთანავე ამავე სემანტიკით წარმოქმნას მან სხვა სახელი. მართლაც, როგორც ვნახეთ, ქართლში ტამი-ი არის ადგილის სახელი ფუძის სახით.

ამგვარად, ისტორიულ მესხეთში, სამცხესა და არტაანში დადასტურებულ ისტორიულ სახელებში **ტამალა** || **ტამალი**, გამოიყოფა **ტამი**- ფუძე.

ლიტერატურა

ინგოროყვა, 1954 — პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954.

ინალ-ილა, 1976 — М. Инал-ила, Вопросы этно-культурной истории Авхазов, 1976.

მასალები, 2003 — საქართველოს ტოპონიმია (მასალები),

ღლონტი, 1987 — ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, V, 1987.

ღლონტი, 1971 — ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, 1971.

ღლონტი, — ქართული ლექსოლოგიის საფუძვლები,

ცხადაია, 1985 — პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), 1985.

ცხადაია, ჯოჯუა, 2003 — პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს

გეოგრაფიული სახელდებანი, 2003.

ცხადაია, 2001 — პ. ცხადაია, საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, 2001.

შანიძე, — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები,

ჯიქია, 1941 — ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, 1941.

ჯიქია, 1941 — ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, 1958.

MERAB BERIDZE

On the History and Etymology of **Ṭamal**

Summary

According to the modern administrative division Damala in Aspindzi region and Damali of the province of Artaan / Ardagan (Turkey) are the placenames of the same origin, Their historical form was **Ṭamala / Ṭamali**.

The stem **ṭam** must have the meaning of settlement, property, territory.

ნანა ბერიძე

აქტანტების სტატუსის საკითხისათვის ვალენტობის თეორიაში

0. ვალენტობის თეორიის საყოველთაო აღიარებამ გერმანული წინადადების სტრუქტურის მოდელირებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ზმნის აღიარებამ ვალენტურ დომინანტად წინადადების წევრები სხვაგვარად გადაანაწილა, ვიდრე ეს ტრადიციულ გრამატიკაში არის მიღებული.

ვალენტური მიმართებები ხორციელდება ორი ოპოზიციური წევრის — დომინანტის (**Valenzträger**) და აქტანტის (**Aktant**) მეშვეობით. დომინანტის კვანტიტატური მაჩვენებლები აქტანტების ამავე მაჩვენებლებთან შედარებით შეზღუდულია. წინადადების ზედაპირულ სტრუქტურაზე დომინანტი ფიქსირდება ერთი სიტყვის (სახელობრ, ზმნის) მორფოლოგიური სტატუსის მიხედვით, აქტანტების რიცხვი და ფორმები კი უფრო მრავალფეროვანია.

ლინგვისტიკაში ვალენტური მიმართებების ამსახველი რამდენიმე ცნება / ტერმინი გვხვდება, როგორცაა: **Valenz, yertigkeit, Fügungspotenz / Fügungswert, Aktant, Mitspieler.**

ტერმინების სიჭრელე არ შეიძლება უარყოფითად შეფასდეს, თითოეულში მისთვის ნიშანდობლივი სემანტიკური და ცნებითი ნიუანსია. მართალია, ეს ტერმინები სინონიმებად ითვლება, მაგრამ ისინი წარმოადგენენ არა ტოტალურ სინონიმებს, რომლებიც მთლიანად ფარავენ ერთმანეთს, არამედ პარციალურ სინონიმებს, რომლებიც არ გამოიყენებიან ერთსა და იმავე კონტექსტში.

Fügungspotenz და **Valenz** ტერმინების გამოყენების სფერო ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს. **Fügungspotenz** („შესიტყვების პოტენცია“) შეიძლება ჩაითვალოს ზეცნებად (**Oberbegriff**), **Valenz** კი ერთი სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე სხვა სიტყვასთან დაკავშირების შესაძლებლობად.

ამგვარადვე შეიძლება შეფასდეს **Ergänzung** და **Mitspieler** ტერმინების ურთიერთმიმართება. ისინი სინონიმური ტერმინებია, მაგრამ სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. **Ergänzung** გულისხმობს შემავსებელს, როდესაც ლაპარაკია დომინანტის მიერ გახსნილ ცარიელ ადგილზე, **Mitspieler** კი — შემავსებელ — პარტნიორს. ეს უკანასკნელი არის სინტაქსური ერთეული, რომლის რაოდენობასა და რაგვარობას ვალენტური დომინანტი განსაზღვრავს.

1. ვალენტური დომინანტი არის პრედიკატული ფუნქციის მქონე სიტყვა, რომელსაც ძალუძს წინადადებაში თავისუფალი ადგილების გახსნა. ის შეიძლება იყოს მხოლოდ ზმნის პირიანი ფორმა.

ვალენტური დომინანტის შემავსებლები არის მის გარემოცვაში მოქცეული ყველა ობლიგატორული სახელი, სიტყვათა ჯგუფი ან სინტაქსური ერთეული. ზმნის შემავსებლად ის ერთეულები ითვლება, რომლებიც ობლიგატორულ, მაგრამ არა მოცემული ქვეკლასისათვის სპეციფიკურ ზმნის გარემოცვაში ჩნდება.

ქვემდებარე, რომელიმე გარემოება (ადგილის, დროის, მიზეზის, მოდალური) ობლიგატორულია, მაგრამ არა მოცემული ქვეკლასისათვის სპეციფიკური. მაგ:

Er wohnt in Berlin (ადგილის გარემოება)

Er benimmt sich gut (ვითარების გარემოება)

Die Sitzung dauert lange (დროის გარემოება)

Seinetwegen sitzt er den ganzen Tag zu Hause (მიზეზის გარემოება)

სხვა შემთხვევაში ობიექტები და მიმართულების გარემოებები (**Direktiva**) შემავსებლებია მხოლოდ ქვეკლასისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობის საფუძველზე, იმისაგან დამოუკიდებლად იგი ზმნის ობლიგატორულ გარემოცვაშია თუ ფაკულტატურში:

Er aß gerade einen Hering (ფაკულტატური გარემოცვა)

Er aß gerade (ობლიგატორული გარემოცვა)

რელატიურ ობლიგატორულ შემავსებლად მიიჩნევიან ისინი, რომლებიც განსაზღვრულ კონტექსტულურ პირობებში გამოითვლება როგორც, ვთქვათ, მოდალიზებისა და კონტრასტის გამომხატველი სიტყვები მაგ., **schicken** ზმნასთან შემავსებელი **Akk-**ში ობლიგატორულია, **D-**ში ფაკულტატური.

Sie schenkt (ihm) Blumen. Er schenkt eben gern. (მოდალიზება)

Er schenkt nie, sondern h \ddot{u} mmt nur. (კონტრასტი)

აბსოლუტური ობლიგატორული შემავსებელი წინადადებაში არასოდეს არ არის გამოტოვებული:

Der Koch verwendet viele Gewürze.

*Der Koch verwendet.

ფაკულტატურ შემავსებლებში გამოიყოფა ინდეფინიტური გამოტოვებადი და დეფინიტური გამოტოვებული შემავსებლები. ინდეფინიტური შემავსებლის გამოტოვება შესაძლებელია. გამოტოვებული ინფორმაცია კონტექსტიდან შეივსება. მაგ. Er isst gerade. ეს წინადადება შეიძლება იყოს კითხვის პასუხი: was macht Emil?

დეფინიტურ გამოტოვებად შემავსებლად ითვლება ის, რომელიც პირობითად გამოიტოვება. ინფორმაცია აქაც კონტექსტიდან შეივსება: Ich bitte darum, dass du kommst. (Ich bitte dich darum, dass du kommst) მოცემულ წინადადებაში dich — პირობითად არის გამოტოვებული.

გამოიყოფა აგრეთვე ბლოკირებული შემავსებელი, რომელიც თუმცა სემანტიკურად ივლისხმება, მაგრამ სინტაქსურად არ რეალიზდება. მაგ. bestehen ზმნასთან stehlen-ისგან განსხვავებით, მესამე შემავსებელი (die Marmelade) ბლოკირებულია:

Er hat ihm die Marmelade gestohlen.

Er hat ihn bestohlen.

რაც შეეხება თავისუფალ წევრებს, ისინი წინადადებაში არ იკავებენ თავისუფალ ადგილებს, რადგან არ მიეკუთვნებიან წინადადების მინიმალურ სინტაქსურ სტრუქტურას. თავისუფალ წევრებს ვალენტური დომინანტისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ შეიცვალონ მორფოლოგიურ-სინტაქსური ფორმა. ისინი შეიძლება წინადადებაში ნებისმიერად დაემატოს ან გამოიტოვოს ისე, რომ არ დაირღვეს წინადადების სტრუქტურის სრულყოფილება. მაგ.:

Peter wohnt schon seit drei Jahren in Berlin.

wir wollen morgen ein Buch kaufen.

ორივე წინადადება ხაზგასმული სიტყვების გამოტოვების შემთხვევაშიც გრამატიკულად სწორი რჩება.

ვალენტური დომინანტის მიერ განსაზღვრული თავისუფალი პოზიცია /ადგილი სინტაქსურ სტრუქტურაში აღინიშნება ტერმინით Leerstelle (ჰელბიგი, 1971, 35). გერმანული ზმნა wohnen, მაგალითად,

ხსნის ორ თავისუფალ ადგილს (- wohnen -), რომელიც შეიძლება შეივსოს აქტანტებით.

Peter wohnt in Berlin / dort.

შემავსებლისა და თავისუფალი წევრების რაოდენობას კვანტიტატურ ვალენტობას უწოდებენ, შემავსებლების მორფოლოგიურ-სინტაქსურ ფორმას, მათ კატეგორიულ სემანტიკურ ნიშნებს კი კვალიტატურ ვალენტობას.

ვალენტური დომინანტისა და აქტანტის როლი მეტყველების ნაწილებთან მიმართებაში განისაზღვრება.

ზმნის სისტემაში ვალენტური დომინანტი შეიძლება იყოს მხოლოდ ზმნის პირიანი ფორმა. ზედსართავსა და არსებით სახელს ვალენტური დომინანტი არ გააჩნია. მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ აქტანტური დომინანტი.

Die Mutter liebt ihr Kind (ზმნის პირიანი ფორმა)

= der auf mich böse Junge (ზედსართავი)

= das Anrecht des Sohnes auf das Erbe (არსებითი სახელი)

პირველ შემთხვევაში ვალენტური დომინანტია liebt, მეორე და მესამე წინადადებაში კი böse და Anrecht.

ვალენტურ დომინანტთან შედარებით აქტანტი ფორმალური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ის შეიძლება გამოხატული იყოს არსებითი სახელით, ზედსართავით, ზმნის ინფინიტიური ფორმით და ბოლოს, წინადადებითაც კი.

Der Lehrer übersetzt (არსებითი სახელი N-ში).

Sie hasst alte Sachen (არსებითი სახელი Akk-ში).

Die Mutter nähte feine wäsche für ein Modengeschäft (წინდებულიანი არსებითი სახელი Akk-ში).

Es ist nicht so schlimm (ზედსართავი სახელი).

Er behauptet, ihn gesehen zu haben. (ინფინიტივი).

Er vermutet, dass er ihn trifft (დამოკიდ. წინადადება).

დასაშვებია აქტანტური დომინანტისა და უფრო დაბალი რანგის აქტანტების ჩანაცვლება, არსებითი სახელი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს აქტანტური დომინანტი, მეორეში აქტანტი, მესამეში აქტანტის აქტანტი.

das Erstaunen über den Vortrag (არსებითი სახელი აქტანტური დომინანტია)

Der Flug des Piloten dauerte etwa 3 Stunden (არსებითი სახელი აქტანტის აქტანტია)

Die Mutter nähte feine wäsche für ein Modegeschäft (წინდებულის ან არსებითი სახელი აქტანტის აქტანტია).

იგივე ითქმის ზედსართავ სახელზე.

Er ist **arm an Geist**. arm-I რანგის აქტანტია,
an Geist — აქტანტის აქტანტი,
ein strenges Urteil — (ზედსართავი აქტანტია).

1.1. შემავსებლები ზმნასთან სხვადასხვაგვარად არიან დაკავშირებული. ყველაზე მჭიდრო კავშირი ზმნასთან აქვს ქვემდებარეს, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოქმედების შემსრულებელია (Täter), არამედ იმიტომაც, რომ სტრუქტურულად ფინიტურ ზმნას უკავშირდება.

ობლიგატორული და ფაკულტატური აქტანტები ზმნას ვალენტობით უკავშირდებიან, რასაც ვერ ვიტყვით თავისუფალ წევრებზე.

Der Maler malte **ein Bild** (ფაკულტატური აქტანტი).

Die Arbeit dauerte **den ganzen Tag** (ობლიგატორული აქტანტი).

Der Maler malte **die ganze Zeit** (თავისუფალი წევრი).

იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს შემავსებლის დამოკიდებულება ზმნასთან მიმართებაში, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

Mein Freund wohnt **in Dresden**.

Er legte das Buch **auf den Tisch**.

Er wartete **auf seinen Freund**.

Er stieg **in die Straßenbahn ein**.

Er aß sein Brot **in der Schule**.

Er besuchte uns **am Vormittag**.

(1) და (2) წინადადებაში in Dresden და auf den Tisch ობლიგატორული აქტანტებია, რომელთა გამოტოვება შეუძლებელია.

* Mein Freund wohnt

* Er legte das Buch

(3) და (4) წინადადებაში ხაზგასმული სიტყვები ფაკულტატურ აქტანტებს წარმოადგენენ, რომელთა გამოტოვება დასაშვებია.

Er wartete


Er stieg ein

(5) და (6) წინადადებაში ფორმები თავისუფალი წევრებია, რომელთა გამოტოვება წინადადებას აზრს არ უკარგავს.

Er aß sein Brot

Er besuchte uns

ზმნასთან უშუალოდ დაკავშირებული შემავსებლები (enge Verbergänzungen შემოკლ. -EV) ექცევიან მხოლოდ ზმნის ქვეკატეგორიაში და წინადადებაში სხვა გარემოცვაში არიან, ვიდრე თავისუფალი ზმნური შემავსებლები (freie Verbergänzungen შემოკლ. -FV).



წინდებულისანი ფრაზები (1)-დან (4) წინადადების ჩათვლით ექცევა EV- კატეგორიაში, (5) და (6) წინადადების წინდებულისანი ფრაზები კი FV — კატეგორიაში. ეს ნიშნავს, რომ თავისუფალი ზმნური შემავსებლები (რომლებსაც ვალენტობა არ განსაზღვრავს) წინადადების უშუალო კონსტიტუენტები არიან, ხოლო ზმნასთან უშუალოდ დაკავშირებული შემავსებლები (რომლებიც ზმნის ვალენტობით განისაზღვრება) ზმნური ფრაზის კონსტიტუენტები არიან (პელბიგი, შენკელი, 1978, 35).

ზმნები შემავსებლებს მხოლოდ განსაზღვრულ სინტაქსურ-მორფოლოგიური ფორმით მოითხოვენ.

Emil fragt den Lehrer - * Emil hilft den Lehrer

Emil hilft dem Lehrer - * Emil fragt dem Lehrer

Emil fragt, ob der Lehrer kommt - * Emil hilft, ob der Lehrer kommt.

მოცემული ზმნა არ შეუთავსდება ნებისმიერ სიტყვას, რომელიც ფორმალურ — გრამატიკულად შესაძლოა იყოს შემავსებელი:

Ich lese das Buch morgen.

*Das Buch liest mich morgen.

ვალენტობასთან დაკავშირებული აქტანტების შიგნით არის მართვითი დამოკიდებულება, რომელიც ძნელია ვალენტობად ჩათვალო. საინტერესოა ამ ორი ტერმინის — ვალენტობისა და მართვის მნიშვნელობათა გამიჯვნა.

ვალენტობა არის სემანტიკურ-სინტაქსური მოვლენა, რომელიც

წინადადების წევრის დონეზე ლოკალიზდება და სემანტიკურად მოტივირებულია.

მართვა ვალენტობაზე დაფუძნებული სინტაქსურ-მორფოლოგიური მოვლენაა და იერარქიულად წინადადების წევრის დონის ქვევით იკავებს ადგილს, სემანტიკურად არამოტივირებულია. ვალენტობასა და მართვას შორის არსებობს კვალიტატური განსხვავება. შდრ.:


Er wohnt in der Stadt.

Er glaubte seinem Freund.

Er ist gleichen Sinnes wie sein Freund.

Er glaubt an seinen Freund.


პირველ წინადადებაში ვალენტური კავშირი არსებობს მეტყველების ნაწილებს შორის, ზმნა კი არ მართავს წინდებულს, არამედ მომდევნო არსებითი სახელი. დანარჩენ წინადადებებში მართვის კავშირებია მოცემული, ზმნა მართავს წინდებულს და წინდებული არსებითი სახელს. აქტანტები განსხვავებული ხარისხით უკავშირდებიან ვალენტურ დომინანტს. ზმნასთან უშუალო კავშირში მხოლოდ ერთი წინადადების წევრია — $G_1 (=G_{lied}_1)$, რომელიც ქმნის კომპლექსს K_1 . წინადადების მეორე წევრი ებმის არა უშუალოდ ზმნას, არამედ მასთან არსებულ კომპლექსს და ა. შ. ეს სტრუქტურა გრაფიკულად შეიძლება ასე გამოვსახოთ:



ზმნასთან დაკავშირების ხარისხი დამოკიდებულ წინადადებაში სიტყვათა განლაგების მიხედვითაც ვლინდება. აქტანტები ამ შემთხვევაში გამოიყოფა ბოლოდან წინა მიმართულებით — (სუბიექტი გამოწვევისა):

(1) 2 3 4

... weil (der Mann) seinem Freund das Schimpfwort an den Kopf geworfen hat.



(1)

2. ზედსართავი სახელი შეიძლება გამოიყენებოდეს განსაზღვრებად, შემასმენლის სახელად ნაწილად ან გარემოებად:

ein gutes Gedächtnis.

Der win ist gut.

Er hört gut.

ზოგიერთი ზედსართავი სახელი, როგორცაა, *anderweitig, anfänglich, einzeln*, მხოლოდ განსაზღვრებად ან გარემოებად გვხვდება, ზოგი კი პრედიკატული გამოყენებით იზღუდება. ასეთებია: *gewahr, gram, imstande, schuld, teilhaftig*.

ზედსართავი სახელი, როგორც ობლიგატორული დომინანტი, შეიწყობს ობლიგატორულ და ფაკულტატურ აქტანტებს. არსებობს ერთ-, ორ- და სამვალენტური ზედსართავები: *schwindlig* — ერთვალენტური, *ähnlich, abträglich* — ორვალენტური, *schuldig* — სამვალენტური (ჭელბიგი, 1976, 134).

ზედსართავის ობლიგატორული, თავისუფალი ადგილები ლოგიკურ-სემანტიკურად იმით განისაზღვრება, რომ ზედსართავი, როგორც წესი, ინდივიდის, საგნის თვისებათა ენობრივი გამოხატულებაა. ამ თვისებათა მატარებელი სინტაქსურად არის საზღვრული სიტყვა. ერთვალენტიან ზედსართავს შეუძლია სემანტიკურად იყოს როგორც კვალიტატური, ისე რელატიური ზედსართავი. მაგ.:

guter Arbeiter (კვალიტატური)

politische Frage (რელატიური)

მნიშვნელობით მსგავსი ზმნები და ზედსართავები ერთმანეთს შესაბამება კვანტიტატური და კვალიტატური ვალენტობით.

jmd. dankt jmdm. - jmd. ist jmdm. dankbar.

jmd. beteiligt sich an etw. - jmd. ist an etw. beteiligt.

როგორც ზმნასთან, ზედსართავთანაც შეიძლება შემაჯავებლების მორფოლოგიურ-სინტაქსური დახასიათება.

als er meiner / mich gewahr wurde

einer solchen Tat / zu eier solchen Tat fähig

ამ წინადადებაში ორივე ფორმა დასაშვებია.

ზედსართავთან შემაჯავებელს შეუძლია აქტუალიზება დამოკიდე-

ბული წინადადების სახით, ინფინიტიური კონსტრუქციით ან გაარსებული სიტყვის ფორმით, ე. ი. სემანტიკური ნიშნით, მოცემული შემავსებლის მიერ გამოხატული საგანთა მიმართება.

Er gewöhnte sich zeitig aufzustehen.

Er ist froh, dass es alle geschafft haben.

ზედსართავი შეიწყობს აგრეთვე ობლიგატორულ წევრებს (obligatorische Angaben)

Er ist gut gelaunt.

Das Material ist schlecht beschaffen.


ზედსართავი ობლიგატორულ შემავსებლად ფიქსირდება finden და nennen ზმნებთან (პელბიგი, შენკელი, 1978), რადგან აქ არგუმენტებს ეხება საქმე.

Erna findet Emil schnell. (schnell – ობლიგატორულია)

Erna nennt Emil faul. (faul – ობლიგატორულია)

3. არსებითი სახელის ვალენტობის საკითხი სხვა მიდგომას მოითხოვს. არსებითი სახელი პრინციპში შეიძლება იყოს აქტანტური დომინანტი და მხოლოდ ფაკულტატური აქტანტები შეიწყოს. ამ შემთხვევაში გვაქვს ორი ველი: წინა ველი (Vorfeld) და უკანა ველი (Nachfeld). ვალენტური პარტნიორები შეიძლება იყოს წინა ველშიც და უკანა ველშიც (სომერფელდტი, შრაიბერი, 1980, 25).

Peters Suche nach dem verlorenen Schirm.




გვაქვს შემთხვევები, როცა ვალენტური პარტნიორები მხოლოდ უკანა ველშია:

die Überreichung der Urkunden an die Kollektive durch den werkdirektor

S Gen.

Präp. Gr.

Präp. Gr.



ზმნებთან და ზედსართავებთან არსებული ობლიგატორული აქტანტები გაარსებული დროს ფაკულტატური ხდება. ასეთ არსებით

სახელებთან სინტაქსური ვალენტობა დასაშვებია, თუმცა განსაზღვრულ სახელთა დიდი ჯგუფი ასეთ აღწერას არ ექვემდებარება (პელბიგი, 1976, 137).

das Dach des Hauses

das Geld des Vaters

ამ შემთხვევაში არ გვაქვს სინტაქსური ვალენტობა, თუმცა ასეთ არსებით სახელებთან შეიძლება ვალენტობაზე ლაპარაკი, მაგრამ მხოლოდ ლოგიკურ-სემანტიკურ ასპექტში.

Das Dach ist Teil von dem Haus.

Das Geld gehört dem Vater.

სინტაქსური ვალენტობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ გაარსებული (დევერბალურ და დეადიექტიურ) სახელს, რომელიც პროცესს ან თვისებას აღნიშნავს.

Der Stolz des Physikers auf seine Erfindung (თვისება).

Die Armut des Landes an Rohstoffen (პროცესი).

ბაზისური ზმნის ვალენტობას იღებენ – ung-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები, ინარჩუნებენ მათ მნიშვნელობებს და აღნიშნავენ პროცესს, მაგ. die Überreichung, die Untersuchung:

die Überreichung des Pokals / Urkunde

die Untersuchung des Unglücks durch die Regierungskommission

არალექსიკალიზებულ ზმნურ არსებით სახელებს იგივე თავისუფალი ადგილები აქვს, რაც მათ ბაზისურ ზმნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებითმა სახელმა შეიძლება შეიწყოს ობლიგატორული აქტანტები:

Er ist Vertreter seines Landes in der UNO.

Er ist Vertreter (=პროცესიის აღმნიშვნელი სიტყვა), Vertreter – ობლიგატორული აქტანტია. მისი ელმინირება დაუშვებელია (სომერფელდტი, შრაიბერი, 1980, 18).

3.1 სიღრმულ და ზედაპირულ სტრუქტურათა სხვაობა მიუთითებს, რომ კანონზომიერი დამოკიდებულება არსებობს სიღრმულ და ზედაპირულ სტრუქტურათა კატეგორიებს შორის. წინადადების წევრები (სუბიექტი, ობიექტი) მიჩნეულია ზედაპირული სტრუქტურის კატეგორიებად. ამ მოსაზრების ძირითად არგუმენტად მოჰყავთ შეთავსების ჰეტეროგენურობა. განასხვავებენ ორგვარი სახის ობიექტ-

ტებს: 1) ობიექტი, რომელსაც მოქმედება ეხება მხოლოდ (affiziert) და 2) ობიექტი, რომელიც მოქმედების შედეგად წარმოიქმნება (efficiert):

Das wasser kocht. (affiziert)

Sie kocht Kaffee. (effiziert)

სიღრმულ ბრუნვათა მიმართებები ტრადიციული გრამატიკის ბრუნვათა მნიშვნელობებს შეესაბამება (**Agens, Patiens**). ბრუნვათა მნიშვნელობები განისაზღვრება სიღრმული ნიშნით, ე. ი. ბრუნვები ისეთი სინტაქსური კატეგორიებია, რომლებიც სიღრმულ დონეზე საფუძვლად უდევს ზედაპირულ ბრუნვებს.

სემანტიკური ბრუნვების სია, რომელიც კ. ველკეს მოჰყავს ფილმორის მიხედვით, ასე გამოიყურება:

Agent (A) – მოქმედების ინიციატორი,

Counter –Agent (c) – წინააღმდეგობა, რომლისკენაც მოქმედებაა მიმართული.

Objekt – არსება, რომელიც მოძრაობაშია, ან ცვალებადია

Resultat – მოქმედების შედეგი

Instrument – მოქმედების საშუალება

Source (S) – ადგილი, რომლისკენაც რაიმე არის მიმართული

Experiencer (E) – არსება, რომელიც ქმნის მოქმედების ეფექტს.

ჩამოთვლილ ბრუნვებში იგულისხმება როლების სემანტიკური ფუნქციები, ვალენტური დომინანტის შემავსებლები კი წინდადების ფარგლებში განისაზღვრება (ველქე, 1988, 166).

Emil öffnet die Tür mit dem Schlüssel.

Emil - ასრულებს ქვემდებარის სემანტიკურ როლს (**Agens**), ის მოქმედების ინიციატორია. **Tür** - ასრულებს ობიექტის სემანტიკურ როლს, **Schlüssel** - ინსტრუმენტის სემანტიკურ როლს.

არსებითმა სახელმა **Papa** ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში შეიძლება მიიღოს **Agens**-ის სემანტიკური როლი, თუმცა მას ფაქტობრივ ყველა შესაძლო როლის მიღება შეუძლია, რაც კი ზმნაზეა დამოკიდებული:

Papa bringt mich ins Bett. – Papa აქ არის Agentiv

Ich habe Papa gern. – Objektiv

Ich habe Papa einen Kuß. – Dativ (Experiencer)

Ich reite auf Papa. - Lokativ

4. სამი ძირითადი ავტოსემანტიკური მეტყველების ნაწილის ზმნის, ზედსართავისა და არსებითი სახელის ვალენტური აღწერის შემდეგ შესაძლებელი ხდება შეჯერება იმისა, თუ რა აქვთ მათ საერთო და რა განსხვავებული.

ზმნის, ზედსართავისა და არსებითი სახელის კვალიტატური და კვანტიტატური მახასიათებლები ერთი მხრივ, მსგავსია, მეორე მხრივ, განსხვავებული. ზმნურ დომინანტს შეეწყობა ერთი, ორი, სამი და იშვიათად ოთხი აქტანტი, რომლებიც ზედაპირულ სტრუქტურაზე აღიწერება, როგორც **Akk., D., N., G.** (იშვიათად), მიმღეობა და ინფინიტივი. გამოყოფენ აგრეთვე ნულვალენტურიან (ნულაქტანტიანი) ზმნებს, როგორცაა მაგ. ეს **regnet. ერთვალენტურიანი ზმნებია: streiken, zumachen -**

Der Motor streikt.

Das Geschäft macht zu.

ორვალენტურიანი ზმნებია – verzichten, ärgern -

Er verzichtet auf das Kind.

Er ärgert das Kind.

სამვალენტურიანი ზმნებია – gratulieren, erinnern -

Die Organisationen gratulieren der Gegierung zum Jubiläum.

Er erinnert den Sohn an ein Versprechen.

ოთხვალენტურიანი ზმნებია – übersetzen, bezahlen -

Er übersetzt die Arbeit aus dem Deutschen in das Polnische.

არსებობს აგრეთვე *ორვალენტურიანი და სამვალენტურიანი* (თუმცა ძალიან ცოტა) ზედსართავებიც. ზედსართავ სახელთან თითქმის ყველა აქტანტი ობლიგატორულია.

ძირითადად ზედსართავები ერთვალენტურიანია.

böse Zeiten.

Er ist blind gegen seine Schwächen.

die vermutlich späte Ankunft.

ზედსართავულ დომინანტს შეესაბამება ერთი, ორი ან სამი აქტანტი, რომლებიც ზედაპირულ სტრუქტურაზე აღიწერება როგორც გასაზღვრება, გარემოება და პრედიკატივი.

Der fleißige Schüler (განსაზღვრება)

historisch wichtig (განსაზღვრება)

Der Schüler ist fleißig.

Ich finde ihn fleißig.

პრედიკატივი

Er arbeitet schnell.

seine Arbeit ist / verläuft schnell.

გარემოებად გამოხატული

სხვაგვარი ვითარებაა არსებით სახელთან. მას შეუძლია თავისი ფუნქციის შესაბამისად თავისი ადგილი შეეცდოს წინადადებაში განსაზღვრების გარეშე. არსებითსახელიან ობლიგატორული განსაზღვრების მაგალითები ცოტაა. საჭიროებს რიცხვითი სახელების დამატებას. მაგ.:

Er kaufte 5 Kilo Äpfel.

* Er kaufte Kilo Äpfel.

არსებით სახელთან G.-ში დგას შემავსებელთა დიდი ნაწილი:

die Arbeit des Hausmeisters

das Fallen der Blätter

der Schlaf des Jungen

კუთვნილებითი ნაცვალსახელი შეიძლება იდგეს არსებითი სახელის შემავსებელთან – sein Schlaf; seine Höhe.

აგრეთვე: რელატიური ზედსართავი – der schwesterliche Rat; der ärztliche Gat.

ინფინიტიური ჯგუფი – sein Versprechen, morgen pünktlich zu sein.

როგორც ზმნებთან და ზედსართავებთან, არსებით სახელებთანაც შეიძლება დავასახელოთ:

ნულვალენტური არსებითი სახელები – მაგ. das Donnern.

ერთვალენტური არსებითი სახელები – die Verzweiflung des Angeklagten

die Größe von Giraffen

ორვალენტური არსებითი სახელები – die Neigung des Leiters zur Überschätzung

die Hilfe des Staates für die Jugend

სამვალენტური – der Kampf des Volkes gegen seine Unterdrücker um seine Befreiung

die Forderung des Trainers an die Spieler zur Verbesserung der Kondition

ოთხვალენტური – der Vergleich des Sohnes mit dem Schulfreund in bezug auf das wissen durch den Vater.

die Versicherung des Autos gegen Totalschaden bei der Versicherungsanstalt durch den Besitzer.

ზმნის, ზედსართავისა და არსებითი სახელის ვალენტური მიმართებები გრაფიკულად შეიძლება ასე გამოიხატოს:

დომინანტი	აქტანტები		
	კვანტიტატური მაჩვენებელი	კვალიტატური მაჩვენებელი	ფუნქციები
ზმნა ვალენტური დომინანტი	1. 2. 3. 4 (იშვიათად)	Akk. D. N. G.(იშვიათად)	შემასმენელი
ზედსართავი სახელი აქტანტური დომინანტი	1. 2. 3 (იშვიათად)	Akk. (იშვიათად) G.	პრედიკატივი განსაზღვრება გარემოება
არსებითი სახელი აქტანტური დომინანტი	1. 2. 3. 4 (იშვიათად)	G. (ხშირად) წინდებულისანი D. Akk.	ქვემდებარე D. Akk. G. წინდებულისანი დამატება მიმართებითი სიტყვა

ამრიგად, აქტანტი ვალენტური მიმართებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრია. დომინანტი აქტანტის გარეშე არ მოიხატება და პირიქით.

ვალენტური დომინანტი მის ირგვლივ არსებული აქტანტებით, როგორც წინადადებაში, ისე სიტყვათა ჯგუფში — ქმნის განსაზღვრული ერთეულების მნიშვნელობათა ბირთვს.

ობლიგატორული აქტანტები ვალენტური დომინანტის გარემოცველ სიბრტყეზე ფიქსირდება, არ ხდება მათი ელიმინირება. ფა-

კულტურული აქტანტები იმავე სიბრტყეზეა განლაგებული, ელიმინირებული თავისუფალი წევრები კი საერთოდ არ ფიქსირდება ამ სიბრტყეზე. ზმნის პირიანი ფორმა ყოველთვის ვალენტური დომინანტია, ზედსართავი და არსებითი სახელი კი შეიძლება იყოს სხვადასხვა რანგის აქტანტი, მათ შორის აქტანტური დომინანტიც, ანუ პირველი რანგის აქტანტი, რომელიც, თავის მხრივ, უფრო დაბალი რანგის აქტანტებს შეიწყობს.

ლიტერატურა

ჰელბიგი, 1971 — G. Helbig. Theoretische und praktische Aspekte eines Valenzmodells // in: Beiträge zur Valenztheorie, heraus. von Helbig, Halle, 1971.

ჰელბიგი, 1976 — G. Helbig. Zur Valenz verschiedener wortklassen, DaF 3/1976, Leipzig.

ჰელბიგი, შენკელი, 1978 — G. Helbig, w. Schenkel. Wörterbuch zur Valenz und Distribution deutscher Verben, Leipzig, 1978.

სომერფელდტი, შრაიბერი, 1980 — K. Sommerfeldt, H. Schreiber. Wörterbuch zur Valenz und Distribution der Adjektive Leipzig,

სომერფელდტი, 1973 — K. Sommerfeldt. Zur Besetzung der Leerstellen von Valenzträgern, DaF 2/ 1973

სომერფელდტი, შრაიბერი, 1980 — K. Sommerfeldt, H. Schreiber. Wörterbuch zur Valenz und Distribution der Substantive, Leipzig, 1980.

ველქე, 1988 — K. Welke. Einführung in die Valenz – und Kasustheorie, Leipzig, 1988

Lexikon sprachwissenschaftlicher Termini, herausg. von G. Conrad, Leipzig, 1988.

Metzler Lexikon Sprache. Von H. Glück, Stuttgart – weimar, 2000.

NANA BERIDZE

On the Status of Actants in the Valency Theory

Summary

As is known, valency is realized through the opposition of dominant and actant members.

The dominant members a word with a predicate function and it can create free slots in a sentence. The fillers can be obligatory as well as optional actants.

The paper focuses on the relationship between actants and various parts of speech.

გაბაშლი ბოლქვაძე

დროის ცნება ლინგვისტურ მეცნიერებაში

დროის კატეგორია მრავალი მეცნიერული დისციპლინის: ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ლინგვისტიკის და სხვათა კვლევის საგანია. ყველა ცალკეულ შემთხვევაში საკვლევი ფენომენი გარკვეული კუთხით განიხილება. მაგ. ფილოსოფიისათვის დრო სივრცესთან ერთად წარმოადგენს მატერიის არსებობის ძირითად ფორმას; ისტორიისათვის — ხდომილებების დროში თანმიმდევრობით განლაგების საშუალებას; ბიოლოგიისათვის — ცოცხალი სამყაროს განვითარების კანონზომიერებების დადგენის ამოსავალს; ლინგვისტიკისათვის — დრო ფუძემდებელი ფენომენია, რომელიც ახასიათებს მოქმედებას მისი მიმდინარეობის მომენტის შესაბამისად და შეისწავლება მის ენობრივ გამოხატულებაში.

აბსოლუტური გაგებით დრო მატერიის არსებობის ძირითადი ფორმა ურთიერთმონაცვლე მოვლენების კანონზომიერი კოორდინაციით წარმოდგენილი. იგი ობიექტურია, უკავშირდება მატერიის მოძრაობას და არსებობს მხოლოდ და მხოლოდ საგნებსა და მოვლენებთან მიმართებაში. ამდენად, დროის ფენომენი არ შეიძლება იყოს „ინტუიციური წვდომის შედეგი. მას ორი რეალური წყარო აქვს — ენა და კულტურა (უორფი 1960, 160). ენა ქმნის დროის აბსოლუტური, ობიექტივიზირებული წარმოდგენის წინაპირობას, აღძრავს მისი ზუსტი თანმიმდევრობისადმი ინტერესს, ამ თანმიმდევრობის აღრიცხვის სურვილს. დროის ცნება, რომელიც ყველა ენისათვის იდენტური ფორმით არ არის მოცემული, დამოკიდებულია თვით ენაზე და ამ ენის მატარებელი ხალხის კულტურაზე.

ლინგვისტიკაში „დრო“ გამოხატულია მორფოლოგიური კატეგორიით, რომელიც აღნიშნავს ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულების მომენტს. ლინგვისტური დრო, როგორც ზოგადი სახის ფენომენი, წარმოდგენილია სამგანზომილებიანი სტრუქტურული მთლიანობით. მის შემადგენლობაში შედის გრამატიკული (მორფო-

ლოგიური, სინტაქსური), ლექსიკური და კონტექსტუალური დროები (მოსკალსკაია 1971). აღნიშნული დროებიდან ყოველი ცალკეული აერთიანებს შესატყვისი დონის ერთეულებს: გრამატიკული დრო — მოიცავს გრამატიკული დონის ერთეულებს; ლექსიკური — ლექსიკურისა და კონტექსტუალური დროის ერთეულებს კონტექსტის დონეზე. აღნიშნული სახის დროების გამომხატველ ენობრივ საშუალებებს, ყველას უკლებლივ ახასიათებს დროის სემანტიკა, მისი კატეგორიალური ნიშანი, რაც იძლევა მათ ერთ, გარკვეულ კატეგორიად გაერთიანების საშუალებას. რამდენადაც კატეგორიის სახით წარმოდგენილი ტემპორალობა თავის გამომხატულებას სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულებში იღებს, ის ენობრივ კატეგორიად განიხილება და მას სხვადასხვა ტერმინით მოიხსენებენ — გრამატიკული, ლექსიკურ-გრამატიკული, გრამატიკულ-ლექსიკური კატეგორია, იმის მიხედვით, თუ რა არის მიჩნეული კონკრეტული კატეგორიის ამოსავალ ფენომენად. იმ შემთხვევაში, თუ კატეგორიის ბირთვს მხოლოდ გრამატიკული მოვლენები შეადგენენ, ის წმინდა გრამატიკული კატეგორიაა. როდესაც ტემპორალობაზე გრამატიკულ საშუალებებთან ერთად ლექსიკური ერთეულებიც (*morgen, jefzt, haufte, bald, gestern, diesmal*) მიუთითებენ, ასეთ კატეგორიებს ლექსიკურ-გრამატიკული ან გრამატიკულ-ლექსიკური კატეგორიები ეწოდება, იმის მიხედვით, თუ რომელი დონის ერთეულებს ეკუთვნის კონკრეტული სემანტიკის რეალიზაციაში პრიმატი. რაც შეეხება ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოყენებულ ტერმინს — „გრამატიკული, ლექსიკური, კონტექსტუალური დრო“, მისი ხმარება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ყოველი კონკრეტული დონე დროის სახეობასა და რაგვარობას კი არ განსაზღვრავს, არამედ ახდენს შესატყვისი დონის ზოგადი სემანტიკის რეალიზაციას ცალკეული ლექსიკური, გრამატიკული თუ კონტექსტუალური ერთეულების მეშვეობით.

ამდენად, წინამდებარე შრომაში ლინგვისტური დრო მოიაზრება, როგორც მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა ენობრივი დონის — ლექსიკის, გრამატიკისა და ტექსტის ელემენტებში.

დროის ფენომენის ორგვარი გაგება არსებობს: აბსოლუტური და ფარდობითი. აბსოლუტური დროის ფორმების ცნებაში მოიაზრება მოქმედების მიმართება ტემპორალური სამგანზომილებიანი სისტემის მხოლოდ ერთ რომელიმე მონაკვეთთან. აწმყო — წარსული — მომავ-

ვალი. აბსოლუტურ ფორმებს საფუძვლად უდევს უშუალო კავშირი მატერიალური სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან. რაც შეეხება ფარდობითი დროის ფორმებს, მათი რეალიზაციის უცილობელ პირობად გვევლინება მოქმედების მინიმუმ ორი პროცესის არსებობა, რომლებიდანაც ერთი მეორესთან გარკვეულ ტემპორალურ მიმართებაში იმყოფება. ამგვარი მიმართებების შემდეგ სახეობებს არჩევენ: ერთი მოქმედება უსწრებს მეორეს, მოსდევს ან ემთხვევა მას. ასეთი ფარდობითობა აღინიშნება როგორც აწმყო, ისე წარსულ და მომავალ დროებში. შესაბამისად დროის ფორმების ფარდობით გამოყენებაში ასხვავებენ — თანადროულობას, წინადროულობასა და შემდეგდროულობას. ფარდობითობა დროის ფორმებში განისაზღვრება ერთი დროის მიმართებით მეორესთან. ფარდობითი და არაფარდობითი დროის თეორიის ჩამოყალიბება განხორციელდა პირველად ლაიბნიცთან ამ დროების აბსოლუტური დროის ნიუტონისეულ თეორიასთან დაპირისპირების გზით (აბულაძე, 1986).

ფარდობითი დრო, აბსოლუტური დროის ანალოგიურად მიმართებაშია რეალობის საგნებთან და მისგან განსხვავებით დამატებით ასახავს ერთი მოქმედების მეორესთან მიმართებასაც. დროის ზემოაღნიშნული გაგება ვრცელდება ლინგვისტურ დროზეც, სადაც აღინიშნება როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი ლინგვისტური დროების არსებობა. აბსოლუტური და ფარდობითი ლინგვისტური დროის ფორმები სხვადასხვა ავტორთან მოიხსენიება განსხვავებული ტერმინებით: პირდაპირი — დამოუკიდებელი, არაპირდაპირი — მიმართებითი დროის ფორმები (ვებერი, 1954), (ფურცელაძე, 2001). აბსოლუტური ლინგვისტური დრო გარკვეულ მიმართებაშია მეტყველების მომენტთან. აბსოლუტური დროის ფილოსოფიური გაგებიდან შეიძლება ითქვას, რომ როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი დრო გულისხმობს გარკვეული სახის მიმართებებს. ერთ შემთხვევაში მიმართებები მყარდება უშუალოდ მეტყველების მომენტთან — მეორეში სხვა რომელიმე მოქმედების მიმდინარეობის დროსთან. შესაბამისად, მართებული იქნებოდა პირველ შემთხვევაში გამოგვეყენებინა ტერმინი „დრო“ მისი უშუალოდ გაგებით, ხოლო მეორეში მიგვემართა ბლუმფილტისეული ცნებისათვის „ტაქსისი“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია აკ. შანიძის ტერმინთან „თანამდევრობა“ (შანიძე, 1973).

ზოგიერთ ენაში ფარდობითი დროები ორ და სამსაფეხურიან ორიენტაციას იძლევა. ორიენტირებული მოვლენის პირველ საფეხურად მისი ათვლის წერტილი — უბნობის მომენტია მიჩნეული. მეორე საფეხურზე კი მყარდება საწყისი მოქმედების სხვა დროში წარმოებულ მოქმედებასთან მიმართებები, რომლებიც შეიძლება უსწრებდნენ პირველს ან მოსდევდნენ მას.

ისეთ ენებს, რომელთა ტემპორალური სისტემა ექვემდებარება აბსოლუტურ და ფარდობით, ანუ რელატიურ დროის ფორმებად და ნაწევრებად, ეკუთვნის გერმანული ენაც. გერმანულში აბსოლუტური დროის ფორმებია: პრეზენსი; პრეტერიტუმი და ფუტურუმ I. რელატიურ დროის ფორმებს მიეკუთვნება პლუსკუამპერფექტი და ფუტურუმ II. რაც შეეხება პერფექტს, მან შესაძლებელია გამოხატოს მიმართება როგორც მეტყველების მომენტთან, ისე მეორე მოქმედების ჩატარების დროსთან. არც ერთ სხვა დროის ფორმას არ ახასიათებს ორი — როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მოქმედების მნიშვნელობის რეალიზაციის ფუნქცია.

დროის კატეგორია თავისი ხასიათით კომუნიკაციურ-პრაგმატულ კატეგორიებს მიეკუთვნება.

ლიტერატურა

აბულაძე, 1986 — ლ. აბულაძე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV, 1986.

ვებერი, — H. Weber, Das Tempussystem des Deutschen und des Französischen.

მოსკალსკაია, 1971 — O. Moskolskaja "Grammatik der deutschen Gegenartssprache" M., 1971.

როზენტალი, იუდინა, 1955 — Краткий философский словарь под редакций М. Розенталя и И. Юдина, М., 1955.

უორფი, 1960 — Б. Л. Уорф, Отношение норм поведения и мышления к языку, сб. "Новое в лингвистике" I, М., 1960.

ფურცელაძე, 2001 — ვ. ფურცელაძე, 2001.

შანიძე, 1973 — აკ. შანიძე, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, თბ., 1973.

MAGULI BOLKVADZE

The Notion of Time in Linguistics

Summary

As is known, linguistically the notion of time can be expressed by various means: lexical, grammatical, textual. In linguistic literature two types of tenses are distinguished: absolute and relative. In some languages relative tenses consist of two or three stage orientations. The first stage of orientation is the time of speech. At the second stage the relationship between the initial action and actions occurring at other times are held, the relationship can be of simultaneous or precedence type. The paper considers the category of tense to be a pragmatic-communicative category.

ანა ბოლკოვიჩი, ლილი ბოლკოვიჩი

**ბიზნეს წერილების ეტიკეტის
ლინგვისტური მახასიათებლები**

სიტყვა „ეტიკეტი“ (etiquette) ფრანგული ენის მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა და დამკვიდრდა. ცნება „ეტიკეტს“ არაერთი განმარტება მოეძებნება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „ეტიკეტს“ შემდეგნაირად განმარტავს: „თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები (მეფის კარზე, თავადაზნაურთა თუ ბურჟუაზიის მაღალ წრეებში, დიპლომატთა შორის)“. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ეტიკეტი არის ქმედება, ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა ყოფით ურთიერთობაში ფიქსირდება, არის უაღრესად დეტალიზებული, აქვს შესრულების სვალდებულო ხასიათი და მის შემადგენელ ელემენტებს ახასიათებს ზუსტი თანმიმდევრობა.“

რობერისა და პატვილდერის ლექსიკონი ეტიკეტს შემდეგნაირად განმარტავს: „1) საკანონმდებლო ტერმინი, რომელიც სასამართლო პროცესის ჩანაწერს აღნიშნავს, ე. ი. ოქმი, ან ოქმების ჩასაწევი დავთარი; 2) წერილის, ან თხოვნის დაწერის წესი; 3) სამეფო კარის წეს-ჩვეულება, ცერემონიალური მიმართვის დაცვა“. გერმანული უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის „ჩვეულება, რომელიც ოფიციალურად გამყარებულ საურთიერთო მანერას წარმოადგენს“. დუდენის ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის კარგი საზოგადოებრივი საურთიერთო ფორმების ერთობლიობა, შესაბამისი ტრადიციული წესები, რომლებიც ასეთ საურთიერთო ფორმებს აწესებენ“. ენციკლოპედია ბრიტანიკა ეტიკეტის ცნებას ხსნის შემდეგნაირად: „ცერემონიულ ჩვეულებებთან დაკავშირებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საზოგადოებაში არსებულ მოქცევის წესებს, უმეტესად ოფიციალურ საცერემონიო წესებს, რომლებსაც ვხვდებით საკარო დღესასწაულებზე, ზეიმებზე და სხვა; პროცედურა, რომელიც სასახურეობრივ დაწინაურებას, დანიშვნას ეხება გარკვეულ ორგანიზა-“

ციაში, ან საზოგადოებაში“. ხოლო ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის: „ნორმები, წესები, რომლებსაც მოითხოვს კარგი აღზრდა, ან დაწესებული ავტორიტეტების მიერ სოციალური, ან ოფიციალური ყოფა-ცხოვრებისათვის.“

ეთიკის ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის: „ქცევის წესთა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანურ ურთიერთობებს (გარშემო მყოფდამი მოპყრობა, მიმართვისა და მისალმების ფორმები, ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში, მანერები, სამოსი). ეტიკეტი არის ადამიანისა და საზოგადოების შინაგანი კულტურის შემადგენელი ნაწილი. მასში შედის ის მოთხოვნები, რომლებიც იძენენ ცერემონიალის ასე თუ ისე მკაცრად რეგლამენტირებულ ხაისათს და რომელთა დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქცევის ფორმის განსაზღვრისათვის. ეტიკეტი გამოხატავს ზნეობრიობის პრინციპების ამა თუ იმ შინაარსს, ტრადიციულ საზოგადოებაში იგი, როგორც წესი, იქცევა რიტუალად, აქვს თავისი ფორმა, მკაცრად ჩამოყალიბებული ხაისათი. იგი გამოიხატება დეტალურად დამუშავებულ თავაზიანობის წესების რთულ სისტემაში, ახდენს სხვადასხვა კლასისა და წოდების თანამდებობის პირთა მოპყრობის და სხვა წრეში ქცევის წესთა კლასიფიცირებას“.

ყველა ზემონახსენები განმარტება ვფიქრობთ, შეიძლება უფრო სხარტად შემდეგნაირად გამოიხატოს: ეტიკეტი თავაზიანი მანერების და ქცევის ნორმების ერთობლიობაა და მოიცავს ადამიანთა ქცევის ნორმებს შინ, სამსახურში, ტრანსპორტში და საერთოდ საზოგადოებაში. ზოგი ფიქრობს, რომ ეტიკეტის ნორმები, წესები უბრალოდ ფორმალურია, მაგრამ ეს ასე არ არის, ზრდილობიანი ადამიანისთვის, რომელიც ეტიკეტის ნორმებს იცავს, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობა, საზოგადოების წევრებთან ურთიერთობა იოლია. ეტიკეტი ადამიანის შინაგან ბუნებას და მის სულიერ სილამაზეს წარმოაჩენს.

საინტერესოა, რა მოხდება, რომ რომელიმე პიროვნებამ, რომელიც ამყარებს კომუნიკაციას სხვა პიროვნებასთან, არ დაიცვას საზოგადოებაში ეტიკეტით მიღებული ნორმა: შესაძლოა მათი ურთიერთობა დაიძაბოს და საერთოდ შეწყდეს კიდევ, ვინაიდან მათ შორის არ შედგა წარმატებული კომუნიკაცია. ეტიკეტის ნორმების დაცვას უდიდესი როლი აქვს ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებაში. ადამიანებს კომუნიკაციისას ზიარი ცოდნა უნდა ჰქონდეთ ეტიკეტის ნორმების შესახებ, რათა მათ შეძლონ წარმატებით კომუნიკაციის

დამყარება; წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებული კომუნიკაცია არ შედეგება არა მარტო სხვადასხვა ყოფის წარმომადგენელთა შორის, არამედ ერთსა და იმავე ყოფის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობისასაც კი.

ეთიკეტის დაცვა მეტად მნიშვნელოვანია ზეპირი თუ წერიტი ურთიერთობისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლინგვისტური ეტიკეტი. ლინგვისტური ეტიკეტი თავს იჩენს ზეპირი ან წერიტი კომუნიკაციის თავაზიანობის ნორმების დაცვაში, მოსაუბრის მიერ ოფიციალური, ნეიტრალური თუ შინაურული სტილისათვის შესაფერისი ენობრივი ფორმების შერჩევაში.

ლინგვისტური ეტიკეტის ენობრივი ნორმების დაცვა ადამიანური ურთიერთობის ყველა სფეროში და ყოველთვისაა სავალდებულო. ამჯერად ჩვენ შევეხებით ბიზნეს ეტიკეტის ნორმების სავალდებულო მხარეებს. განვიხილავთ ეტიკეტის ნორმებს ინგლისურ და ქართულ ენაზე წარმოებულ ბიზნეს მიმოწერაში და გამოვარკვევთ მსგავსება-განსხვავებებს მათ შორის.

ბიზნეს კომუნიკაციაში ზეპირმეტყველებისა და ქცევის ნორმების გარდა კომუნიკაციის წერილობით ფორმას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. წერილობითი დოკუმენტი ტექნიკურად კომუნიკაციის ყველაზე რთული ფორმაა, მის შესაქმნელად სპეციალური უნარ-ჩვევები, ცოდნა და შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო. საქმიანი პარტნიორი იმის მიხედვით ფასდება, თუ რამდენად კვალიფიციურად შეადგენს წერილობით დოკუმენტს. წერილობით დოკუმენტებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქმიან წერილს.

საქმიანი წერილი ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც კომპანიის ბლანკზე იწერება. ამგვარი წერილები ინახება როგორც გამგზავნის, ისე მიმღების მიერ წერილთა ნუსხაში დასათაურებით „შემოსული“, „გასული“. წერილი სწორად, ეტიკეტით მიღებული ნორმების დაცვით უნდა იყოს დაწერილი. წერილის გარეგნული სახე, შინაარსი, გამოხატვის ენობრივი ხერხები მეტყველებს გამგზავნის პროფესიონალიზმზე და მის დამოკიდებულებაზე როგორც საკუთარი, ასევე პარტნიორი კომპანიისადმი. ასე, რომ შეცდომა გრამატიკაში, მართლწერაში და ეტიკეტის ნორმების დარღვევა დაუშვებელია.

საქმიანი წერილი სხვადასხვა მიზნით იწერება: ინფორმაციის მოპოვების, ინფორმაციის მიწოდების, რჩევა-მოსაზრების მიცემის, შე-

კვეთის მიცემის თუ დადასტურების, საჩივრის ან საჩივარზე გამომხმარებლის, შეთავაზების და ა. შ. ჩვენს ხელთ არსებულ ინგლისურ და ქართულ ენებზე წარმოებულ ბიზნეს (საქმიანი) წერილების განხილვისას გამოიკვეთა სამწერლობო ეტიკეტის მახასიათებლები. საქმიანი წერილის წერისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი საქმიანი წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

1. ბლანკის ქული
2. ადრესატი
3. ადრესანტი
4. თარიღი
5. რეფერენტი
6. მისალმება
7. წერილის დასათაურება
8. წერილის ტექსტი
9. დასასრული (თავაზიანობის გამომხატველი ფრაზა)
10. ხელმოწერა
11. დამატებითი ელემენტები (რაც ყოველთვის არ გვხვდება)
- 12.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1) წერილის ბლანკზე უნდა იყოს მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი სტანდარტით დადგენილი რეკვიზიტები და მათი განმარტება. თითოეულ ბლანკს ახასიათებს სასათაურო რეკვიზიტების გასწვრივი, კუთხური, ან ცენტრალური განლაგება. მაგალითად, სასათაურო რეკვიზიტი: „Central Leathercraft Ltd“, ან „TSate Organization for Engineering Industries“, ისევე, როგორც „საქართველოს პარლამენტი“ ან „პარლამენტის აპარატი“ შესაძლოა მოთავსებული იყოს ფურცლის ზევით როგორც ცენტრში, ასევე მარჯვნივ, ან მარცხნივ. გერბი, ან ლოგო (ე.ი. ორგანიზაციის ემბლემის გამოსახულება) სასათაურო რეკვიზიტების გასწვრივ, ან ქვევით თავსდება. ბლანკის ქული ანუ სასათაურო რეკვიზიტი შეიძლება ორენოვანიც იყოს, მაგალითად: **World Bank Office Tbilisi**, მის გასწვრივ „მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა“, მათ შორის ლოგო, ქვევით კი მისამართი ორივე ენაზე. ორგანიზაციის დასახელება შეიძლება იყოს სრული ან შემოკლებული. იგი უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივის აქტით დადგენილ დასახელებებს. მაგალითად, **TC (Turner Communications), ES Ltd. (Electrical Supplies)**,

NDI (National Democratic Institute), „გეუდ“ (გაზომვათა ურთიერთობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი), „სბა“ (საქართველოს ბანკების ასოციაცია).

წერილის ბლანკზე თავსდება რეკვიზიტები: კავშირგაბმულობის კვანძის ინდექსი, საფოსტო და სატელეგრაფო მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სააბონენტო ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ინდექსი, ორგანიზაციის კოდი. დოკუმენტის რამდენიმე ენაზე შედგენისას ბლანკის რეკვიზიტები შესაბამისად უნდა ითარგმნოს. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიან წერილებში რეკვიზიტები ბლანკის ქულის ქვეშ იწერება.

მაგ.: **Financial Times Management
Pitman Publishing
128 Long Lane
London WC 2E9AN
Telephone: +44 (0) 1714472240
Facsimile: +44 (0) 1712405771**

საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“
380005, საქართველო
თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. 1
ტელ: (995 32) 371842
ფაქსი (995 32) 376432
ელ-ფოსტა: mematiane@posta.ge
0018831 0200000000220

**Airmail
Eagle Press Inc.
24, South Bank
Toronto
Ontario
Canada M41 17LK**

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი საქართველო, თბილისი, 0141 ჩარგლის ქ. № 67
ტელ/ფაქსი: (995 32) 61 35 00
ელ-ფოსტა: gnim_metrology@yahoo.com

2) ადრესატის მისამართი ინგლისურ ენაზე წარმოებულ საქმიან მიმოწერაში ეტიკეტის მიხედვით როგორც კონვერტზე, ისე წერილის ტექსტში აღინიშნება. ადრესატის გვარი მისამართის დასაწყისში ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში რეკვიზიტების შემდეგ ხუთი ინტერვალის დაშორებით იწერება. მაგალითად: **Mr. B. Gichardson**, ან **Mr B. Gichardson, Mr & Mrs Gichardson, Dr. Simon Green**. მაშასადამე, ჯერ ტიტული უნდა მივუთითოთ, შემდეგ სახელის პირველი ასო, წერტილი და შემდგომ გვარი სრულად. ამერიკულ ვარიანტში ტიტულ-

ლის შემოკლებულ ფორმას წერტილი დაესმის, ხოლო ბრიტანულში – არა. ადრესატის სახელი და მისამართი შემდეგი თანმიმდევრობით იწერება: 1) ადრესატის ტიტული, სახელი, გვარი; 2) თანამდებობა (თუ აუცილებელია); 3) შენობის/სახლის ნომერი; 4) ქუჩის სახელწოდება; 5) ქალაქის სახელწოდება; 6) საფოსტო განყოფილება; 7) ქვეყნის საფოსტო ინდექსი.

T.M. White
Grey Black & White Solicitors
255 High Holborn
London WC1H7BA
United Kingdom BA430CH

Dr. John Parker
G Wood & Sons
36 Castle Street
Bristol
BS12BQ

იმ შემთხვევაში, თუ ადრესატის გვარს არ მივუთითებთ, უნდა აღინიშნოს მისი თანამდებობა და შემდეგ კომპანიის სრული მისამართი:

The Manager
Devonshire Bank
12 Market Street
Henton AV226DE
United Kingdom.

ქართულენოვან საქმიან წერილებში ადრესატის მისამართი ეტიკეტის მიხედვით არ იწერება წერილის დასაწყისში. იგი მხოლოდ კონვერტზე უნდა აღინიშნოს. ქართულენოვან საქმიან წერილებში თავაზიანი მიმართვის, თანამდებობის, სახელისა და გვარის მითითება საკმარისია. ფურცლის მარჯვენა მხარეს რეკვიზიტებიდან ხუთი ინტერვალის დაშორებით იწერება თარიღი, შემდგომ ადრესატის ვინაობა მიცემით ბრუნვაში, მაგალითად: „საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ბ-ნ გ. . . . ს“, ან „საქართველოს კომერციული ბანკების ხელმძღვანელობას“, „საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბ-ნ გ. . . . ო. . . . ს“.

3) ინგლისურენოვან საქმიან წერილებში წერილის ავტორის მისამართი, თუ რეკვიზიტებში არ არის მითითებული, მაშინ ფურცლის მარჯვენა კუთხეში, ბლანკის ქუდის ქვეშ იწერება. წერილის ავტორის სახელი მისამართის შემდეგ უნდა მივუთითოთ. რაც შეეხება ქართულ-

ენოვან საქმიან წერილს, მისამართი კონვერტზე და რეკვიზიტებში უნდა მივუთითოთ.

4) ინგლისურ ენაზე შესრულებულ საქმიან წერილებში შესაძლებელია თარიღის ორგვარი აღნიშვნა, რომლებიც ერთმანეთისგან შემადგენელი კომპონენტების თანმიმდევრობით განსხვავდება. ბრიტანელები ჯერ რიცხვს, შემდეგ თვეს, და ბოლოს წელს აღნიშნავენ, ამერიკელები კი ჯერ თვეს, შემდეგ რიცხვსა და წელს მიუთითებენ. სრული თარიღის ციფრებით აღნიშვნას შესაძლოა გაურკვეველობა მოჰყვეს, ამიტომ თვე ასოებით აღინიშნება, რიცხვი კი – ციფრებით, მაგალითად: **October 11, 2005** (ამერიკული ვარიანტი), ან **11 October, 2005** (ბრიტანული ვარიანტი). ქართული ენის ეტიკეტის მიხედვით ჯერ რიცხვი, შემდეგ თვე და შემდეგ წელი აღინიშნება. შესაძლოა, თვის აღნიშვნელ ციფრს წინ ნული დაუმატოთ, რაც გაუგებრობას აგვაცილებს თავიდან, მაგალითად: 11.02.05. თუმცა, უცხოელმა პარტნიორმა შესაძლოა სწორედ ვერ გაიგოს ამგვარი აღნიშვნის შინაარსი. თარიღი ინგლისურენოვან საქმიან წერილებში უნდა იქნეს მითითებული ადრესატის მისამართსა და რეკვიზიტებს შორის მარჯვენა მხარეს ან წერილის ავტორის მისამართის ქვეშ, ხოლო ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიან წერილებში თარიღი შესაძლოა მივუთითოთ რეკვიზიტების ქვევით მარჯვენა ან მარცხენა კუთხეში შემდეგი ფორმებით: 09.10.05 ან 10 ოქტომბერი, 2005 წ./წელი.

5) რეფერენტის (**reference**) შესახებ მითითება წერილის ამკრეფის ან ჩამწერი პირის ინიციალებისაგან შედგება, მაგალითად: **Our ref: G.L.** რეფერენტის მითითება იწერება ფურცლის მარცხენა კუთხეში რეკვიზიტისა და ადრესატის მისამართს შორის. ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიან წერილებში მსგავსი მითითება შედარებით იშვიათია.

6) როგორც წესი, წერილის ტექსტი ადრესატისადმი მიმართვით იწყება. მიმართვის ოფიციალურობის ხარისხი დამოკიდებულია წერილის ავტორისა და ადრესატის ურთიერთობაზე. თუ წერილის ავტორი პირადად არ შეხვედრია ადრესატს და/ან მას არც თუ ისე კარგად იცნობს, მაგრამ იცის მისი სახელი და გვარი, მაშინ წერილი დაიწყება მიმართვით: **Dear Mr. Watson, Dear Mrs. Woods, Dear Ms. Southern.** იმ შემთხვევაში, თუ ადრესატის სახელი არ ვიცით, მაშინ მიმართვა შემდეგნაირია: **Dear Sir/Dear Madam.** უნდა აღინიშნოს, რომ მიმართვა **Dear Sirs** ხშირად კომპანიისადმი მიმართვად უფრო აღიქმე-

ბა, ვიდრე კონკრეტული პიროვნებებისადმი. ხშირად მიმართვაში ადრესატის სახელთან და გვართან ერთად მის ტიტულსაც მიუთითებენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ ადრესატი ადრესანტზე უფროსია. მიმართვა ფურცლის მარცხენა მხარეს მისალმების ქვემოთ ორი ინტერვალის დაშორებით უნდა განთავსდეს და მის ბოლოს მძიმე დაისვას.

რაც შეეხება ქართულ საქმიან წერილებს, მისალმება ეტიკეტის მიხედვით ასევე ფურცლის მარჯვენა მხარეს, წერილის ტექსტის ზევით იწერება. მის შემდეგ ძახილის ნიშანი, ან მძიმე დაისმის. მიმართვის მიღებული ფორმა: ძვირფასო ბატონო (სახელი), ბატონო (სახელი), ან ქალბატონო (სახელი). თუ წერილი რამდენიმე ადამიანს ეძღვნება, მაშინ უნდა მივუთითოთ: „პატივცემულო ასოციაციის წევრებო!“, „ძვირფასო კოლეგებო“ და ა.შ.

7) საქმიანი წერილების უმეტესობა საგანგებოდ გამოყოფილი სათაურით იწყება. სათაური ასახავს მთავარ თემას, წერილის შინაარსს და ერთ წინადადებას არ აღემატება, მაგალითად: **Inhouse Document Formats, Visit to Singapore, Your Order No 3241, One-day Management Conference**, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების დამზადების თაობაზე“, „ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე“, „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში ანგარიშის გახსნის თაობაზე“. სათაური იწერება მისამართის შემდეგ, წერილის ტექსტის ზევით მარცხენა მხარეს, როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულენოვან საქმიან წერილებში.

8) რაც შეეხება საქმიანი წერილის ტექსტს, სასურველია იგი მოკლე იყოს და სამი ნაწილისგან შედგებოდეს: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასასრული.

მეტად მნიშვნელოვანია აბზაცების გამოყოფა როგორც ინგლისურ, ასევე ქართულენოვან საქმიან წერილებში. აბზაცები ხელს უწყობს ახალი იდეების დაფიქსირებას. როგორც კი ჩნდება საჭიროება წერილებში სხვა შეხედულების, ან დამოკიდებულების ჩვენების, ან ინფორმაციის ახალი ნაკადი უნდა იქნეს მოწოდებული, მაშინ აუცილებელია ახალ აბზაცზე გადასვლა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროის ინგლისურ საქმიან მიმოწერაში აბზაცი შეწყვეტილი ხაზით კი არ იწყება, არამედ ერთი ინტერვალის გამოტოვებით. ქართულ საქმიან წერილებში კი აბზაცი ტრადიციულად შეწყვეტილი ხაზით იწყება. პირველ აბზაცში უნდა აღინიშნოს, თუ რა მიზნით მიმართავს ადრესანტი ადრესატს. შემდეგ აბზაცებში კი ეტიკეტის მიხედვით წერი-

ლის იდეა უნდა იქნეს განვითარებული. დასასრულს ხდება ერთგვარი შეჯამება წერილის მთავარი თემისა და დასკვნა. თითოეული აბზაცი იწყება ეგრეთ წოდებული თემატური წინადადებით, რაც მკითხველს ეხმარება მოცემულ აბზაცში განთავსებული ინფორმაციის შინაარსის ადვილად გაგებაში. საქმიანი წერილების ყველა სახელმძღვანელო ხაზს უსვამს, რომ თემატური წინადადება აბზაცის მთავარი იდეაა, უნდა შეიცავდეს ერთადერთ აზრს, იყოს სიახლის შემცველი და შედგებოდეს არა უმეტეს 15-20 სიტყვისაგან. თუ რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია დეტალურად უნდა გადავცეთ, მაშინ იგი დანართის სახით უნდა მივაწოდოთ ადრესატს. შეკვეცილი ფორმების გამოყენება (**I'm, don't, we've** და ა.შ) და ყოველდღიური სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულების ხმარება საქმიან წერილში დაუშვებელია. საქმიან წერილში უნდა მოვერიდოთ მრავალსიტყვაობას, შევარჩიოთ მხოლოდ მნიშვნელოვანი ზუსტი ზმნები, დავაფიქსიროთ საკუთარი მოსაზრება მკაფიოდ, დავიცვათ პუნქტუაცია. ინგლისური და ქართულენოვანი საქმიანი წერილების განხილვისას გამოვლინდა, რომ გრძელი წინადადებები ქართულ საქმიან წერილებში უფრო შეიმჩნევა, ვიდრე — ინგლისურში. მაგალითად მოვიყვანთ შემთხვევას, სადაც ინფორმაცია ვრცელი წინადადებით არის გადმოცემული და შემდგომ დავურთავთ იმავე ინფორმაციის მომცველ უფრო მცირე, ჩვენი აზრით, უფრო მისაღებ ვარიანტს, რომელიც მეტად შეეფერება საქმიანი წერილის ეტიკეტით განსაზღვრულ სტილს: „მასალა უნდა იყოს მოწოდებული ნაბეჭდი ფორმით, ფურცლის ერთ გვერდზე, ორმაგი ინტერვალით, რომელსაც უნდა ერთვოდეს სურათები, რომელიც გამოგზავნილ უნდა იყოს 2005 წლის 15 აგვისტომდე, თუ არსებობს მასალის ელექტრონული ვერსია, შესაძლებელია მისი გამოგზავნა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის საშუალებით. თუ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მოხდება ცვლილებები, მისი გამოგზავნა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2005 წლის 31 აგვისტოს“. ეს შეტყობინება შესაძლებელია დეტალების გამოტოვების გარეშე გაცილებით უფრო ლაკონურად დავწეროთ: „გთხოვთ, 2005 წლის 15 აგვისტომდე მოგვაწოდოთ მასალა ფურცლის ერთ გვერდზე ორმაგი ინტერვალით ნაბეჭდი სახით ან მისი ელექტრონული ვერსია. თან დაურთეთ სურათი. ცვლილებების შემთხვევაში გადავადება დასაშვებია 2005 წლის 31 აგვისტომდე“.

სასურველია მრავალსიტყვიანი ფრაზების შემოკლებაც და მათი უფრო ლაკონური ვარიანტის გამოყენება. შერლი თელიორის აზრით, ინგლისურენოვან საქმიან წერილებში ნაცვლად ფრაზისა „we shall be in a position to“ სასურველია გამოვიყენოთ „we shall be able to“. ნაცვლად „in the course of the next few weeks“ – „during the next few weeks“, „would you be so kind as to let me know“ – „please let me know“, „with reference to“ – „about“, „due to the fact that“ – „because“, „take into consideration“ – „consider“, „at the present time“ – „now“, და ა. შ. ამის მიზეზი არის არა მარტო ადგილის ეკონომია, არამედ ისიც, რომ რაც უფრო ლაკონურად არის გამოთქმული აზრი წერილში, მით უფრო მეტად მიგვანიშნებს იგი ადრესატის პროფესიონალიზმზე, რაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს საქმიან ურთიერთობაში.

საქმიან წერილებში როგორც ინგლისური, ასევე ქართული სამწერლობო ეტიკეტის მიხედვით მნიშვნელოვანია ტექსტში კონკრეტული ადამიანების სახელების მითითება, რათა პასუხისმგებლობა უშუალოდ იქნეს განსაზღვრული ამა თუ იმ საკითხის თაობაზე, რაც საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები და დაგვენმარება პრობლემის უფრო მოკლე ვადაში მოგვარებაში, მაგალითად: „Unfortunately, I have been unable to get the alarm system to work and am very disappointed with my purchase. The manager of Standfield’s Mr. F. Fredericks has advised me to return the clock to you for correction of the fault“, „გაცნობებთ, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი გ. ო. კურირებს კონტროლის პალატის საერთაშორისო დეპარტმენტს და აქედან გამომდინარე ხშირად უწევს მივლინება საზღვარგარეთ.“

როგორც უკვე აღინიშნა, საქმიანი წერილები სხვადასხვა მიზნით იწერება. თემატიკის მიხედვით ლექსიკაც იცვლება. ჩვენს ხელთ არსებულ წერილებზე დაკვირვებით გამოიკვეთა ყველაზე ხშირად ხმარებული პირველი და ბოლო ფრაზები:

Thank you for your letter of . . .
 In reply to your inquiry of. . .
 With reference to your inquiry. . .
 Thank you for your order dated. . .
 .
 We acknowledge with thanks. . .

გაცნობებთ, რომ . . .
 მოგმართავთ ინიციატივით, რათა...
 მინდა მადლობა გადაგიხადოთ . . .
 შეგახსენებთ, რომ . . .
 უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი
 მადლობა გადაგიხადოთ. . .

We notice that your . . .
 I was pleased to . . .
 We welcome the opportunity . . .

მაქვს პატივი, გამოვხატო ღრმა პატივისცემა. . .
 მოგმართავთ. . . დაკავშირებით
 მადლობას მოგახსენებთ. . .

ეს ფრაზები ცხადყოფს, რომ ინგლისური და ქართული საქმიანი წერილების პირველი ფრაზა, ან მადლობას გამოხატავს, რაც თავზიანობის ფორმად და ეტიკეტის ნორმად მიიჩნევა, ან პირდაპირ მიუთითებს წერილის მიზანსა და შინაარსზე. რაც შეეხება დასკვნით ფრაზებს, რომლებიც უმეტესად წერილის შემაჯამებელი ფრაზებია, ისინი ძირითადად გამოხატავენ შემდგომი თანამშრომლობის სურვილს, იმედს ან კიდევ ერთხელ მადლიერების გრძნობას უსვამენ ხაზს და წერილის მთავარ თემას უბრუნდებიან, მაგალითად:

We look forward to receiving . . .
 We shall be pleased to send . . .
 Please let me know if you can give us . . .
 We trust you will find. . .
 We hope . . .
 We apologize again . . .
 We shall be obliged if you . . .
 We must ask you to . . .
 Please accept our thanks . . .
 Please deal with this order as . . .
 We will be in touch with you . . .

გთხოვთ, დაგვრთოთ ნება . . .
 გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოგვაწოდოთ. . .
 ნება მომიცით, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა . . .
 გთხოვთ, განიხილოთ. . .
 წინასწარ გიხდით მადლობას . . .
 მოუთმენლად გვლით პასუხს . . .
 გამოვთქვამთ დიდ სურვილს . . .
 მოუთმენლად გვლით თქვენთან შეხვედრას . . .

9) რაც შეეხება დასასრულს, თუ წერილი იწყება ფრაზით: Dear Sir/Dear Madam, მაშინ წერილის დასასრულს იქნება ფრაზა Yours Faithfully, ხოლო თუ წერილი იწყება ფრაზით Dear Mr./Mrs. . . . (გვარი), და თუ ადრესატსა და ადრესანტს შორის შეხვედრა ერთხელ მაინც შედგა, წერილის ბოლოს იწერება ფრაზა Yours Sincerely, ან უბრალოდ Sincerely. ამერიკული ვარიანტში კი Sincerely Yours. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ საქმიან წერილებში წერილის ტექსტის ქვევით ფურცლის მარცხენა კუთხეში იწერება ფრაზა: „პატივისცემით“, „ულრმესი პატივისცემით“, „ღრმა პატივისცე-

მით“. ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც დასასრული ფრაზა „პატივისცემით“ დაბეჭდილია, ხოლო სიტყვა „ღრმა“ და „უღრმესი“ ხელით არის ჩამატებული ადრესატის მიერ, რაც მეტი თავაზიანობისა და პატივისცემის გამომხატველია და ეტიკეტის ერთგვარ ნორმად მიიჩნევა.

10) საქმიან წერილს, როგორც წესი, ის პირი აწერს ხელს, რომელმაც წერილი შეადგინა ან უკარნახა შემსრულებელს. ვინაიდან ხშირად ხელს გაურკვევლად აწერენ, წერილის დასასრულს მიღებული ავტორის გვარის დაბეჭდვა მისი ხელმოწერის ქვეშ ან გვერდით. ხელმოწერა როგორც ინგლისურ, ისე ქართულ საქმიან წერილებში თავაზიანობის გამომხატველი დასასრული ფრაზის ქვეშ იწერება.

11) ხშირად საქმიან წერილზე გვხვდება მითითება **Enc. (enclosures)** და შემდეგ გვერდების რაოდენობა. ასეთი მითითება წერილის ბოლოს უნდა გაკეთდეს ეტიკეტის შესაბამისად, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ წერილს დანართი ახლავს. ქართულენოვან საქმიან წერილებში, მსგავსად ინგლისურისა, მინიშნება „დანართი“ და შემდეგ გვერდების რაოდენობა ასევე წერილის ბოლოს, ხელმოწერამდე იწერება, ფურცლის მარჯვენა მხარეს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტორი გამოთქვამს სურვილს წერილი ადრესატის გარდა სხვა პირებსაც გააცნოს, ვინაიდან ამის შესახებ ეტიკეტის მიხედვით ადრესატიც უნდა იყოს ინფორმირებული წერილის ბოლოს სვამენ ნიშანს **cc (copy circulated)** და შემდეგ მიუთითებენ იმ პიროვნებათა სახელებს, გვარებს და ასევე მათ სამსახურეობრივ თანამდებობებს, ვისაც უნდა გაეგზავნოს ასლი. ადრესატების მითითება ეტიკეტის მიხედვით ანბანური რიგით უნდა განხორციელდეს. მაგალითად:

cc – Mrs. Sarah Jones, Accountant

Mr. David Gobinson, Company Secretary

Mr. Norman Taylor, General Manager.

ხოლო ქართულ საქმიან წერილებში მითითება „ასლი“ ეტიკეტის მიხედვით უნდა მოთავსდეს ფურცლის მარცხენა მხარეს თარიღისა და ადრესატის თანამდებობის მითითების ქვემოთ, მაგალითად: „ასლი: საბანკო ასოციაციის წევრი ბანკების ხელმძღვანელობას“.

წერილის ტექსტის ქვემოთ შესაძლოა იყოს მითითება **P.S. (post scriptum)**, სადაც თავსდება მხედველობის არიდან გამორჩენილი ინფორმაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერის შესაძლებ-

ლობებიდან გამომდინარე თანამედროვე პირობებში პოსტ სკრიპტუმის აუცილებლობა ნაკლებად ჩნდება და ნიშანი **P.S.** წერილის ბოლოს იშვიათია.

ამგვარად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიან წერილებისათვის არსებობს ეტიკეტით გათვალისწინებული არაერთი ნორმა და გარკვეული მოთხოვნა. ლინგვისტური ეტიკეტის ენობრივი ნორმების დაცვა ადამიანური ურთიერთობის ყველა სფეროში და ყოველთვისაა სავალდებულო.

- 1) ინგლისური და ქართული ბიზნეს წერილების შედარებისას გამოვლინდა შემდეგი მსგავსებანი: ა) ბლანკის ქუდისა და რეკვიზიტების განლაგება იდენტურია; ბ) ყველაზე ხშირად ხმარებული პირველი და ბოლო ფრაზები უმთავრესად იდენტურია; გ) წერილის სათაურების განლაგება და მოცულობა ერთგვარია; დ) გამოყოფილია აბზაცები, რომელთა პირველი წინადადება თემატურია; ე) იდენტურია ოფიციალური სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმების ხმარება; ვ) მსგავსია ხელმოწერის ფორმატი.
- 2) განსხვავება ინგლისურ და ქართულ ბიზნეს წერილებს შორის შემდეგში მდგომარეობს: ა) მისამართსა და თარიღში; ბ) მიმართვის ფორმასა და პუნქტუაციაში; გ) წინადადებაში შემავალ სიტყვათა რაოდენობაში (ინგლისური წინადადებები ჩვეულებრივ უფრო ლაკონურია, ქართული კი მრავალსიტყვაობით ხასიათდება); დ) აბზაცების ვიზუალურ მხარეში (ინგლისურ წერილებში აბზაცები ინტერვალით გამოიყოფა, ქართულში — შეწყული ხაზით); ე) დამატებითი ელემენტების (cc, enc., ასლი) განლაგებაში.

ლიტერატურა:

ბლაი, 1998 — Bly R.W. The Encyclopedia of Business Letters, Fax Memos, and Email, The Career Press, Inc. 1998.

დეივი, 1977 — Davy D. Advanced English Course, Linguaphone Institute Limited, 1977.

გოფმანი, 1982 — Goffman E. Interaction Ritual, Random House, Inc. 1982.

რობერტსი, 1998 — Roberts J. Business Etiquette, Your Questions

and Answers, Trotman and Company Limited, 1998

გოქსადე, მამაცაშვილი, გიგინეიშვილი, 1998 — Goksadze L, Mamatsashvili N, Gigineishvili M. An Advanced Course in Current English Grammar: Tbilisi Unievrsty Press, 1998.

ტილორი, 1998 — Taylor S. Model Business Letters and Other Business Documents, Financial Times Rpfessional Limited, 1998.

თოფურიძე, 2004 — თ.თოფურიძე, საქმიანი მიმოწერა,გაეროს განვითარების პროექტის „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობასა და ტრანსპარანტულობის გაუმჯობესება“ გამომცემლობა, თბილისი 2004.

ჯავახიშვილი,1997 — ივ.ჯავახიშვილი. ქართული ეტიკეტის ისტორიის ზოგადი საკითხები.თსუ 1997.

ლექსიკონები:

Encyclopedia Britanicca,1998, Jacob E. Safra,chairman of board,Encyclopedia Britanicca Inc,London,1998.

Webster New World English Dictionary,1984,Prentice Hall Press,New York 1984.

ANA BOCHORISHVILI, LILI GOKSADZE

Characteristic Features of the Linguistic Etiquette of Business Letters

Summary

The paper deals with the study of some linguistic peculiarities of business etiquette in English and Georgian business letters. The contrastive study of business letters written in English and Georgian has revealed the following similarities and differences:

1. English and Georgian business letters are characterized by the following similar features:

- a. Identity of the layout of the notepaper
- b. Content identity of opening and closing phrases
- c. Paragraphs opening with topic sentences
- d. The use of formal style
- e. identical layout of the signature

2. Differences between English and Georgian business letters are revealed in the following:

- a. The structure of writing the address and the peculiarity of placing and writing the date
- b. Forms of address and punctuation
- c. The amount of words in sentences (the sentences in English business letters contain fewer words than Georgian)
- d. The layout of paragraphs
- e. The layout of the additional components.

წუნუ გელწიწვილი

წმნიწვღა საწუწლი ქართულის სამართლის ქმღლთა მწაწი

ენის განვითარების სწვღასწვა საფეწურის დამოწედებლად კვლევა აადვილებს ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის სურათის სრულწოფილად წარმოდგენას. კერძოდ, საწუწალი ქართულის (XII—XVIII ს.ს.) ლიტერატურული თუ სწვა ხასიათის ძეგლების ენის ანალიზი გვადღევს შესადღებლობას, დეტალურად გავადღევნოთ თვალი სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ტენდენციებს. ამ პერიოდს მემკვიდრეობად ერგო საეკლესიო-დოგმატური სტილის კანონზომიერებანი, მგარამ საერო მწერლობის აღმოცენებამ განაპირობა, სამწერლობო ენა დასდგომოდა დემოკრატიზაციის გზას. სიჭრელემ მოიცივა ენის ყველა სფერო: ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია თუ სინტაქსი. ყველა თავისებურების შესწავლის მეტად საინტერესო წყაროს წარმოადგენს საწუწალი ქართული სამართლის ძეგლთა ენა. წინამდებარე ნაწრომში ავსახავთ წმნიწედათა ნაირფეროვნებას.

იქ ადგილის წმნიწედას თითქმის უპირობოდ გამოხატავს **მუნ**: „აღმეყვანნეს...“ III.113,3 (XIII); „და სწუწა წარმოდგომილი არს მუნ“ III.120,28 (XIII); „მუნ ყოველსავე შეურაცხყოფთ“ III.164,29 (XIII); „დამკვიდრებულ იყოს მუნ...“ III.146,19 (XIII). მუნ არწ. ჩიქობავას აზრით, ნაცვალსახელური წარმოსობისაა (ჩიქობავა, 1939, 174-175).

წედა, წემოდან წინაარსს აღნიწნავს **წემოით, წედით**: „და ესე წემოით წერილნი ყოველნი...“ II.45,18 (XIII); „თუით პირად და, წედით დაღმა ამას გეუბნებანი...“ III.164,3 (XIII).

ქვემოთ, ქვემოდან გადმოცემულია არქაული **ქუეწითგან, ქუემო** ფორმებით: „ესე ვალანის ქუეწითგან იყიდა...“ III.133,31 (XIII); „პირთათწ რომელნი ქუემო მოხსენებულ არიან“ III.106,6 (XIII).

უკუწაწა გამარტივებული **უკუ** ფორმითაა გადმოცემული და ნიწნავს **უკან**: „და არას უკუ ვადგებით“ III.164,11 (XIII).

გავრცობილი საწითაა წარმოდგენილი ადგილის წმნიწედა **წინა**: „ყოველთავე წინა დაიხედენით, რამეთუ მიწად მიქცივა წინა გწ“

ცოდვილთა და მართალთა“ II.143,26 (XV).

წმნისართის მნიწენლობითაა **წიგა, წინა**: „აქ წიგა წერი“ II.30,21 (XII). ამ შემთწვევაში თუ ერთმანეთის გვერდითაა ახალი ქართულის **აქ** და არქაული **წიგა**, სწვა შემთწვევაში — ერთმანეთის პარალელურადაა **მუნ** და **წინა**: „და მუნ წინა დამკვიდრებულთა წმიდათა მამათა მადლსა...“ II.33,7 (XII); „ვინცა...სცეს, აწუ წინა ჩაუხდეს...“ II.180,36 (XVI).

როცა, როღესაც დროის წმნიწედის ნაცვლად ბატონობს არქაული **-ოდეს** [ო-დღეს] (წანიძე, 1973, I, 589): „ოდეს დასჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად ყოველთა ტომთა და საქმეთა“ II.18,12 (XIII); „ოდეს მოიქცა საღმობა მისი თავსა მისსა“ II.16.26 (XIII); „მას წამსა **ოდეს** ხუარაწმელთაგან და მერმე თათართაგან მოოწრდა ესე სამეფო“ III.155,9 (XIII).

არაოდეს იწმარება **არასდროს** უარყოფითი წმნიწედის მნიწენლობით: „ერთისა არავისთვის წეს არს წამის წირვად არაოდეს“ III.119,16 (XIII); „ამისი შეცვლა ჩუენ კრებულისაგან არაოდეს იკადროს“ II,32,23 (XIII).

საკმაოდ წმირია **მერმე მერეს შემდეგ**-ის სემანტიკით: „და მერმე ყოელნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან“ II.20,27 (XIII); „მერმე თათართაგან მოოწრდა ესე სამეფო“ III.155,9 (XIII); „მერმე — ადგილობითი კრება კართავენისა...“ III.110,33 (XIII); „თუ მტკიცედ იბყრან ესე აღთქმა მათ პირველ და მერმე, მათთა შემდგომად მომავალთა“ II.43,30 (XIII).

შემდგომის მნიწენლობითაა არქაული **წადმართ**: „და აწუ წადმართ მოიგონ იგიცა“ II.14,13 (XIII); „და წადმართ ქადაგებულნი წამნი მიმტყუნავე“ II.19,17 (XIII).

საინტერესოა **სამარადისოდ** წმნიწედის მნიწენლობით **მიუკუწინასამდინ**: „ქწონდეს ტრაპეზსა მიუკუწინასამდინ და დასხდებოდიან ყოვლადვე დაუცადებლად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზსა“ II.25,30 (XIII).

ბევრ შემთწვევაში დროის წმნიწედას საფუტვლად აქვს სახელის ბრუნვის გაქვავებული ფორმა (სარწველაძე, 1997, 158): „და მას დღესა...“ II.15,34 (XIII); „ამისსა შემდგომად არიან სწუწანიცა ორნი...“ III.111,10 (XIII); „ამისსა შემდგომად მოიგონა ახალი რა მე...“ III.106,15 (XIII); „და თქუენ, შემდგომად მომავალწო მეფეწო“ II.17,22 (XIII); „ვეგულისმოდგინე შემდგომად ჩემთა ჩამომავალთა“

II.139,36 (XVს.); „იგი მისსა **ჟამსა** მონასტერსა გაგზავნოს ძემან ჩემ-
მან დემეტრე“ II.15,21 (XIIIს.); „მას **ჟამსა**, ოდეს ... მოოჯრდა ესე სა-
მეფო“ III.155,9 (XIIIს.).

ჟამს ფორმაზე **რა** კითხვითი ნაცვალსახელის დამატებით
მიღებულია ორკომპონენტიანი ზმნისართი **რაჟამს** [რა(ს)+ჟამს] და
ნიშნავს **როცა**: „**რაჟამს** საკრველთა რკინისათა განმლეველმან
სავუმოლმან შეუსებლად დაიცვნა მათნი ადვილად განსალეველნი
თმანი და შესამოსელნი“ III.107,35 (XIIIს.); „**რაჟამს** თავისა მიმართ
შემოკრბეს თითოეულემა ასოთა განყოფილებისა“ III.113,6 (XIIIს.).

ჟამ მრავალ-თან ქმნის მეტად საინტერესო კომპოზიციას **მრავალ-
ჟამეულ**, რასაც ახალ ქართულში შეესატყვისება ზმნიზედა **ხან-
გრძლივად**: „**მრავალჟამეულ** ჰყვენ ღმერთო მეფეთ-მეფე ჩუენი სა-
ხელით, **მრავალჟამეულ** ჰყვენ“ II.53,12 (XIIIს.).

მუდმივად, დროდადრო ზმნიზედის მნიშვნელობის გამომხატ-
ველია **ჟამად-ჟამადი**: „ცვლი, ვითა გამიჩენიან ვაჭართა ზედა **ჟამად-
ჟამადი** იგი ამსახურონ“ II.14,28 (XIIIს.).

დღევანდელ დღემდე შინაარს ასახავს **დღეს-დღემდე**: „არ და-
ცადა ჩუეულებითი წყალობა **დღეს-დღემდე** უგბილსა სულსა ზედა“
II.12,27 (XIIIს.).

ადრე, უწინარეს ზმნიზედების მნიშვნელობისაა **წინა** და რი-
ცხვითი სახელის წრფელობითის ფორმა **პირველ**: „სამართალი სამპა-
რავთ-მეძებლოი არცარაი **წინაის** შესრულა“ II.22,32 (XIIIს.); „და **წი-
ნა ს** ჩუენსა ყოველთა ჩუენთა ჩამომავალთაგან...“ II.140,26 (XVს.);
„და წაერმოემართნეს მითვე სახით, რომელი **პირველ** მოვიცსენე“
II.53,19 (XIIIს.); „ვითარცა **პირველ** ვიტყოდეთ“ III.112,19 (XIIIს.); „და
პირველ ნებითა ღმრთისა თა“ II.143,18 (XVს.).

თუმცა გვხვდება ბრუნვისნიშნისანი შემთხვევებიც: „**პირვე-
ლად** თუით წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმე ... უწყინარი ყოფი-
ლა“ II.21,4 (XIIIს.); „რომელი-იგი **პირველად** ქრისტიანე იქმნა
მეფეთა შორის“ III.109,27 (XIIIს.); „მოგუეცნეს **პირველად** ბუნე-
ბითი და მერმე დაწერილი სჯული“ III.113,9 (XIIIს.).

მრავლადაა თანდებულისანი დროის ზმნიზედები: „თთ **ადრითგან**
მამაობასა ეწერაყე საებისკაპოსოდ“ II.16,21 (XIIIს.); „ნულარამცა კად-
რებულ არს ქმნად **ამიერიტგან**“ III.119,3 (XIIIს.).

დროის ზმნიზედებად გვხვდება აგრეთვე: **ვიდრე, მაშინ, მიწყევ**:
„საწუთო სა, **ვიდრე** არა დამიტევა მე საწუთომან“ II.19,4 (XIIIს.);

„უტყუ იქმნა, **ვიდრე** შობადმდე...“ 138,38 (XVს.); „შეადვა საფუძვე-
ლი **მაშინ** სადმე მცხეთას ალშენებულისა ეკლესიისა“ III.110,7
(XIIIს.); „და ვერა-მცნობელთა **მიწყევ** ჯოჯოხეთად შთამთხვევლისა“
II.138,8 (XVს.).

ვითარებითი **კვლავ, კიდევ** ზმნიზედის მნიშვნელობა გააჩნია
კუალად/კულა არქაულ ფორმებს: „**კუალად** ზაკუვისათვის შორის
მფარველთა“ II.12,3 (XIIIს.); „**კუალად** მძლავრება, **კუალად** ტყუეო-
ბა მრავალგზის მრავალთა ნათესავთა“ III.107,32 (XIIIს.); „მუნ
აღმიყვანნეს **კუალად** გან ორციელებითა თსითა“ III.113,3 (XIIIს.); „აწ
კუალად მალირსა ღმერთმან...“ II.140,22 (XVს.); „**კუალად** უკეთუ
ვინ გკითხვიდეს შენ...“ 145,16 (XVIს.);

„და **კულა** გამიახლებიან იგი სიგელნი“ II.14,5 (XIIIს.); „ნუ ოდეს
ვინ გაარყვენეთ **კულა** მას დიდებულსა ლავრასა“ II.17,28 (XIIIს.). ამა-
ვე მნიშვნელობით დადასტურდა **კუა[ლ]** ფორმა: „ჩუენგან ამისა
კუა[ლ] მსგავსი სამადლობელი რაიმცა მიემადლებოდა ღმრთაებასა
მისსა... მოვიგონეთ...“ II.24,23 (XIIIს.).

როგორ, როგორც ზმნიზედების შინაარსს გამომხატავს არქაული
ვითარ და საშუალო ქართულისთვის ნიშანდობლივი **ვითა, ვითარად**.
ისინი ძირითადად კავშირის ფუნქციას ასრულებენ: „ვერევე იყოს,
ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია“ II.21,6 (XIIIს.); „პირვე-
ლად თუით წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმე, **ვითა** ყოვლითურთ
უწყენარი ყოფილა“ II.21,4 (XIIIს.); „და **ვითა** თთ სწერია ამას ძეგ-
ლსა სამგზის წაკითხვასა შედეგად...“ III.153,9 (XIIIს.); „შესაძრწუნებე-
ლი იადგარი, **ვითა** საშინელსა...“ II.178,6 (XVIს.).

„მას ეკლესია ღმრთისა **ვითარ** ერწმუნოს?“ III.138,2 (XIIIს.);
ვითარ უკვე იშვიათია საშუალ ქართულში.

„**ვითარად** მამათა და პაპთა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სოფელ-
თათს...“ II.14,4 (XIIIს.); „და თთ ძუელთა და აწინდელთა ქართლისა
კათალიკოზთა ჯელნი **ვითარად** ჰქონან“ II.17,5 (XIIIს.).

არქაული ზმნიზედებიდან აღსანიშნავია აგრეთვე: **წინაუკუმიოდ**
**/საპირისპიროდ/, პირად /ნაირგვარად/, უკლებად /სრულად/, ერთბა-
შად /ერთად/**. მოვიყვანთ შესაბამის ნიმუშებს: „...ნივთად თთმფლო-
ბელისა მოცემული მისდა სჯული **წინაუკუმიოდ** საღმრთო სა ნებისა
იჯუმი“ III.106,25 (XIIIს.); „თუით **პირად** და ზედაით დაღმა ამას გე-
უბნებიან მქონებელნი“ III.164,3 (XIIIს.); „ორნი ბროლისა სასანთლენი,
მას ემსახუროს **უკლებად**“ II.15,15 (XIIIს.); „და **ერთბაშად** ყოველსა

სავსებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა“ III.112,15 (XIII.).

ბევრ შემთხვევაში ვითარებით ზმნიზედას გადმოსცემს ვითარებითი ბრუნვა: „ამისთავე უკუე ჟამთა **სრულიად** მომხედნა ჩუენცა აღმოსავალმან მალლით“ III.109,31 (XIII.); „**სრულიად** განაშორა და უცხოყო კაცი შემოქმედისა ღმრთისაგან“ III.107,17 (XIII.) [**სრულიად** ნიშნავს **მთლიანად**]; „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე **მტკიცედ** აქციე“ II.18,23 (XIII.); „და გუამთა მათთა **უცხოოდ** დამმარხველი საფლავები“ III.107,22 (XIII.); „დაიცვნა მათნი **ადვილად** განსალეველნი თმანი და შესამოსელნი“ III.107,35 (XIII.); „**მცირედ** იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწყესებისათს“ III.111,3 (XIII.).

საკმაოდ ხშირია მიმართებითი ზმნიზედა **ვითარცა**, რომელსაც ვითარებით-კავშირებითი [როგორც] კავშირის ფუნქცია აკისრია: „დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თსსა კაცი, **ვითარცა** პირველ ვიტყოდეთ“ III.112,19 (XIII.); „და **ვითარცა** შემაწუხებელსა შენსა ზედა, ეგრეთ შური იძიე პირითა ღმრთისა თა“ II.18,13 (XIII.); „ესენი, **ვითარცა** შარავანდენი მზისა მის სამართლისანი“ III.108,28 (XIII.); „**ვითარცა** მაუწყა მე ანგელოზმან უფლისამან“ II.138,39 (XV.); „რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, **ვითარცა** სამყარო ხილულისა შორის“ III.124,13 (XIII.); „არამედ **ვითარცა** მცირისაგან“ II.177,33 (XVII.).

სადაც მიმართებითი ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს **სადა** ფორმას: „**სადა** იგი თთ არს თავი სასოებისა ჩუენისა“ III.113,3 (XIII.).

დადასტურდა მიმართებითი ზმნიზედა **ოდესცა** [ოდეს+ცა] **როცა**-ს შინაარსობრივი დატვირთვით: „ნამეტნავ-არს მიერ მოლოდება კეთილისა რა სმე **ოდესცა**, რამეთუ „ბოროტთა თესლთაო“, თქმულ-არს“ III.146,19 (XIII.);

ჯერ მაწარმოებიანი ჯერობის გამომხატველი ზმნიზედების ნაცვლად ბატონობს ძველ ქართულში გავრცელებული **გზის** დართული ფორმები: „და **სამგზის** ათაყვანონ წმიდასა საკურთხეველსა“ II.52,16 (XIII.); „**სამგზის** წაკითხვასა შედეგად...“ III.153,9 (XIII.); „**მრავალ-გზის** მრავალთა ნათესავთა“ III.107,32 (XIII.).

ძველი ქართულისაგან განსხვავებული ახალი ფორმით დადასტურდა **მრავალჯერ**: „თუ **მრავალჯერ** ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამო-არჩონ...“ II.22,35 (XIII.).

რადგან მიზეზის ზმნიზედას გამოხატავს არქაული **ვინა თვან** და საშუალი ქართულის **რადგან, ვინათვან**: „**ვინა თვან** იგინი წარ-

მდინარ... არიან“ III.114,8 (XIII.); „**ვინა თვან** დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თსსა კაცი..“ III.112,18 (XIII.); „**ვინა თვან** სამასნი, მცირედთა სხუათა თანა...“ III.109,25 (XIII.); „არა შეგეცვალოს ჩემგან, **რადგან** მე პატრონთა ღმრთისა სწორთა ბრძანებითა და კითხვითა [მი]ქნია“ II.29,30 (XIII.); „**ვინათვან** განგება შეუცვალელობითა... კვლად ქცევად არს...“ II.177,34 (XVII.).

მით არქაული ფორმა შეესაბამება **იმიტომ** ზმნიზედას: „ყოველითურთ უბევრო არს, **მით** რომელ ნასყიდი არს“ III.167,10 (XIII.).

საშუალი ქართულის სამართლის ძეგლთა ენაში მიზნის ზმნიზედებად წარმოგვიდგება — **ამისთვის** და ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდარი. ბატონობს ძველი წარმოება, თუმცა თვალნათლივ აისახება ახლებური — მომავალი დროის მიმდევრით გადმოცემის წესიც: „და **ამისთვის**, რომელ მოანიჭებდეს ქართლისა კათალიკოზი“ II.14,19 (XIII.); „**ამისთვის** ქალწულისაგან შობა“ III.113,11 (XIII.); „ვინა ცა **ამისთვის** მოგუეცნეს ოირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული“ III.113,9 (XIII.); „...შინა იყვენით, **ამისთვის**, რომელ რომელნიდა მამულნი გქონდეს“ III.155,12 (XIII.).

„და ვარწმუნე **აღშენებად** ეკლესია“ II.13,2 (XIII.); „და თუ სხვისა **დაწერად** ჟამი აღარ მომხუდეს...“ II.18,19 (XIII.); „შევევედრე **შეწევნად** ჩემდა“ II.12,14 (XIII.); „ერისკაცთა თანა **ზიარებად** ფლობილ ყვენით“ III.115,6 (XIII.); „**შეერთებად** ღმრთისა შემოკრებულდინ ყოველნი დაბადებულნი“ III.106,19 (XIII.).

შდრ: „ყოველი **შესამოსლად** განეყოფოდის“ II.14,35 (XIII.); „**შესაწირავად** მისდა მიგუითავისუფლებია“ II.31,3 (XIII.); „ნუ იქნებით **დასაბრკოლებელ** სიტყუათ“ III.154.4 (XIII.); „ჩემ ცოდვილისა სულისა **სალოცავად**...“ II.79,12 (XIII.); „და შემოგწირენ **სამლოცველოდ, სააღაპედ** და **საჯსენებლად** სულისა ჩუენისა...“ II.141,11 (XV.).

არის შემთხვევები, როცა ზმნიზედა სიტყვაწარმოებითი ფუნქციითაა გამოყენებული: „და საჭურჭლენი ჩემნი **ზემონი** და **ქუემონი**“ II.19,3 (XIII.); „...გარემე ბრძოლათა შინა **წინადაუდგრომელობით** შეუძლებელ იყო“ III.114,2 (XIII.); „ცხადთა **წინააღმდეგომთა** განგებულისა“ II.12,35 (XIII.); „**წინამბრძოლისა** თსისა თანა სიმჴნით წინაგანწყობანი“ III.113,19 (XIII.); „ჟამი არს **წინამდებარისა** საქმისა აღსრულებად“ II.50,32 (XIII.); „სამისა თავადისა სისხლი, მისითა **წინწასამძღუანითა**...“ II.180,26 (XVII.).

ნაირსახეობათა სიმრავლემ განაპირობა ცალკე გამოგვეყო ზმნი-
ზედათა დიალექტური ფორმები. ადგილის ზმნიზედებიდან აღსანიშნავია
დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელი **აქან** და აღმოსავლური
კილოებისათვის ნიშანდობლივი **აქა თვან**: „თთ **აქან** ნაზარდი იყავ“
Hd-1586 (XIII.); „**აქათვანვე** აღილო ველი...“ II.12,33 (XIII.).

განსაკუთრებით ხშირია **-რე, -რე+ვე** ნაწილაკიანი ვითარებითი
ზმნიზედები, რაც მნიშვნელობით უდრის **ასე, ასევე, ამგვარად**: „**ას-
რე** რომე დიდნი ჯარნი მენახნეს და...“ Ad-18 (XIII.); „ავედრბდე...
ასრე და ამა პირსა ზედა რომე“ Hd-1370 (XV.); „სიგელი **ასრე** გა-
გითავდეს და ვერავინ შეგიცვალონ“ Hd-1370 (XV.); „**ისრე** განაკა-
ნონოს“ II.21,27 (XVIII.); „**ისრე** გადასწყუთონ“ II.204,19 (XVI.); „და
ასრე ამათ დავანებეთ“ Qd-21,53 (XVIII.); „**ასრე** რომე რაც მათ მა-
მული არის...“ Qd-605 (XVI.); „ისიც **ისრევე** მოუშლელად იყუნენ“
II.217,33 (XVIII.); „**აგრე** შევაჩ(უ)ენოთ“ III.183,21 (XV.); „და მისთვის
ვერ გარდაიწერა **ეგრეთვე**“ შდ-2859 (XIII.); „და **ეგრე** გარდავეც
ყველაი“ შდ-2859 (XIII.); „**ეგრეთ** შური იძიე პირითა ღმრთისა თა“
II.18,13 (XIII.); „**ეგრევე** თორმეტი მწირი დასხდებოდეს“ II.25,33
(XIII.); „**ჰაგრევე** ესე ქავთარელი... შეუვალ იყოს“ II.44,26 (XIII.);
„**აგრევენ** გკადრეთ...“ II.179,30 (XVI.).

დადასტურდა **-ოდენ** ნაწილაკიანი **ესოდენ**, რაც ნიშნავს — **ასე,
ამდენად**: „უცხო სა მის ცხოველისა კაცისა **ესოდენ** საკვირველებით
დაბადებისა“ III.107,9 (XIII.).

აწ არქაული ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება **აწე**. იგი ნიშ-
ნავს „**აწ** და იხმარება აჭარულში“ (ღლონტი, 1974, 49). მას უმეტე-
სად **ახლას** შინაარსი აქვს (სარჯველაძე, 2001, 21), თუმცა ზოგჯერ
გამოხატავს **ამას იქით**: „**აწე** მსახურთ-უხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცე-
სისა გვერდით ზის...“ II.96,11 (XIV.); „**აწე** ამას იქით...“ შდ-597
(XVI.); „სამლოცველოდ სხვა კაცს უფალი არა ქონდეს **აწე** უთვა-
ლავს...“ Hd-1564 (XVIII.); „**აწე** გქონდეს და გიბედნიეროს“ Qd-10147
(XVIII.).

გვაქვს ნაწილაკიანი ფორმაც **აწვე**: „**აწვე** საქმით სრულქმნილ
არს ყოვლითურთ ჩემ მიერ“ III.150,20 (XIII.).

ხელახლა, კვლავ ისევ ზმნიზედათა შინაარს გამოხატავს დია-
ლექტური **კიდევ**: „და მერმე **კიდევ** მიბოძე“ III.184,17 (XV.).

შესწავლილმა მასალამ ცხადყო, რომ საშუალო ქართულის სა-
მართლის ძეგლთა ენაში, როგორც გარდამავალი პერიოდისათვის ნი-

შანდობლივი, გვაქვს სიჭრელე — ერთმანეთის გვერდით თანაარსე-
ბობს არქაული, ახალი, დიალექტებისა და საკუთრივ საშუალო ქარ-
თულისათვის დამახასიათებელი ფორმები. იკვეთება, რომ XIII საუკუ-
ნის შემდგომ არქაული ნიმუშების ხვედრითი წილი შედარებით
მცირდება, სამაგიეროდ, თანდათან გზას იკაფავს და მკვიდრდება ახა-
ლი ფორმები.

ლიტერატურა

სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ, 1997.

სარჯველაძე, 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის
სიტყვის კონა, თბ, 2001.

ღლონტი, 1974 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა
სიტყვის კონა, I, ა—მ, თბ, 1974.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძ-
ვლები, I, თბ, 1973.

ჩიქობავა, 1939 — არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზი-
სისათვის ქართველურ ენებში: სტალინის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939.

ქ.ს.ძ., 1965, 1970 — ქართული სამართლის ძეგლები, I/პროფ. ი.
დოლიძის რედაქციით/ ტ. II. 1965; ტ. III — 1970.

NUNU GELDIASHVILI

Adverbs in the Language of Medieval Georgian Legal Documents

Summary

The analysis of the data has proved that, the language of Medieval Georgian legal documents is characterized by a diversity of adverbial forms: archaic, dialectal and newly coined forms that are typical of Medieval Georgian co-exist. The diversity can be explained by the transitional nature of the period.

გვანცა გვანცაშვილი

ცხოველთა სახელები შედარების როლში
(„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

როგორც ცნობილია, ქართული საერო ლიტერატურის ჩანასახები უკვე ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებში შეინიშნება. გარკვეულია ისიც, რომ საერო ლიტერატურა თემატიკისა და შინაგანი თავისუფლების, შემოქმედებითობის მეტი ხარისხით ხასიათდება, რაც სამწიგნობრო ენის ხალხურ სასაუბრო ენასთან მეტი დაახლოებითაც გამოიხატება. ქართული საერო ლიტერატურის მიუწვდომელი მწვერვალი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ა, რომელშიც საფუძველი ჩაეყარა ქართული სალიტერატურო ენის თანამედროვე ვარიანტსაც. როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე ქართული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებში ცხოველთა სემანტიკური ველის ლექსიკა საკმაოდ ხშირად გამოიყენება ადამიანის გარეგანი თუ შინაგანი თვისებების ჰიპერბოლიზებულად წარმოჩენის მიზნით. „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება კარგა ხანია ლიტერატურისმცოდნეთა კვლევის ობიექტია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ნოზაძისა და ზ. გამსახურდიას გამოკვლევები, რომლებშიც სხვა დარგთა ლექსიკის მხატვრულ პრაგმატიკასთან ერთად მეტ-ნაკლებადაა გაანალიზებული ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკის გამოყენების პრაგმატიკაც. რაც შეეხება ხალხური პოეზიის ენაში ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკის ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით გამოყენების საკითხის კვლევას, იგი პრაქტიკულად არც კი დასმულა.

მართალია, პოემის სათაურში ვეფხი იხსენიება, მაგრამ ტექსტში პერსონაჟთა დასახასიათებლად გამოყენებულ შედარებებში ამ ცხოველის სახელი არცთუ ხშირად გამოიყენება, სამაგიეროდ უფრო გავრცელებულია ლომის სახელის ხმარება შედარებისათვის.

ვეფხი:

ავთანდილის შესახებ ნათქვამია: „სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“ (ვტ. 58). შედარებაში ხაზი გაესმის ავთანდილის

სიჩაუქეს, ანუ სიმარდეს, ძლიერებას.

ნესტანის შესახებ ტარიელი ამბობს: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული“ (ვტ. 528). ეს მეტად ექსპრესიული და პოემისათვის ერთ-ერთი საკვანძო შედარება მიანიშნებს გამწყრალი ქალის სასტიკ სილამაზეს. ვეფხივით გაცეცხლებული და თანაც უმშვენიერესი ნესტანის ხილვამ ტარიელზე იმდენად მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან ვეფხის ტყავის სამოსი და ვეფხის ტყავისვე ქუდი აირჩია ჩასაცმელ-დასაბურავად. ამას იგი პირდაპირ ეუბნება ავთანდილს, როცა უხსნის:

„რომე ვეფხი სახედ მისად დამისახავს,

ამად მიყვარს ტყავი მისი კაბად ჩემად მომინახავს;

ესე ქალი [ე. ი. ასმათი] შემიკერავს, ზოგჯერ სულთქვამს,

ზოგჯერ ახავს...“ (ვტ. 662)

ამრიგად, შედარებებში ვეფხი მიანიშნებს: 1. ვაჟკაცის სიჩაუქეს-სიმარდეს, ძლიერებას; 2. ულამაზესი ქალის საშიშარ, მაგრამ მშვენიერ სიბრაზეს; 3. უშიშარ ქალს. აქვე ვეფხის ტოტი ბრვე ვაჟკაცის მძლავრი მკლავების მანიშნებელია, ხოლო ვეფხის განმარტოებით ცხოვრება ესში ტარიელის განმარტოების, დიდებული ეულობის სიმბოლოა.

ლომი:

ტარიელი საკუთარ თავზე ამბობს: „მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“ (ვტ. 324). შედარება ხაზს უსვამს ახალგაზრდა ვაჟკაცის ბრვე ტანადობასა და მებრძოლობას.

ავთანდილის შესახებ ნათქვამია: „მისა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა — თათი“ (ვტ. 1083). ავთანდილის მკლავები აქ შედარებულია ლომის მძლავრ თათებთან.

ავთანდილი ფრიდონს უამბობს ტარიელისა და ასმათის გამოქვაბულში ცხოვრების შესახებ: „ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეკვსა ვითა ლომი“ (ვტ. 1008). ლომი ტარიელია, ლომის ლეკვი — ასმათი. ლომის ლეკვთან შედარებით მინიშნებულია ასმათის ქალური სისუსტე, ტარიელს კი მიეწერება როგორც დიდი ლომური ფიზიკური ძალა და მებრძოლობა, ისე მზრუნველობა სუსტ არსებაზე.

ყველა ციტირებულ შემთხვევაში ლომთან შედარება მიანიშნებს ტანბრვე ვაჟკაცის დიდ ფიზიკურ ძალაზე, მებრძოლობაზე, ერთ შემთხვევაში დამატებით აღინიშნება ძლიერი ადამიანის მზრუნველობა სუსტისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ლომს ადარებს

უმადლესი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებს (მეფეებს, უფლისწულს, სპასპეტს), თანაც მამაკაცებს. პოემაში ერთადერთხელ არის უფრო დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელი და ისიც ქალი (ასმათი) შედარებული არა ლომთან, არამედ ლომის ლეკვთან.

მხეცი:

ტარიელი უამბობს ავთანდილს: „გული სრულად გამიშმაგდა, **თავი მხეცთა დავადარე**“ (გტ. 655). მხეცებს დამსგავსება გაველურებას ნიშნავს.

ტარიელისა და ავთანდილის განშორების აღწერისას ავტორი წერს: „მათ ლომთა, მიწყვი **მხეცქმნილთა, თავნი მხეცთავე აღამნეს**“ (გტ. 952). იგულისხმება განსჯის უნარის დაკარგვა დიდი ემოციის გავლენით.

ნადირი:

ტარიელის შესახებ ავთანდილი ეუბნება ფრიდონს: „არვის ნახავს პირმეტყველსა, **ვით ნადირი კაცთა ჰკრთების**“ (გტ. 1010). ნადირთან შედარების გზით ხაზი გაესმის პერსონაჟის გაველურებას, ადამიანთა შორის ყოფნაზე უარის თქმას.

ჩიქი:

ავტორი სატრფოს შესახებ აღნიშნავს: „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, **ვითა ჩიქია**“ (გტ. 19). იგულისხმება ლამაზი, მაგრამ მკაცრი ქალის ქცევა, რომელსაც არ ებრალება თავისი მიჯნური“. შდრ. ვეფხის სახელის გამოყენება ნესტანის დასახასიათებლად („ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა, ვეფხი პირგამეხებულნი“).

ცხენი:

ავტორი პროლოგში აცხადებს:

„**ვითა ცხენსა** შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,...
მართ აგრეთვე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“
(გტ. 13).

იგულისხმება, რომ როგორც კარგი ცხენისთვის აუცილებელია გამძლეობა და სწრაფი რბოლა, მელექსესაც უნდა შეეძლოს ვრცელი ეპიკური ნაწარმოების შექმნა. სხვაგვარად თუ ვიტყვი, კარგ პოეტს დიდი შრომისუნარიანობა, მუყაითობა და დიდი მიზნის მიღწევა მოეთხოვება.

ხრდალი „ჰაკი ცხენი“:

ავთანდილი ტარიელს მეორედ შეხვედრისას ეუბნება, ახლა რომ შინ დავბრუნდე, ჩემს სატრფოს რა ვუთხრა, რატომ დავბრუნდი მში-

შარასავითო: „აწ შევიქცე, რა ვუამბო, რად მოვეო ჯაბან-**ხრდლურად?**“ (გტ. 942). ამ შემთხვევაში **ხრდალი** მშიშარას, ჯაბანის სინონიმაა. საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა თავდაპირველი მნიშვნელობით ამჟამად აღარ იხმარება, მაგრამ მისგან ფონეტიკური ცვლილებებით მიღებული ვარიანტი **მხდალი** გამოიყენება მშიშარას, ჯაბანის მნიშვნელობით.

ზროხა „მსხვილფეხა რქოსანი საქონელი“:

„მისთა სპათა ნუ დაჰხოც **ზროხათა, ვითა ვირთაო**“ (გტ. 549). აქ ზროხასთან ადამიანების შედარება მიანიშნებს ამ უკანასკნელთა მიერ თავდაცვის უნარის უქონლობას. იგივე დანიშნულება აქვს ვირის ხსენებასაც.

ჯორი:

„მაგრამ იტყვის: „ჩემი სჯობსო“, **უცილობლობს, ვითა ჯორი**“ (გტ. 15). ჯორის უცილობლობა ზოგი პოეტის სიჯიუტეს განხაზავს.

ირემი:

ირემი პოემაში ორჯერაა გამოყენებული შედარების ობიექტად და ორივე შემთხვევაში შედარების წყარო „ფსალმუნიდან“ მოდის:

ფრიდონი ეუბნება ტარიელს: „შენთვის ასრე მომსურდების, **წყაროსათვის ვით ირემსა**“ (გტ. 1649).

ავთანდილი ქვაბში მეორედ მისვლისას ასმათს ეუბნება: „გამოჰკრიღვარ სახლით ჩემით, **ვით ირემი ძებნად წყლისად**“ (გტ. 864).

ორსავე შემთხვევაში მწყურვალე ირმის დაუოკებელი სწრაფვა წყაროს წყლისაკენ განასახიერებს მეგობართან კვლავ შეხვედრის სურვილს.

თხა „გარეთხა, ველური თხა“:

„[ავთანდილი] მათ ლაშქართა გულუშიშრად **ასრე ხოცდა, ვითა თხასა**“ (გტ. 1053). შედარება მიანიშნებს, რომ ავთანდილისათვის ზღვის მეკობრეები ისეთივე იოლი დასახოცნი იყვნენ, როგორც გარეთული თხები.

არწივი:

ავთანდილმა კლდეზე გადასავარდნად გაქცეული ასმათი შეიპყრო, ქალი თავის გასათავისუფლებლად ფართხალბეს. ავტორი ავთანდილს მძლე არწივს ადარებს, ასმათს კი — კაკაბს: „ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა“ (გტ. 237).

ყორანი, ყორნის ფრთა, ყორნის ბოლო:

[ფატმანმა ავთანდილს] „მოჰგვარა მონა გრძნეული, მართ ვითა

ყორანი“ (ვტ. 1277). აქ ზანგი მონის კანის ფერი შედარებულია ყორნის შავ ბუმბულთან.

ავთანდილი ფატმანს ეუბნება ტარიელისა და ნესტანის შესახებ:

„უბრძანა: „შენ ხარ წამალი ჯერ თ შენგან უნახავისა,

ლონე წამწმისა ხშირისა **ყორნის ფრთებრ ნაფუშავისა“**

(ვტ. 1274).

აქ ნათლად არ ჩანს, „ყორნის ფრთებ ნაფუშავი“ ნესტანის ძალზე შავი წამწამია, თუ გაშლილი თმები. ერთი კი ცხადია, ყორნის ფრთაც სიშავეზე მიანიშნებს.

ორივე შედარება ეხმიანება „ფსალმუნის“ ტრადიციულ შედარებას „ყორანი — შავი თმები“. იგივე შედარება სხვა ვარიანტადაც არის წარმოდგენილი: „მეც ვიცი, ჩემსა ხელქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია“ (ვტ. 974). აქ ყორნის ბოლო თინათინის შავი თმის მეტაფორაა.

ტრედი:

ზღვათა მეფე მელიქ-სურხავი მის სასახლეში მიყვანილი ნესტანის შესახებ ამბობს, ან შეყვარებულია და თავისი მიჯნურის გარდა არავისზე სურს ფიქრი და ლაპარაკი, ანდა გაბრძნობილი ვინმეა და ამქვეყნიური ჭირი თუ ლხინი არად უღირს, „სხვგან ფრინავს, **გონება უც, ვითა ტრედი“** (ვტ. 1193). ტრედივით გონების სახე ბიბლიური წარმომობისაა და აღნიშნავს უმანკო გონებას.

იადონი:

იადონის მხატვრული სახე პოემაში საკმაოდ პოპულარული აღმოჩნდა.

ავთანდილი და ტარიელი სიმღერით ბრუნდებიან გამოქვაბულში, მათ უკვე იციან ნესტანის ადგილსამყოფელი. ავტორი სწერს: „ორნივე ტურფად **იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი“** (ვტ. 1364).

ტარიელი გაოცებული ეუბნება ავთანდილს:

„... უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?

გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდი“ (ვტ. 671).

აქ მეგობართან განშორების სიძნელე შედარებულია იმ დიდ სიყვარულთან, იადონს რომ არ ანებებს ვარდისაგან განშორებას.

ასმათი უსაყვედურებს ტარიელს ადამიანებისაგან შორს ყოფნასა და უმეგობროდ დარჩენას. იგი ასეთ რჩევას აძლევს ინდო ჭაბუკს:

„სჯობს, ერთი კაცი იახლო, ილხენდე შორით ჭვრეტითა,

ვით იადონი არ მოჰკვდე ბულბულის თესლთა კვნეტითა“

(ვტ. 282).

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში შედარების საგანია საკუთარი თავისათვის საზიანო ქცევა: იადონს ღუპავს ბულბულის თესლის კვნეტა, ტარიელს კი დაღუპავს უმეგობრობა.

ასპიტი:

ნესტან-დარეჯანი ქაჯთა მეფის მონებმა შეიპყრეს. ამ ამბავს ფატმანს უყვება ერთ-ერთი მონათაგანი:

„ქუშ-ქუშად გვეუბნებოდა კუშტი, თავისა მკრძალავი,

ვითა ასპიტი, მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლაღავი“

(ვტ. 1240).

მოძალადეებისადმი სიძულვილი და მრისხანებით აღსავსე მზერა შედარებულია გველის მომნუსხველ მზერასთან...

პოემაში ტრანსფორმირებულად, მაგრამ მაინც არის გამოყენებული ბიბლიურ-ქრისტიანული შედარებანი, კიდევ ერთი არგუმენტი იმ მოსაზრების სასარგებლოდ. ამრიგად, შოთა რუსთაველის „გვეფხისტყაოსანში“ ცხოველთა სახელების გამოყენებით შედგენილი შედარებანი არცთუ ისე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისინი გამოყენებულია ადამიანის როგორც ფიზიკური, ისე შინაგანი თვისებების ექსპრესიულად გამოხატვის მიზნით. შედარების ობიექტთა შორის ჭარბობს გარეული ცხოველ-ფრინველი. ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის მსგავსად პოემაშიც გვხვდება ბიბლიურ-ქრისტიანული წარმომობის შედარებანი ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მახასიათებელთა როლში, თუმცა ისინი რუსთაველის თხზულებაში უმცირესობას ქმნიან და პერიფრაზირების ან გადამუშავების გზითაა შეცვლილი, ბიბლიურ შედარებათა ზუსტი ციტირება პოემაში პრაქტიკულად არ ხდება და ეს არცაა მოულოდნელი, ვინაიდან თხზულების საერთო შინაარსი და პოემის სალექსო ფორმა ამას ხელს შეუშლიდა. თვით ის ფაქტი, რომ „გვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია.

პოემაში გამოყენებულ შედარებებში ცხოველისა და ადამიანის თვისებათა მიმართება ასეთ სურათს იძლევა:

ა) ცხოველისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი თვისება უშუალოდ, გადაზარების გარეშე უკავშირდება ადამიანს: „მინდორს სადმე წავიდოდა, **მხეცისაებრ ველთა ვლიდა“**; „მოჰგვარა მონა გრძნეული, **შავი, მართ ვითა ყორანი“**; „შიგან ასრე **გავერივე, გნოლის ჭოგსა ვითა ქორი“**; „ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა“...

ბ) ჯერ ცხოველს მიეწერება რაიმე „ადამიანური“ თვისება, შემდეგ კი ეს თვისება კვლავ ადამიანს უკავშირდება: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული“; „ლომისა მსგავსი ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეო“; „გული მედგა მხეცისაებრ, ათასჯერ-ცა მინდორს ვარო“; „მაგრამ იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს, ვითა ჯორი“; ესე ამბავი მას თანა ვთქვი დიაცურად, ხელურად: / ჩემსავე მოსლვა მის მზისა და გაპარება მელურად“; „სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც, ვითა ტრედი“.

პოემის შედარებებში დამხმარე ენობრივ საშუალებათაგან გამოყენებულია:

ა) თანდებულად ქცეული ვითა' (< ვითარცა): „სპათა სპასპე-ტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“; „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული“; „ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ვითა ლომი...“

ბ) თანდებული -ებრ: „ჩაიცვა ტანსა ამბჯარი ქცევითა ვეფხებრ მკრჩხალითა“; „მინდორს სადმე წავიდოდა, მხეცისაებრ ველთა ვლი-და...“

გ) ასრე + ვითა: „მიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“; „მათ ლაშქართა გულუშიმრად ასრე ხოცდა, ვითა თხასა“; „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა...“

დ) მართ ვითა: „მოჰგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი“;

ე) ასრე + მართ ვითა: „ასრე უჩს მოკვლა ლომისა, მართ ვითა ლომსა — ვაცისა“;

ვ) ვითარცა ბრუნვის -ად სუფიქსი მსგავსების აღმნიშვნელ ზმნასთან ერთად ან უმისაოდ: „ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა“;

ზ) რთული -ურ-ად სუფიქსი: „აწ შევიქცე, რა ვუამბო, რად მო-ვეო ჯაბან-ხრდლურად?“

თ) მსგავსების, მიჩნევისა და გარდაქცევის აღმნიშვნელი ზმნები და ნაზმნარი სახელები: „მისთა მჰვრეტთა დაუსახნეს ვეფხსა ტოტი, ლომსა — თათი“; „მოვიწიფე, დავემსგავსე, მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“; „ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა“; „ასრე უჩს მოკვლა ლომისა, მართ ვითა ლომსა — კაცი-სა“; „ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეა“; „გული სრულად გამიშმაგდა, თავი მხეცთა დავადარე“; „მათ ლომთა, მიწყვი

მხეცქმნილთა თავნი მხეცთავე ალაშნეს“; „უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად“; „ქალი საბრალოდ მამასა სტირს, ბულბულისა მსგავსია...“

ამ დამხმარე საშუალებათაგან პოემის შედარებებში ყველაზე ხშირად დასტურდება -ვით(ა) და ასრე.

GVANTSA GVANTSSELADZE

Animal Names in Similes

(on the material of "The Knight in the Panther's Skin")

Summary

In Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" there are quite a few similes containing animal names. The similes in question are used to characterise man's physical as well as spiritual nature. Similar to Georgian hagiographic works, similes of Biblical-Christian origin are encountered in Rustaveli's poem. Though they are given in transformed versions. The transformed version of biblical similes can be explained by the versification constraints of the poem. At the same time the transformation stresses the originality of Rustaveli's work.

In the paper two kinds of simile with animal names are distinguished:

a) Features typical of animals are ascribed to man

b) Animals are ascribed human qualities, later the same qualities are mentioned in reference with man.

ბიოგრაფიული გონივრული

თემის ნიშანთან დაკავშირებული წოდების საკითხის საშუალო
ბავარის ზმნებში

თემის ნიშანთა გამოყენების თვალსაზრისით ძველი და ახალი ქართულის მონაცემებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ სხვაობა ხელშესახება. დიალექტური მონაცემების გათვალისწინება ამ სხვაობას უფრო შთამბეჭდავს ხდის. ერთ-ერთ აღრიხედელ ნაშრომში ვწერდით: თემის ნიშანთა გამოყენებაში ერთი საერთო ტენდენცია იქნეს თავს ქართულში — **თემის ნიშანთა განაწილებას საფუძვლად გვარის მორფოლოგიური კატეგორია ედება: -ავ და -ამ** ფორმანტები რჩება (სადაც იყო) და ჩნდება (სადაც არ იყო) მოქმედებითი გვარის ზმნებში. **-ებ** თემის ნიშანი რჩება (სადაც იყო) და ჩნდება (სადაც არ იყო) ვნებითი გვარის ზმნებში. პროცესი, რა თქმა უნდა, დასრულებული არ ჩანს, ამიტომ ზოგჯერ გვაქვს პარალელური წარმოება: **ითქმის || ითქმება, იწვის || იწვება...** დიალექტებში ეს ტენდენცია უფრო შორს არის წასული (გოგოლაშვილი, 1998, 28).

იმ ნაშრომში საუბარი გვქონდა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა შესახებ. როგორც ჩანს, ამ საერთო პროცესში — გვარის ფაქტორის მიხედვით თემის ნიშანთა განაწილებაში — საშუალო გვარის ზმნებიც არის ჩართული. კერძოდ, ამ ტენდენციის გამოვლენით ჩანს ის ფაქტიც, რომ **-ობ** თემის ნიშანი საშუალო გვარის ზმნებში იმკვიდრებს ადგილს; **-ებ** თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნებმა პარალელური **-ობ** თემისნიშნისანი ვარიანტები გაიჩინეს:

ტრიალ-ებ-ს || ტრიალ-ობ-ს, შრიალ-ებ-ს || შრიალ-ობ-ს, ბინ-ებ-ს || ბინ-ობ-ს და მისთანანი.

ე. ი. **-ებ** ფორმანტს ჩვენაცვლება **-ობ** თემის ნიშანი; პირუკუ პროცესი არ ხდება: **თამაშ-ობ-ს, სწავლ-ობ-ს** ტიპის ფორმებში თემის ნიშანი არ იცვლება.

აღნიშნული ტენდენციის გავლენა განიცადა მოქმედებითი გვარის ზმნამ — **შობს. ობ** ამ ფორმაში თემის ნიშნად მოიაზრება და ამიტომ ხდება მისი მიხორცება ფუძესთან:

ძველი: აწყო — **შობ-ს**
წყვეტილი — **შვ-ა**

„დედაკაცი რაჟამს **შობს**, მწუხარე არნ“ (ი. 16, 21)

„არა იცოდა იგი, ვიდრემდე **შვა** ძმ (მ. 1, 25)

მოგვიანებით **-ობ** ელემენტის ვარიანტი გვხვდება წყვეტილშიც:

„ესე რა თქვა, ყმამან სულთქნა, ცრემლით ბრძანა: „**შობა** ქალი“
(„ვეფხისტყაოსანი“)

იმავე „ვეფხისტყაოსანში“ **შობ** ფუძე აწყოშიც დასტურდება: „მსგავსი ყველაი მსგავსსა **შობს**“.

ფაქტობრივ, ეს ზმნა ერთთემიან ზმნათა რიგში დგება ფორმალური წარმოების თვალსაზრისით. დასახელებულ ნაშრომში შევნიშნავდით, რომ ერთთემიან ზმნებში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი დიალექტური ფორმების გაჩენა სწორედ შემოხსენებული ტენდენციის შედეგია: **წერ-ავ-ს, წერ-ამ-ს...** (გოგოლაშვილი, 1998). საგულისხმოა, რომ **-ამ** სუფიქსისანი ფორმები **შობს** ზმნისა ი. ჭავჭავაძის პროზაშიც დასტურდება:

„ერთი ვაჟიშვილი **ჰშობე**, დავითის გამოჯავრებით მანც **ჰშობე!**...“

— **გშობამ**, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, **გშობამ...**“

ასე რომ, გვაქვს ორგვარი პარადიგმა:

აწყო:	ვ-შობ	ვ-შობ-ამ
	შობ	შობ-ამ
	შობ-ს	შობ-ამ-ს
წყვეტილი:	ვ-შევგ-შვი	ვ-შობ-ე
	შევგ-შვი	შობ-ე
	შვა	შობ-ა

მეორე პარადიგმის აწყო ფორმები აშკარა დიალექტზმნებია და, ამდენად, იშვიათი სამწერლობო ქართულისათვის; წყვეტილის ფორმები კი — არცთუ იშვიათი; როგორც აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსანშიც“ კი იქნეს თავს.

* * *

თემის ნიშანთა განაწილების პრინციპის ცვლის ტენდენციის გამოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე -ავ ელემენტთან საშუალო გვარის ზმნათა უღლებამიც.

როგორც ვთქვით, -ავ მოქმედებითი გვარის ზმნათათვის დამახასიათებელ ფორმანტად იქცა. შესაბამისად, საშუალო გვარის ზმნებში მოხდა ავ-ის გადარიცხვა ფუძეში და აწმყოში -ობ ელემენტის ფორმების გაჩენა.

აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც გვაქვს ორგვარი პარადიგმა; ერთი მხრივ —

აწმყო:	ცურ-ავ-ს	გორ-ავ-ს	ხტუნ-ავ-ს
წყვეტილი:	იცურ-ა	იგორ-ა	იხტუნ-ა...

მეორე მხრივ —

აწმყო:	ცურა'ვ'-ობ-ს	გორა'ვ'-ობ-ს	ხტუნა'ვ'-ობ-ს
წყვეტილი:	იცურავ-ა	იგორავ-ა	იხტუნავ-ა...

თუ წინა (შობს/შობამს) შემთხვევაში პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთი აშკარა დიალექტიზმია და არაა საფრთხე სალიტერატურო ქართულში ფორმათა აღრევისა, ამ შემთხვევაში ვითარება სხვაგვარადაა. **ცურავს / ცურაობს** ტიპის ფორმობრივად დაპირისპირებული ერთეულები სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტური შინაარსის ოდენობებად არის მიჩნეული (შანიძე, 1978, 420; ფეიქრიშვილი, 1977, 57; ნოზაძე, 1974, 516). ეს ფაქტი თავს იჩენს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“:

ცურაობს — იგივეა რაც ცურავს;
ხტუნაობს — იგივეა რაც ხტის; **ხტუნავს** იგივეა რაც ხტის
ბუქნავს — იგივეა რაც ბუქნაობს.

თუმცა, ზოგჯერ მითითებული არის რთულ (გორაობს) და მარტივ (გორავს) ფორმათა შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობაც: **გორაობს** — მწოლიარე ერთ ადგილზე ბრუნავს, ტრიალებს; ერთთავად წევს, გადაბრუნდ-გადმობრუნდება.

გორავს — ბრუნვით, ტრიალით ადგილს გადაინაცვლებს.
ყვინთაობს — ხშირ-ხშირად, ზედიზედ ყვინთავს.
ყვინთავს — წყლის სიღრმეში ჩადის...

საინტერესოა ის შენიშვნები, რაც **გორავს / გორაობს, ყვინთავს / ყვინთაობს** ფორმათა შორის შინაარსობრივ დაპირისპირებას ეხება. ვფიქრობთ, შეიძლება განზოგადდეს და რთულ და მარტივ ფორმათა შორის შინაარსობრივი დაპირისპირება ამგვარად განისაზღვროს: **მარტივი ფორმები გადმოცემენ დროისა და სივრცის თვალსაზრისით შეუზღუდავ მოქმედებას**; ხოლო **რთული ფორმებით გადმოიცემა დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით შეზღუდული მოქმედება**. გავიხსენოთ სალექსიკონო განმარტება **გორავს** და **გორაობს** ფორმებისა:

გორავს — ბრუნვითი ტრიალით ადგილს გადაინაცვლებს, ანუ მოქმედება არ არის ზემოლუდული სივრცეში; ხოლო **გორაობს** — მწოლიარე ერთ ადგილზე ბრუნავს, ტრიალებს; ანუ მოქმედება შეზღუდულია სივრცეში.

ანდა: **ყვინთავს** — წყლის სიღრმეში ჩადის, ანუ მინიშნებაა ჩვეულებრივ დამახასიათებელ, დროის თვალსაზრისით განუსაზღვრელ, მოქმედებაზე.

ყვინთაობს — ხშირ-ხშირად, ზედიზედ ყვინთავს, ანუ დროის გარკვეულ, შეზღუდულ მონაკვეთში ხდება მოქმედება.

ამგვარი შინაარსობრივი სხვაობა კარგად ჩანს აქ წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაშიც (ვსარგებლობთ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდით):

ა) დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით შეუზღუდავი მოქმედება გადმოიცემა მარტივი ფორმებით:

ჩემი ხნისა ქვაც აღარ **გორავსო**, ხუმრობით იტყოდა
 (გ. ხორგუაშვილი).

მთიდან ქვა **გორავს** (აღ. ყაზბეგი).

ქოთანმა **იგორა**, **იგორა** და თავისი სარქველი იბოვო (ანდაზა).

შენ კარგად **გორავ** (დ. კვიციანიძე).

დათიკო მართლაც შესანიშნავად **ცურავდა** (ა. ბელიაშვილი).

მერცხალი ნადირობს და თითქმის **ცურავს** (რ. ერისთავი).

ძალდი დარბის, **ხტუნავს**, იკბინება (ი. გოგებაშვილი).

კურდღელმა რაც იკუკა, ის **იხტუნა** (ანდაზები)...

ბ) დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით გარკვეულად შეზღუდული მოქმედებაა რთულ, -ობ სუფიქსიან ფორმებში:

ერთი წუთის შემდეგ ორივენი ქუჩის მტვერში **გორაობდნენ**
(ა. სულაკაური).

ფეხების დაჭრა შენ უფრო გარგებს, რომ უფრო კარგად **იგორა-**
ვო (ვ. ურჯუმელაშვილი).

მეორე დღეს ყინულზე **ვცურაობდით** ნელ-ნელა (რ. ერისთავი).
ორაგულეებმა კარგა ხანს **იცურავეს** ძირ-ძირ (ი. გოგებაშვილი).
კაი ხანი **იცურავა** ჩვენმა მგალობელმა ცის სივრცეში
(ი. გოგებაშვილი).

ბავშვები თამაშობდნენ და **ხტუნაობდნენ** (ზღაპარი).
მეც ბევრჯერ **მიხტუნავია** პატარაობაში (შ. არაგვისპირელი).
ზღარბმა **იხტუნავა** და ითამაშა (ი. გოგებაშვილი).

შევნიშნავთ იმასაც, რომ ამგვარი შინაარსობრივი დაპირისპირება მარტივ და რთულ ფორმებს შორის სისტემებზე არ არის გატარებული. უფრო სწორად, ზოგჯერ ფორმათა შორის მნიშვნელობათა ამგვარი დიფერენციაცია. გვხვდება შემთხვევები, სადაც შინაარსობრივად თითქოს მოსალოდნელი იყო რთული ფორმები, გვაქვს კი მარტივი:

მაღალს შვილებიც თავის ყაიდაზე გაეზარდა, მთელი დღე ლოგინში **გორავდნენ** (თ. ჭილაძე).

ადე, **ვიხტუნოთ**, ვითამაშოთ (ვაჟა).

უდარდელად **ცურავდნენ** და ჭყუმპალაობდნენ ალაზანში დაქსაქსული საქართველოს მომავალნი მეფენი და მთავარი (ლ. გოთუა).

ფეიქრობთ, ამ შემთხვევაში გადმოსაცემ შინაარსს რთული ფორმები შეეფერებოდა, გვაქვს კი — მარტივი. აქ ორ მომენტს მივაქცევთ ყურადღებას: რთული (ობ თემისნიშნისანი) ფორმები გვიანდელია; როგორც მიუთითებენ, ჩვეულებრივ თავს იჩენს ამ ფორმათა გაჩენამდე. მარტივი ფორმები შეითავსებდა ორივე შინაარსს. მეორე მხრივ, საგულისხმოა ისიც, რომ ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი ფორმა იტვირთავს კონკრეტული მნიშვნელობის გადმოცემასაც. ეს ფაქტიც ბუნებრივი ჩანს.

შეიცვალა თემის ნიშანთა განაწილების პრინციპი. წარმოების ცვლის შემთხვევაში გაჩენილი პარალელური ფორმებიდან, ცხადია, ერთ-ერთი (ჩვეულებრივ ახალი) იჩენს უპირატეს ძალას და იმკვიდრებს ენაში ადგილს. **შობ-ს / შობ-ამ-ს** ზმნის შემთხვევაში ახალი

ფორმა ვერ იჭერს (და ვერც დაიჭერს ალბათ) ენაში უპირატეს ადგილს. პარალელურიც გამორიცხულია სამწერლობო ქართულში, რადგან ფორმებს იდენტური შინაარსი აქვს.

ცნობილი ფაქტია, თუ ფორმას აქვს შესაძლებლობა რამდენიმე მნიშვნელობის გადმოცემისა, გაჩენილ პარალელურ ფორმებზე ხდება ამ მნიშვნელობათა გადანაწილება. ასე მოხდა აწმყოს მწკრივის შემთხვევაში და მივიღეთ პარალელურ ფორმათაგან, ასე ვთქვათ, ორი მწკრივი — აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი (წერ-ს — წერ-ნ...); უწყვეტლისაგან — უწყვეტელი და I ბრძანებითი (წერ-ა / წერ-ი-ნ...); წყვეტილისაგან — წყვეტილი და II ბრძანებითი (დაწერ-ა — დაწერ-ე-ნ...) (გოგოლაშვილი, 1988).

ასე მოხდა **გორავს / გორაობს** ტიპის ზმნათა შემთხვევაში. პარალელურ ფორმებს გარკვეული შინაარსი დაუკავშირდა...

ლიტერატურა

გოგოლაშვილი, 1988 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემები, თბ., 1988.

გოგოლაშვილი, 1998 — გ. გოგოლაშვილი, თემის ნიშანი და გვარის კატეგორია: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის და თსუ ფილიალების სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1998.

ნოზაძე, 1974 — ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: იკე, XIX, თბ., 1974.

ფეიქრიშვილი, 1977 — ჟ. ფეიქრიშვილი, საშუალო გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის წარმოებისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1977, № 4.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

GIORGI GOGOLASHVILI

**Some Issues Conneted with the Thematic Markers
in Medial Voice Verbs**

Summary

The changes in the distribution of thematic markers resulted in a tendency of Modern Georgian to use the category of voice as the basis for the distribution of thematic markers. The analysis of active and passive voice verbs have proved the above-said, moreover, the tendency in question is applied to the verbs in medial voice as well, viz the thematic marker **ob** is encountered in the verbs of medial voice. Sometimes it replaces the thematic marker **eb** (ᵑrial-cb-s – ᵑrial-ob-s), or is added to the forms with the marker **av** (cur-av-ob-s). The latter is of interest, as the simple and complex forms (cur-av-s – cur-av-ob-s) reveal semantic differences.

შუშუნა ბუმბარიძე

**ინტერსუბიექტურობა, როგორც ვერბალური კომუნიკაციის
ფუნდამენტური პრინციპი**

პრაგმატიკა შეისწავლის ენის იმ განზომილებას, რომელშიც ასახულია სამეტყველო აქტის სუბიექტურობა, რაც კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განისაზღვრება როგორც ორ კომუნიკანტთა შორის (ადრესანტი-ადრესატი) მიმართებათა მთელი სისტემა. პრაგმატიკის სუბიექტურობაზე საუბრისას ვგულისხმობთ არა მარტო ადრესანტის, არამედ ადრესატის სუბიექტურობასაც. თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ვერბალური კომუნიკაციის შესწავლისას ინტერსუბიექტურობას იმდენად ცენტრალური ადგილი უჭირავს, რომ იგი შესაძლებელია ვერბალური კომუნიკაციის ფუნდამენტურ პრინციპად ჩაითვალოს.

ცნობილი ლინგვისტი გურამ ლებანიძე წერს, რომ, თუ დასაწყისში იყო კავშირი სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს უკვე მინიმუმ ორ სუბიექტს შორისაა, ე.ი. გვაქვს არა მარტო სუბიექტურობა, არამედ **ინტერსუბიექტურობა**. ეს უკვე თვისობრივი ცვლილებაა — ორი სუბიექტი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს არა მარტო მიმართება ორ სუბიექტს შორის, რომელიც აისახება გამონათქვამში, არამედ უფრო მეტიც, არის მიმართება — მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის, ასევე მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის (ლებანიძე 1998, 91). მაგრამ თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი საჭირობოროტო და საკამათო საკითხი ინფორმაციის ადეკვატურად აღქმის პრობლემაა, ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარება და ის ფაქტორებია, რომლებიც განაპირობებენ ამ პროცესის წარმატებულობა/წარუმატებლობას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერი სახის კომუნიკაცია შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: კომუნიკაციაში მინიმუმ ორი კომუნიკანტი მონაწილეობს — ინფორმაციის გამგზავნელი და ინფორმაციის მიმღები. გამგზავნელი

ქმნის ტექსტს, რომელსაც რომელიმე ენობრივი არხით იღებს მისი ადრესატი. იმ შემთხვევაში თუ ადრესატის მიერ აღქმული ინფორმაცია ტექსტში ჩადებული ინფორმაციის ადეკვატურია, კომუნიკაცია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

კომუნიკაციური პროცესის ჩატარებისათვის (ალარ ვსაუბრობთ მისი ეფექტურობის ხარისხზე), საჭიროა კომუნიკანტებს ჰქონდეთ საერთო ფონური ცოდნა სამყაროს, ენისა და ა.შ. შესახებ. როგორც ცნობილია, კომუნიკაციის უმთავრესი მიზანი ინფორმაციის გადაცემაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციურ პროცესში ჩაბმული ადრესანტი, ანუ მეტყველი სუბიექტი გადასცემს რა ტექსტს მსმენელ სუბიექტს, ანუ ადრესატს, გულისხმობს, რომ მისი გონებიდან წამოსულმა შეტყობინებამ ბინა უნდა დაიდოს მსმენელის გონებაში, რაც თავისთავად იმას ითვალისწინებს, რომ ადრესანტის ინფორმაცია გარკვეულწილად გასაგები იყოს ადრესატისათვის. სწორედ ამ დროს მყარდება კომუნიკანტთა ინტერსუბიექტურობა, რაც თავის მხრივ ორმაგი ფუნქციის მატარებელია: ჯერ ერთი, რომ თავად ინტერსუბიექტურობა წარმართავს კომუნიკაციას და, მეორე, რომ სწორედ კომუნიკაციის საშუალებით მყარდება და მიიღწევა ინტერსუბიექტურობა.

ვერბალური კომუნიკაციის ინტერსუბიექტურობაზე როგორც ვერბალური კომუნიკაციური პროცესის ფუნდამენტურ პრინციპზე საუბრისას, დებორა შიფრინს თავის წიგნში „Approaches to Discourse“ მოჰყავს ერთი ასეთი მარტივი მაგალითი: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ჩემი მეზობელი. გყავთ ძაღლი, რომელიც გამუდმებით ყეფს მთელი ღამის განმავლობაში და ძილს მიფრთხობს. მე მსურს, რომ თქვენმა ძაღლმა შეწყვიტოს ყეფა. იმისათვის, რომ ჩემი ინტენცია გადმოგცეთ თქვენ, არსებობს მთელი რიგი გზები. შემიძლია ვიყიდო საპირე და გამოგიგზავნოთ იგი ანონიმურად. შემიძლია მოგმართოთ პრეტენზიით, რომ თქვენი ძაღლი მოსვენებას არ მძღვეს მთელი ღამე, შემიძლია შეგეკითხოთ, ხომ არ იცით ვისი ძაღლი ყეფს მთელი ღამე? და ა.შ. წარმოვიდგინოთ, რომ მე პირდაპირ გზა ავირჩიე და კომუნიკაციური პროცესის მსვლელობისას პირდაპირ გითხარით: „მინდა თქვენმა ძაღლმა შეწყვიტოს ყეფა“. იმისათვის, რომ ეს ჩემი მოთხოვნა თქვენ მიერ სწორად იქნეს გაგებული, საჭიროა, რომ მე და თქვენ გვექონდეს, პირველი, საერთო ფონური ცოდნა (მაგ.; ძაღლი ყეფს, პატრონს შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება მასზე და გააკონ-

ტროლოს ძაღლის ქმედება) და, მეორე, რომ ჩვენ ვფლობდეთ საერთო ლინგვისტურ ცოდნასაც (როცა ვამბობ „მე“, ვგულისხმობ ჩემს თავს, როცა ვამბობ „შეწყვიტოს ყეფა“, ზმნა „შეწყვიტოს“ მივყავართ იმ მომენტამდე, რომ ადგილი ჰქონია ყეფის პროცესს და ა.შ.). ჩვენ შორის კომუნიკაციური პროცესი წარიმართება მაშინ, თუ ჩემ მიერ გადმოცემული ინფორმაცია გასაგები იქნება თქვენთვის. წარმოვთქვი რა ჩემი გამონათქვამი და დავეუშვათ, რომ თქვენ ის გაიგეთ, რას მივალწიე ამით მე? თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თქვენ რას მოუხერხებთ თქვენს ძაღლს ან კიდევ რას იფიქრებთ ჩემ მიერ ასეთი პირდაპირი ტაქტიკის შერჩევაზე გადმომეცა თქვენთვის ჩემი მოთხოვნა, შეიძლება ითქვას, რომ ის, რასაც მივალწიე არის ის, რომ მოვახდინე ჩემი ინტენციის ტრანსფორმაცია სხვისთვის გასაგებ ინფორმაციად. სწორედ ამ დროს ადგილი ჰქონდა ინტერსუბიექტურობას, რომელმაც კომუნიკაციური პროცესის დროს მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. (შიფრინი 1994, 457)

საერთოდ, ვსაუბრობთ რა ვერბალური კომუნიკაციის ინტერსუბიექტურობაზე, მუდამ უნდა გვახსოვდეს რა ფაქტორებია საჭირო იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ინტერსუბიექტურობის პრინციპი, რაც თავის მხრივ ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის განმსაზღვრელია.

უმთავრესი ფაქტორი ამ დროს არის ის, რომ კომუნიკაციური სიტუაცია კომუნიკანტებისათვის იდენტური უნდა იყოს და ასევე ისიც, რომ კომუნიკანტთა თეზაურუსები უნდა ემთხვეოდნენ ერთმანეთს ან მათ შორის არ უნდა იყოს პრინციპული განსხვავება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადრესანტის მიერ გამოყენებულ სიტყვებს არ უნდა ჰქონდეთ ისეთი მნიშვნელობები, რომლებიც პრინციპულად განსხვავებული იქნებიან იმ მნიშვნელობებისაგან, რასაც ადრესატი იმავე სიტყვებს ანიჭებს. სწორედ იმ მომენტს, როდესაც კომუნიკანტები საკომუნიკაციო აქტის დროს გამონათქვამის ერთნაირ ან მსგავს ინტერპრეტაციას აღწევენ, შეგვიძლია ვთქვათ ინტერსუბიექტურობა, რაც დღესდღეობით ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ლიტერატურა

ლებანიძე, 2004 — გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა 2004

ლიჩი, 1990 — Leech G. Semantics. London 1990

ლევინსონი, 1983 — Levinson St. Pragmatics London 1983

შიფრინი, 1988 — Schiffrin D. Approaches to discourse Blackwell Oxford 1988.

ZHUZHUNA GUMBARIDZE

Intersubjectivity as a Fundamental Principle of Verbal Communication

Summary

The paper deals with the issue of intersubjectivity - one of the fundamental principles of verbal communication. The double nature of intersubjectivity is stressed. On the one hand, intersubjectivity governs the process of communication and on the other hand, it is achieved in the given process.

The paper also discusses such essential notions as communicative intention and shared knowledge.

მაკა ბუტიძე

სიტყვათმეცნიერებით ნაწარმოები სახელები ვანის რაიონის ტოპონიმიაში

ვანის რაიონის ტოპონიმიაში ფართოდაა გაავრცელებული სიტყვათმეცნიერებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომლებიც ადგილს ახასიათებენ ამა თუ იმ ნიშნით. ასეთი სახის ტოპონიმები ნაკლებ ცვლილებას განიცდიან და შინაარსობრივად მეტი სიცხადე ახასიათებთ.

სიტყვათმეცნიერებითი ტოპონიმები, ჩვეულებრივ, მსაზღვრელ-საზღვრული სახელებია. ისინი მიჩნეულია სტიქიური წარმოშობისად.

საანალიზო ტიპის გეოგრაფიულ ერთეულებში სტრუქტურის თვალსაზრისით გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი:

- ა) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები
- ბ) გენეტიურმსაზღვრელიანი სახელები
- გ) სახელები ფორმაუცვლელი მსაზღვრელებით

ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები

სპეციალური ლიტერატურის თანახმად, ატრიბუტულმსაზღვრელიანი გეოგრაფიული სახელები ძველთაგანვე იყო დადასტურებული ქართულ ტოპონიმიაში, თუმცა გენეტიურმსაზღვრელიანებთან შედარებით ნაკლები რაოდენობით.

ძველ ქართულში მსაზღვრელთა ადგილის მიხედვით გამოვლენილია სამგვარი წყობა: ა) ყველა მსაზღვრელი დასმულია საზღვრულის წინ, ბ) მსაზღვრელი მოქცეულია მსაზღვრელებს შორის, გ) მსაზღვრელები მოსდევს საზღვრულს (ქანთარია, 1956, 328).

ქართველურ ენებში ატრიბუტული მსაზღვრელი გვხვდება როგორც საზღვრულის წინ, ისე — მის შემდეგაც, მაგრამ აქაც უფრო ხშირია საზღვრულის წინ მსაზღვრელის დასმის შემთხვევები.

საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაშიც ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმები გვხვდება ორივე — პრეპოზიციული და პოსტპოზიციული

რი წყობით, თუმცა აშკარა უპირატესობა პრეპოზიციას ენიჭება.

ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულია თითქმის ყველა, სახელი: ზედსართავი, რიცხვითი, არსებითი სახელები და მიმღეობა.

ატრიბუტულ მსაზღვრელად მეტწილად გვევლინება ვითარებითი ზედსართავი სახელი (იშვიათად მიმართებითი) და გამოხატავს ობიექტის სიდიდეს, მდებარეობას, ნიშან-თვისებას, დანიშნულებას:

- ა) გრძელი ყანა, დიდი ქვა, დიდი ჭალა, პატარა ღელე...
- ბ) გაღმა ტყე, დაბლა ყანა, ზედა ღურღღუმა...
- გ) ლაშე წყალი, სადაო გორი, წმინდა კვირიკე, თეთრღელე...
- დ) საქორე ტყე, სათევზე ღელე, სამშო ჭა, სასკე ტყე, საღალატო ღელე...

ატრიბუტულ მსაზღვრელებად გვხვდება აგრეთვე მიმღეობები, არსებითი და რიცხვითი სახელები:

- ა) ჩარჩამოწავალი სერი, შეტყაული ღელე, მოხატული ქვაი...
- ბ) ქვაკეჩხო, ვაკეშარა, კოდამუხა...
- გ) ორპირი, მცირე ოხტომი, ორღელე, სამპირღელე, ორტაპე...

ამ რიგის ადგილთა (მდინარეთა, მთათა, საყანეთა, საძოვართა თუ სხვ.) სახელებში მოცემულია სრულყოფილი დახასიათება მიკროტოპონიმებისა, რომელთა მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევაში ნათელია. ეს უთუოდ იმითაც აიხსნება, რომ ტოპონიმი ნაწარმოებია ორი, ზოგჯერ მეტი სრულმნიშვნელოვანი სიტყვით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვანის რაიონის ტოპონიმიაში ჭარბობს რთულფუძიან სახელთა შემადგენელი კომპონენტების პრეპოზიციული წყობა (მაგალითები იხ. ზემოთ), მაგრამ ზოგჯერ მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. მაგ.: ქვადედბერა, მთაწმინდა, ქვაწითელა...

ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში, ჩვეულებრივ, მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, თუმცა იშვიათად მაინც გვხვდება შემთხვევები, სადაც მსაზღვრელი მხოლოდითია, საზღვრული კი მრავლობითში: საერთო ნაყანები, მწარე ვენახები, ქვედა ნაკარები, დაბლა მთები, ახალი ფართები, წითელი მიწისთავები...

გენეტიურმსაზღვრელიანი სახელები

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, გენეტიურმსაზღვრელიანი სახელები საქართველოს ტოპონიმიაში ფართოდაა გავრცელებული და შესაბამისად, აღემატება კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელთა

ყველა დანარჩენ ტიპს.

საკვლევი რეგიონის მასალებშიც ყველაზე ჭარბადაა წარმოდგენილი გენეტიურმსაზღვრელიან ტოპონიმები, რაც საერთო ქართულური მოვლენა უნდა იყოს.

„ნათესაობითი ბრუნვა ყველაზე პროდუქტიულია მსაზღვრელის გადმოსაცემად. მიკროტოპონიმთა ძირითადი ფონდი მართულ-მსაზღვრელიანია“ (დლონტი, 1971, 24). აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ მართული მსაზღვრული ფონეტიკურად სახეცვლილია.

ვანის რაიონის ტოპონიმიაში გამოიყოფა შემდეგი სახის გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები:

ა) გენეტიური მსაზღვრელი მხოლოდით რიცხვშია: შტოს პირი, გველის ტყე, თეთროულის გორი, სიმონწმინდის გორი, ხერისძირის ტბა, რუბნელის გასავლელი, ნაბამბარის გორი, ღვდლის წყალი, მელოურის ტყე, მერის ხიდი, ფარსიის ნაკლევი, ტაბოურის წყარო, კოხის ღელე, თუთაშვილის წისქვილი, თამარის ციხე, ბერის ტყე...

ბ) მსაზღვრელი ებიან მრავლობითშია, საზღვრული — მხოლოდითში: ცაცხვების გორა, წერეთლების გორი, დადუნაშვილების სერი, ფხუშურების უბანი, წერეთლების ტყე, ხეცურიანების ჭა, ჭაჭანიძეების გორა, წიბიების უბანი, სვანების წყარო, ნაბოსტნების წყალი, ტურიების ადგილი, ვეზირების უბანი...

გ) მსაზღვრელი მხოლოდით რიცხვშია, საზღვრული - ებიან მრავლობითში:

ხუცის ყანები, გოგიის თხილები, გორის ხურციძეები, ფარსიის ნიგვზები, ვასილის ნასახლები, არხის წყაროები, გრიგოლის ნიგვზები, ანწლარის ყანები, თათვიძის ნაყანები, ტევრის ჭალები, ფილიპეს დაფები, ჩიჯავაძის ნაწისქვილები...

დ) მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მრავლობით რიცხვშია:

ლევანიშვილების ნაყანები, გოგაბერიშვილების ნანალიები, სვანიძეების მსხლები, ბოჭორიშვილების ტყეები...

ე) ფონეტიკურად სახეცვლილი მსაზღვრული

1) გენეტიური მსაზღვრელი კარგავს **ს** ელემენტს

ნათესაობით ბრუნვაში მსაზღვრელის ფორმანტისეული **ს** სუსტდება და იკარგება. ასეთ დროს მსაზღვრელ-საზღვრული იქცევა ერთ სიტყვად, კომპოზიტად. ამგვარი მოვლენა დამახასიათებელია ქართული ენის კილოთა უმრავლესობისათვის, მათ შორის იმერულისათვის. ამიტომაც, რომ იგი საკმაო სიხშირით იჩენს თავს ვანის რაიონის ტოპონიმიაშიც: მაგ.: ძელაგვერა, დათვიდამპალა, ნიგვიჭალა, გოგია-

პირი, კოითავი, ნეფიჯვარი, ღარიწყარო, კორთხისერი, ხეჩულილე, განიგზა, წიფლიგორი, ქვიჯვარი, ცხენიზურგი, პავლეჭირი, ბუისერი...

ქართველური ენების — ქართულის, სვანურისა და ზანურის მსალებით ირკვევა, რომ საზღვრულის წინ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის ფორმანტისეული თანხმონების ს, შ — დაკარგვა ქართველური ენების განვითარების საერთო ტენდენციას წარმოადგენს.

2) გენეტიური მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: წიფლიგორი, ხატამულა, ვარდანწყარო, მაცვალგორი, ღორვაკე, კვიწყალი, ქვაბლე, ჯამსარეცხელა, საცივწყარო...

3) გენეტიური მსაზღვარელი ნაწარმოები სახელია:

სამაჭრის წყარო, ნასარხტრის გორი, საწურბლის ჭალა, საარჩვის სერი, საშხაფის უბანი, ნაკაფის ტყე...

ზოგიერთი მსაზღვრელი, რომელიც ადამიანის საკუთარი სახელით არის გადმოცემული, დაირთავს კნინობითობის ია სუფიქსს, რომელსაც საკუთარ სახელში შეაქვს დამცირების სემანტიკური ნიუანსი. მაგ.: პეტრიას წყარო, კიმოთიას კარი, დათიას ეზო, მარკოზიას მორევი... მათიეს გორი, მოსიეს მინდორი, პეტიეს ნამოსახლი.

გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმი, როგორც წესი, ორშემადგენლიანია: ერთი კომპონენტი მსაზღვრელია, მეორე — საზღვრული, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მსაზღვრელი შედგებოდეს ერთზე მეტი სიტყვისაგან. მართალია, ამგვარი ფორმები ნაკლებ გავრცელებულია, მაგრამ საკლებ რეგიონში რამდენიმე ნიმუშით მაინც დადასტურდა:

ა) საზღვრულს ახლავს ნათესაობით ბრუნვაში დასმული ორი მსაზღვრელი: ძულუხისპირის უბანი, კოდისფეხის წყარო, თამარის წყაროს ვაკე, სერისძირის წყალი, ჯორისფეხის ნაკრაგი, ღარისწყალის უბანი, ბოგირისთავის წისქვილი...

ბ) მსაზღვრელი კომპოზიტიის პირველი ნაწილი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: კორწყალის შერთული, თეთრლეღეს წყარო, ორლეღეს შესართავი, ორწყალეს მორევი...

სახელები ფორმაუცვლელი მსაზღვრელებით

ფორმაუცვლელ მსაზღვრელებად, ჩვეულებრივ, ადგილის ზმნიზედება, რომელიც აზუსტებენ ამა თუ იმ პუნქტის ადგილმდებარეობას. როგორც თ. ზურაბიშვილი აღნიშნავს, „ეს დაზუსტება შემდეგი დროის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ნიშანთა მსგავსების გამო გაჩნდა რამდენიმე ერთნაირი სახელწოდება ან ერთი სახელწოდების

პუნქტი გაიზარდა ტერიტორიულად, დაიწყო და წარმოიშვა ამ ადგილთა გარევის ბუნებრივი აუცილებლობა (ზურაბიშვილი, 1961, 156).

ფ. მაკალათიას აზრით, „ფორმაუცვლელი სახელების მსაზღვრელად გამოიყენება შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ისინი ზედსართავის როლში გამოდიან. ზოგ შემთხვევაში სავარაუდოა მათი გაზედსართავება; უფრო სწორად, გასუბსტანტივება ა ფორმანტით არის გამოხატული“ (მაკალათია, 1976, 77).

ვანის რაიონის ტოპონიმიაში ფორმაუცვლელ მსაზღვრელებად ძირითადად გვევლინება ზმნიზედები: შუა, გაღმა, უკან, ზევით და ა. შ. რომლებიც ზოგ შემთხვევაში ფონეტიკურად სახეცვლილია. მაგალითად: შუამთა, შუასერი, შუაქედი, გაღმა ტობანიერი, გაღმა სალხინო... ზევაკე, ზეთყანა, ზეით ეზო, ზედვაკე...

საგულისხმოა, რომ ჩვენი მასალების მიხედვით ამ ტიპის ტოპონიმებში მსაზღვრელად გამოყენებული ფორმაუცვლელი სიტყვა ყოველთვის უსწრებს საზღვრულს.

ლიტერატურა

ზურაბიშვილი, 1961 — თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961.

მაკალათია, 1976 — ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმისა, ტოპონიმისა I, თბ., 1976.

ქანთარია, 1956 — ლ. ქანთარია, მსაზღვრელის ადგილი რამდენიმე მსაზღვრელიან წინადადებაში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ღლონტი, 1971 — ალ. ღლონტი, ტოპონიმისა ძიებანი, I, თბ., 1971.

MAKA GUTIDZE

The Names Formed by Compounding in Vani Region Toponymy

Summary

In Vani region the place names formed by compounding characterize places by specific features. The following structural types of Vani placenames have been singled out:

1. names with attributive modifiers. Both prepositional and postpositional orders are evidenced, however the former is more frequent. Almost all names are used attributively - nouns, adjectives, numerals, participles.
2. Names with the modifier in the Genitive case. It is the most widely used pattern and is considered to be a Common Kartvelian phenomenon.
3. Names with formally unchangeable modifiers. The modifiers are mainly adverbs of place.

ლალი თაგაძე

ტემპორალური მსაზღვრელები, წყობა და ლერძი.

არსებული პრობლემის კვლევამდე, სწორი იქნება წინასწარი შენიშვნები გაკეთდეს გარემოებითი, ნომინალური და დამოკიდებული წინადადებების ტემპორალურ გამოთქმათა თაობაზე, რადგან საჭიროა შევისწავლოთ მათი დროსთან კავშირი. ამ საკითხთან დაკავშირებით 1966 წელს კრისტალმა მნიშვნელოვანი იდეები შემოიტანა. სწორედ მის ტერმინოლოგიას სესხულობს ბრაითი და ამ გამოთქმებს ტემპორალურ მსაზღვრელებად მოიხსენიებს (**Temporal Specifiers**). ამ ტერმინმა, რა თქმა უნდა, არ უნდა გამოიწვიოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ისინი კონკრეტულ და არაკონკრეტულ (**specific/non-specific**) მსაზღვრელებად მიიჩნევიან: **at 10:32 am. On 14 May 1969** და **once upon a time**, ორივე გამონათქვამი ფუნქციონირებს, როგორც ტემპორალური მსაზღვრელი (ბრაითი, 1969). განიხილეთ მსაზღვრელთა სამი ძირითადი ტიპი: მსაზღვრელები, რომლებიც მიუთითებენ ხანგრძლივობას, კონკრეტულ წერტილსა და რიგობრივ მსაზღვრელებს (**Length, Point and Ordinal Specifiers**). პირველი ტერმინი აღნიშნავს პროცესის (მოქმედების) ხანგრძლივობას. ხანგრძლივობა შესაძლოა პირდაპირ იყოს მოცემული, მაგალითად: **(for) three hours, (for) a short while, throughout the meeting, all morning**; ან კიდევ, შესაძლებელია მიუთითებელი გვქონდეს პროცესის მიერ დაკავებული პერიოდის ზღვარი: **from noon to midnight, since 3 o'clock**.

კონკრეტული წერტილის მსაზღვრელებისათვის პროცესის (მოქმედების) დროში ლოკაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ხანგრძლივობა. თუ წინადადება გამოხატავს განმეორებით მოქმედებას, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, თუ რას მიუთითებს მსაზღვრელი, მთლიან პროცესს თუ ინდივიდუალურ პროცესს, მაგალითად:

Last term we had a seminar every Tuesday.

Last term — მთლიანობას მიუთითებს, ხოლო **every Tuesday** კი

ცალკეულობას. მათ შესაბამისად შემდეგი ტერმინებით მოიხსენიებენ: მთლიანობისა და ცალკეულობის მაკონკრეტებელი წერტილები (**Unary point specifiers and Individuating point specifiers**) (ბრაითი, 1969).

რიგობითი მსაზღვრელებისათვის დამახასიათებელია ისეთი გამოთქმები, როგორცაა **for the second time, again** და ა.შ. შემდეგ წინადადებებში დაპირისპირებას ვაწყდებით, მაგალითად:

Yesterday I saw him for the second time,

Yesterday I saw him twice.

პირველი წინადადება ნახვის ერთ მოქმედებას გულისხმობს, მეორეში კი ეს მოქმედება ორჯერ ხდება.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

Yesterday he worked in the garden for ten hours.

მიუხედავად იმისა, რომ **yesterday** პერიოდის უფრო დიდ მონაკვეთს გულისხმობს, ვიდრე **for ten hours**, რა თქმა უნდა, სწორედ მეორე გამოხატავს ხანგრძლივობას. კონკრეტული წერტილის მსაზღვრელი (**point specifier**) ჩვეულებრივ არ მიუთითებს იმ პერიოდს, რომელიც პროცესის მიერ დაკავებულ დროს ემთხვევა. ის ჩვეულებრივ უფრო დიდ მონაკვეთს გულისხმობს, როგორც ეს წინა წინადადებაში გვექონდა ნაჩვენები. ან კიდევ:

He died in 1958.

თუ პერიოდი უფრო მცირეა, ის იმ დროის აღმნიშვნელად მიიჩნევა, როდესაც თვითონ პროცესი დაიწყო (ალენი, 1966, 185).

ზემოთ აღნიშნულ წინადადებაში (**yesterday he worked ...**) გამოყენებული მსაზღვრელები ავსებენ ერთმანეთს. კომბინაცია უფრო კონკრეტულია, მაგრამ შემდეგ წინადადებაში საპირისპირო შემთხვევას ვაწყდებით, მაგალითად:

Yesterday he flew to Washington for ten days.

აქ, **for ten days** იმ უფრო ვიწრო პერიოდს არ აღნიშნავს, რომელიც შესაძლებელია **yesterday**-ში იგულისხმებოდეს. ეს მსაზღვრელები, შეიძლება ითქვას, არაშეთავსებადია, რადგან შეუძლებელია, რომ ისინი ერთსა და იმავე პროცესს მიუთითებდნენ და რა თქმა უნდა **yesterday** სემანტიკურად ფრენას უკავშირდება, მაშინ, როდესაც **for ten days**, შესაბამისად ვაშინგტონში გაჩერების პერიოდს აკონკრეტებს. განხილული წინადადებების ღრმა სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავებულია (ბრაითი, 1969).

თუმცა, ორიენტაციის ღერძი ყოველთვის სამეტყველო აქტს არ

ემთხვევა. ის შეიძლება დადგინდეს პროცესზე (მოქმედებაზე) მითითებით. ასეთ შემთხვევებში დრო არ იქნება დეიქსური, მაგალითად:

I intended to do it yesterday.

აქ, **yesterday** განსაზღვრავს ზმნა **do**-ს და არა **intend**-ს. დრო მთავალს გულისხმობს — საუბრის მომენტთან მიმართებით კი არა, არამედ განზრახვის, დაპირების დროსთან მიმართებით. აქედან გამომდინარე მას განვიხილავთ, როგორც მყოფად წარსულში.

დროის მაკონტროლებელი სიტყვები დროის პერიოდს სხვადასხვაგვარად მიუთითებენ:

- a) სამეტყველო აქტის დროზე მითითებით: **now, today, tomorrow, last week, three days ago, at the present time, at the moment**, და ა.შ.
- b) ტექსტში დადგენილ დროზე მითითებით (ე.წ. ანაფორის საშუალებით): **then, at that time, (the) next day, the following day, the day before, shortly afterwards, some time later** და ა.შ.
- c) რომელიმე ღერძზე მითითებით, რომელიც დამოკიდებული არაა სამეტყველო აქტსა და ტექსტის სხვა ნაწილებზე: **in 1640, toward the end of World War II, in the middle of John's inaugural lecture** და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ **a** და **b** ტიპები შეიცავენ დეიქსისს; პირველი — ტემპორალურ დეიქსისს, ხოლო მეორე კი ტექსტობრივ დეიქსისს (ბრაითი, 1969). აღსანიშნავია, რომ **a** და **b** ტიპები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, მაგალითად: **this** — ისეთ გამონათქვამში, როგორცაა **at this moment/time**, ადვილი შესაძლებელია ანაფორული თვალსაზრისით იყოს გამოყენებული, და ამდენად **b** ტიპად მივიჩნიოთ; ან კიდევ, შესაძლებელია ის სამეტყველო აქტის დროსთან სიახლოვეს აღნიშნავდეს; აქედან გამომდინარე კი მას **a** ტიპს მივაკუთვნებთ. ისეთ გამონათქვამებში, როგორცაა **in a few days**, ღერძი შემდეგნაირად განისაზღვრება: თუ ის გულისხმობს „**from then**“ — **b** ტიპში მოთავსდება, ხოლო თუკი მისი პრესუპოზიცია იქნება „**from now**“ — მას **a** ტიპში მოვთავსებთ (ბრაითი, 1969). დროის მაკონკრეტებელი ზოგიერთი სიტყვა ხშირად ციკლური სახის დროის პერიოდის აღსანიშნავად გამოიყენება — **at 6 o'clock, on 14 January, at the week-end** და ა.შ. მათი მიკუთვნება შეიძლება **a**, **b** და **c** ტიპებისათვის, იმის მიხედვით, თუ დროის რა პერიოდი იგულისხმება, მაგალითად:

- 1) **I finished at 4 o'clock (this afternoon, type a)**
- 2) **– Are you coming to London next Tuesday?**

– Yes, I'll arrive at 4 o'clock (type b)

3) Queen Victoria died at 4 o'clock too (აქ პერიოდზე არანაირი მითითება არაა, ამიტომ მას c ტიპს მივაკუთვნებთ).

ასეთი სახის ციკლურ გამოთქმებს, შესაძლოა ახლდეს სტრუქტურული მარკერები, რომლებიც გვიჩვენებენ რომელ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი, მაგალითად, კვირის დღეებთან დაკავშირებით: **on the Tuesday** — მხოლოდ და მხოლოდ **b** ტიპს წარმოადგენს, **on a Tuesday** — c ტიპს, ხოლო **on Tuesday**, ჩვეულებრივ **a** ტიპად იქნება მიჩნეული.

დეიქსური გამონათქვამები, **a** ტიპი, ჩვეულებრივ მიუთითებენ წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამგვარად:

Yesterday, last ..., ... ago — წარსულს აღნიშნავს;

Tomorrow, next ..., in ... — მომავალია;

Now, nowadays, today — ახლანდელს მიუთითებს. მაგალითად:

"He refused to allow me to call the prison doctor. He had taken all the tablets I bought him yesterday. He said he took them because he was bored." (K.A.P.)

"The presence of death in the room makes her bold. Today I found Eugenio going into a stupor". (K. A. P.)

"I'll tell Morgan now", said the carpenter's wife out of the hammering, sawing darkness of the shop". (D. Th.)

"Next morning the children made a celebration and spent their playtime writing on the blackboard . (K. A. P.)".

წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთდამოკიდებულება უფრო კომპლექსურია, მაგალითად: **this morning** შესაძლოა აღნიშნავდეს წარსულს ან ახლანდელს, მაგრამ არა მომავალს (იმდენად, რამდენადაც ის მიუთითებს დღის (**today**) პირველ ნაწილს; **this evening** (ასევე **tonight**) აწმყო ან მომავალია, ის ნაკლებად მიიჩნევა წარსულად (საპირისპირო მიზეზის გამო); **this Tuesday** — შესაძლებელია წარსულს ან მომავალს აღნიშნავდეს, იშვიათად ახლანდელს (ახლანდელისათვის **today** იქნებოდა გამოყენებული); ხოლო ასეთი გამონათქვამები **this afternoon/spring**, და ა.შ. შეიძლება წარსულს, ახლანდელსა და მომავალსაც კი მიუთითებდეს, მაგალითად:

„Why don't you come to poker on this Friday night? We got a nice game going. Don't deprive yourself of a good form of relaxation“ (B. M.)

ამ საკითხებიდან გამომდინარე ვუახლოვდებით დეიქსური მსაზღვრელებისა და (ღრმა) გრამატიკული დროების ურთიერთდამო-

კიდებულებასა და თანადროულობას. დებულება მათი ურთიერთკავშირისა და ერთდროულობის შესახებ ხუთი ფაქტორით განისაზღვრება:

a) „ისტორიულად ახლანდელ“ დროში დეიქსურად ახლანდელი დრო გამოიყენება იმ პროცესის აღსანიშნავად, რომელიც წარსულში მოხდა, მაგრამ ასეთი გადანაცვლება არანაირ ეფექტს არ ახდენს ტემპორალურ მსაზღვრელებზე:

Yesterday he comes to see me and ...

b) დეიქსური მსაზღვრელი **today** ანალოგიურობას ამჟღავნებს ისტორიულ ახლანდელთან წარსული დროის აღნიშვნისას:

Today was his birthday.

როგორც ისტორიულ ახლანდელში, მიზანი ის არის, რომ საუბრის მომენტი წარსულის იმ მომენტთან გაიგივდეს, რომელზეც პიროვნება ლაპარაკობს, მაგრამ როგორც ბოლო ორი მაგალითიდან ჩანს, დრო და მსაზღვრელები შეიძლება დამოუკიდებლად განვიხილოთ.

c) ყველა შეზღუდვის ახსნა მსაზღვრელებსა და დროს შორის ტემპორალური უთანხმოებით არ მოხერხდება. კერძოდ, ჩვენ გვესაჭიროება კონკრეტული წესი, რომელიც შემდეგი წინადადებიდან გამორიცხავს წარსული დროის მსაზღვრელებს: (და არა დეიქსურ ახლანდელს — have)

I have seen him last week.

აქ შეზღუდვა აბსოლუტური არ არის, მაგრამ იმ შემთხვევებს აღნიშნავს, სადაც მსაზღვრელი და წარსული დროის ზმნა ერთსა და იმავე ტონურ ჯგუფში თავსდება.

d) როგორც ადრე აღვნიშნეთ, მსაზღვრელებმა შეიძლება მიუთითონ დროის იმ პერიოდს, რომელიც მოქმედებით გამოხატულ პერიოდზე გრძელდება. თუმცა ახლანდელი დროის მსაზღვრელი არ გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული პროცესი ახლანდელია:

He died this year.

Do it now.

„I'm seventy-six years old. I have come twelve kilometers now and I think now I can go no further“ (E. H.).

პირველ წინადადებაში, **this year** გულისხმობს და მოიცავს როგორც გარდაცვალებას, ისე საუბრის დროს, მაგრამ ეს ორი დრო არ ემთხვევა ერთმანეთს. ასევე მეორე წინადადებაში, **now** საკმაოდ

გრძელ პერიოდს გულისხმობს, რომ მოიცავს როგორც საუბრის, ასევე შესრულების (მომავალი) დრო. ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, არანაირ ზეგავლენას არ ახდენს წარსული და მომავალი დროის მსაზღვრელების გამოყენებაზე. აქედან გამომდინარე, არანაირი სხვაობა არ ჩანს იმაში, მსაზღვრელით მითითებული პერიოდი ემთხვევა თუ არა იმ პერიოდს, რომელსაც მოქმედება, პროცესი იკავებს — ეს უკანასკნელი, შესაბამისად, ან წარსული იქნება ან მომავალი. აღსანიშნავია, რომ ახლანდელი დროის ყველა მსაზღვრელი ვერ დაუკავშირდება წარსულ ან მომავალ დროს. ასე რომ, ისეთი გამოთქმები, როგორიცაა **these days, nowadays** და ა.შ. მხოლოდ დეიქსურ ახლანდელთან გამოიყენება. მათი შემცველი წინადადება ურთიერთდაკავშირებულ პროცესს ან მნიშვნელოვან, შესაბამის ხანგრძლივობას უნდა გამოხატავდეს, მაგალითად:

I live (lived/will live) in London nowadays.

ასევე, სხვადასხვა მიზეზების გამო, ისეთი მსაზღვრელი, როგორიცაა **at that moment**, აშკარად მოითხოვს დეიქსურად ახლანდელ დროს:

I saw him at the moment.

Stand up at the moment.

აქ **at** — გადამწყვეტი მნიშვნელობისაა; ისეთ მსაზღვრელებთან, როგორებიცაა **this instant/minute**, პროცესი უფრო ხშირად (თუ ყოველთვის არა), უახლოესი წარსული ან უახლოესი მომავალია ვიდრე ახლანდელი.

ე) დეიქსური მსაზღვრელები შეიძლება არადეიქსური დროის მქონე ზმნებს დაუკავშირდნენ. მაშასადამე, თუმცა წარსული დროის მსაზღვრელი ვერ იქნება გამოყენებული მყოფად (აწმყოში) დროში, ის შეიძლება გამოვიყენოთ მყოფად-ნამყო დროში, მაგალითად:

He intended doing it yesterday.

მყოფადი დროის მსაზღვრელი შეიძლება გამოყენებული იქნეს ასევე არა დეიქსურად წარსულ დროში, არამედ ნამყო-მყოფად დროში, მაგალითად:

Come and see us after you get back tomorrow.

ბოლო ორი მაგალითი განსხვავდება ერთმანეთისაგან; მომავლის მსაზღვრელი ნამყო-მყოფად დროში საკმაოდ იშვიათია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დროის დამოკიდებულ წინადადებებს. ეს იმით აიხსნება, რომ ნამყო-მყოფადი დროის უმეტესი ნაწილი მყოფადს **have** ზმნას უკავშირებს და მსაზღვრელიც **have**-ის მყოფად დროს

ეკუთვნის ვიდრე ნამყოს, მაგალითად:

You had better not tell him that you were with me now.

He will have it finished tomorrow.

აქ **tomorrow** აკონკრეტებს **have** ზმნას; ჩვენი მიზანი რომ ყოფილიყო მის მიერ ზმნა **finish**-ის დაკონკრეტება, მაშინ გამოვტოვებდით **have**-ს და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, **finish** წარსულ დროში აღარ იქნებოდა.

აწმყო დროის მსაზღვრელები შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ ნამყო დროსთან მყოფადის შესაბამისად, და მყოფადთან ნამყო დროის შესაბამისად:

He intended to be here at this moment.

მაგრამ ისინი ნაკლებად გამოიყენებიან დროის დამოკიდებულ წინადადებებში, მაგალითად:

Bill will leave after John arrives.

Bill left before John arrived.

აქ ვერ მოხერხდება ზმნა **arrive**-ის მსაზღვრელად **now**-ს გამოყენება.

მაშასადამე, ჩვენ შევხვდებით დროის კატეგორიის დეიქსისთან კავშირს და წარსული, ახლანდელი და მომავალი დროები ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ. ყურადღება გავამახვილოთ დეიქსურ ზმნიშედებებზე, რომლებიც ყველა ენაში მოგვეპოვება და, რომელთა საშუალებით ხდება ამა თუ იმ მოქმედების დაკონკრეტება და მათთვის დეიქსური ფუნქციის მინიჭება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს კონტექსტის ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა: სად და როდის წარმოითქვა გამონათქვამი და ვის მიერ. ეს ის სამი განზომილებაა, რომელიც ყველა ლინგვისტური მოვლენის ე.წ. დეიქსურ ცენტრალაა მიჩნეული.

ლიტერატურა

კრისტალი, 1966 — Crystal, D. 1966. Specification and English tenses. *Journal of Linguistics* 2.1-34.

ჰადლსონი, 1969 — Huddleston, R. D. 1969. Predicative complement construction in English. (To appear in *Lingua* 23).

LALI TAVADZE

Temporal Specifiers, Order and Axis

Summary

The paper discusses some issues connected with the notion of time diexis, viz. interconnection and simultaneity between deictic specifiers and grammatical tenses are investigated. The role of deictic adverbs in specifying the types of action is also stressed.

For stating the deictic centre the role of context is regarded as essential.

რუსულან თუთხაერიძე

ორი დამდებითი ბაზისური ემოციის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში
(Joy/სიხარული, Happiness/ბედნიერება)

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ემოციათა პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ იგი გადაიქცა ინტერდისციპლინალური კვლევის საგნად. ემოციების შესწავლისადმი ინტერესს იჩენს ევოლუციური და მოლეკულური ბიოლოგია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ენათმეცნიერება, კოგნიტოლოგია. თითოეული აღნიშნული დარგი თავისებურად ცდილობს ემოციათა ძირეული თეორიის შექმნას. სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ემოციათა შესწავლა კომპლექსურ მიდგომას, სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს.

არსებობს თუ არა ისეთი ემოციები, რომლებიც საერთოა სამყაროს ყველა მოდელისათვის? წარმოადგენენ თუ არა ისინი თანდაყოლილ ფენომენს თუ შესაძლებელია მათი შექმნა? ეს ის საკითხებია, რომლებიც ლინგვისტთა, ფსიქოლოგთა, ეთნოლოგთა ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ვეუბიცკას თვალსაზრისით, ცალკეული ენის ლექსიკონში არსებული ემოციათა აღმნიშვნელი სიტყვები მნიშვნელოვნად ასახავენ ენის მატარებლის კულტურულ თავისებურებებს (ვეუბიცკა, 1992).

როგორც ცნობილია, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხი მრავალი საუკუნის მანძილზე მეცნიერთა შესწავლის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „ენა არის არა მხოლოდ ეროვნული კულტურის შედეგი, არამედ მისი განვითარების, წინსვლის უპირველესი საშუალება. ენა განხილული უნდა იქნეს, როგორც კულტურის წარმომქმნელი ძალა, რამეთუ სწორედ ენაა აუცილებელი პირობა ადამიანის კულტურის შემოქმედებაში“ (ჯორბენაძე, 1997).

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის აზრით, ყოველი კონკრეტული ენა ერთი და იმავე საგნის სხვადასხვანაირი აღნიშვნა კი არ არის, არამედ განსხვავებული ხედვაა. ჰუმბოლდტის კონცეფციამ იმის შესახებ, რომ 1) ენა არის მსოფლხედვა; 2) ენა არის ერის უშუალო გამოხატულება; 3) ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლხედვის შექმნა — ბიძგი მისცა ენის კვლევას მის აზროვნებასთან, ცნობიერებასთან, კულტურასთან მიმართებაში (ჰუმბოლდტი, 1903).

როგორც ცნობილია, ენის სემანტიკური სისტემა ერთი მხრივ, ეფუძნება ანთროპოცენტრიზმის პრინციპს, კერძოდ: გარე სამყაროში არსებულ საგანთა აღსაწერად ენა ათვლის წერტილად იყენებს ადამიანს, ანუ გარე სამყაროს მოვლენათა და ობიექტთა ყველა ენობრივი კატეგორიზაცია ორიენტირებულია ადამიანზე. მეორე მხრივ, ის ეთნოცენტრულია. ენაში აისახება სამყაროს ეთნოსისეული ინტერპრეტაცია, კონცეპტუალიზაცია (ვეჟბიკა, 1992). შეუძლებელია რომელიმე ერთ ცალკეულ ენაზე სამყარო აღწერო ისე, როგორც ის სინამდვილეშია, ვინაიდან ყოველი ენა გვთავაზობს სამყაროს აღწერის განსხვავებულ სურათს.

ენები, იმის გამო, რომ სამყაროს თავისებურ ხედვას ასახავენ, შეიძლება განსხვავდებოდნენ ისეთი აბსტრაქტული ცნებების ინტერპრეტაციის ხარისხითაც, როგორცაა კაუზაცია, აგენტობა, ემოციური სფერო. ემოციები შეიძლება წარმოადგენდნენ კულტურისათვის სპეციფიკურ ფენომენს. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს დ. გერცი „არა მარტო იდეები, არამედ ემოციებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ კულტურის არტეფაქტებს“. ემოციათა გამომხატველი სიტყვები ისეთივე სპეციფიკურია ენისთვის, როგორც რიტუალების, ჩვევების აღნიშვნელი ლექსიკა (ვეჟბიკა, 1992).

ა. ვეჟბიკა ემოციათა შესწავლას ეთნოცენტრული და უნივერსალური კუთხით წარმართავს. ერთი მხრივ, იგი თვლის, რომ ვინაიდან ყოველი ენა თავის „სემანტიკურ სამყაროს“ ქმნის, ემოციათა გამომხატველ ცნებათა მნიშვნელობაც ორ განსხვავებულ კულტურაში არაიდენტური იქნება. მეორე მხრივ, იგი აღიარებს კულტურისათვის სპეციფიკურ ცნებათა ახსნის შესაძლებლობას უნივერსალური სემანტიკური საწყისების ენაზე.

გ. შახოვსკი აღნიშნავს, რომ ადამიანი და მისი ემოციები, ერთი მხრივ წარმოადგენენ თვით ობიექტური სინამდვილის ნაწილს, მეორე მხრივ, ისინი მონაწილეობენ სამყაროს ენობრივი სურათის შექმნაში:

ადამიანი, როგორც აქტიური ამსახველი სუბიექტი, ენა, როგორც ასახვის საშუალება, ადამიანის ემოციები-ობიექტური სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ფორმა (შახოვსკი, 1987).

ადამიანი არა მხოლოდ აქტიურად იმეცნებს გარე სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, არამედ ავლენს კიდევ გარკვეულ დამოკიდებლობას მათ მიმართ. ზოგიერთი მოვლენა მას აღელვებს, სხვების მიმართ კი გულგრილია. გარე სამყაროს საგნები და მოვლენები ადამიანში აღძრავენ სიამოვნების თუ უსიამოვნების, სიხარულის თუ მწუხარების განცდებს.

ემოცია ფსიქოლოგიური კატეგორიაა, მაგრამ რადგანაც მისი გამოხატვა ხდება ენის საშუალებით, ის ტრანსფორმირდება ენაში. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს მ. მაკოვსკი: „ადამიანი სიტყვების საშუალებით ახდენს ემოციებზე წარმოდგენის რეპროდუცირებას“. ენა, ერთი მხრივ, გამოხატავს ადამიანის ემოციურ მდგომარეობას, მეორე მხრივ, იგი ახდენს მის ნომინაციას. ემოტიურობა ენის ისეთი თვისებაა, რომლის საშუალებითაც გამოიხატება ემოციური განცდები ენაში. ემოტივი არის ენობრივი ერთეული, რომლის სემანტიკურ სტრუქტურაში სემანტიკური ნიშნების, სემების სახით გადმოცემულია ემოციური წილი.

ცალკეული ენობრივი კოლექტივის ემოციური ლექსიკის ტიპოლოგია ასეთია: ლექსიკა, რომელიც ახდენს ემოციათა ნომინაციას და ლექსიკა, რომელიც გამოხატავს ემოციას. წინამდებარე სტატიაში განალიზებულია ორი დადებითი ბაზისური ემოციის ნომინაციის ზოგიერთი ასპექტი ინგლისურ და ქართულ ენებში.

სპეციალურ ლიტერატურაში ემოციებზე არსებული სხვადასხვა კლასიფიკაციიდან ინტერესს იწვევს ბაზისური ემოციის ცნება. აღნიშნული ემოცია თანდაყოლილი, უნივერსალურია და საერთოა სამყაროს ყველა მოდელისათვის. ბაზისური ემოციების დასადგენად ფსიქოლოგები სხვადასხვა კრიტერიუმებს გვთავაზობენ. კ. იზარდი თვლის, რომ ბაზისური ემოციებს:

- 1) აქვთ გამოკვეთილი და სპეციფიკური ნერვული სუბსტრატები;
- 2) ვლინდებიან სახის მოძრაობის (მიმიკის) გამომხატველობითი და სპეციფიკური კონფიგურაციის საშუალებით;
- 3) თან ახლავთ ადამიანის მიერ გააზრებული გამოკვეთილი და სპეციფიკური განცდა;
- 4) გაჩნდნენ ევოლუციურ-ბიოლოგიურ პროცესთა შედეგად;

5) ახდენენ მათგან იზიარებელ და მოტივირებელ გავლენას ადამიანზე.

რ. პლუტჩიკი ბაზისური ემოციის დადგენისათვის ათ ძირითად პოსტულატს გვთავაზობს. მათგან მოვიყვანო რამდენიმეს (დანარჩენი იზარდის კრიტერიუმებს ემთხვევა):

1) არსებობს ბაზისურ, პირველად ან პროტოტიპულ ემოციათა მცირე ჯგუფი;

2) პირველადი ემოციები ჰიპოტეტური კონსტრუქტებია;

3) პირველადი ემოციების კონცეპტუალიზაცია შესაძლებელია პოლარული ოპოზიციის წყვილების საშუალებით.

გამომდინარე იქედან, რომ ბაზისურ ემოციათა რაოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა ფსიქოლოგის კლასიფიკაციაში, მოხდა აღნიშნულ ემოციათა შედარება-შეჯერების საფუძველზე ყველაზე ხშირად განმეორებადი ემოციების გამოყოფა. დადგინდა, რომ ფსიქოლოგთა უმრავლესობა, ემოცია **fear**-ს (შეშინება) მიიჩნევს ბაზისურად, შვიდი მკვლევარი—**anger**-ს (ბრაზი), ხუთი—ემოციებს **joy** (სიხარული), **sadness** (სევდა), **disgust** (ზიზღი), სამი კი—**happiness** (ბედნიერება). კვლევის მიზანია იმის დადგენა: 1) თუ რამდენად შეესაბამება ბაზისური ემოციების ენობრივი ნომინაცია ინგლისურ და ქართულ ენებში მათ ფსიქოლოგიურ დახასიათებას; 2) ფარავნად თუ არა სემანტიკურად ერთმანეთს ბაზისური ემოციების აღმნიშვნელი ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში ბაზისურ ემოციათა კვლევა შემდეგ პრინციპზეა დაფუძნებული: 1) ემოციათა ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური დახასიათება; 2) ენობრივი დეფინიცია; 3) ემოციათა ცნებების განხილვა ფრაზეოლოგიაში; 4) ემოციათა კონტექსტუალური ანალიზი.

ამჯერად, განვიხილავ დადებით ემოციებს — **joy/სიხარული** და **happiness/ ბედნიერება**.

joy/სიხარული ფსიქოლოგთა განმარტებით სიხარული არის სასიამოვნო შეგრძნებათა და განცდათა ემოცია, რომელსაც სხვა ბაზისური ემოციის მსგავსად უნივერსალური მახასიათებლები გააჩნია. სიხარული ერთ-ერთი უმარტივესი ემოციაა მიმიკური გამოხატულების თვალსაზრისით. ღიმილი ჩნდება კუნთის მხოლოდ ერთი წყვილის — ღაწვის შეკუმშვის შედეგად. კუნთთა შეკუმშვისას პირის კუთხეები ოდნავ არის ზემოთ აწეული. სიხარული გამოიხატება ღიმილითა და სიცილით. დღესდღეობით შესწავლილია მხოლოდ რამდენიმე

მე ფიზიოლოგიური ცვლილება, რომელიც თან ახლავს აღნიშნულ ემოციას. სიხარული განიცდება როგორც სასიამოვნო, სასურველი, სასარგებლო, უდავოდ პოზიტიური გრძნობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ფსიქოლოგიური კომფორტისა და კეთილდღეობის გრძნობა (იზარდი, 2000). ის ადამიანს განსაკუთრებული სიმძაფრით შეაგრძნობინებს მის ერთიანობას სამყაროსთან, დაანახევებს სამყაროს ჰარმონიასა და სილამაზეს, აღაქმევინებს ხალხს მათ საუკეთესო გამოვლინებებში. სიხარული ეს არის არა მარტო პოზიტიური დამოკიდებულება სამყაროსა და საკუთარი თავისადმი, ეს თავისებური კავშირია ადამიანსა და სამყაროს შორის [იზარდი, 2000].

როგორც ცნობილია, სიხარულს ხშირად თან ახლავს ენერჯისა და სიძლიერის შეგრძნება. ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ეს შეგრძნება წარმოადგენს დასახელებული ემოციის არსებით ნაწილს. სასიხარულო ექსტაზის მდგომარეობაში ადამიანი გრძნობს არაჩვეულებრივ სიმსუბუქეს, ენერჯიულობას, უჩნდება ფრენის სურვილი.

სიხარული ჩნდება სპონტანურად, როდესაც ადამიანი აღწევს გარკვეულ მიზანს, მისთვის მნიშვნელოვან შედეგს. ადამიანს არ ძალუძს მისი გამოწვევა გაცნობიერებული მცდელობით, მაგრამ მან შეიძლება დაისახოს ისეთი მიზნები, რომელთა მიღწევაც მას სიხარულს მოუტანს.

ლ. შუტცის განმარტებით „სიხარული ეს არის ისეთი გრძნობა, რომელიც უჩნდება ადამიანს თავისი შესაძლებლობების რეალიზაციის გაცნობიერების შედეგად (იზარდი, 1992).

სიხარულის ემოცია ურთიერთმოქმედებს სხვა ემოციებთან, პერცეპტუალურ-კოგნიტურ პროცესებსა და ქცევასთან. იგი ხშირად შედის ინტერაქციაში ისეთ ემოციებთან, როგორცაა: სირცხვილი, სიძულველი.

ამკარაა სიხარულის ემოციის ურთიერთქმედება პერცეპტუალურ პროცესებთან. ადამიანი სამყაროს „მხიარულ ფერებში აღიქვამს“. სიხარული მიერ გამოწვეული ცვლილებები პერცეპტუალურ სისტემაში, ადამიანს ანიჭებს დარწმუნებულობის, მომთმენობისა და დიდსულოვნების გრძნობას. არანაკლებ სასიკეთო გავლენას ახდენს სიხარული კოგნიტურ პროცესებზე, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ემოცია შეიძლება გახდეს აზროვნების პროდუქტიულობის შემცირების ერთადერთი მიზეზი. თუ ადამიანს წინაშე მდგარი პრობლემა

მოითხოვს ძალისხმევას და აუცილებელ გადაწყვეტას, სიხარულის დროს ადამიანმა შეიძლება იგი დროებით დაივიწყოს და გადაუჭრელი დატოვოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ინტერაქცია „სიხარული-კოგნიტიური პროცესები“ შეიძლება პარადოქსული ხასიათის მატარებელიც იყოს.

კ. იზარდის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა სიხარულის გამომწვევი შემდეგი სიტუაციები: ა) სიტუაცია, რომელშიც ბედნიერებას ანიჭებთ საყვარელ ადამიანს; ბ) როდესაც ხედავთ, რომ საყვარელი ადამიანი ცდილობს შეგიქმნათ სასიამოვნო გარემო; გ) როდესაც საყვარელი ადამიანი იზიარებს თქვენს განცდებს.

სიხარულის ემოციის ფსიქოლოგიური დახასიათების შემდეგ განვიხილავ აღნიშნულ ემოციური ცნების სახელდების სპეციფიკას ინგლისურსა და ქართულ ენებში. *Longman Dictionary of English Language and Culture*-სა და *Oxford Advanced Learner's Dictionary*-ში მოცემული განმარტების თანახმად joy არის “feeling of great happiness” (დიდი ბედნიერების გრძობა). თუმცა, უკანასკნელში joy წარმატებისა და კმაყოფილების მნიშვნელობითაც გვხვდება. დიდი ბედნიერებისა და კმაყოფილების მნიშვნელობით (“feeling of great happiness and contentment”) joy-ს ვხვდებით ასევე *Collins Cobuild English Language Dictionary*-შიც. *Random House Dictionary*-ი joy-ს არა მხოლოდ დიდი ბედნიერების, არამედ დიდი სიამოვნების, ძლიერი აღტაცების ემოციად მიიჩნევს და ასახელებს კიდევ მის გამომწვევ მიზეზსაც: “the emotion of great delight or happiness caused by something exceptionally good or satisfying; keen pleasure; elation. თუ ზემოდასახელებულ ლექსიკონებში joy მხოლოდ დიდი ბედნიერების გრძობად არის მიჩნეული, *American Heritage Dictionary*-ში ის ხდება ინტენსიური, განსაკუთრებით კი ექსტაზური ბედნიერების გრძობა “intense and especially ecstatic or exultant happiness”. ზემოხსენებულის საფუძველზე შეგვიძლია joy-ს განმარტება შემდეგი სახით: ინტენსიური, ექსტაზური ბედნიერების, სიამოვნების, კმაყოფილების, ძლიერი აღტაცების ემოცია, რომელსაც იწვევს კარგი ან კმაყოფილების გამომწვევი რამ“.

ახლა კი განვიხილოთ აღნიშნული ემოციური ცნება ინგლისური ენის ფრაზეოლოგიაში. სიხარულის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში საუბარი გვქონდა აღნიშნული ემოციის სხვა ემოციებთან, კერძოდ — joy-shame, joy-contempt ინტერაქციაში შესვლის შესახებ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სიხარულს ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ინტე-

რაქციაში ვხვდებით არა ზემოდასახელებულ ემოციებთან, არამედ ემოცია sorrow-ს (დარდი, სევდა), რაზეც ნათლად მოწმობს შემდეგი: joy is kin to sorrow. ეს ორი ემოციური ცნება (joy-sorrow) გვერდიგვერდ მცხოვრებ მეზობლებს არის შედარებული: joy and sorrow are next-door neighbours. სიხარულისა და ბედნიერების ურთიერთამოკიდებულებასა და სიახლოვეზე მეტყველებს შემდეგი ფრაზაც: When joy is in the parlour, sorrow is at the kitchen sink, ან თუნდაც: Our greatest joys and our greatest sorrows grow on the same vine. სიხარულს ხშირად მოსდევს მწუხარება After joy comes sorrow, მაგრამ შეიძლება მოხდეს პირიქითაც: They that sow in tears shall reap in joy. ის, რაც დღეს სიხარულს განიჭებს, ხვალ შეიძლება დარდად გექცეს: Today's joys can be tomorrow's woes, თუმცა წარსული დარდი შეიძლება ტკბილად მოგვეჩვენოს: Sorrows remembered sweeten present joy. სიხარული ისეთი ემოციაა, რომელიც ადამიანებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ: There's no joy in anything unless we share it. გაზიარებული სიხარული ორმაგდება: A joy that's shared is a joy made double. მწუხარება კი მცირდება: Shared joys are doubled, shared sorrows are halved. განუყოფელ სიხარულს ნაწილობრივი სიამოვნება მოაქვს ადამიანისათვის: joy which we cannot share with others is only half enjoyed. სიხარულს ვხვდებით ინტერაქციაშიც pain-თან (ტკივილი). არ არსებობს სიხარული ტკივილის გარეშე: There's no joy without affliction/pain. ყოველგვარი კარგი ქმედება სიხარულს იწვევს if you do well, the pain does fade, the joy remains, წინააღმდეგ შემთხვევაში რჩება მხოლოდ ტკივილი if you do ill, the joy fades, not the pain. სიტყვა tears, რომელიც ძირითადად უარყოფით ემოციებთანაა დაკავშირებული, ასევე გვხვდება ემოცია joy-სთან, კერძოდ, ცრემლები, რომლებიც უზომო სიხარულთანაა დაკავშირებული- she wept with joy. დადებითი ემოციებიდან სიხარულს ვხვდებით pleasure-თან ინტერაქციაში: Who pleasure gives shall joy receive. ამრიგად, ინგლისელთა აღქმაში ადამიანის მიერ გაცემული სიკეთე, სიამოვნების, სიხარულის მომტანია. სიხარულს ხშირად ადარებენ ღვინოს, ვინაიდან მას, ღვინის მსგავსად, შეუძლია თრობის მდგომარეობის მოგვრა: joy is the best wine.

დიკენსთან ლექსემა joy გამოიყენება უპირველეს ყოვლისა, იმ მოქმედებათა აღსაწერად, რომლებიც თან ახლავს ამ ემოციას. მასთან სახარული მრავალ ეპითეტთან ერთად გვხვდება. დიკენსთან joy არის: mad (გიჟური), lazy (ზარმაცი), boundless (უსაზღვრო), unutte-

nable (გამოუთქმელი), evident (აშკარა), savage (ველური), secret (საიდუმლო), excited (აღელვებული), laughing (მოცინარი), wild (ველური), half blind (ნახევრად ბრმა), სხვ.

ლიკენსთან სიხარული ნაწილობრივ „ნამტირალევია“: weeping half joyfully, half sorrowfully; still weeping, but not sadly joyfully; she was not crying in sorrow but in a little glow of joy; cry with joyful tears; with tears of joy in her bright eyes და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ სიხარულისა და ტირილის მსგავსი ინტერაქცია გვხვდება ქართულ ენაშიც, კერძოდ გამოთქმაში სიხარულის ცრემლები.

საილუსტრაციოდ მოვიყვან ემოცია joy-ის რამდენიმე კონტექსტუალურ მაგალითს მხატვრული ლიტერატურიდან.

.....the little girls received her with delight. They chased up and down the room, shouting at the top of their shrill voices, with fantastic and almost barbarous glee. They grew so excited that they leaped into the air with joy (Maugham, “Painted Veil”).

...he gave a sudden gasp of delight, and her white cheeks flushed (Maugham, “Painted Veil”).

სიხარულის ემოციის ინგლისურ ენაში ჩატარებული ენობრივი ანალიზის შემდეგ, განვიხილოთ ეს ცნება ქართულ ენაშიც. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული დეფინიციის მიხედვით, სიხარული არის „გრძნობა, რომელსაც იწვევს სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდა, მხიარული განწყობილება“. ძველი ქართული ენის ლექსიკონის თანახმად სიხარულში ოთხი რამ არის გაერთიანებული: ა) მხიარულება, ბ) ლხინი, გ) წვეულება, დ) განცხრომა. ა) **მხიარულება** — მხიარულ, კარგ გუნებაზე ყოფნა; დროს ტარება, გართობა; ბ) **ლხინი** — მხიარულება, დროს ტარება; ქეიფი; გ) **წვეულება** — საგანგებოდ დაპატიჟებული ხალხისათვის გამართული დროსტარება; დ) **განცხრომა** — უაღრესი კმაყოფილება, ნეტარება, სიტკბოება. ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული დეფინიცია, უფრო სრულყოფილია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე აღნიშნული ლექსიკონი გვაწვდის სიხარულის არსებით მახასიათებლებს, კერძოდ კი იმას, რომ ეს არის მხიარულებისა და კმაყოფილების, ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში — უაღრესი კმაყოფილების განცდა, რომელიც გადმოიცემა სიტყვა განცხრომით. სულხან-საბა ორბელიანის აზრით, სიხარული არის „ყოველს ჭმუნვისაგან თავისუფლება“. იმავე ლექსიკონში

ჭმუნვა განმარტებულია, როგორც „წუხილი უხმობისა მოქმედი“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ჭმუნვა არის „წუხილი, დარდი“. ამდენად, სიხარული არის განთავისუფლება წუხილისა და დარდისაგან.

აღნიშნული ემოცია შემდეგნაირად გამოიხატება ქართული ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. სიხარულის ფსიქოლოგიურ მიმოხილვაში აღნიშნული ფრენის სურვილის შეგრძნება რამდენადმე აისახება სიტყვაში ფრთაასხმული, რომელიც გამოხატავს სიხარულით გამოწვეულ მდგომარეობას (სახოკია, 1979). უზომო სიხარულის გამომხატველია გამოთქმაც „სიხარულისაგან მეცხრე ცაზე დაფრინავს“. უზომო სიხარულის გამოხატავს ასევე: სიხარულით ფეხზე არ დგას ან ცალ ფეხზე ხტუნავდა. „ვეფხისტყაოსანში“ მხიარულება, მოლხენა, უდარდებობა შედარებულია „ვარდის კრეფას“, რაც შემდეგს გულისხმობს: თეიმურაზ ბატონიშვილი ვარდის კრეფობას შემდეგნაირად განმარტავს „მხიარულებასა შინა პირი გაუწითლდება სასიამოვნოდ კაცსა მშვენიერსა, და ვინაიდგან ჩვეულება არის, ვინც მხიარულებაში მშვენიერი გაწითლდება, მას ეტყვიან „ვარდი მოგიკრეფითო“.

Happiness/ბედნიერება ფსიქოლოგთა განმარტებით ბედნიერება არის სიამოვნების, კმაყოფილების გრძნობა. ბედნიერება მიჩნეულია დადებით ემოციად. სიხარულის მსგავსად, მიმიკური გამოხატვის თვალსაზრისით, ის მარტივი ემოციაა. იმავე ფსიქოლოგების აზრით, ბედნიერება ჯანმრთელობის საწინდარია. ისინი თვლიან, რომ სიცხლის დროს ადამიანის სხეულში ბევრი ფიზიოლოგიური ცვლილება ხდება: მომატებულია სისხლის წნევა, გაზვირებულია გულის ცემა, იცვლება სუნთქვის სიხშირე. ამ დროს ძლიერდება ადამიანის იმუნური სისტემა. სახის მიმიკური გამოხატულებებიდან ბედნიერებას ახასიათებს: აწეული კუთხეები და უკან გაწეული ტუჩები, ჩნდება ნაოჭები თვალის კუთხეებთან (პლუტჩიკი, 1980).

ბედნიერების ფსიქოლოგიური დახასიათების შემდეგ ვნახოთ თუ როგორ აისახება ეს ემოცია ინგლისურ და ქართულ ენებშიც.

გამომდინარე იქედან, რომ happiness-ის მნიშვნელობა უშუალოდ გამომდინარეობს happy-ის მნიშვნელობებისაგან, ამიტომ მოცემული იქნება ამ უკანასკნელის დეფინიციები.

ინგლისურ ენის ავტორიტეტულ ლექსიკონებში happy-ზე არსებული დეფინიციების მიხედვით შესაძლებელია მის მნიშვნელობათა

კლასიფიცირება შემდეგი სახით:

პირველი მნიშვნელობა, რომელსაც იზიარებს ყველა ლექსიკონი არის სიამოვნების, კმაყოფილების მნიშვნელობა; მეორე — ილბლიანობის. დანარჩენ სემებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონები ერთიან კლასიფიცირებას აღარ ახდენენ. ვნახოთ, თუ როგორ დეფინიციებს გვთავაზობენ ლექსიკონები **happy** -ზე.

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში, როგორც უკვე აღვნიშნე, სახელდებული ემოცია რამდენიმე მნიშვნელობით არის წარმოჩენილი. ერთი-ერთი მათგანი არის სიამოვნების, კმაყოფილების მნიშვნელობა. **Dictionary of English Language and Culture**-ს თანახმად, **happiness** არის “**feeling or showing pleasure or contentment**” (სიამოვნების ან კმაყოფილების შეგრძნება ან გამოხატვა); ამ ემოციის იდენტურ მნიშვნელობას ვხვდებით **Random House Dictionary**-ში, თუმცა აქ ბედნიერება ზემოდასახელებული ლექსიკონებისაგან განსხვავებით სინხარულის გამომწვევადაც გვევლინება: **happiness is “characterized by or indicative of pleasure, contentment, or joy”**. (სიამოვნებისათვის დამახასიათებელი ან კმაყოფილების, სინხარულის მაჩვენებელი). აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, კერძოდ ის, რომ ბედნიერების ასახსნელად გამოიყენება მეორე ემოციური სიტყვა **joy** (სინხარული). ამ ორ ემოციურ ცნებას შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირს ადასტურებენ ფსიქოლოგებიც, თუმცა იმავე ფსიქოლოგთა მონაცემებზე დაყრდნობით, ცნება „ბედნიერი“ ყოველთვის არ არის ცნება „სინხარულის“ იდენტური. **Happiness** სიამოვნების გრძობად, ასევე მიჩნეულია **Collins Cobuild English Language Dictionary**-შიც: “**someone who is happy has feelings of pleasure**” („ის ვინც ბედნიერია აქვს სიამოვნების შეგრძნება“). **Happiness**-ზე იდენტურ მნიშვნელობას გვხვდებით **American Heritage Dictionary**-შიც, სახელდობრ: „**enjoying, showing or marked by pleasure, satisfaction or joy**” (სიამოვნებით, კმაყოფილებით ან სინხარულით ტკბობა, გამოხატვა ან მისი აღმნიშვნელი) და **Oxford Advanced Learner’s Dictionary**-შიც **happiness** “**feeling or showing pleasure; pleased**” (სიამოვნების შეგრძნება ან გამოხატვა; კმაყოფილი). როგორც გვიჩვენა ყველა ზემოდასახელებული ლექსიკონებიდან მოპოვებულმა დეფინიციებმა **happiness**-ს პირველადი ლექსიკური მნიშვნელობა არის სიამოვნების, კმაყოფილებისა და სინხარულის გამოხატვა.

Happy-ს მეორე მნიშვნელობა ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას უკავშირდება, კერძოდ კი, ბედს, ილბალს (**hap – chance, go-**

od luck). **American Heritage Dictionary**-ში ვკითხულობთ: “**characterized by good luck; fortunate**” (კარგი ბედის მქონე; ილბლიანი). იდენტურ დეფინიციას ვხვდებით **Oxford Advanced Learner’s Dictionary**-შიც: “**lucky; successful**” („ილბლიანი, წარმატებული“). **Random House Dictionary**-ის მიხედვით **happiness** არის “**favoured by fortune; fortunate or lucky**”. („ილბლიანი ან კარგი ბედის მქონე“). ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, შეგვიძლია იმის თქმა, რომ **happiness**-ის მეორე მნიშვნელობაა „ილბლიანი“, „ბედის მქონე“.

Happy ასევე გამოხატავს კმაყოფილებას, თანხმობას, რომელსაც იწვევს გარკვეული სიტუაცია, მოვლენა. კითხვა “**Are you happy with the situation/arrangements** სრულიად არ გულისხმობს ბედნიერებას.

ინგლისური ენის ლექსიკონებში დასახელებულ ემოციას ვხვდებით მილოცვით ფრაზებში, როგორიცაა **Happy Birthday/New Year, Anniversary, etc.**

ემოცია **Happy** აისახება ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბედნიერება-კმაყოფილება მჭიდრო ინტერაქციაში შედის ერთმანეთთან, რაზეც ნათლად მეტყველებს შემდეგი ფრაზა: **Happy is who is content an One is happy when one is satisfied with one’s self**. ბედნიერება ისეთი გრძობაა, რომელსაც იწვევს სულიერი და არა მატერიალური სიმდიდრე: **Call not him the happiest who is the richest**. მაგრამ თუ ბედნიერება მდიდრების ხვედრი არ არის, ის არც ღარიბებს ხვდებათ წილად: **A poor man can’t be happy because a happy man is never poor**. აქ საუბარია სულიერ სიმდიდრეზე. ბედნიერ ადამიანად მიჩნეულია ის, რომელსაც აქვს საყვარელი საქმიანობა, გატაცება: **Happy is the man who has a hobby**. ყველაზე ბედნიერად კი ითვლება ის პიროვნება, რომელიც სიმშვიდეს ჰპოვებს ოჯახში: **He is the happiest, be he peasant or king, who finds peace in his home**. ამ ემოციის დადებითი მხარე აისახება იმაშიც, რომ იგი მიჩნეულია ჯარმრთელობის გამომწვევ ფაქტორად: **To be happy is to be healthy**, ანუ ჯანმრთელობა და ბედნიერება ურთიერთგანმასზღვრელ ფენომენად მოიაზრება. ამას ადასტურებს ასევე ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან მოპოვებული ინფორმაცია.

ინგლისური ანდაზები, იმის მიხედვით თუ რამდენი ხნით გვინდა ბედნიერების მდგომარეობის შენარჩუნება, გვთავაზობს შემდეგი სახის რჩევებს: **If you would be happy for a week take a wife; if you would be happy for a month kill a pig; but if you would be happy all your life plant a**

garden. ამდენად, ინგლისელთა თვალთახედვით, ხანმოკლე ბედნიერება ქორწინებასთანაა დაკავშირებული, ხანგრძლივი კი — ბალის გაშენებასთან. ეს უკანასკნელი გამოხატავს ინგლისელთა დამოკიდებულებას, სიყვარულს მებაღეობის, ზოგადად კი — ბუნების მიმართ.

უკიდურეს ბედნიერებას გამოხატავს შემდეგი სიმოცილები: **happy as a lark** (ტოროლასავით ბედნიერი), **happy as a pig in muck** (ბედნიერი/კმაყოფილი, როგორც ღორი ტალახში).

ბედნიერების მდგომარეობას გამოხატავს ასევე ფრაზა: **to be on cloud number nine** და **to be in the seventh heaven**, რაც გვგავონებს ქართულ გამოთქმას „სიხარულისაგან / ბედნიერებისაგან მეცხრე ცაზეა“, (ცხრა როგორც ვიცით, ნიშნავდა ბევრს).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ბედნიერებაში აერთიანებს შემდეგ მნიშვნელობებს: ა) კარგი ბედის მქონე; ბ) სიხარულით სავსე, საამო; გ) კარგი, კეთილი. ბედნიერების ზემოხსენებული მნიშვნელობებიდან ძველი ქართული ლექსიკონი, მხოლოდ პირველს, კერძოდ ბედის მქონებელს გვთავაზობს. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სულხან-საბასთანაც: „ბედნიერობა არის ბედის მქონებლობა“.

ქართულ ენაში ბედნიერებაზე არსებული გამოთქმები ერთი მხრივ ბედს უკავშირდებიან, რაზეც ნათლად მეტყველებს შემდეგი გამოთქმები: ბედთან შეყრა, ბედი უღიმის და ჩემს ბედს ძალი არ დაჰყევდა. მეორე მხრივ, ისინი ავლენენ ქართული კულტურის დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ: ზეცის კარის გაღება, აღდგომა გაუთენდა (სახოკია, 1979). ბედნიერ ადამიანს ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილს უწოდებენ. ხალხის ღრმა რწმენით, კაცი რომ იბადება, მისი სახელის ვარსკვლავიც ჩნდება. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერია და მის სახელზე დაბადებულ კაცს ბედნიერება მოეღის ცხოვრებაში.

ქართულ ენობრივ მასალაში ბედნიერების მნიშვნელობათა განხილვამ ცხადყო, რომ ბედნიერება უპირველეს ყოვლისა ბედს, ქორწინებას უკავშირდება. აღნიშნული ცნება ასევე ამკარა კავშირს ავლენს სიხარულთან.

ამრიგად, სტატიაში ფსიქოლოგიური და ენობრივი კუთხით განხილულია დადებითი ემოციები **joy** / სიხარული და **happiness** / ბედნიერება. **joy**/სიხარული-ს შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ სახელდებული ემოციები ერთმანეთს ფარავენ დეფინიციურ დონეზე. ფრაზეოლოგიური მასალის ანალიზის თანახმად, ინგლისურ ენაში სიხარული ინტერაქციაში შედის ისეთ გრძნობებთან, როგორცაა

დარდი, ტკივილი, ამასთან ერთად, ინგლისელთა ხედვით სიხარულის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს გაცემული სიკეთე, ვისმესთვის სიამოვნების მინიჭება, სასიკეთო ქმედება. ძველ ქართულ ენაში სიხარულის ცნება ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორცაა მხიარულება, ლხინი, წვეულება, განცხრომა. **Happiness**/ბედნიერების განხილვამ კი დაგვანახა, რომ სახელდებული ემოციები ერთმანეთს არ ფარავენ დეფინიციურ დონეზე. ინგლისურ ენაში აღნიშნული ემოცია უფრო ფართო სემანტიკის მომცველია. ქართულ ენაში ბედნიერება ძირითადად ბედთან კავშირში წარმოგვიდგება. ორივე ენის ფრაზეოლოგია გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას ინგლისურ და ქართულ ხალხთა მსოფლხედვაზე. ინგლისელების აღქმაში ბედნიერება დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, ოჯახურ სიმშვიდესთან, საყვარელ საქმიანობასთან, სულიერ სიმდიდრესთან, ბუნებასთან, ქართველთა ხედვით კი — ადამიანის ბედთან, რწმენასა და წარმატებასთან.

ლიტერატურა

დოდონოვი, 1975 — Б. Додонов, Классификация эмоции при исследовании эмоциональной направленности и личности, в журн. «Вопросы психологии», Москва, 1975.

ვეუბიცკა, 1983 — Вежбицка А. Семантические примитивы. Введение // Семиотика / Под ред. Ю. С. Степанова. - М., 1983.

ვეუბიცკა, 1980 — Wierzbicka Anna, *Lingua Mentalis*, Academic Press, 1980.

ვეუბიცკა, 1992 — Wierzbicka Anna, *Semantics, Culture and Cognition* Oxford University Press, 1992.

იზარდი, 2000 — Изард К. Э Психология Эмоций, Санкт-Петербург, 2000.

კახიანი, 1978 — Кахиани С.Н. Экспрессивность лица человека., Издательство «Ганатлеба», Тбилиси, 1978.

ორტონი, ტერნერი, 1990 — Ortony, A., & Turner, T. j. What's basic about basic emotions? *Psychological Review*, 97, 315-331, (1990)

პლუტჩიკი, 1962 — Putschik Robert, *The emotions: Facts, theories and a new model*-New York, Gandom House, 1962.

პლუტჩიკი, 1980 — Putschik Robert, *Theories of Emotion*, 1980.

რეიკოვსკი, 1979 — Рейковский Я. «Экспериментальная психология эмоций». Прогресс, Москва, 1979.

შახოვსკი, 1987 — Шаховский В.И. Категоризация эмоций в лексико-семантической системе языка. Воронеж, 1987.

ჯორბენაძე, 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ. 1997.

ლექსიკონები

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, 1973

ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, „მერანი“, თბ. 1991

სახოკია, 1991 — ი. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, „მერანი“, თბ. 1979.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.

ქართული ანდაზები, „საბჭოთა მწერალი“, 1959.

The Random House Dictionary of the English Language, Second edition, New York, 1987.

Longman Dictionary of English Language and Culture, 1992

Brewer's Dictionary of Phrase and Fable, 14th edition, Cassell 1992.

Collins Cobuild English Language Dictionary, Collins London and Glasgow, 1992.

A Dictionary of American proverbs, Oxford University Press, 1992.

The American Heritage Dictionary of the English Language, 2000.

RUSUDAN TUTBERIDZE

English and Georgian Lexemes Denoting Two Positive Basic Emotions (Joy/sixaruli, Happiness/bedniereba)

Summary

The paper examines English and Georgian lexemes denoting two positive basic emotions - joy/sixharuli, happiness/bedniereba.

On the one hand, the aim of the research was to reveal correspondences between the psychological description of the given basic emotions and the peculiarities of their nomination in the discussed languages. On the other hand, it was an attempt to investigate culture-specific traits of conceptualization encoded in the lexemes in question.

The study has shown that similar to psychological description, the lexemes joy/sixharuli and happiness/bedniereba include the following semes: contentment, pleasure, delight. In both languages, the concepts in question show interaction with the notion of sorrow. As for the lexemes happiness/bedniereba, they reveal a number of culture-specific differences. In Georgian, the lexeme bedniereba is mainly associated with one's luck. Although etymologically the word happy originates from the word hap, meaning luck, in current English the lexeme in question is indicative of pleasure and contentment. The analysis has shown that the English lexemes joy and happiness almost cover each other. However, the word happiness is more commonly used.

ენის კვანძალიანი

ნარატიული თვალსაზრისი და მისი კავშირი ნარატიულ ხმასთან

ჯ. კიტის ფრაზას — „მშვენიერება ჭეშმარიტებაა“ — რუსული სემიოტიკის ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა ი. ლოტმანმა, საკუთარი პერიფრაზი დაუპირისპირა — „მშვენიერება ინფორმაციაა“ (ლოჯი, 1992, 29). საზოგადოებისათვის ინფორმაციის ორიგინალურად მიწოდება ნებისმიერი შემოქმედის უმთავრესი მიზანია. რეალური მოვლენა რამდენიმე პიროვნების მიერ აღიქმება. აქედან გამომდინარე, მხატვრული ნაწარმოები შესაძლოა ერთი და იმავე მოვლენის რამდენიმე, განსხვავებულ ხედვას ასახავდეს. ნარატიული ხედვის კუთხის შერჩევა მთხრობელისათვის უმნიშვნელოვანესია. აბსოლუტურად ობიექტური, მიუკერძოებელი თხრობა სასურველ შედეგს ყურნალისტიკასა და ისტორიოგრაფიაში შეიძლება იძლეოდეს, მხატვრულ ლიტერატურაში კი, განსაკუთრებით, დიეგეტურ ჟანრებში (ნარატიულ პროზასა და პოეზიაში), მკითხველის ინტერესს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის ფაქტი, თუ ვინ მოგვითხრობს, ე.ი. ვის ეკუთვნის ნარატიული ხმა.

ნარატიულ ხმასა და ხედვის კუთხესთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს. ასევე აქტუალურია ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები და მოსაზრებები.

ჟ. ჟენეტმა (ჟენეტი, 1998) პირველმა მიაქცია ყურადღება განსხვავებას ნარატიულ ხმებთან მიმართებაში. ჟენეტი გამოყოფს ჰომოდიეგეტურსა (რომელიც ნაწარმოების პერსონაჟიცაა) და ჰეტეროდიეგეტურ (რომელიც პერსონაჟი არაა, მაგრამ ყველაფერი „უწყის“) მთხრობელს. იმ შემთხვევაში, თუ ჰომოდიეგეტური მთხრობელი პროტაგონისტია, შესაძლებელია ვისაუბროთ ავტოდიეგეტურ მთხრობელზე. ჟენეტისეულ კლასიფიკაციას შესაძლოა შევუსაბამოთ ფრანც სტანზელის მიერ შემოთავაზებული წყვილი — პირველი პირისა და

ავტორისეული თხრობა. თუმცა, იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ ცნება, მთხრობელის ხმა და მასთან დაკავშირებული შემთხვევები, პირველყოფილსა, იგი უნდა გავარჩიოთ ნარატიული ხედვის კუთხისაგან, რაც ნარატიული დისკურსის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას.

ს. ჩეტმენი (ჩეტმენი, 1972, 151) ნარატიული ხედვის კუთხის სამ შესაძლო ვარიანტს გვთავაზობს:

- ა) პირდაპირი: ვინმეს თვლით აღქმული — პერცეფციული,
- ბ) ფიგურალური: ვილაციის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე — კონცეპტუალური,
- გ) ტრანსფერირებული: ვილაციის ინტერესის პოზიციიდან გამომდინარე.

ჩეტმენი იქვე (ჩეტმენი, 1972, 152) გვთავაზობს მაგალითებს, რომლებიც ასახავენ ზემოთაღნიშნულ შემთხვევებს:

a) From John's point of view, at the top of Coit Tower, the panorama of the San Francisco Bay was breath-taking.

b) John said that from his point of view, Nixon's position though praised by his supporters, was somewhat less than noble.

c) Though he didn't realize it at the time, the divorce was a disaster from John's point of view.

პირველ წინადადებაში პანორამა ჯონის მიერაა აღქმული, იგი დგას მხედველობის არის ცენტრში. ჩეტმენი ამ შემთხვევას პერცეპტუალურ ხედვის კუთხეს უწოდებს. მეორე შემთხვევაში, ჯონის ფაქტურ ფიზიკურ მდებარეობაზე რეალურ სამყაროში მინიშნება არ არის, აღინიშნება მხოლოდ მისი შეხედულებები, აზროვნების მანერა და ის, თუ როგორ გაიფიქრება ფაქტები და შთაბეჭდილებები მის გონებაში. ამ ფორმას ჩეტმენი კონცეპტუალურ ხედვის კუთხეს უწოდებს. მესამე წინადადებაში კი, ჯონის აზროვნებაზე, მის პერცეპტუალურ თუ კონცეპტუალურ შესაძლებლობებზე, მინიშნება არ გვაქვს. იქიდან გამომდინარე, რომ ჯონმა არაფერი იცის მოცემული წინადადების არსებობის შესახებ, იგი არსებულ სიტუაციაში „ხედავს“ არც პირდაპირი, არც — გადატანითი მნიშვნელობით. აქ ტერმინი მარტივი სინონიმია ფრაზისა — „რაც შეეხება ჯონს“. ამ შემთხვევას ჩეტმენი ინტერესის გამომხატველ ხედვის კუთხეს უწოდებს.

განხილულ მაგალითებში დაბნეულობას ის ფაქტი იწვევს, რომ ნარატიული ხედვის კუთხე შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მოქმედების (პერცეპტუალური თუ კონცეპტუალური), ისე — პასიური

მდგომარეობის შემთხვევებში.

ნებისმიერი სახის ტექსტი, ჩვეულებრივი საუბარიც კი, შესაძლებელია მოიცავდეს ნარატიული ხედვის კუთხის ნებისმიერ კომბინაციას: მეცნიერის მიერ აღწერილი ექსპერიმენტი ან ანგარიში შესაძლოა გამოხატავდეს როგორც ავტორის მხოლოდ პირდაპირ აღქმას, ისე — მის მსოფლმხედველობას ან პირად დაინტერესებას. ფილოსოფიური ტრაქტატი, ჩვეულებრივ, არ გამოავლენს პერცეპტუალურ თვალთახედვას, მაგრამ შესაძლებელია საკმაოდ ნათლად ასახავდეს ავტორის პირად ინტერესს მოცემულ საკითხზე, ისევე როგორც მის იდეოლოგიას.

გაცილებით რთულ ვითარებას ვაწყდებით ნარატიულ ტექსტებში, რადგან აქ ორი პოზიცია ფიქსირდება — პერსონაჟისა და ავტორის, რომ არაფერი ვთქვათ იმპლიციურებულ ავტორზე. თითოეულმა მათგანმა შესაძლოა გამოხატოს ერთი ან მეტი სახის ხედვის კუთხე: პერსონაჟმა, შესაძლებელია, პირდაპირ აღიქვას გარკვეული საგანი თუ მოვლენა; მისი თვალთახედვა შესაძლოა კონცეპტუალიზაციის გზითაც იყოს წარმოდგენილი: მისი დაინტერესება საგნით ან მოვლენით შესაძლებელია მოხმობილ იქნეს მაშინაც კი, როცა თავად გაცნობიერებულად კი არა აქვს ეს ინტერესი.

ნარატიულ ხედვის კუთხესთან დაკავშირებული კიდევ ერთი ბუნდოვანება კრისტინ მორისონმა განიხილა სტატიაში *“James’s and Lubbock’s Differing Points Of View”*. ლაბოვი და მისი მიმდევრები ტერმინ „ხედვის კუთხეს“ იყენებენ მთხრობელის გადმოსახედის მნიშვნელობით. ჯეიმსისათვის ნარატიული ხედვის კუთხე მკითხველის ან მცოდნის თვალთახედვას წარმოადგენს. ტერმინ „ნარატიული ხედვის კუთხის“ ალტერნატიულ ვარიანტებად შეიძლება მივიჩნიოთ ჯეიმსისეული „ცენტრალური ცნობიერება“, ა. ტეიტის „ობსერვაციის პოსტი“ და ც. ტოდოროვის „ხედვა“ (ჩეტმენი, 1972, 153).

ჩეტმენი შემდეგ არსებით განსხვავებას გვთავაზობს ნარატიულ ხმასა და ხედვის კუთხეს შორის: ხედვის კუთხე არის ფიზიკური ადგილი, იდეოლოგიური სიტუაცია ან პრაქტიკული ცხოვრებისეული ორიენტაცია, რომელთან მიმართებაშიც წარმოგვიდგებიან ნარატიული მოვლენები. ნარატიული ხმა კი უკავშირდება მეტყველებას ან სხვა ღია საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც მოვლენები და ეგზისტენტები (პერსონაჟები და გარემო-setting) აუდიტორიას გადაეცემა. ხედვის კუთხე არ გულისხმობს გამოხატვას, ის წარმოადგენს პერ-

სპექტივას, რომლის ფარგლებშიც ხდება გამოხატვა. პერსპექტივა და ექსპრესია, შესაძლოა, ერთი და იმავე პერსონაჟის მიერ არ იყოს განზოცილებული. აქ მრავალი კომბინაციაა შესაძლებელი.

ჩეტმენის მოსაზრებების საილუსტრაციოდ გავაანალიზებ ჩემ მიერ მოძიებულ მაგალითებს ინგლისურენოვანი მოკლე მოთხრობებიდან.

განვიხილოთ პირდაპირი, პერცეპტუალური თვალსაზრისი: მოვლენებსა და ეგზისტენტებს შესაძლოა თავად მთხრობელი აღიქვამდეს და თვითონვე გადმოსცემდეს პირველ პირში:

“Mrs. Parker died suddenly in October. She and Mr. Parker lived in a Victorian house next to ours and Mr. Parker was my piano teacher”.
(Laurie Colwin “Mr. Parker”)

მოცემულ მაგალითში მთხრობელი თვითმხილველია, მომდევნო ნაწყვეტში — პროტაგონისტი:

„It wasn’t long before I was promoted to bussing tables and then the short-order cook quit and I was hired to take her place. No sooner than you know it, I was managing the Joliet. The rest is history. I went on managing. I soon became part owner and of course there was no stopping me then.”

(Louis Erdrich “The Red Convertible”)

სხვა შემთხვევებში ნარატიული ხედვის კუთხე შესაძლებელია მიეწეროს პერსონაჟს, რომელიც არ არის მთხრობელი: აქ მისი ნარატიული ხმა შესაძლოა გავიგონოთ, როგორც შემდეგ მაგალითშია (გამოხატული მხატვრულად ტრანსფორმირებული პირდაპირი მეტყველებით) —

“She gritted her teeth together. Should she go and change it for a larger size? Jean looked behind and saw that she was hemmed in by three large trolleys. She’d lose her place in the queue.”

(Anne Cassidy “Shopping For One”)

ან — არა:

“The ponderous woman looked through the pattern of falling words at the flowers standing cool, firm and upright in the earth. With a curious expression. She saw them as a sleeper waking from a heavy sleep sees a brass candlestick reflecting the light in an unfamiliar way and closes his eyes and opens them and seeing the brass candlestick again, finally starts broad awake and stares at the candlestick with all his powers. So the heavy woman came to a standstill opposite the oval-shaped flower-bed and ceased even to pretend to

listen to what the other woman was saying. She stood there letting the words fall over her, swaying the top part of her body slowly backwards and forwards, looking at the flowers.”

(V. Woolf “Kew Gardens”)

ასევე შესაძლებელია, მოვლენები ისე იყოს წარმოდგენილი, რომ არ ჩანდეს, თუ აღიქვამს მათ:

“They were in. in. mother, father and daughter. She waited to hear them come in, stayed awake. She would be awake anyhow, because sleep was paying her less and less court as the years went on.”

(Edna O’Brien “Sin”)

დასაწყისში განხილული ნარატიული ხედვის კუთხის სამი ტიპი გამოხატვის მანერაში ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელია. როდესაც ვსაუბრობთ „ექსპრესიაზე“, ნარატიული ხედვის კუთხიდან (რომელიც მხოლოდ პერსპექტივას წარმოადგენს), გადავდივართ ნარატიული ხმის სფეროში, მედიუმში, რომლის საშუალებითაც ხდება აქმის, გავებისა და სხვა ელემენტების რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, ჩეტმენი ასკვნის (ჩეტმენი, 1972, 154), რომ ნარატიული ხედვის კუთხე თავად სიუჟეტშია, ხოლო ნარატიული ხმა — მის გარეთ, დისკურსში. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში პერსპექტულური ხედვის კუთხე პერსონაჟს ეკუთვნის, ხმა — მთხრობელს:

“And Oliver, rising, could hear the rustle of the dress of the Duchess as she came down the passage. Then she loomed up, filling the door, filling the room with aroma, the prestige, the arrogance, the pomp, the pride of all the Dukes and Duchesses swollen in one wave. And as a wave brakes, she broke, as she sat down, spreading and splashing and falling over Oliver Bacon, the great jeweler, covering him with sparkling bright colours, green, rose, violet.”

(V. Woolf “Duchess and the Jeweller”)

შემდეგ ნაწყვეტში ნარატიულ ხმასა და ხედვის კუთხესაც მთხრობელი გამოხატავს:

“He really was an impossible person. Too shy altogether. With absolutely nothing to say for himself. And such a weight. Once he was in your studio he never knew when to go, but would sit on and on until you nearly screamed and burned to throw something enormous after him when he did finally blush his way out – something like the tortoise stove.”

(K. Mansfield “Feuille D’ Album”)

ყველა მოყვანილ მაგალითში პერსონაჟი აღიქვამს მოვლენებს: მისი გრძნობები ამოდის მოთხრობის სამყაროდან. მაგრამ როცა აღქმა გადმოცემულია მთხრობელის მიერ, რა თქმა უნდა, იგულისხმება „დანახვის“ მეორე აქტი მთხრობელის დამოუკიდებელი თვალთახედვით, მთხრობელისა, რომელმაც „ჩაიხედა“ პერსონაჟის გონებაში და მისი განცდები საკუთარ თვალსაზრისზე დაყრდნობით გადმოგვცა. ჩეტმენი კითხულობს, რამდენად შესაძლებელია, ამდაგვარი ხედვის კუთხე ჩაითვალოს „პერსპექტულურად“ (ჩეტმენი, 1972, 155). პერსონაჟი გარკვეულ საგანს ან მოვლენას აღიქვამს „ჰომოდეცენტურად“ (ყენეტის მიხედვით), ხოლო ის, რასაც მთხრობელი გადმოგვცემს საკუთარი პერსპექტივიდან, თითქმის ყოველთვის ისტორიის მიღმაა („პეტეროდეცენტური“). ფაქტობრივად, მთხრობელი უკან, წარსულში იყურება, მიმართავს საკუთარ ადრეულ აღქმას, როდესაც აღიქვამდა როგორც პერსონაჟი. მაგრამ „უკან მიხედვის“ პროცესი უკვე შემეცნება და არა — აღქმა. ეგრეთ წოდებული, „გარეშე“ მთხრობელი წმინდა კონცეპტუალურ თვალსაზრისს გამოხატავს: იგი არასოდეს არ „იმყოფებოდა“ ნაწარმოების სამყაროში, დისკურსის დრო არ არის ამბის დროის გაგრძელება; პერსონაჟებისაგან განსხვავებით მას არ აღუქვამს იმავე პირდაპირი ან დიეგეტური გაგებით, ე.ი. მას არ შეეძლო „დაენახა“ იმ, სხვა სამყაროში.

ჩეტმენი იქვე დასძენს, რომ მთხრობელის კონცეპტუალიზაცია წარმოადგენს მეორე რიგის ანუ პეტეროდეცენტურ კონცეპტუალიზაციას ამბის შესახებ და უპირისპირდება პირველი რიგის კონცეპტუალიზაციას პერსონაჟის მხრიდან, რომელიც ამბის ფარგლებში ხორციელდება. ეს განსხვავება თავს განსაკუთრებით მაშინ იჩენს, როცა მთხრობელი და პერსონაჟი ერთმანეთს უპირისპირდებიან, როცა მთხრობელს პერსონაჟისაგან განსხვავებული შეხედულები გააჩნია. ასეთ შემთხვევაში, მთხრობელის კონცეპტუალური ხედვის კუთხე ძლევს პერსონაჟისას, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ინარჩუნებს ინტერესისა და ცნობიერების ცენტრს:

“Rosemary had been married two years. She had a duck of a boy. No, not Peter – Michael. And her husband absolutely adored her. They were rich, really rich, not just comfortably well-off, which is odious and stuffy and sounds like one’s grandparents. But if Rosemary wanted to shop she would go to Paris as you and I would go to Bond Street.”

(K.Mansfield “A Cup of Tea”)

მაგალითიდან ნათელია, რომ მთხრობელი არ თანაუგრძობს როზმარის, უფრო მეტიც, ირონიულ დამოკიდებულებას გამოხატავს პერსონაჟის მიმართ, საკუთარ თავს მკითხველთან თანაბარ პოზიციაში აყენებს, რითაც თითქოს როზმარის უპირატესობას უსვამს ხაზს. თუმცა, სიტყვათა თავისებური შერჩევა და სინტაქსური წყობა აქილიკებს პერსონაჟის ხედვის კუთხეს და აამკარავებს ირონიას მთხრობელის ხმასა და ხედვის კუთხეში.

განსხვავება პერსონაჟის თვალსაზრისსა და მთხრობელის გამოხატვის ფორმას შორის ყოველთვის არ ქმნის ირონიულ დაპირისპირებას. მთხრობელმა შესაძლებელია ვერბალურად, ნეიტრალური ფორმით ან თანაგრძობით გამოხატოს ის, რისი არტიკულაციაც პერსონაჟს არ ძალუძს (მცირეწლოვანების მიზეზით, განათლების ან ინტელექტის უკმარისობის გამო).

“Then a voice called “Coming” and as though his brother’s self-possession had been shattered by the sudden cry, Peter Morton jumped with his fear. But it was not his own fear. What in his brother was a burning panic, admitting no ideas except those which added to the flame, was in him an altruistic emotion that left the reason unimpaired. “Where, if I were Francis, should I hide?” Such, roughly, was his thought. And because he was, if not Francis, at least a mirror to him, the answer was immediate... Peter Morton was unsurprised by the swiftness of the response. Between the twins there could be no jargon of telepathy. They had been together in the womb and they could not be parted.”

(Gr. Greene “The End of the Party”)

მაგალითიდან ჩანს, რომ თხრობა პიტერის გადმოსახედიდან მიმდინარეობს, მაგრამ არა — მისი ხმით. ნაწყვეტის სტილი არ არის ბავშვის დისკურსის იმიტაცია, ცხრა წლის ბავშვის თვალთახედვა და ემოციები ზრდასრული ადამიანისათვის დამახასიათებელი დახვეწილი და რთული სტილით არის გადმოცემული.

ინტერესის გამომხატველი ხედვის კუთხე რადიკალურად დისტანციურია, რადგან პერცეფციული და კონცეპტუალური ხედვის კუთხისაგან განსხვავებით, მეტაფორული „დანახვის“ შესაძლებლობასაც კი მოკლებულია. სუბიექტი შესაძლოა ვერც აცნობიერებდეს, რომ მოვლენები მისი ინტერესის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ხედვის ამ კუთხის იდენტიფიკაციას შესაძლებელია პერსონაჟის პერცეფციული და კონცეპტუალური თვალსაზრისების განსა-

ზღვრა მოჰყვეს. პერსონაჟის ცნობიერების გახსნა საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ მის თვალთახედვას და მასთან შინაგანი კავშირი დავამყაროთ.

ჩეტმენის აზრით (ჩეტმენი, 1972, 157), ინტერესის გამომხატველი ნარატიული ხედვის კუთხე შესაძლებელია დამოუკიდებლადაც ჩამოყალიბდეს. იგი შესაძლოა არსებობდეს პერსონაჟში, რომელსაც, გარკვეული მნიშვნელობით, „მისდევნ, აკვირდებიან“, თუნდაც არ არსებობდეს რაიმე მინიშნება მის აზროვნებასთან. მაგალითად, თუ პირველ სცენაში არიან ჯეკი და პიტერი, მეორეში — ჯეკი და მერი, მესამეში — ჯეკი და ჯოზეფი, ხედვის კუთხეს ვაიგივებთ ჯეკთან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი გამუდმებით სცენაზეა.

ცნება — ინტერესის ხედვის კუთხე — არ გამოიყენება „გარეშე“ მთხრობელთან მიმართებაში, რადგან მისი ერთადერთი მიზანი ნარატივის გადმოცემაა. სხვა სახის დაინტერესება შესაძლებელია მაშინ აღმოცენდეს, თუ მთხრობელი ამავედროულად არის ან იყო პერსონაჟი. ასეთ შემთხვევაში მთხრობელმა შესაძლოა გამოიყენოს ნარატივი როგორც შურისძიება, განმარტება, გმობა, მონანიება და ა.შ. ამბის თხრობის უამრავი მიზეზი არსებობს, მაგრამ ეს მიზეზები მთხრობელს ეკუთვნის და არა — იმპლიციურულ ავტორს. მისი ერთდერთი მოტივაცია წმინდა თეორიული ხასიათისაა — ააგოს ნარატივი.

ის, თუ რამდენად წარმატებული იქნება ნარატივი, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა რაკურსს შეარჩევს მთხრობელი ამბის გადმოსაცემად. ეს იმიტომ, რომ ნარატიული ხმა და ხედვის კუთხე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მკითხველის ემოციურ და მენტალურ რეაქციაზე. რეაქცია კი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, თუ გავითვალისწინებთ ჩეტმენის მოსაზრებას, რომ ნარატივი კომუნიკაციაა და მაშასადამე, ორ მხარეს გულისხმობს — ადრესანტსა და ადრესატს. ამ უკანასკნელთ კი დასაწყისში აღნიშნული საერთო ელემენტი — ინფორმაცია აკავშირებთ.

ლიტერატურა

ლოჯი, 1992 — David Lodge “The Art of Fiction” 1992, Penguin Books

ენეტი, 1998 — Gerard Genette “Narrative Discourse Revisited”

ჩეტმენი, 1972 — Seymour Chatman “Story and Discourse”, 1978, Cornell University Press.

NINO KVANTALIANI

მეფა კინწრაზვილი

Narrative Point of View and Its Relation to Narrative Voice

Summary

The paper deals with the concepts of narrative point of view and narrative voice. It discusses and illustrates possible relationships and combinations of the two elements of narrative discourse. The paper describes various classifications and definitions of the terms in question. The analysis of passages from fiction stresses the significance of point of view. As is known, a discursal point of view is one of the main sources that ensures an access to a character's consciousness and guarantees the reader's emotional response to a piece of literary work.

ტიქსტი, ინტერტიქსტი, დეკონსტრუქცია

ადამიანის შემეცნებითი და კომუნიკაციური საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამა თუ იმ სიტყვების, ჟესტების, ნიშნების ინტერპრეტაციასთან, ლიტერატურული ნაწარმოებების, მუსიკის, მხატვრულ და მსგავს ნიშანთა სისტემის ინტერპრეტაციასთან. სწორედ ამიტომ ინტერპრეტაცია, როგორც პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ენის სფეროთი, არამედ მოიცავს ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებსაც. ენა კი წარმოადგენს აზრის გამოთქმისა და ურთიერთობის უნივერსალურ საშუალებას. და ამგვარად ის ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ინტერპრეტაციულ საქმიანობასთან. ტექსტის, ინტერპრეტაციის, როგორც ნიშანთა სისტემის ფენომენს, შეისწავლის ჰერმენევტიკა. ანტიკური ეპოქიდან დაწყებული ჰერმენევტიკის შესწავლის სფეროში შედის სხვადასხვა ტიპის ტექსტების ინტერპრეტაცია, განმარტება.

ჰერმენევტიკამ გამოიმუშავა ტექსტის ინტერპრეტაციის მრავალი სპეციალური წესი და მეთოდი. ამგვარად, ჰერმენევტიკის, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის ერთ-ერთ წამყვან კატეგორიად ითვლება ინტერტექსტუალობის კატეგორია. ტერმინი „ინტერტექსტუალობა“ პირველად შემოიტანა ი. კრისტევამ (კრისტევა, 1969), რომელმაც განავითარა რა ი. ლოტმანის (ლოტმანი, 1996, 2-3) მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი მხატვრული ტექსტი წარმოადგენს სხვადასხვა კოდის ურთიერთქმედებას, რომელთა შორის კონფლიქტი ატარებს დიალოგიურ ხასიათს. ტექსტი ამავე დროს წარმოადგენს ტექსტის შიგნით კოდების შეცვლას. ამ აზრით ტექსტის მნიშვნელობა თითქოს იმყოფება მკითხველის (მოლოდინის) ფარგლებში, ანუ გადადის მკითხველის ინტერპრეტაციის სუბიექტურ უსასრულობაში და წარმოადგენს მკითხველისა და ტექსტის (ტექსტის ავტორის) დიალოგის პროცესს. ბახტინის (ბახტინი, 1975, 58-59) აზრით, ყოველი დიალოგიური გამონათქვამის მიღმა დგას ავტორი და ის ყოველთვის გუ-

ლისხმობს შესაბამისი გაგების უმაღლეს ინსტანციას. ამრიგად, ავტორის ტექსტი და მკითხველის ტექსტი გარკვეულ სფეროში გადაკვეთენ ერთმანეთს, რომლის საზღვრები განისაზღვრება 1) ამგვარი ენობრივი სივანლების რაოდენობით; 2) ავტორისა და მკითხველის კონცეპტუალური სისტემების თანხვედრით, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია კულტურული გარემოსა და ტრადიციების თანხვედრაზე.

ტექსტს არ გააჩნია მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი დასრულებულობა. იგი შეიძლება ავტორის მიერ რამდენიმეჯერ იქნეს გადაამუშავებული. აქედან ჩნდება ისეთი მოვლენა, როგორც არის ავტორინტერტექსტუალობა, ავტორემინისცენციები, თემები, რომლებიც მეორდება, ლაიტმოტივები და ა.შ. მაგრამ მკითხველისათვის ტექსტი წარმოადგენს „თანამოსაუბრეს დიალოგში“, რომელიც გარდაიქმნება მკითხველის ცნობიერების მიხედვით და აქვს უნარი წარმოქმნას ახალი აზრების წყობა. ამგვარად ტექსტი — ეს არის სივრცე „სადაც მიმდინარეობს მნიშვნელობათა წარმოქმნის პროცესი“ (ბახტინი, 1979, 415).

ახალი ტექსტის წარმოქმნა შეუძლებელია უკვე არსებულ ტექსტზე დაყრდნობის გარეშე. ტექსტი არის თავისებური მონადა, რომელიც თავის თავში ასახავს ყველა ტექსტს, გაერთიანებულს ერთი აზრობრივი სფეროს ფარგლებში (ბახტინი, 1979, 283).

ჩვენი აზრით, არ არის მართებული ის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ტექსტი განიხილება როგორც ციტატების კოლაჟი, რომელშიც რაიმე ახალი წარმოიქმნება კომბინაციათა ცვლილებების საფუძველზე, ვინაიდან ტექსტი ყოველთვის ინარჩუნებს საკუთარ რეფერენტულობას. რეფერენციის თეორიის მიხედვით ინტერტექსტუალობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ტექსტის ორმაგი მიმართება, პოლირეფერენტულობა სინამდვილისა და სხვა ტექსტის (ტექსტებთან) მიმართებაში. ინფორმაციის თეორიის მიხედვით ინტერტექსტუალობა ეს არის ტექსტის უნარი დააგროვოს ინფორმაცია არა მხოლოდ უშუალო გამოცდილების ხარჯზე, არამედ მოიპოვოს იგი სხვა ტექსტებიდან.

სემიოტიკის ფარგლებში ინტერტექსტუალობა შეიძლება შეფარდებულ იქნეს სოსიურისეულ მნიშვნელობის (valeur) ცნებასთან. თუ ინტერტექსტუალობას შევადარებთ ენობრივი ერთეულების ურთიერთობების ტიპებთან, მაშინ ინტერტექსტუალობა შეგვიძლია განვიხი-

ლოთ როგორც დამოკიდებულება საწყისსა და წარმოებულ ნიშანთა შორის (საწყისი და წარმოებული ნიშნებით).

სემანტიკურ ჭრილში ინტერტექსტუალობა ნიშნავს ტექსტის საკუთარი აზრის ფორმირების უნარს სხვა ტექსტებზე მითითების საშუალებით. კულტუროლოგიის ანუ ზოგადესთეტიკური პოზიციიდან ინტერტექსტუალობა შეესაბამება კულტურული ტრადიციის ცნებას — კულტურის სემიოტიკურ მენსიერებას.

აღსანიშნავია, რომ ინტერტექსტისა და ინტერტექსტუალობის კონკრეტული შინაარსი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური შეხედულებებით ხელმძღვანელობს ესა თუ ის მეცნიერი. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ გვესახება ისეთი მეცნიერების თეორიები, როგორებიც არიან — ჟ. დერიდა, მ. ფუკო, ა. ჟ. გრემასი, რ. ბარტი, ჟ. ჟენტი, მ. რიფატერი, ჟ. კრისტევა და ა.შ. ამ მეცნიერთა თვალსაზრისით წარმოდგენა ნაწარმოებზე, როგორც ენობრივ კონსტრუქციასზე იცვლება დეკონსტრუქციის პრინციპით, ანუ აზრთა მკაცრი იერარქიის ნაცვლად ხდება მათი „აფეთქება“, გაფანტვა, დისემინაცია. ამ ახალი მიმართულების თეორეტიკოსები ინტერტექსტუალობას იყენებდნენ არა მხოლოდ მხატვრული ტექსტის ანალიზის დროს, არამედ ფილოსოფიური ონთოლოგიის სფეროში.

რ. ბარტის აზრით (ბარტი, 1989, 425-426) ტექსტი წარმოადგენს ღია სისტემას და მიმართულია უსასრულობისაკენ. არც ერთ მეცნიერებას, არც ერთ სუბიექტს არ ძალუძს შეაჩეროს ეს მოძრაობა. ტექსტის ბარტისეულ ანალიზს საფუძვლად უდევს კოდის ცნება, რომელიც წარმოადგენს წესებისა და შეზღუდვების ნუსხას და უზრუნველყოფს ყოველგვარ ნიშანთა სისტემის ფუნქციონირებას, მათ შორის, რასაკვირველია, ენობრივი სისტემისა. ბარტის თეორიის დაწვრილებით განხილვისას თვალსაჩინო ხდება, რომ მას შემოჰყავს კოდის ცნება ტექსტის დეკონსტრუქციის ოპერაციის ჩასატარებლად. ამ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენლის ჟ. დერიდას აზრით, ყველაფერი — ისტორია, კულტურა, საზოგადოება და თვით ადამიანი, მისი ცნობიერება — შეგვიძლია გავიგოთ როგორც ტექსტი; აქედან გამომდინარე, კომუნიკაციის პროცესი, დერიდას მიხედვით, დაიყვანება ერთი ტექსტის უსასრულო პროექციებამდე და მინიშნებამდე მეორე ტექსტზე და ყველაფერზე ერთად, ვინაიდან ისინი ერთად წარმოადგენენ „ყოველისმომცველ ტექსტის“ ნაწილს. ასე წარმოიქმნება ინ-

ტერტექსტის ცნება, რომლის განმარტება ეკუთვნის როლან ბარტს: „ყოველი ტექსტი წარმოადგენს ინტერტექსტს. სხვა ტექსტები სხვადასხვა დონით წარმოადგენილი არიან მასში იმგვარად, რომ მათი ამოცნობა შესაძლებელია. ყოველი ტექსტი ახალი ქსოვილს ქმნის, რომლებიც ძველი ციტატებიდან არიან მოქსოვილები“. (ბარტი, 1989, 41).

ლიტერატურა

ბარტი, 1989 — Барт Р. Избранные работы: Семиотика; Поэтика. – М., 1989.

ბარტი, 1970 — Barthes R. S/Z – Paris., 1970.

ბახტინი, 1979 — Бахтин М. М. – Эстетика словесного творчества – М., 1979.

ბახტინი, 1975 — Бахтин М. М. – Проблема содержания материала и формы в словесном художественном творчестве. – М., 1975.

დერიდა, 1972 — Derrida J. La dissemination – Seuil, Paris, 1972.

დელეუზი, 1969 — Deleuze J. Logique du sens – Minuit, Paris, 1969.

კრისტევა, 1969 — Kristeva J. Semiotike: Recherches pour une semanalyse. – Paris, 1969.

ლოტმანი, 1996 — Лотман Ю. М. Внутри мыслящих миров: человек – текст – самиясфера – история. М., 1996.

MEDEA KINTSURASHVILI

Text, Intertextuality and Deconstruction

Summary

The paper focuses on one of the essential issues of text interpretation - the relationship between text, intertext and deconstruction. As is known, hermeneutics has developed a number of special rules and methods for text interpretation. According to hermeneutics one of the leading textual categories is the category of intertextuality. Intertextuality is regarded as an interaction of various codes. The conflict among them being of dialogic

nature. The paper surveys the most important theories of text and intertextuality. From the standpoint of the scholars like R. Barthes, M. Foucault, J. Derrida, J. Kristseva etc. the linguistic construction of a literary work is based on the principle of deconstruction the rigid hierarchy is replaced by an 'explosion', 'dissemination'.

თინათინ კურტანიძე

ქართული წიგნ-კითხვის მოსაზრებელი მუშაობა
არაქართულ სკოლაში

ისტორიიდან ვიცით, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ჯავახეთში მოიკალათეს ოსმალებმა და შინ დაბრუნებას აღარ აპირებდნენ. ქართლ-კახეთის მეფენი, მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე სულ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ დაებრუნებინათ ჯავახეთი. სწორედ ჯავახეთ-საათაბაგოს დაბრუნების სურვილი იყო ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ მეფე ერეკლე დაუკავშირდა რუსეთს და პირობა დაუდო, ეს ქვეყანა უთუოდ დაუბრუნეთ საქართველოსო.

მეფეს ასრულებით აუსრულეს პირობა რუსის მხედართმთავრებმა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან გაგვიჭირდებოდა თამამად თქმა, რა აჯობებდა, ასრულება პირობისა თუ მისი აუსრულებლობა.

1828 წ. 23 ივლისს გრაფმა პასკევიჩმა დაიმორჩილა ახალქალაქი, 2 სექტემბერს ქ. ანდრიაპოლში ხელმოწერილი სამშვიდობო ტრაქტატის ძალით ჯავახეთი შემოუერთდა რუსეთს და, მაშასადამე, საქართველოსაც, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილს. იმავე დროს მოხდა სამწუხარო ამბავი. გამაჰმადიანებული ჯავახობა ოსმალეთში გადაიხვეწა და ჯავახეთი მკვიდრთაგან დაცარიელდა. გრაფმა პასკევიჩმა დაცარიელებული ჯავახეთის სოფლებში ჩააყენა არზუმიდან ჩამოყვანილი 600 კომლი სომეხი და რამდენიმე ოჯახი ბერძენი.¹

ასე ჩამოსახლდნენ სომეხები საქართველოში. დღეს დიდია არაქართველოვანი მოსახლეობის რიცხვი საქართველოში, თან ერთად კომპაქტურად ცხოვრობენ (აზერბაიჯანელები, ოსები, სომეხები).

საქართველოში ქართული სკოლების პარალელურად მოქმედებენ არაქართულენოვანი სკოლები: სომხური, აზერბაიჯანული, რუსული. საქართველოს არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენა ისწავლება 1918 წლიდან; პირველი სახელმძღვანელო კი ამ სკოლებისათვის

დაიბეჭდა 1925 წ. ავტორები არიან ი. სიხარულიძე და პ. მეტრეველი.

დღეს მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანა დგას არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით. მასწავლებელი ვალდებულია სახელმწიფო ენის დაუფლებაში დაეხმაროს საქართველოს სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის მოქალაქეებს, რომ აქტიურად ჩაებან დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობასა და მართვა-გამგეობის საქმეში. ნაბიჯ-ნაბიჯ, წვეთ-წვეთად მიაწოდოს ცნობები ამ კურთხეულ მიწაზე დასახლებულ არაქართველენოვან მოსახლეობას ქართული ენის, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების შესახებ. იმის შესახებ, თუ რანი ვართ, რანი ვიყავით და საით მივმართებით.

საერთოდ, მოზარდის მეტყველების განვითარებაზე ზრუნვა სკოლამდელი ასაკიდანვე იწყება. მაგრამ ბავშვები იმთავითვე სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში (გარემოში) ზვდებიან, სხვადასხვა სამეტყველო ზემოქმედებას განიცდიან. ბუნებრივია, სკოლაში ახალმოდებულები მეტყველების მრავალფეროვანი თავისებურებებით ხასიათდებიან. სწავლის დასაწყისშივე მთავარი ყურადღება ექცევა მშობლიურ ენაში არსებული ბგერების სწორად წარმოთქმასა და სიტყვათა მარაგს. ახალდაბადებული ბავშვი იმდენად არის დაუფლებული მეტყველებას, რომ მას უკვე შეუძლია რამდენადმე გასაგებად ილაპარაკოს და თვითონაც გაიგოს მის გარემომყოფთა საუბარი. პირველ კლასში მოდიან ისეთი ბავშვებიც, რომელთაც დადაენის გარკვეული ცოდნა აქვთ, სიტყვის მარაგი აქვთ და მეტყველებენ ასე თუ ისე გასაგებად.

მაგრამ სულ სხვა ვითარებაა არაქართულენოვან სკოლებში, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთის სომხურ სკოლებში. პირველ კლასში მიდიან მოსწავლეები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, არ შეუძლიათ ქართულ ენაზე მეტყველება. არამშობლიური ენის შესწავლა ძლიერ რთული პროცესია, ამიტომ ძნელია ასეთ კონტიგენტთან მუშაობის დაწყება. მთავარი ადგილი არამშობლიურ ენათა სწავლებაში შეგნებულობას უჭირავს, ხოლო შეგნებულობა უშუალოდ დაკავშირებული მოსწავლის მშობლიურ ენასთან.

ამჯერად ჩემი დაკვირვების ობიექტია არაქართულენოვანი სკოლის უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა თავისებურებანი. ვაკვირდე-

¹ ა. ფრონელი „დიდებული მესხეთი“, თბ., 1991, გვ. 155.

ბოდი ახალციხის რ-ნის სოფ. წყრუთის საშუალო სკოლის II კლასის, 16 მოსწავლეს. ეს ის მოსწავლეები არიან, რომელთაც I კლასი გაიარეს, სადაც საპროგრამო მასალით გათვალისწინებულია არაქართველ მოსწავლეებისათვის სურათების ან ზოგიერთი თვალსაჩინოდ მისაწვდომი, ახლობელი საგნის დასახელებითა და აღწერით ქართული მეტყველების დაწესება. მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, წავაწყდი მეტად სამწუხარო ფაქტს, რომ მოსწავლეები საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, მათ არა აქვთ არანაირი სიტყვათა მარაგი, არ შეუძლიათ ქართულად მეტყველება, არა აქვთ განვითარებული დიქცია და სხვა.

დაკვირვება დავიწყე ელემენტარული კითხვებით, რომელთაც ჩემთვის უნდა მოეწოდებინათ ინფორმაცია არაქართველ მოსწავლეთა ქართული ენის ცოდნა-ჩვევებისა და თავისებურებების შესახებ. დაკვირვების შედეგი ასეთია: დაკვირვება 16 მოსწავლეზე მოხდა, აქედან ვერც-ერთმა ვერ უპასუხა მარტივ კითხვებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ I კლასი გავლილი ჰქონდათ.

მოსწავლეებმა ჩემი ნათქვამი, ჩემი სიტყვები რომ ვერ გაიგეს, იქვე გაჩნდა მეტად სერიოზული კითხვა: როგორ და საიდან დავიწყეთ ქართული ენის უცოდინარ კონტიგენტთან მუშაობა, როგორ ვასწავლოთ მათ ქართული სიტყვები და გამოთქმები, ბგერებისა და სიტყვების წარმოთქმა, წერა-კითხვა, როგორ დავაინტერესოთ ისინი ქართულით, როგორ შევავსებინოთ საზოგადოებას, რომ აუცილებელია ქართული ენის ცოდნა.

პირველ რიგში, დავიწყე იმის გარკვევა, თუ რით განსხვავდება ქართული ბგერითი სისტემა სომხურისაგან და რამდენად ძნელდება ამ განსხვავებულ ბგერებზე მუშაობა. საერთოდ ვიცი, რომ ქართულში 33 ბგერაა, სომხურ ენაში კი 39 — აქედან მხოლოდ 32 ბგერა, რაც ქართულ ანბანშია სომხური ანბანისთვისაცაა დამახასიათებელი, მაგრამ ბგერა-ასო -ყ- სომხურ ენაში არ არის. ხოლო სომხური ანბანის შესატყვისი ასოები: **ხხ, ლლ, ძძ, ჩჩ, იი, ლლ, ლლ, ლლ** — ქართულ ანბანში არა გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ანბანის 32 ასო მათ ანბანშიც არის, მოსწავლეებს მათი მართებულად, მკაფიოდ და დაბრკოლების გარეშე წარმოთქმა გაუჭირდათ. მაგ.: სიტყვა „ბიჭი“ — ყველა ბგერა

მათი ანბანისთვისაცაა დამახასიათებელი, მაგრამ ამბობენ „ბიჭი“. სიტყვა — ერთი — ამბობენ — ერთხი. სიტყვების წარმოთქმისას განსხვავებული დიქციაც შეინიშნება. ბგერა მუშაობის, გამეორების შემდეგაც რთულ სიტყვებში ეს დიქცია მაინც შეინიშნება.

3 თვის განმავლობაში ვაკვირდებოდი მოსწავლეების მეტყველებას. ვადგენდი მათ თავისებურებებს, ვარკვევდი, თუ რომელი ბგერების წარმოთქმა უჭირთ, რომელ სიტყვებს ვერ წარმოთქვამენ.

არაქართველენოვანი მოსწავლეების მეტყველებას, როგორც შინა-არსის, ისე ფორმისა და წარმოთქმის მხრივ გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს. ბავშვთა უმრავლესობა შიშინა: შ, ყ, ჯ, ჩ — ბგერების წარმოთქმის სიძნელის გამო სისინა: ს, ზ, ძ, ც, წ — ბგერებით ცვლის. მაგ.: შაშვი (საშვი), შოშია (სოშია), ჩიტტი (ციტი), ჭრელი (ჯრელი) და სხვა. ასევე ხდება ბგერებისა და მარცვლების გადანაცვლება: მაგ.: სიტყვა „სათამაშოს“ მაგიერ ამბობს „თასამაშოს“.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სომხურ ენაში მოთხრობითი ბრუნვა არ არის, ამიტომ ბავშვები მოთხრობით ბრუნვაში დასმულ სახელს სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოთქვამენ. მაგ.: სიტყვა „მასწავლებელმა“-ს ნაცვლად „მასწავლებელი“-ს ამბობენ, სიტყვა „ბიჭმა“-ს ნაცვლად („ბიჭის“) ამბობენ. ასევე მოსწავლეებს არ შეუძლიათ პირების გარკვევა. ისინი I, II და III პირის ნაცვლად წინადადებაში იყენებენ II პირს. მაგ.: მინდა, გინდა, უნდა — სამივე ფორმის ნაცვლად იყენებენ მინდა. „მე მინდა“, — ამბობენ (მე გინდა), „მას უნდა“ (მას გინდა).

რაც შეეხება ყ- ასო-ბგერის წარმოთქმას, რომელიც სომხურ ანბანში არ არის, დიდ სიძნელეს წავაწყდი. დიდი დრო, დიდი ვარჯიში დამჭირდა იმისათვის, რომ ყ- ბგერა მართებულად წარმოეთქვათ. ყ-ბგერის ნაცვლად ღ-ს ამბობდნენ. ამ დიდი წვალეების შემდეგაც, მაინც ღ-ს ამბობენ ხოლმე. ეს დიდხანს გრძელდება ასე და შემდეგ კლასებშიც დიდ ყურადღებას საჭიროებს. მაგ.: ყაყაჩო (ღაღაჩო), ყველი (ღველი), ყვავილი (ღვავილი), სამყარო (სამღარო). ასევე უჭირთ ღ- ბგერის წარმოთქმა, ხშირად მის მაგივრად ტ- ბგერას წარმოთქვამენ ან, პირიქით: მაგ.: ავდარი (ავტარი), ცოტა (ცოდა). ეს მონაცვლეობა შეიძლება არასწორად აღქმის მიზეზიც იყოს, რაც აუცილებელს ხდის ბგერათა და სიტყვათა წარმოთქმის ნიმუში მკაფიოდ იქ-

ნეს მიწოდებული.

მუშაობისას პირველ რიგში ალბათ მაინც მთავარი მოსწავლეთა დაინტერესებაა, საჭიროა, ვაკვეთილზე დიდაქტიკური თამაშების ხშირად ჩართვა, რაც ვაკვეთილის პროცესს უფრო ხალისიანს ხდის და მოსწავლეებში უფრო დიდ ინტერესს იწვევს. დიდაქტიკური თამაშები უნდა შეირჩეს და მოსწავლეებს ისე უნდა მოეწოდოს, რომ სწავლა უფრო ხალისიანი და აქტიური გახდეს.

არაქართველ მოსწავლეებს, ღარიბი მეტყველების გამო, უჭირთ ახალი სიტყვის მეტყველებაში გამოყენება, უჭირთ წინადადების შედგენა, მართებულად წარმოთქმა. არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც მორცხვობენ, სიტყვას მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამენ. სამ მოსწავლეს ძალიან სუსტად აქვს განვითარებული ყურადღება, მოსმენის უნარი, უჭირს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ნაკარნახევის გამართულად გამეორებაც კი. აუცილებელი ხდება თვით მასწავლებელმა რამდენჯერმე გაუმეოროს და მერე ავარჯიშოს გამეორება-წარმოთქმაზე.

მიღებული შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ: პედაგოგიურმა პროცესმა მოსწავლეთა შემოქმედებით ძალებსა და უნარებს, მათ აზროვნებასა და მეტყველების განვითარებას რომ ხელი შეუწყოს, საჭიროა საათების რაოდენობის გაზრდა, ამით მასწავლებელმა უკეთეს შედეგს უნდა მიაღწიოს მთლად უცოდინარ კონტიგენტთან, მაგრამ ამ პირობებში მაქსიმალურად უნდა იზრუნოს მინიმუმის მიწოდებაზე. ასევე მასწავლებელს ყურადღების ცენტრში უნდა ჰქონდეს ქართული ბგერითი სისტემის განსხვავებული ნიმუშები სომხურისაგან, დიქცია. იმის გამო, რომ სომხურ მოსახლეობას არ შეუძლია წინადადებაში სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გამოყენება, ხშირად სიტყვას სახელობითი ბრუნვის ფორმით იყენებენ. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსწავლეები ზოგიერთი ბგერის ნაცვლად სხვა ბგერას იყენებენ და ა. შ.

TINATIN KURTANIDZE

Preparatory Work for Teaching Georgian Speaking and Writing Skills in Non-Georgian Schools

(viz Armenian Schools)

Summary

The paper discusses the linguistic situation in Javakheti, the part of Georgia that was populated by Armenian migrants under the Russian rule. The main difficulty for the teachers of Georgian is that in the Armenian schools of the region the first graders' knowledge of Georgian is poor. Moreover, many of them cannot even speak Georgian. The paper stresses the need for carrying out preparation work before starting teaching Georgian in the second grade.

მაბა ლაბარტყვა

„მთის“ აღმნიშვნელი ზოგადი სახელები ქართულში

(სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით)

თითოეული ქართველური ენის ლექსიკის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ქართველურ ენათა ისტორიის, ასევე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით. ამ მხრივ საინტერესო აღმოჩნდა საზოგადო გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკა (მთის, ბარისა თუ წყლის აღმნიშვნელი სახელები).

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ „მთასთან“ დაკავშირებულ ლექსიკას ქართველური ენებისა და ქართული ენის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინებით. მოპოვებული მასალის მიხედვით გამოიყო საკუთრივ **მთის**, მისი შემადგენელი ნაწილებისა და **მთის** სიახლოვეს არსებული ტერიტორიის აღმნიშვნელი სახელები. ამათგან ერთი ნაწილი ქართულია (ან საერთო-ქართველური), ხოლო მეორე — ნასესხები (უცხო ენებიდან). რაც შეეხება სტრუქტურას, აქ გამოიყო როგორც მარტივი, ისე რთული სახელები (ამ უკანასკნელ ჯგუფში კი დადასტურდა დერივაციისა და კომპოზიციის გზით მიღებული ფორმები).

როგორც ზემოთ ითქვა, ქართველური ენებისა და ქართული ენის დიალექტთა მონაცემების მიხედვით მთასთან დაკავშირებული ლექსიკის შემდეგი ჯგუფები გამოიყო: ა) უშუალოდ მთის აღმნიშვნელი სახელები, ბ) მისი შემადგენელი ნაწილების გამომხატველი სიტყვები, გ) მთის სიახლოვეს არსებული ტერიტორიის აღმნიშვნელი ლექსიკა. დადასტურდა ზოგი მათგანის მეტაფორულად გამოყენების შემთხვევებით (მაგ. „**მთა** კაცი“; „ჩემი რძალი სალიხე სალი **კლდეა**, ბაბუავ, სალი **კლდე**“).

სალიტერატურო ქართულში „მთის“ აღმნიშვნელი სახელებია: **მთა** — დედამიწის ამაღლებული ადგილი, რომელიც თავისი სიმაღლით თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს (ფოჩხუა, 1987, 87); **ცი-**

ცაბო — ძალზე დაქანებული (კლდე, მთა), **ფრიალო** — შვეული რამ (ფოჩხუა, 1987, 88; ქეგლ, 1950, 634); **ჭიუხი** — შიშველი, წვეტიანი კლდე (ფოჩხუა, 1987, 88; ქეგლ, 1950, 1268); **ბეგი** — ამაღლებული ადგილი ველზე (ფოჩხუა, 1987, 88; ქეგლ 1950, 1038); **ბექური** — ბექიანი ადგილი (ფოჩხუა, 1987, 88; ქეგლ, 1950, 1093); **გორი, გორა** — იგივეა, რაც გორა, მთა, დიდი ბორცვი; მრგვლად ამაღლებული ადგილი (ფოჩხუა, 1987, 88; ქეგლ 1950, 1475); **კლდე** — მთის, გორაკის დაქანებული ქვა-გვერდობი, უსწორ-მასწორო ნაპირებიანი და ძნელად სავალი (ფოჩხუა, 1987, 89; ქეგლ, 1950, 1242); **ფრიალო** — შვეული რამ (ფოჩხუა, 1987, 90; ქეგლ, 1950, 181);

ქართველურ ენებში „გორას“ აღმნიშვნელია **გოლა** (მეგრ.), **გოლ** (სვან.). მაგალითები: გინილ ამში **გოლა** — გადაიარა ექვსი მთა; ქიმისვანჯე ართი **გოლაში** თუდო — დაისვენა ერთი მთის ქვეშ; შდრ. ლაზ. ჩე **გვალა** — თეთრი მთა, სააგრე ადგილი მინერალური წყლებით ტეხურის სათავესთან სამეგრელოში (ჭარაია, 1997, 49); იბნის **გოლ** ლახუ რ (ლნტ.) — იწყება ალპური მთები (თოფური, ქალდანი, 2000, 174).

მეგრულში კლდის აღმნიშვნელად დასტურდება **კგრდე**, სვანურში — კოჯ: ვორწყექ **კგრდე** ტახილევც — ვხედავ კლდე ციცაბოებს (ტეხილებს) (ქაჯაია, 2002, 176); გოსხაპუ ეკე, უცებ **კგრდეთ** მანვი შარა გეგნო თინგ — ისკუბა ზევით, უცებ კლდიდან პირდაპირ გზა გაისწორა (ქაჯაია, 2002, 176); ქამოლულა ერსქემეფი თე **კგრდე შე** გინიჩინე — რქამოლუნული ქურციკები (არჩვები) ამ კლდიდან იყურება (ქაჯაია, 2002, 176).

„მთა-კლდის“ აღსანიშნავად მეგრულსა და სვანურში გვხვდებით შემდეგ სახელებსაც: კინდლ, კინდღ, ახრა (მეგრ.); სუიკუ, ქაუქან (სვან.).

მაგალითები: ერ ცქემს პილუნთ **ახრემს** — არჩვს კვლავთ ჭიუხებში — ვარა რუუნდას რაში ცხენი, **ახრა-კგრდეთ** მაჭურინე — ან გყავლეს რაში-ცხენი, ახრა-კლდეებში მფრინავი; შხვა განიმე უუჯინინო, ვორწყექ **ახრა** ჩექემეფც — სხვა მხარეზე რომ გავიხედო (ვიყურო), ვხედავ ციცაბოს, უფსკრულს... (ქაჯაია, 2002, 208); [ეჯას] **სიკუქა** უიჯ ხ ყუნენა (ბზ.) — იმას ბორცვზე გველი ეწვინა (თოფური, ქალდანი, 2000, 712).

ქართული ენის დიალექტებში „მთის“ აღსანიშნავად დასტურდება შემდეგი ფორმები: **ქანჩახი** (კახ. ფშ.) — ბუჩქებით, ან ტყით დაფარული კლდიანი, ძნელად სავალი ადგილი (ფოჩხუა, 1987, 90);

ქველ, 1950, 254); **კრანჩხი** (ქიზ.) — ღრანტე, კლდე (ფოჩხუა, 1987, 89; ქველ, 1950, 1366); **კაწპანია** (რაჭ.) — „მაღალი აღმართი“ (ფოჩხუა, 1987, 89; ქველ, 1950, 1109); **ბრეჟი** (იმერ.) — პატარა გორაკი — ბეჟი (ფოჩხუა, 1987, 88; ქველი, 1950, 1131); **წრიაპი** (ზემო იმერული) — ციცაბო კლდე (ფოჩხუა, 1987, 90; ქველ, 1950, 1172); **კარწანი** (გურ.) — დიდი აღმართი (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 1089).

მაგალითები: „ადგილს ვემწყვდიეთ მჭიდროსა, **ქანჩახებს** შორის უგზოსა. მიქრის მთებისკენ ბავშვის ოცნება, სადაც ლიახვის **ქანჩახე-ბია** (ქველ, 1950, 254); სერს ქვემოთ ფერდი **წრიაპად** დაშვებოდა (ქველ, 1950, 1172).

ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში ცალკე ჯგუფად გამოიყოფა **მთის** ნაწილების აღმნიშვნელი სახელები. ესენია: **ფხაკო**-ძე „გვერდობა კლდიანი“, „გვერდობი კლდისა“, ზრიოკი ფერდობი (შდრ. ფხაკე) (ფოჩხუა, 1987, 89; ქველ, 1950, 226); **ნაპრალი** — გახეთქილი, ჩანგრეული ადგილი, დიდი და ღრმა ნაბზარი, კლდის ნაპრალი: საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რომ **ნაპრალში** არ გადაჩეხილიყვნენ. **ნაპრალიდან** გადმოქუხდა ვეება წყარო (ფოჩხუა, 1987, 92; ქველ, 1950, 1353); **ზეგანი** — ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე: ჩემი ბრიგადა **ზეგანზე** მუშაობს, ზვარში. რაზმელები განკერძოებულ **ზეგანზე** დაბანაკდნენ (ფოჩხუა, 1987; ქველ, 1950, 111); **ფიქალი** — შრეობრივი აგებულების მთის ქანი, მარმარილოს ფიქალი: მთა ატირდა, ცივი ცრემლი კლდის **ფიქალზე** აწკრიალდა (ფოჩხუა, 1987, 89; ქველ, 1950, 121); **ფერდობი** — დაფერდებული ადგილი, გვერდობი. ცხვარმა უკვე შეათავა ჭალა და მთის კალთას მოება, ტყიანს **ფერდობს** შეუდგა; მოლიანს **ფერდობს** აყვებები დაცვარულ ღამის ცრემლითა (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 68); **კინწრუნა** — კლდის წვეტი (ფოჩხუა, 1987, 89; ქველ, 1950, 1221); ცხვირწინ წამოშვერილი ნაწილი (მთისა ან რაიმე საგნისა): [მხედრებს] ყოველ მთის ცხვირთან ციხე უხედებოდათ (ფოჩხუა, 1987, 87); **ბუსნო** — ამწვანებული კლდის მონაკვეთი: კლდის თავზე ერთგან პატარა **ბუსნო** იყო (ფოჩხუა, 1987, 86; ქველ, 1950, 118); **კონცხი** — „ცხვირი კლდეთა, მაგარი და ბნელოვანი“ — კლდის კონცხზე აბობლდა (მახარე) (ფოჩხუა, 1987, 89; ქველ, 1950, 133); **კეფა** — „კლდე, გინა ფიქალი“. სიპი, გასიპული, მოლიპული სრიალა ზედაპირის მქონე კლდე... (ფოჩხუა, 1987, 89), **კინკრინო** — გადატ. მთის წვერი, მთის

თხემი: „იქ მოიკითხე მთებში **კინკრინოზე**, რაცხა... ქვების საბოჭავად რომ დაფხოკიალობ“ (ფოჩხუა, 1987, 87; ქველ, 1950, 1213); **ქიმი** — გამოშვერილი, წაწვეტებული ნაპირი (რისამე): კლდის ქიმზე დგას ნარიყალა; სვეტის თავს ზემოთ აქვს ქიმი (ფოჩხუა, 1987, 89; ქველ, 1950, 324).

მეგრულში: **ალაფერდა** — ჩაღმართი (ჭარაია, 1997, 35); ჭიჭე ალაფერდა არდგილი რდუ — ცოტა ფერდობი (ადგილი) იყო; (ქაჯაია, 2002, 179); **კურკუცია** — კონუსისებური ადგილი: კურკუციას გინო ქანჩა გინოხულ სუკიმ დუს: შემადლებაზე გადაშოლტილია, გადამზობილი (გაღმა სულ) გორაკის თავზე შდრ. კურკუცა — ლაბა — ფერდობი, დაფერდებული ადგილი, გვერდობი: სუკიმ თუდგ ალაქუნი, თი არდგილს, უძახუნა ლაბას. ბორცვის ქვევით რომ ძეგს, იმ ადგილს ეძახიან ლაბას ჯიკიმ სკა ლაბას ოკო ინახუნუნენი, წაქ ოკო ვემიავას — გორის ფუტკარი **ფერდობზე** უნდა დადგა, ნანი (ცივი ქარი) არ უნდა მოხვედას (ქაჯაია, 2002, 177); **წვანჯი** — იგივეა, რაც **წვანდი** — წვეტი; წვერი. რისამე ზედა ბოლო, უმაღლესი წერტილი (მწვერვალი, კენწერო) გვალაშ **წვანჯიშა** მუუკურე ჩხოულეფი — მთის წვერზე უყენია ძროხები (ქაჯაია, 2002, 409).

სვანურში: ნაპრალი — **ბლე** (ბლემიშ, - რ || -არ) ბლეჰ (-იშ, - რ) ბზ. ბლე (-ი/ შ- რ) ბქ. ლენტ. **ბლე** (ბლემიშ, ბლემარ) ლშხ. ნაპრალი მყინვარისა (თოფურია, ქალდანი, 2000, 159); **ტყ ბ** — ფერდობი ტყ ბ (-იშ, ტყაბარ) ბზ. ლენტ. ტყაბ (-არ) ლშხ. მგხ რ ტყ ბს გარ ლეჰმე (ბზ.) ხვალ ფერდობზე უნდა ვთიბო (ფერდობს მაქვს მოსათიბი) (თოფურია, ქალდანი, 2000, 721).

ქართული ენის დიალექტებში მთის ნაწილების აღსანიშნავად დასტურდება: **ფხაწალი** (მთიულ.) — კლდიანი მიუდგომელი (ადგილი). მთაში ვესტუმრე ხევსურთა, გზები შემიხვდა **ფხაწალი** (ხალხ.) (ფოჩხუა, 1987, 89; ქაჯაია, 2002, 228); **დალდე** (ფშ.) — „კლდეში შეზნეჟილი ადგილი სადაც ნადირი დაწვება, ან თოვლი შერჩება“ (ფოჩხუა, 1987, 90; ქაჯაია, 2002, 488); გეგენა ტყეში წავიდა თავთულლის გასათლელადა, ჩახენა ქვევთ **დალდეში** წვერები უჩნდა იფნებსა (ფოჩხუა, 1987, 90; ქაჯაია, 2002, 488); **ბორო** (რაჭ.) — „დიდი მთა“, „მიყრუებული ადგილი მთაში (ფოჩხუა, 1987, 87; ქაჯაია, 2002, 1105); ნაური (ქიზ.) — მთებს შუა ან სერზე სივრძის ჩაღრმავებული ადგილი (ხეობაზე უფრო პატარა) (ფოჩხუა, 1987, 91; ქაჯაია, 2002, 1382); **კეტამი** (ფშ.) — „კლდის თავი“: ხევსურთ

ჯოყოლა გასწირეს მკვდარი, კლდის თავსა, **კეტამზე**, თვითონ დაეს-
ხნენ ქისტებსა, ჩამოეფინენ ფერდაზე (ფოჩხუა, 1987, 99; ქაჯაია, 2002, 1152); **კინჭუხი** (ფშ.) — **კინჭუხის** თავზე შემხტარი პატარა ფაცუნა... დაციწვით ჩასცქეროდა თავის ძირს დარჩენილ ამხანაგებს (ფოჩხუა, 1987, 87; ქაჯაია, 2002, 1222); **კინწრიხო** (მოხ.) — წვერი; კენწერი (შდრ. კინწრუხა): მეორე მხარეს, კლდის **კინწრიხოზე** ამყად გადმოდგა „ხარი ჯიხვი“ (ფოჩხუა, 1987, 87; ქაჯაია, 2002, 1221); **კოდმე** (გურ.) — „მთის კონცხი, გორის ფერდობი, გვერდობი“ შდრ. **კბოდე** (ფოჩხუა, 1987, 88; ქაჯაია, 2002, 1258).

ცალკე გამოიყოფა **მთის** სიახლოვეს მდებარე ადგილების აღმნიშვნელი სახელები ქართულში. ესენია: **კბოდე** — მიუდგომელი (ჩაუვალი) კლდოვანი ნაპრალი ზღვისა, მდინარისა „ციცაბო კლდე ზღვის (მდინარის) პირას, ყველა ზღვის რუკაზე აღნიშნულია სანავი-გაციო საფრთხენი — ჩიფები, მეჩეჩები, წყალქვეშა ქვები, **კბოდეები** (ფოჩხუა, 1987, 89; ქაჯაია, 2002, 1118); **ჩორახი** — ოღრო-ჩოღრო, კლდიანი და სხვა ძნელად გასავლელი ადგილი (ფოჩხუა, 1987, 89; ქაჯაია, 2002, 530); **ჩრიატი** — კლდიანი და ქვიანი ფერდობი (ფოჩხუა, 1987, 88; ქაჯაია, 2002, 1507); მეგრულში: **კოდე, კოდმე, კოდუმე** (კოდეს, კოდუმეს) მდინარის მაღალი ნაპირი — **კბოდე**. ბოში თინა იყუაფუ, მით ათე კოდუმე გინოსხაპუნსინი — ბიჭი ის იქნება, ვინც ამ კბოდიდან გადახტება შდრ. ძვ. ქართ. **კბოდე, კმოდე**; გურ. **კოდმე** — მთის კონცხი, გორის ფერდობი, გვერდობი (იმერ.) **კმედო** კოდმე კბოდე (ქაჯაია, 2002, 154).

მთასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების ერთი ნაწილი უცხო ენებიდან არის შემოსული ქართულში. ასეთებია: **შხერი** [შვედ. Stät ციცაბო კლდე] ჩვეულებრივ მრავლობითში **შხერები** — ფრიალო ნაპრალებიანი პატარა კუნძული ან წყალქვეშა და წყალზე-და კლდე სანაპიროზე — ჭიუხი (ფოჩხუა, 1987, 83; ქველ 1950, 1478); **მასივი** [ფრანგ. massif.] — მაღლა აზიდული მთიანი მხარე, მთიანეთი, მოკლებული მკაფიოდ გამოსახულ თხემს, სიგრძე-სიგანით თითქმის თანაბრად განვითარებული და სუსტად დანაწევრებული (ფოჩხუა, 1987, 87; ქველ, 1950, 82); **ბითუმი** [ფრანგ. pic] მთის მწვერვალი — საბჭოთა მთამსვლელობას ეკუთვნის ისეთი მიღწევები, როგორცაა ასვლა სტალინის პიკზე (ფოჩხუა, 1987, 87; ქველ, 1950, 253).

დადასტურდა -იან სუფიქსით წარმოქმნილი მთის აღმნიშვნელი

სახელები: **ჩინდელიანი** (ქართლ.) — კლდიანი ან გორიანი ფერდობი (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 509); **ჩორახიანი** (ქართლ.) — ფერდობი, სადაც ტყე გაჩეხილია (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 531).

შეგვხვდა -ობ სუფიქსიანი ფორმები: **ბექობი** — ბექი, გორაკი: ინახულოს, რამდენი სახლია ზეზუურად წამოჭიმული ბექობზე: ამოვძვერ, ამოვიპარე, ბექობზე ავებლატია („ავებლატე“); წაბლის ოთხთვალისანი მშვენიერი ოდა **ბექობზე** იდგა; ქალებმა **ბექობის** იქითა მხრიდან თავები ამოჰყვეს: **ბექობებში** მოჩანდა გვირაბები, მათ წინ მუშები ფუსფუსებდნენ, გამოჰქონდათ წილიდან მადანი (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 1039); **მაღლობი** — მაღალი ადგილი, გორა: ჩიხურის პირად, მაღლობზე დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი; გამიხარდიმ მთელი სამი ღამე უყარაულა ტყიან **მაღლობზე**, რომ საღმე გაეგონა ირმის ყვირილი (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 100); **ვიწრობი** — ვიწრო გასავალი მთებში, კლდეებში: მხოლოდ რამდენიმე კითხვა უნდა მოგცეთ იმ ჯარის შესახებ, რომელსაც ფასანაურის ვიწრობებში მთიულები დაეცნენ (ფოჩხუა, 1987, 90; ქველ, 1950, 77).

დასტურდება -ალ, -აკ, -ილ, -ება სუფიქსიანი წარმოქმნილი ფორმები: **ღრანტალი** ღრანტე; ღრანტე — ღრმა და ვიწრო ხევი (ფოჩხუა, 1987, 91; ქველ, 1950, 469); **გორაკი** — პატარა გორა, — ბორცვი: სახლი პატარა **გორაკზე** იყო აშენებული; უკანასკნელად მხედარმა **გორაკი** გადაიარა და მიიმალა (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 1475); **აბორცვილი** (მიმლ. ვნებ. ნამ.) — ბორცვად ასული, ბორცვისებურად ამოწეული, ამობერილი, ამოხნეკილი (ფოჩხუა, 1987, 88); **ბურცვილი** — ტექ. ნაყარი მიწის პატარა გორა (შდრ. ბორცვი) (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 1186); **დაფერდება** — ფერდობი, თანდათანობითი დაქანება (შდრ. დაფერდებული): მთის ერთ-ერთ **დაფერდებაზე** გაშენებული იყო ვენახი (ფოჩხუა, 1987, 88; ქველ, 1950, 898).

მრავლად შეგვხვდა კომპოზიციის გზით მიღებული ფორმები: ა) არსებითი სახელი + არსებითი სახელი: ხევ-ხევ-ხევი ხევ. ზმნს. იგივეა, რაც ხევ-ხევ: ჩადის, ჩატირის, **ხევ-ხევ** ტალღა ნაკადის ცივისა (ფოჩხუა, 1987, 91; ქველ, 1950, 1368); **კლდე-ღრე** კლდე და ღრე; ელვანი მრისხანედ გრგვინვენ და იკლაცნებიან, მათ ჭექა-ქუხილს **კლდე-ღრენიც** საზარლად ეძახებებიან ბ) არსებითი სახელი + ზედსართავი

სახელი: ხევეწრო — იგივეა, რაც ვიწრობი: რა ელდა ეცათ მტრებს და აირივ-დაირივნენ, როცა დაგინახეს ხევეწროდან გამოსული (ფო-ჩხუა, 1987, 90; ქეგლ, 1950, 1368); გ) ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი: **შუაწელი** — შუა ნაწილი რისამე (მაგ. მდინარისა, მთისა) [ცივგომბორის] მთა არ არის მაღალი, შუაწელი დასავლეთისკენ აქვს გამოვარდნილი; მდინარე შამსუდოს შუაწელი იყო ერთი პატარა სოფელი ქვემო — უტაში (ქეგლ, 1950, 1455); დ) არსებითი სახელი + ვნებითი გვარის მიმღეობა: **მთაგრეხილი** — ერთმანეთს მიყოლებული, ერთმანეთზე გადაბმული მთები: კავკასიონის მთაგრეხილში, ცამდის აბჯენილ მყინვართა შუა, ერთი პატარა ხეობა მდებარეობს; ტყე... ქოჩორივით შერჩენია მთაგრეხილის მწვერვალებს (ფო-ჩხუა, 1987, 87; ქეგლ, 1950, 247).

ამრიგად, ქართველური ენებისა და ქართული ენის დიალექტთა მონაცემების მიხედვით „მთასთან“ დაკავშირებული ლექსიკის სამი ჯგუფი გამოიყო: ა) უშუალოდ „მთის აღმნიშვნელი სახელები, ბ) მისი შემადგენელი ნაწილების გამომხატველი სიტყვები, გ) მთის ახლო მდებარე ტერიტორიის აღმნიშვნელი ლექსიკა. სტრუქტურულად დასახელებულ სახელთა ერთი ნაწილი მარტივია, ხოლო მეორე — დერივაციისა თუ კომპოზიციის გზით მიღებული. დადასტურდა უცხო ენებიდან შემოსული ფორმებიც.

ლიტერატურა

თოფურია, ქალდანი, 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ენის ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბ., 2000.

ფოჩხუა, 1987 — ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987.

ქეგლ, 1950 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950.

ქაჯაია, 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, 2002.

ჭარაია, 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

MAKA LAPARTKAVA

Common Nouns Denoting "Mountain" in Georgian

(in reference to other Kartvelian Languages)

Summary

On the material of Kartvelian languages and the dialects of the Georgian language the following lexical units denoting "mountain" have been singled out:

- 1) the nouns denoting "mountain" proper
- 2) the words referring to the constituent elements of a mountain
- 3) the lexemes nominating the surrounding area of mountains.

The lexemes included in the classification are either of derivational or compositional structure. Some of the lexemes are borrowings.

მანა მარჯანი

საგაზეთო სათაურების ინფორმაციულობის ხარისხის
ბანსაზღვრელი ზომის საუშალები

ჩვეულებრივ, რიცხვითი სახელები საგაზეთო სათაურებში შეტყობინების უმთავრეს საშუალებად მოიაზრება, რამდენადაც საკითხის დასმასთან ერთად სათაური დაძახილის, ყურადღების მიპყრობის საშუალებასაც წარმოადგენს. შესაბამისად, სათაურში ესწრაფვიან ისეთი აქცენტების გაკეთებას, რაც მკითხველს დაარწმუნებს წასაკითხი ტექსტის მიუყვარებლობასა და ფაქტობრივი მასალის სიზუსტეში. ამიტომ ტექსტის სიზუსტის შეფასება სათაურში გამოტანილი ე. წ. სიზუსტის მარკერების მეშვეობით ხდება. ამ რიგისაა რიცხვითი სახელები.

საგაზეთო სათაურების შესწავლისას ყურადღება მიიქცეის იმ მაგალითებმა, რომლებშიც ციფრები ან რიცხობრივი მონაცემებია სათაურებში გამოტანილი. ამ თვალსაზრისით, შემდეგი ჯგუფები გამოვყავით:

- სათაურები რაოდენობითი რიცხვითი სახელებით:

Five daughters in suicide pact.

Terrorist bomb injures nine at stadium. (DT May 2, 2002)

Three strikes will mean automatic jail, says Howard. (DT Feb. 26, 2005)

Thousands of nurses join exodus from the health service. (DT April 25, 2005).

35 survive train. crash (DE Feb. 26, 2003)

Best age to have baby is 34, says study (DT Apr. 25, 2005)

13 held in raid on wild finch traders.

300 troops killed. (DM Feb. 21, 2003)

11 die as bus falls into sea. (DT Feb. 18, 2005)

- სათაურები რიგობითი რიცხვითი სახელებით:

First night unit aims to cut jail death. (G Mar. 18, 2005)

1st class response to post votes. (DT May 2, 2002)

21st century grandparents.

Envoy accused over sept 11th. (DE Dec. 2, 2002)

ბრიტანული გაზეთის ფურცლებზე გვხვდება შერეული ტიპის რაოდენობითი რიცხვითი სახელების ჩაწერა:

Five bombs kill 14 in Manila. (T Jan 1, 2001)

- სათაურები წილობითი (პროცენტული) მაჩვენებლებით:

Nurses in 15% pay bid to halt exodus. (DE Nov. 4, 2002)

80% of women are just not fit. (DE Feb. 26, 2003)

S Africa shows 1.1% quarterly growth. (FT Nov. 26, 2003)

Bush tells McCartney sisters: Your campaign has 100% backing from me. (G Mar. 18, 2005)

როგორც დავაკვირდით, ბრიტანულ გაზეთში ჭარბობს ციფრებით გამოხატული რიცხვითი სახელები.

რიცხვითი სახელებით გადმოცემული ინფორმაცია:

1. რიცხვითი სახელებით სათაურებში მითითებულია დრო:

1 დრო საათებში: **How grown men sobbed in 3 - hour ordeal on crash plane.**

1 დროის ხანგრძლივობა დღეებში: **21 days to war.**

1 დროის ხანგრძლივობა კვირათა მიხედვით: **Abortion: Howard voted for 24 weeks.**

1 დროის ხანგრძლივობა წლების მიხედვით: **US sees fastest rate of growth in 20 years.**

1 დრო ასაკის (წლების) მითითებით: **Queen Mother is 97 today.**

1 დრო თარიღებში: **America's Cup 2007 promises break the mould.**

2. რიცხვები ინგლისურ გაზეთების სათაურებში ზოგჯერ (და არცთუ იშვიათად) საზღვრულის გარეშეა მოცემული. ამ რიგისაა:

128 held as united hooligans riot in Germany. (DT May 2, 2000).

20 arrested as child protesters confront police. (DT Mar. 21, 2003).

ინგლისურ სათაურებში ძირითადად რიცხობრივი ინფორმაცია არაბული ციფრებით არის გადმოცემული, იშვიათია რომაული:

Jubilant pilgrims hail Benedict XVI. (DT April 20, 2005).

რამდენადაც ჩვენი კვლევა ერთი მხრივ ინგლისური გაზეთის ენის თავისებურებათა შესწავლას ისახავს მიზნად, მეორე მხრივ კი ქართულ მედიაში ანალოგიურ მოვლენების ანალიზს, ამიტომ ჩვენ ამ თვალსაზრისით, ქართულ გაზეთებსაც დავაკვირდით (ტაბიძე, 1989,

344-345).

რიცხვითი სახელების სათაურში გამოტანა ჩვენშიაც გავრცელებულია:

1 რაოდენობა ციფრით არის გამოხატული:
„ფინანსური ამნისტიით“ 3 მეწარმე გამოუშვეს.
(რეზონანსი 27/01/2005)

6 მაისი ტრაგიკულად დასრულდა.
(კვირის პალიტრა 9-15/05/2005)

სანიტარული წიგნაკები პოლიკლინიკებში 15 ლარად იყიდება.
261 ახალწვეული ფიცს დადებს.

(ახალი თაობა 15/04/2005)

ბუმის ვიზიტის **500** ჟურნალისტი გააშუქებს.
(მთელი კვირა 9/05/2005)

● რაოდენობა სიტყვებითაა მითითებული:
საქართველოს საბანკო სფეროში **ოთხი** ახალი ინვესტორი შემოდის.

„სამი დღესასწაული“. (24-საათი 9/03/2005)
მარნეულში საპასპორტო სამსახურის **ორი** დამატებითი პუნქტი გაიხსნა. ზუგდიდის რაიონში **ათ** ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია დაიწვა.
(ახალი თაობა 15/04/2005)

პოლიცია **ორ** ქუთაისელ მოზარდს ეძებს.
(ქრონიკა 9-15/05/2005)

შეინიშნება შერეული ტიპის რიცხვითი სახელების ჩაწერა:
აუქციონზე **5** ობიექტიდან მხოლოდ **ერთი** გაიყიდა.
(ახალი თაობა 15/04/2005)

როგორც ვხედავთ, ტექსტის სიზუსტის შეფასებისას საგაზეთო სათაურებში ხშირ შემთხვევაში ლაკონურობის თვალსაზრისით გამოყენებულია:

1) რიცხვითი სახელების ჩაწერა ციფრებით. შენარჩუნებულია ეკონომიურობის პრინციპი;

2) სტატისტიკური მონაცემები სიღრმესა და სიზუსტეს ანიჭებს ტექსტს, უფრო ხშირად კი ინფორმაციის ღერძად იქცევა. ციფრი, თავისთავად აღებული ნაკლებ მეტყველია, მისი ძალა კონტექსტშია.

თანამედროვე ენები, მეტადრე ევროპული ენები აბრევიაციისა-დმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ამჟღავნებს. ამის მიზეზად თან-

მედროვე ტექნიკური პროგრესის ვითარებაში მომრავლებული ვრცელი ქტემატონიმებისა და პრაგმონიმების სიმრავლეს ასახელებენ (ტაბიძე, 1988, 351-352). მრავალკომპონენტური შესიტყვებები წარმოსაქმელებად და დასამახსოვრებლად ძნელია, ამასთან მრავალკომპონენტური შესიტყვებებს ხშირად კომპონენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობას სხვა შესიტყვებათა მსგავსი აქვთ და ამითაც ძნელდება მათი იდენტიფიკაცია. ეს მიზეზები საკმარისად ნათლად ხსნის აბრევიაციის პოპულარობას; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აბრევიატურა ინგლისურში ლათინური დამწერლობის ასოების დასახელებათა სპეციფიკის გამო ადვილად დასამახსოვრებელია, აღარ გაგვიკვირდება ინგლისურ ენაში აბრევიატურის ესოდენ ფართო გავრცელებულობა. შემოკლება ანუ აბრევიატურა გულისხმობს ახალი სიტყვის ან მისი ვარიანტების წარმოქმნას ძველი სიტყვის, ფრაზეოლოგიური შენაერთის ორი, ან მეტი სიტყვის საწყისი ასოების შემოკლებით. აბრევიაციების სიუხვე დამახასიათებელია გაზეთის ენისათვის, რომლებიც მაღალი სიხშირით გამოიყენება საგაზეთო სათაურებში:

MoD — Ministry of Defence — თავდაცვის სამინისტრო

TA — Territorial army — ტერიტორიული არმია. მაგალითად:

MoD in court over TA pensions.

BBC — British Broadcasting Corporation — ბრიტანეთის რადიომაუწყებელი ასოციაცია, ბი-ბი-სი და სხვ. მაგ.: **Mandelson fires warning at BBC over 'dirty tricks'.**

აბრევიატურა, ცხადია, მარტო მასმედიის გამონაგონი არ არის და არც მარტო მედიაში გვხვდება, მაგრამ მასმედია აბრევიატურის აქტიური მომხმარებელია, რადგანაც პრესა განსაკუთრებით ესწრაფვის სამეტყველო (წერიითი და ზეპირი) ეკონომიურობას.

შემოკლებათა ნიმუშები ორ ძირითად ტიპად დავყავით:

ა) შემოკლება-აბრევიაციას დაქვემდებარებული სიტყვები და გამოთქმები სემანტიკური თვალსაზრისით;

შემოკლებულია პირთა აღმნიშვნელი სახელები (ძირითადად, პროფესიასა და თანამდებობაზე მიმითებელი სიტყვები) მაგ.:

PM — Prime Minister — პრემიერ-მინისტრი. მაგ.:

PM agrees with Bush on Iranian threat.

(DT Feb. 9, 2005)

MPs — Members of Parliament — პარლამენტის წევრები. მაგ.:

MPs criticize Queen over Burrell case. (G Nov. 4, 2002)

Pc — **Police constable** (a police officer of the lowest rank) — პოლიციელი. მაგ.:

I was testing the car, says **Pc** clocked at 159mph. (DT Apr. 20, 2005)

შემოკლებულია ტოპონიმი;

Man — **Manchester** — მანჩესტერი. მაგ.:

Glazer makes fresh bid for **Man** UTD. (DT Feb. 7, 2005)

UK — **United Kingdom (of Great Britain and Northern Ireland)** — გაერთიანებული სამეფო (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიისა);

HK — **Hong Kong** — (ჰონგ კონგი). მაგ.:

UK-HK airline talks near breakthrough. (FT Nov. 26, 2003)

US — **United States (of America)** — ამერიკის შეერთებული შტატები. მაგ.:

US halts aid to Kenya in protest over corruption. (DT Feb. 9, 2005)

შემოკლებულია ანთროპონიმი; მაგ.:

Di — **Diana** — დიანა.¹ მაგ.: **McCrocodile** and **DI's** Rock. (DE Nov. 4, 2002)

Condi — **Condoleezza** — კონდოლეზა. მაგ.: **Condi** comes over all coquettish.

შემოკლებულია ტერმინები;

ID — **Identity** (an official way of showing who you are) — ცნობა. მაგ.:

Tories may refuse to bask **ID** cards plan.

Tb — **tuberculosis** — ტუბერკულოზი. მაგ.:

DNA helps scientist to develop **Tb** vaccine. (DT Feb. 7, 2005)

შემოკლებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელები; მაგალითად,

bn — **billion** — ბილიონი. მაგ.:

Public sector pensions bill for taxpayers **£700 bn**.

m — **million** — მილიონი. მაგ.: **Smoke** pollution 'killing **1.6m** a year'.

შემოკლებულია პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების სახელწოდებები:

Lib-Dems — **Liberal-democrats** — ლიბერალ-დემოკრატები. მაგ.:

IRA — **Irish Republican Army** (The **IRA** is an illegal organization

¹ ქართულ მედიაშიც ხშირად ფამილარულად მოკლდება პოლიტიკოსთა სახელები. მაგ.: მიშა, ზურა.

which has fought for Northern Ireland to be united with the Republic of Ireland) — ირლანდიის რესპუბლიკური არმია. მაგ.: **London** — **Dublin** split over **IRA** ceasefire.

შემოკლებულია თვეების სახელწოდებები: მაგ.

Sept — **September** — სექტემბერი. მაგ.:

Envoy accused over **Sept** 11th. (Dec. 2, 2002).

შემოკლებულია ფულის ერთეულები, რომლებიც აღნიშნულია შემდეგი ნიშნებით **£**, **\$**. ამგვარი სიმბოლოებით აღნიშვნა, საერთოდ დამახასიათებელია ინგლისურენოვანი მედიისთვის:

Branson goes for **\$ 3bn** mobile float. (DT April 25, 2005)

Overseas syndicate win **£ 16-6m** lottery jackpot. (DT April 15, 2005)

შემოკლებულია მანძილის აღმნიშვნელი ერთეულები:

mph — **miles per hour**: a **60 mph** speed limit — მილი საათში.

მაგ.:

I was testing the car, says **Pc** clocked at 159 **mph**. (DT April 20, 2005).

არსებობს სპეციალური ტიპის შემოკლებანი, ნასესხები ლათინურიდან:

ბ) შემოკლება-აბრევიაციის სტრუქტურული თავისებურება:

ინგლისურ მედიაში შემოკლება თითქმის ნებისმიერ მეტყველების ნაწილს შეიძლება შეეხოს:

არს. სახელი: **N.** — **north** — ჩრდილოეთი.

EU — **European Union** (an economic and political organization that many European countries belong to) — ევროპის კავშირი. მაგ.:

Straw warns of **EU** 'crisis'. (DT Feb. 9, 2005).

UN — **United Nations** — (an association of many countries which aims to improve economic and social conditions and to solve political problems in the world in a peaceful way) — გაერთიანებული ერები (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია). მაგ.:

Sudan defies **UN** over war crimes suspects. (DT Feb. 7, 2005).

აბრევიატურაში აღებულია შესიტყვევის ყოველი წევრის პირველი ასოები და მთავრული ანბანითაა ჩაწერილი. ასეთი შემოკლება მიეკუთვნება ინიციალურ ტიპს და ის ფართოდაა გავრცელებული:

SAS — **Special Air Service** (a group of highly trained soldiers in Britain who used on very secret or difficult military operations) — სპეციალური საჰაერო მომსახურება. მაგ.:

Soldiers will quit **SAS** over trooper on murder charge. (STel. Mar. 6,

2005).

RAF — Royal Air Force- (The British air force) — ბრიტანეთის საჰაერო ძალები. მაგ.:

RAF's dead return home. (DT Feb. 9, 2005).

NHS — Nation Health Service (the public health service in Britain that provides medical treatment and is paid for by taxes) — ჯანმრთელობის ეროვნული სამსახური. მაგ.: **Hundreds more heroin addicts to be given a fix on the NHS.**

(DT March 25, 2005).

აბრევიატურაში აღებულია შესიტყვების პირველი ასოები, დამხმარე სიტყვების გარეშე (ინიციალური ტიპის ვარიანტი):

CBE — Commander of the British Empire (an award given in Britain to some people for a special achievement) — მეორე ხარისხის ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი. მაგალითად:

6ft 7 in captain stoops to pick up his CBE. (DT Feb. 28, 2005)

GCSE — General Certificate of Secondary Education (a British exam taken by students in England and Wales and some other countries, usually around the age of 16). მაგ.: **GCSE exams papers will be sent to India for Marking.**

არის შემთხვევები, სადაც დამხმარე სიტყვები შემოკლებულია და პატარა ასოებითაა ჩაწერილი; მაგ.:

MoD — Minister of Defence — თავდაცვის სამინისტრო.

PoWs — Prisoners of War — სამხედრო ტყვეები. მაგ.:

PoWs to be stripped in suicide bomb fears. (DT March 21, 2003).

გაზეთის ფურცლებზე ჩვენ ვხვდებით აგრეთვე შესიტყვებებსა და ისეთ რთულ შემოკლებულ სიტყვებს, სადაც პირველი კომპონენტი შემოკლებულია ერთ ასომდე მეორე კომპონენტი კი სრულადაა წარმოდგენილი; მაგალითად:

N Korea — North Korea — ჩრდილოეთ კორეა. მაგ.:

Japanese plead for calm in 'grudge match' with N Korea.

X-box, მაგ.: X-box fire alert. (DT Feb. 9, 2005).

აბრევიატურაში გამოყენებულია შესიტყვების პირველი კომპონენტის პირველი დახურული მარცვალი და მეორე კომპონენტის პირველი ხმოვნისა და თანხმოვანთა ერთი ჯგუფი: **Man UTD — Manchester United.**

სიტყვათა შემოკლების გზები ნაირგვარია:

1) მოკლდება დახურული მარცვლით: **ID — Identily, lib — liberal, Dem — Democrat, Tb — tuberculosis** ანუ შეკვეცილია სიტყვის დაბოლოება. სიტყვათა შემოკლების ისეთ ოპერაციას, რომელიც მოიცავს სიტყვიდან ან ფრაზიდან ნაწილის ჩამოჭრას ქლიფინგი (**clipping**) ეწოდება (გრამლი, 2004).

2) პირველი და ბოლო თანხმოვნით ანუ სიტყვის შუა ნაწილი შეკვეცილია — **bn — billion, st — street** — ქუჩა, მაგ.: **Wall St prepares bid;**

Sgt — Sergeant — სერჟანტი, მაგ.: **Sgt-Major named as leader the bullies at death-scandal barracks;**

3) პირველი თანხმოვნით: **m-million.** მაგ.: **£450m post office help.**

(DE Dec. 2, 2002)

4) შეკვეცილია სიტყვის დასაწყისი: **phone — telephone.**

როგორც დაკვირვებიდან ჩანს, შემოკლებანი ინგლისურ გაზეთში უფრო არის განვითარებული, ვიდრე ქართულში. ძირითადად შემოკლებულია პოლიტიკური პარტიებისა და ზოგიერთი ტოპონიმის სახელწოდება, რომლებიც გაგრძელებულია ქართულ გაზეთში:

ედბ — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; მაგ.: **ედბ-ს** ლიდერი ელუარდ შევარდნაძეს პერიოდულად ხვდება და მისი მეუღლის ჯანმრთელობაზე წუხს.

აშშ — ამერიკის შეერთებული შტატები; მაგ.:

აშშ-ს დახმარება საქართველოსათვის.

(24-საათი 9/02/2005)

დსთ — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. მაგ.:

დსთ-ს სამიტი სააკაშვილისა და ალიევის გარეშე.

(მთელი კვირა 9/05/2005)

აღსანიშნავია, რომ ბრიტანული გაზეთების სათაურებში შემოკლებული სიტყვების უმრავლესობის ინტერპრეტაცია, დეკოდირება ხდება მოცემულ საგაზეთო ტექსტში. ისეთი შემოკლებანი კი რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია, არ საჭიროებენ ახსნას. აბრევიატურებს უფრო ხშირად ვხვდებით ბროდშიტებში, ვიდრე ტაბლოიდებში.

არის თუ არა აბრევიაციის მეთოდი (ფაქტი) შეფასებითობის საკითხთან რაიმე კავშირში? ვფიქრობთ, რომ არის: 1) შესიტყვების შემოკლებისას ჩნდება შემოკლების ობიექტისადმი დამოკიდებულება შემოკლებლის მხრიდან (ზოგჯერ თავად ჟურნალისტი ქმნის ან ირჩევს შემოკლებულ ვარიანტს და ეს არის კიდევ ჟურნალისტური

ჟარგონი (არჩევანი);

2. თავისთავად შემოკლებული ფორმისთვის უპირატესობის მინიჭებით სათაურში სხვა ლექსიკური ერთეულების წინ წამოწევა ხდება. ესეც შეფასების ფართული ფორმაა, როდესაც მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან ასპექტებზე მახვილდება ყურადღება.

ლიტერატურა

არნოლდი, 1959 — Арнольд И. И., Лексикология современного английского языка, Москва, 1959.

კვერკი, 1998 — R. Quirk et al., A Comprehensive Grammar of the English Language, London and New York, Longman, 1998.

გრამლი, 2004 — S. Gramley, A Survey of Modern English, second Edition, Routledge London and New York, 2004.

ტაბიძე, 1989 — მ. ტაბიძე, ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელდების მოტივაციისა და სტრუქტურის საკითხები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრე, მეცნიერება, 1989.

ტაბიძე, 1988 — მ. ტაბიძე, ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, მეცნიერება, 1988.

MAYA MARGHANIA

Some Means Determining the Degree of Informativeness in Newspaper Headlines

Summary

In newspaper headlines the accent is on impartiality and precision of factual information. The precision of the textual information is signalled by specific precision markers used in newspaper headlines. Numerals and abbreviations are among the markers in question. Because of the principle of economy, numerals are often given in figures. The paper discusses semantic and structural peculiarities of abbreviated words and expressions that are encountered in newspaper headlines.

მცენარეთა სახელწოდებებთან დაკავშირებული ზოგადი ტერმინების განხილვა მცენარეთა ლექსიკის სემანტიკურ ველს უფრო სრულად წარმოგვიდგენს.

მცენარეთა სახელწოდებებთან დაკავშირებული ზოგადი ტერმინების განხილვა მცენარეთა ლექსიკის სემანტიკურ ველს უფრო სრულად წარმოგვიდგენს.

ნახესხები ლექსემები

ამგ „ყანა“

≈ ლომთათიძე უკავშირებს ქართულ ახო-ს და აგრეთვე, სავარაუდოდ, მახა-ს ხორბლის უძველესი სახეობის ქართულ დასახელებას. ავტორის აზრით, ანლაუტში (ა)მგ და მახა სიტყვებისა, შესაძლოა იყოს გაქვავებული კლასის ნიშანი (შაგიროვი, 1977, 268).

ადიგ „მინდორი, ველი“

≈ ამ სიტყვიდან ნაწარმოები ფუძე-წინდებულიც არსებობს აფხაზურში: (ა)დიგ (ლომთათიძე, 1981, 7) ლექსემა ნახესხები უნდა იყოს ქართულიდან. შდრ. დუნია „ქვეყანა“, სწორედ დუ ქართულ ბგერათმომდევრობას უნდა გამოეწვია დ ბგერის ლაბიალიზაცია აფხაზურში.

აბნა „ტყე“

≈ მომდინარეობს ადიღური ბანა / ფანა „ეკალი“ ფუძიდან.

... განეკუთვნება უძველეს აფხაზურ-ადიღურ ფონდს, შდრ. აფხ. აბნა, აბაზ. ბნა „ტყე“, უბიხ. ბანა „ბალახი“... სიტყვის მეორე ნაწილის -ნა ელემენტი გ. როგავას გაქვავებულ -ნა აფიქსად მიაჩნია (შაგიროვი, 1977, 68).

ატრჟრა „ტევრი“

აბნატრჟრა „ტყე-ტევრი“

≈ აბნა „ტყე“, „ტრჟრა“ იგივე სიტყვაა, რაც ქართული ტევრი.

ნანა მაგარანია

ტვერ ფუძეს აფხაზურში უნდა მოეცა ჯერ *ტაჟრ(ა), ხოლო შემდეგ ასიმილაციის გზით -ტოჟრა (ლომთათიძე, 1976, 113) კომპოზიცია, მსაზღვრელ-საზღვრული.

ადილეთურ მზ/მზზე „ტყეს“, ბალყაროვი უკავშირებს უბიხურ მძე-ს, რომელიც მოჰყავს დირზე მითითებით „ნაძვი“. მაგრამ დირ-თან არის არა მძე, არამედ მძეღოგნე, სადაც ღოგნე „ხეა“. ალბათ, ეტიმოლოგიკური სიტყვა მონათესავეა უბიხური მძე-სი, ისევე, როგორც ადილური ბანგ / ფანგ „ეკალი“ აფხაზურ-აბაზური აბნა / ბნა „ტყესი“. მზ / მზზე-ს აკავშირებენ აბაზურ აბნა / ბნა, ლაკ. ვაწა „ტყესთან“. უნდა ვიფიქროთ, ქართულ „ნაძვს“ ადილეთურ ლექსემასთან არა აქვს კავშირი, ისევე, როგორც, არც ბალყარულ მგრზე „არყს“ და ოსურ ნეზე „ფიჭვს“, რომელთაც ბალყაროვი განიხილავს, როგორც ნასესხებს მზ / მზზედან (შაგიროვი, 1997, I, 264 (884).

არხა „დაბლობი, ველი“

≈ შესაძლოა ქართულიდან იყოს აფხაზურში შესული ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე: არხა < არხი.

აბაჰჩა „ბალი“

≈ ნასესხებია თურქულიდან.

ფუძის სახით წარმოდგენილი ლექსემები

აშიგრ „ხილი“

≈ უნდა იყოს კავშირში შესაბამის ადილეთურ სემანტიკასთან: ფხნ ს'ჰმეს'ჰე / ფხნს'ჰმეს'ჰ „ხილ-თან“. შაგიროვი კოპულირებულ წარმოებად მიიჩნევს, სადაც პირველ ნაწილში შან „ველური ვაშლია“, ხოლო მეორე ნაწილში გვაქვს არა ს'ხ „თავი, არამედ სუფიქსი, რომელიც ამ სიტყვიდან მომდინარეობს. მისი მნიშვნელობაა „მსგავსი“, რაც მიანიშნებს გარკვეულ ჯიშზე, გვარზე (შაგიროვი, 1977, II, 24 (1047).

აშთა „მინდორი, კარ-მიდამო, მოედანი“, შდრ.: „აშთა „კვალი“

კომპოზიტები

აჟკაწა „ვენახი“

≈ აჟ „ყურძენი“, აკაწა „ვენახი“, ტერმინი მომდინარეობს აქიწარა „ზედ დადება“ მასდარული ფუძისაგან. სიტყვასიტყვით:

ყურძენი ზედ მდებარე“, სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

აწლაშიგრა „ულრანი ტყე“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აწლა „ხე“ ლექსემაა, მეორე კი აშიგრ „ხილი“ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს. ზედმიწევნით: „ხე + ხილი“ საზღვრულ-მსაზღვრელია.

აშიგრწლა „ხეხილი“

≈ აშიგრ „ხილი“, აწლა ხე“, დაზუსტებით: ხილი + ხე, ლექსემა მსაზღვრელ-საზღვრულია.

საინტერესოა აწლაშიგრა / აშიგრწლა ტერმინთა შედარება. აწლაშიგრა „ხე + ხილი“, საზღვრულ-მსაზღვრელია, აშიგრწლა „ხილი + ხე“. მსაზღვრულ-საზღვრულია. ენამ ერთი და იმავე სიტყვების ორი სხვადასხვა კომბინაციით, ერთიმეორისაგან განსხვავებული მნიშვნელობის ორი ლექსიკური ერთეული შექმნა: აწლაშიგრა „ულრანი ტყე“, აშიგრწლა „ხეხილი“.

აშიგრბაჰჩა „ხილნარი“

≈ აშიგრ „ხილი“, აბაჰჩა, „ბალი“, ნასესხებია თურქულიდან. საზღვრულ-მსაზღვრელია.

აძანართა „ვენახი“

≈ აძანართა „ვენახი“ აღმნიშვნელი ლექსემაა. ტერმინში გამოიყოფა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -რთა სუფიქსი.

სულ განვიხილეთ — 15 ზოგადი ტერმინი. აქედან — 7 ნასესხებია, 3 — ფუძის სახითაა წარმოდგენილი, 1-ში -რთა შემოზღუდული სივრცის მაწარმოებელი სუფიქსი გამოიყო, 4 — კომპოზიცია, აქედან საზღვრულ-მსაზღვრელია — 3, 1 — მსაზღვრელ-საზღვრული.

ლიტერატურა

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апреа бызшаа ажаар, ტ. I, სოხუმი, 1986.

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апреа бызшаа ажаар, ტ. II, სოხუმი, 1987.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

ლომთათიძე, 1976 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებითი ანალიზი, თბ., 1976.

ლომთათიძე, 1981 — ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში, თბ., 1981.

შაგიროვი, 1977 — А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, I, Москва, 1977.

შაგიროვი, 1977 — А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, II, Москва, 1977.

ჯანაშია, 1955 — Б. П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия. Автореферат на соискание уч. степ. канд. филол. наук., Тбилиси, 1955.

NANA MACHAVARIANI

Apkhazian Lexemes Denoting Parts of Plants

Summary

The Apkhazian lexemes nominating parts of plants are of the following types: borrowings, single stem lexemes and compounds. The paper focuses on the structural peculiarities of compounds. The following structural types have been singled out:

- a) the modifier + the modified
- b) the modified + the modifier

Masdar forms are quite frequent in plant names. Local preverbs and derivational affixes (of purpose, and those expressing relations) are also evidenced.

მერი მახარაძე

Have to კვაზიმოდალის კონსტრუქციები თანამედროვე ინგლისურ ენაში

პრემოდალის ანალიზში ყველაზე მნიშვნელოვანი ლაითფუტის მიხედვით არის სემანტიკურად ერთი და იგივე, მაგრამ სინტაქტიკურად სრულმნიშვნელოვანი ზმნების განვითარება. ლაითფუტი ამ ზმნებს „კვაზიმოდალს“ უწოდებს და მათი მოდალური მნიშვნელობის ჩამოყალიბებას მე-15 საუკუნეს უკავშირებს. (ლაითფუტი, 1979, 112).

მაშინ, როდესაც მოდალური დამხმარე ზმნები ინგლისურ ენაში ინტენსიურად შეისწავლებოდა, კვაზიმოდალის განვითარება და შესწავლა უგულებელყოფილი იყო. სტატიაში ყურადღებას დავუთმობთ კვაზიმოდალი **have to** –ს საკითხის წინა პლანზე წამოწევას.

1. Have to (+object)

მოდალური ზმნების კვლევა თანამედროვე ინგლისურ ენაში **have to** –ს სემანტიკური თვალსაზრისით განიხილავს, კერძოდ წარმოაჩენს **have to**-ს მსგავსებას მოდალურ ზმნასთან **must**, მაგრამ მორფოსინტაქტიკური სხვაობა ამ ორ ფორმას შორის შეინიშნება **have to** –ს, როგორც „კვაზიმოდალის“, „სემი მოდალის“ ან „სემი ოგზილარის“ (პერკინსი, 1983, 65) კლასიფიკაციიდან გამომდინარე. **Have to** –ს ისევე, როგორც **must** –ს შეუძლია გამოხატოს, როგორც დეონტიკური, ასევე ეპისტემიკური აუცილებლობა. დეონტიკური მნიშვნელობა გამოხატავს მოვალეობას ან ვალდებულებას: „გქონდეს ვალდებულება, იყო ვალდებული, არსებობდეს მოქმედების შესრულების აუცილებლობა“.

1. a. My other sister and **I have to** do all her work
b. We **had to** learn everything for ourselves, didn't we, Fanny?

ამ შემთხვევებში მოქმედების შესრულების აუცილებლობას იწვევს არა მოსაუბრე, არამედ გარემოება. **Have to** –ს ლოგიკური აუცილებლობის ეპისტემიკური მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, ითვლება რო-

გორც „იშვიათი“ (ლიჩი, 1983, 57), როგორც „ამერიკანიზმი“ (პერკინსი, 1983, 61), ან ახალგაზრდების მეტყველებისათვის დამახასიათებელი თვისება (ლაითფუტი, 1979)

2. a. This **has to** be the biggest ant-hill ever seen;

b. It **had to** be the same boulder that he and Betty had sat upon so often.

აქ მოსაუბრე ასკვნის, რომ არსებობს რაღაც აუცილებლობა, თუმცა, როგორც ლიჩი აღნიშნავს (ლიჩი, 1987, 80) დეონტიკური და ეპისტემიკური მნიშვნელობები შეიძლება ბუნდოვანი იყოს შემდეგ წინადადებაში: **Every clause has to contain a finite verb.** ე.ი. პირიანი ზმნის გამოჩენა შეიძლება ენის წესებით იყოს ნაკარნახევი (დეონტიკურად) ან შეიძლება აუცილებლობას წარმოადგენდეს (ეპისტემიკურად). **Have to** – ს შემცველი წინადადებები გაურკვევლობას წარმოშობენ, რადგან შესაძლებელია მათი ორნაირად გაგება, მაგალითად: **"Ingrid has to arrive before we do"**, შეიძლება გავაგრძელოთ დეონტიკურად „because she promised to help with the preparations“ ან ეპისტემიკურად „because she set out an hour earlier“.

ბევრი სხვა მოდალური ზმნის მსგავსად **have to** – ს გააჩნია მომავლის მნიშვნელობა, ის გამოხატავს მომავალ ვალდებულებას ან მოვალეობას. სემანტიკური სხვაობის თვალსაზრისით სრული შეთანხმება არსებობს **have to** – ს და **must** – ს შორის, როდესაც ორივეს ვალდებულების მნიშვნელობა გააჩნია: **must** ჩვეულებრივ სუბიექტურია, მაშინ როდესაც **have to** ობიექტურია. ეს იმას გულისხმობს, რომ **must** – ის გამოყენებით მოსაუბრე გამოხატავს თავის უფლებამოსილებას ანუ დეონტიკურ წყაროს წარმოადგენს მოსაუბრე. **Have to** – სთან დაკავშირებით დეონტიკური წყარო მოსაუბრეს კი არ უკავშირდება, არამედ სხვა პიროვნების უფლებამოსილებას ან გარემოებების აუცილებლობას. სწორედ აქედან გამომდინარე **Have to** შეიძლება გამოვიყენოთ, როდესაც მოსაუბრე უგულებელყოფს გამოხატულ მოვალეობას ან როდესაც, ზრდილობის მიზნით მოსაუბრეს სურს გამოხატოს „თავისი სურვილი, როგორც ობიექტური აუცილებლობა“ (ლიჩი, 1987, 79).

განვიხილოთ ჰაევმანის (ჰაევმანის, 1980, 3) მიერ აღნიშნული მაგალითები:

3. a. My children **must** eat an apple after their meals.

b. My children **have to** eat an apple after their meals.

პირველ მაგალითში მოსაუბრე თითქოს აიძულებს ბავშვებს მოქმედების შესრულებას, მაშინ როდესაც მეორე მაგალითში გარეგანი ძალა ან შინაგანი იმპულსი აიძულებს მათ იგივე მოქმედების შესრულებას. **Have to** შეიძლება დაუპირისპირდეს **must** – ს ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობით. პერკინსის თვალსაზრისით **have to** გამოიყენება მაშინ, როდესაც გამონათქვამი დაფუძნებულია ემპირიულ სინამდვილეზე, რომელსაც მოსაუბრე ვერ აკონტროლებს (პერკინსი, 1983, 61). მიუხედავად ამისა **must** არის „ჩვეულებრივი“ და უფრო ძლიერი ფორმა ეპისტემიკური თვალსაზრისით (ლიჩი 1987, 83).

უარყოფის შემთხვევაში ეს ორი ფორმა სხვადასხვაგვარად გამოიხატება: **must** – თან დაკავშირებით **not** უარყოფს პრედიკაციას, ხოლო **have to** – სთან დაკავშირებით **not** უარყოფს მოდალობას (პერკინსი, 1983, 61).

4. a. We **mustn't** talk politics on this pleasant evening (= 'we are obliged not to talk politics');

b. They don't **have to** work for a living (= 'they are not obliged to work').

საბოლოოდ, **must** – სგან განსხვავებით **have to** – ს აქვს წარსული დროის ფორმა წარსული დროის მნიშვნელობით: „აუცილებელი იყო“ (პერკინსი, 1983, 62), რომელსაც წარსული დეონტიკური ან წარსული ეპისტემიკური მნიშვნელობა გააჩნია.

5. a. I felt I **had to** see you, because I want you to know the truth (ე.ი. მე ვალდებული ვიყავი (გარემოებამ მაიძულა) მენახე);

b. Through the years she sensed that something like this **had to happen some day** (ე.ი. აუცილებელი და საჭირო იყო იმ დასკვნამდე მისვლა, რომ ეს მოხდებოდა).

მორფოლოგიურად **have to** არ ჰგავს მოდალურ დამხმარე ზმნებს: მას გააჩნია მესამე პირის ახლანდელი დროის ფორმა და სრულმნიშვნელოვანი ზმნის უპირო ფორმები. (ჰაევმანის, 1980, 1)

6. a. The orator, he says, **has to** consider three things;

b. Kreisler felt it an indignity to **have to** open this letter.

სინტაქტიკურად **have to** – ს გამოყენება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. სხვა მოდალური ზმნებისაგან განსხვავებით **have to** შეიძლება შეგვხვდეს მოდალურ დამხმარე ზმნებთან.

7. I suppose we might have to think about it.

ის ასევე შეიძლება შეგვხვდეს **have** სრულმნიშვნელოვან ზმნასთან ერთად.

8. He **had to** have more money.

მიუხედავად იმისა, რომ აქ, ჩვენ არ ვსაზღვრავთ **have to** – ს სინტაქტიკურ სტატუსს, შეიძლება შევთანხმდეთ, რომ **have to** ნაწილობრივ გრამატიკალიზებულია თანამედროვე ინგლისურში.

2) **Have +object + to + V**

კონსტრუქცია **have +object + to + V**, თუმცა დიაქრონიულად უკავშირდება **have to V (+object)** კონსტრუქციას, მაინც იშვიათად განიხილება ინგლისური ენის სინქრონიულ გრამატიკაში. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია გარკვეული სემანტიკური მსგავსება ამ ორი კონსტრუქციის მნიშვნელობას შორის, სხვაობა მაინც გამოუკვლეველი რჩება და ისინი ჩვეულებრივ სინტაქტიკურად საკმაოდ განსხვავებულ კონსტრუქციებად მიიჩნევენ. გააფი გვთავაზობს ამ კონსტრუქციის სამ სემანტიკურ ქვეკლასს: პირველი გამოხატავს მხოლოდ კუთვნილებას, მეორე გამოხატავს მოვალეობას, ვალდებულებას ან აუცილებლობას კუთვნილებასთან ერთად, ხოლო მესამე გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობას, ვალდებულებასა და აუცილებლობას. (გააფი, 1931, 186). მაშინ, როდესაც გააფი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ვალდებულების მნიშვნელობა უკავშირდება **have to V (+object)** წყობას, ვიზერის აზრით დღესდღეობით ვალდებულება კუთვნილების გარეშე ასევე გამოიხატება იმ კონსტრუქციებში, რომლებსაც გააჩნიათ დამატება **have to** – სა და ინფინიტივს შორის (ვიზერი, 1969, 1482).

9. a. Ursula was happy to **have** somebody **to** look after;

b. I **have** some questions **to** ask you;

c. We **have to** obey orders, whether we agree with 'em or not.

უამრავ შემთხვევაში **have** – ის, როგორც „კუთვნილების“ მნიშვნელობა შესუსტებულია. კირჩნერს საერთოდ არ სჯერა, რომ ამ კონსტრუქციას გააჩნია (ან ოდესმე გააჩნდა) კუთვნილების მნიშვნელობა (კრუისინგა, 1952, 372-374). აუცილებლობის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, ხოლო კუთვნილების მნიშვნელობა კი ძალიან შორეული და სუსტი, მაშინ როდესაც დამატება წარმოშობით დატივურია ან კიდევ, როდესაც ის დროს ან ადგილს აღნიშნავს. ამას ვიზერი „კვაზი-დამატებას“ უწოდებს. (ვიზერი, 1969, 1487).

10. a. He **has** himself **to** thank;

b. He **had** thirty years **to** wait;

c. We **had** some miles **to** drive, even from the small station.

Have +object + to + V წყობა უფრო ჩვეულებრივ ფორმას წარმოადგენს (თუ აუცილებელს არა), ვიდრე **have to V +object** წყობა იმ შემთხვევაში თუ დამატება უარყოფითია ან როდესაც დამატება არის **it** (kruisinga 1931, 382).

11. a. The Germans **have** nothing **to** gain by organising demonstrations;

b. I wish I **had it to** do over again.

have to V (+object) კონსტრუქციისაგან განსხვავებით, **have +object + to + V** კონსტრუქცია ჩვეულებრივ სინტაქტიკურ კონსტრუქციად მიიჩნევა, ვიდრე (ნაწილობრივ) გრამატიკალიზებულ ვერბალურ პერიფრაზად. ორივე შემთხვევაში, მორფოლოგიური თვალსაზრისით **have** სრულმნიშვნელოვან ზმნას წარმოადგენს. ამ კონსტრუქციაში ის, ჩვეულებრივ, უარყოფითსა და კითხვით გამონათქვამებში **do** – ს იყენებს (ვიზერი, 1969, 1561 - 1562), თუმცა იშვიათად **do** – ს გარეშე გვხვდება:

12. She **hasn't** a single thing **to** do.

3. **სემანტიკური სხვაობა have to V (+object) და have +object + to + V კონსტრუქციებს შორის**

ამ ორ კონსტრუქციას შორის სემანტიკურმა სხვაობამ თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკოსებს შორის უთანხმოება გამოიწვია. უმეტეს შემთხვევაში ორივე წყობა შესაძლებელია მნიშვნელობაში მცირე სხვაობით. მაგალითად: პოტსმას მიხედვით „ზოგჯერ სხვაობა მხოლოდ თეორიაშია. მაშასადამე I have no end of calls to make გამოხატავს იგივეს, რასაც I have to make no end of calls“ (პოტსმა: 1904, 549). ესპერსენი აგრეთვე აღნიშნავს, რომ „სხვაობა შემდეგ წინადადებებს შორის I have something to tell you და I have to (I must) tell you something კარგად არ არის გამოკვეთილი“ (ესპერსენი, 1913, 393). კრუისინგა საბოლოოდ ასკვნის, რომ „როდესაც მთავარ ზმნას აქვს ასე მცირე მნიშვნელობა, რაც „have - ს“ ამ წინადადებებში, სხვაობა ამ ორ კონსტრუქციას შორის მცირდება“ (კრუისინგა, 1931, 383). გააფის აზრით, **have** – ში კუთვნილების ელემენტი შეიძლება იმდენად შემცირდეს, რომ ეს ორი კონსტრუქცია საერთოდ აღარ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან სემანტიკური თვალსაზრისით (გააფი, 1931, 187). კირჩნერი კრიტიკულად უყურებს, როგორც ესპერსენის, ისე კრუისინგას მცდელობას განასხვავონ ეს ორი კონსტრუქცია სემანტი-

კური თვალსაზრისით. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილად ჩანს სემანტიკური სხვაობა. პოუტსმა ხედავს „აშკარა“ სხვაობას შემდეგ წინადადებებს შორის: **I have much money to spend** და **I have to spend much money**, ასეთ შემთხვევაში კრუისინგა ეთანხმება სემანტიკურ კონტრასტს, ისევე, როგორც ესპერსენი, რომელსაც მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

13. The writer, when he sits down to commence his novel, should do so, not because he **has to tell** a story, but because he **has** a story **to tell**.

ესპერსენი ამ მაგალითს შემდეგნაირად ხსნის: „მწერალი წერს არა იმიტომ, რომ მას სურს რაღაცა თქვას, არამედ ის თავს მოვალედ თვლის, რომ თქვას რაიმე“. (ესპერსენი, 1913, 393). გააფისთვის სხვაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ინარჩუნებს **have** კუთვნილების სემანტიკას. შემდეგ წინადადებებში უმნიშვნელო სხვაობა შეინიშნება: „**I am much busier now than I used to be; I have a (my) baby to look after now**“ და „**....I have to look after a (my) baby now**“. პირველ წინადადებაში ჩვენ ვცნობთ ახალგაზრდა ბედნიერი დედის სიტყვებს, რომელსაც ჰყავს პატარა და ვისთვისაც მისი მოვლის ვალდებულება ბედნიერების წყაროს წარმოადგენს. მეორე წინადადება კი რამდენადმე ეჭვს ბადებს იმისას, რომ ბავშვზე ზრუნვა უბრალო ამოცანაა დედისთვის. (გააფი, 1931, 187).

ვიზერის აზრით, სხვაობა „**have** -ს სხვადასხვა მნიშვნელობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ვალდებულების სხვადასხვა სახეობაზე, რომელიც ხაზს უსვამს გამონათქვამს (ვიზერი, 1969, 1482-1483). ის ამტკიცებს, რომ წყობა **I have to write a paper** გამოიყენება, როდესაც მოვალეობა ვილაცის პირდაპირი ბრძანების ან მითითების შედეგია, მაშინ, როდესაც წყობა **I have a paper to write** გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეობა ვილაცის ბრძანების შედეგი კი არ არის, არამედ თვითდაკისრებული ამოცანაა, რომელიც გულისხმობს „გრძნობდე, აკისრებდე თავს რაღაცის ვალდებულებას“.

მაშასადამე, განხილული მოსაზრებებიდან ყველაზე მეტად მისაღებია ვიზერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ **have to V +object** და **have +object + to + V** კონსტრუქციებს შორის სემანტიკური სხვაობა **have** -ის, როგორც კუთვნილების მნიშვნელობაზე არ არის დამოკიდებული.

ლიტერატურა

გააფი, 1931 — van der Gaaf – "Beon and habban connected with an inflected infinitive" 1931;

ესპერსენი, 1980 — Jespersen, O – "A modern English grammar on historical principles", 1980;

ვიზერი, 1969 Visser, F. Th. – "An historical syntax of the English language" 1969.

კრუისინგა, 1931 — Kruisinga, E – "A handbook of present-day English", 1931;

ლაითფუტი, 1979 — Lightfoot, O. W. – "Principles of diachronic syntax", 1979;

ლიჩი, 1985 — Leech, G. N – "Meaning and the English verb", 1987; "Grammaticalization" synchronic variation and diachronic change" 1985;

პერკინსი, 1983 — Perkins, M. R. – "Modal expressions in English", 1983;

პოუტსმა, 1904 — Poutsma, H – "A grammar of late modern English", 1904;

ჰეგმანი, 1980 — Haegman, L – "Have to and progressive aspect", 1980;

MARY MAKHARADZE

The Constructions of the Quasimodal Have to in Current English

Summary

The paper discusses Lightfoot's theory of quasimodals and focuses on the quasimodal to have to. Two constructions I have to write a paper and I have a paper to write are analysed synchronically and diachronically. It is argued that semantically and syntactically the two constructions originated from the same source. However, they have undergone various paths of grammaticalization.

თავარ მხატვა

ნარატიული ნაწარმოებების სტრუქტურა

ეპიკა ერთ-ერთი ლიტერატურის სამ სახეობათა შორის, რომლის სტრუქტურას ახასიათებს გადმოცემის თხრობითი ფორმის დომინირება (არისტოტელე, 1927) უანრული ნაირსახეობების სახით, ეპიკა მოიცავს ზღაპარს, ნოველას, მოთხრობას, საგმირო ეპოსს, მოკლე მოთხრობას, ნარკვევს, რომანს, ლიტერატურულ ესეს (მელეტინსკი, 1975). ყველა შემთხვევაში უანრში იგულისხმება ლიტერატურის განვითარების ისტორიის მანძილზე, მრავალ ნაწარმოებში განმეორებადი კომპოზიციური სტრუქტურის ერთიანობა. ეპიკური სიუჟეტის საფუძველია სიტუაცია, რომელიც სამყაროს ძალთა მერყევე წონასწორობას წარმოადგენს; მოქმედება მთლიანობაში — ამ წონასწორობის დროებით დარღვევას და შემდგომ მის უპირობი აღდგენას.; ანუ ეპოსის შინაარსს წარმოადგენს იმ სამყაროს ერთიანობა, სადაც ხორციელდება ინდივიდუალური ქმედება (პეგელი, 1971).

უანრული მიკუთვნების აღნიშვნისას, შემდგომში, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ჩვენ მიერ შემუშავებული პროზაული უანრების კლასიფიკაციით, რომელიც, ჩვენი აზრით, საშუალებას იძლევა საკმაო სიზუსტით მივაკუთვნოთ ნაწარმოები ამა თუ იმ პროზაულ უანრს. კლასიფიკაცია ემყარება შემდეგ ხუთ ნიშან-თვისებას (მებუკე, 1980):

- ა) ნაწარმოების უფაბულობა, ერთფაბულიანობა ან მრავალფაბულიანობა;
- ბ) მასალის გადმოცემა დომინანტური ხერხი;
- გ) დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული თავისუფალი თხრობითი მოტივების არსებობა ან არარსებობა;
- და პირველი სამიდან გამომდინარე ორი, მომდევნო ნიშანი:
- დ) ტექსტის სტრუქტურული შემადგენელი ნაწილების ერთთემიანობა ან მრავალთემიანობა;
- ე) ტექსტის სტრუქტურული შემადგენელი ნაწილების მონო-

ფუნქციონალურობა ან პოლიფუნქციონალურობა.

სტრუქტურულ იერარქიას შეესაბამება სემანტიკური ერთეულების იერარქია, რაც ტექსტს აზრობრივ მთლიანობაში აერთიანებს. 5 ზემოთ აღწერილი ნიშან-თვისების საფუძველზე ეპიკური უანრების სისტემას ჩვენ წარმოვადგენთ წრის სახით, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ არა მარტო უანრობრივად „წმინდა“ ნაწარმოებთა ნიშნები, არამედ მათ შორის გარდამავალი ფორმებიც და განვიხილოთ უანრები, როგორც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამჭობი და არა როგორც იზოლირებული მოვლენები.

ნარატივის ფაბულური ხაზების საფუძველში არსებული მოვლენადობის კრიტერიუმებს წარმოადგენს: ა) ცვლილებათა რელევანტობა და ბ) გაუთვალისწინებლობა (შმიდი, 2003) თხრობითი ტექსტი წარმოადგენს დონეების იერარქიას - მოთხრობილი ამბავი (თხრობის საგანი), რომელიც მოიცავს პერსონაჟთა საქციელის ლოგიკას და „სინტაქსურ“ კავშირებს მათ შორის და თხრობით დისკურსს, რომელიც გულისხმობს თხრობის დროის, სახეებისა და მიმართებების არსებობას. ნებისმიერი თხრობითი ტექსტი წარმოადგენს ასეთი დონეების იერარქიას. რაიმე თხრობის გაგება ნიშნავს, არა მარტო იმის დანახვას თუ როგორ ვითარდება სიუჟეტი, არამედ, თხრობის „დაფის“ წარმომქმნელი ჰორიზონტალური კავშირების პროეცირებას იმპლიციტურად არსებულ ვერტიკალურ ღერძზე.

დონეების თეორია გულისხმობს ორი ტიპის ურთიერთობას ელემენტებს შორის — დისტრიბუციულს (როდესაც ურთიერთობები დამყარებულია ერთი დონის ელემენტებს შორის) და ინტეგრაციულს (როდესაც ურთიერთობა დამყარებულია სხვადასხვა დონის ელემენტებს შორის). დისტრიბუციული ურთიერთობები, თავისთავად, აზრს ვერ გადმოსცემენ. არსებობს თხრობითი ნაწარმოებების აღწერის სამი დონე: „ფუნქციონალური“ დონე; „მოქმედებათა“ დონე და „თხრობის“ დონე. ეს სამი დონე ერთმანეთთან თანამიმდევრობითი ინტეგრაციული ურთიერთობებითა დაკავშირებული: ცალკეული ფუნქცია აზრს იძენს იმდენად, რამდენადაც მოცემული აქტანტის ზოგად ქმედებათა წრეში შედის, ხოლო ეს მოქმედებები, თავის მხრივ, საბოლოო მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იძენენ, როდესაც ვინმე ჰყვება მათ შესახებ, როდესაც ისინი, საკუთარი კოდის მქონე, თხრობითი დისკურსის ობიექტები ხდება (ბარტი, 1987).

მინიმალური თხრობითი ერთეულების გამოყოფის კრიტერიუმი უნდა იყოს მათი შინაარსი: ასე მაგალითად, სიუჟეტის ზოგიერთი სეგმენტი, სწორედ ფუნქციური ხასიათის გამო ხდება სტრუქტურული ერთეული: აქედან წარმოდგება თვით ტერმინი „ფუნქცია“, რომელიც თავიდანვე გამოიყენეს მათ აღსანიშნავად. ერთეულად მიღებულია ჩაითვალოს, ნებისმიერი, სხვა ელემენტებთან კორელაციური ურთიერთობებით დაკავშირებული სიუჟეტური ელემენტი. ლინგვისტური თვალთახედვით, ფუნქცია წარმოდგენს შინაარსის ჭრილის ერთეულს. ფუნქცია შეიძლება აღინიშნოს როგორც წინადადებაზე დიდ მოცულობის მქონე ერთეულის სახით (ასეთ ერთეულს შეიძლება წარმოდგენდეს სხვადასხვა მოცულობის წინადადებების ჯგუფი და მთლიანად ნაწარმოებიც კი), ასევე წინადადებაზე პატარა ერთეულის სახით (სინტაგმა, სიტყვა და ცალკეული ლიტერატურული ელემენტები სიტყვაში).

გამოყოფენ ფუნქციათა ორ დიდ კლასს — დისტრიბუციულსა და ინტეგრაციულს (პროპი, 1928). პირველი შეესაბამება მოქმედებას. მეორე შედგება „ნიშან-თვისებებისაგან“; როდესაც ერთეული აგზავნის არა მომდევნო ერთეულთან, რომელიც მას ავსებს, არამედ სიუჟეტური აზრის გასახსნელად აუცილებელ, ასე თუ ისე გარკვეულ წარმოდგენასთან.

ვერტიკალური ბუნების გამო, ნიშან-თვისებები წარმოდგენენ სემანტიკურ ერთეულებს, პირიქით, ნიშან-თვისების კორელატები ყოველთვის განლაგებულია უფრო „მაღლა“, ვიდრე თვითონ ნიშან-თვისებები.

გამოყოფენ კარდინალურ (ან ბირთვულ) ფუნქციებს, როდესაც შესაბამისი საქციელი ხსნის (ხელს უწყობს ან ხურავს) რაღაც ალტერნატიულ შესაძლებლობას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მოქმედების შემდგომი მსვლელობისათვის, ანუ როდესაც ის ქმნის ან გადაწყვეტს სიტუაციურ გაურკვევლობას (ანუ შეესაბამება ფაბულური ხაზების პიკწარმოქმნელ მონაკვეთებს) და ფუნქცია კატალიზატორებს, რომლებსაც დამხმარე ხასიათი აქვთ. ორ კარდინალურ ფუნქციას შორის ყოველთვის შეიძლება დამხმარე დეტალების მოთავსება; კატალიზატორები მონიშნავენ მოვლენათა მხოლოდ დროით თანამიმდევრობას, ხოლო კარდინალური ფუნქციები — მათ ლოგიკურ მიმდევ-

რობასაც. ბირთვული ფუნქციები, კატალიზატორები, ნიშან-თვისებები და ინფორმანტები წარმოდგენენ ძირითად კლასებს, რომლებშიც შესაძლებელია გადანაწილდეს ყველა ფუნქციური ერთეული. თანამიმდევრობა — ეს, სოლიდარული ურთიერთობებით დაკავშირებული, ბირთვული ფუნქციების ლოგიკური ჯაჭვია (სადაც ერთეულები ურთიერთ გულისხმობენ ერთმანეთს). თანამიმდევრობა მაშინ იხსნება, როდესაც მის წევრთაგან ერთ-ერთს არ გააჩნია მისი სოლიდარული ანტეცედენტი, და იხურება მაშინ, როდესაც მეორე წევრს არ გააჩნია არავითარი კონსეკვენტი (ანუ, წარმოდგენს ფაბულურ ხაზს). ნებისმიერი თანამიმდევრობა ექვემდებარება სიტყვიერ აღნიშვნას, ნებისმიერი თანამიმდევრობა წარმოდგენს მუქარის ქვეშ მყოფ ლოგიკურ ერთეულს (ვინაიდან თითოეულ წერტილში შესაძლებელია ალტერნატიული არჩევანი, შესაბამისად — აზრობრივი თავისუფლება), ეს კი ამართლებს მის **a minimo**-დ გამოყოფას; ამასთან ერთად, ის დასაბუთებულია როგორც **a maximo**: საკუთარ თავზე შეკრული, გარკვეულ სახელთან მისადაგებული თანამიმდევრობა, როგორც ასეთი, წარმოქმნის ახალ ერთეულს, რომელსაც, სხვა უფრო მსხვილ თანამიმდევრობაში, უბრალო თერმის სახით ფუნქციონირების უნარი გააჩნია. თხრობითი ტექსტი სტრუქტურირებულია, ვინაიდან არსებობს სიუჟეტური ერთეულების ინტეგრაციის მთელი სისტემა — დაწყებული უმცირესი მატრიცული ელემენტებიდან და ყველაზე მსხვილი ფუნქციებით დამთავრებული.

ნებისმიერი თანამიმდევრობა წარმოდგენს მუქარის ქვეშ მყოფ ლოგიკურ ერთეულს (ვინაიდან თითოეულ წერტილში შესაძლებელია ალტერნატიული არჩევანი, შესაბამისად — აზრობრივი თავისუფლება). საკუთარ თავზე შეკრული, გარკვეულ სახელთან მისადაგებული თანამიმდევრობა, როგორც ასეთი, წარმოქმნის ახალ ერთეულს, რომელსაც, სხვა უფრო მსხვილ თანამიმდევრობაში, უბრალო თერმის სახით ფუნქციონირების უნარი გააჩნია. თხრობითი ტექსტი სტრუქტურირებულია, ვინაიდან არსებობს სიუჟეტური ერთეულების ინტეგრაციის მთელი სისტემა — დაწყებული უმცირესი მატრიცული ელემენტებიდან და ყველაზე მსხვილი ფუნქციებით დამთავრებული. ცალკეული ნაწარმოების ჩარჩოებში, თანამიმდევრობათა ურთიერთგადაფარვის პროცესი შესაძლებელია, სრული განხეთქილების გამო შეწყდეს მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ნაწარმოებში შემავალი ზოგიერთი ბლოკის იზოლაცია კომპენსირდება პერსონაჟთა მოქმედების უფრო მაღალ დონეზე. უმაღლეს დონეს, საიდანაც პირველი დონის (თხრობითი სისტემის საფუძველი, ფუნქციების დონე) ერთეულები აზრს იკრებენ, წარმოადგენს მოქმედებათა დონე.

პერსონაჟის განსაზღვრა ხორციელდება მის ქმედებათა სფეროს საშუალებით, ვინაიდან ეს წრეები მცირერიცხოვანია, მდგრადი და კლასიფიკაციას ექვემდებარება; თუმცა თხრობითი ტექსტის აღწერის მეორე დონე სწორედ პერსონაჟებს მოიცავს, ის მოქმედებათა დონეს წარმოადგენს; ამ სიტყვაში იგულისხმება არა კონკრეტული საქციელი, რაც სიუჟეტის ქვედა დონეს წარმოადგენს, არამედ თხრობითი პრაქსისის ფუნქციონალური დერძები (სურვილი, ბრძოლა, შეტყობინება). თვით პერსონაჟებმა, რომლებიც აქტანტების დონეზე ერთეულების სახითაა გამოყოფილი, აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიძინონ (გაგებულ იქნენ), როდესაც ინტეგრირდებიან აღწერის მესამე დონის ჩარჩოებში, რომელიც ფუნქციებისა და ქმედებების დონისაგან განსხვავებით, შესაძლებელია აღვნიშნოთ, როგორც თხრობის დონე.

თხრობითი ტექტების ენა გამოირჩევა სინთეტურობის მაღალი ხარისხით მასში გარემოცვისა და ჩართვის ხერხების არსებობის გამო; მოთხრობის ყოველი წერტილი ერთდროულად რამდენიმე აზრობრივ კოორდინატს იძლევა. ფუნქციურ ბირთვებს შორის შუალედში აღმოცენდება სივრცე, რომლის შევსება თითქმის უსასრულობამდეა შესაძლებელი; აქ შეიძლება კატალიზატორების დიდი რაოდენობის დატევა;

ტექსტის კატალიზების შესაძლებლობა, ასევე ელიფსისის შესაძლებლობასაც ქმნის. ნებისმიერი თანმიმდევრობა შეიძლება დაიყვანოს მის ბირთვულ ფუნქციებზე, ხოლო თანამიმდევრობათა იერარქია — უმაღლესი დონის ერთეულებზე, ამასთან არ დავარდვიოთ სიუჟეტის აზრი. სხვა სიტყვებით, თხრობითი ტექსტი მისი რეზიუმირების უფლებას იძლევა. „შემოქმედებითი ზონა თხრობითი ტექსტის შიგნით (ყოველ შემთხვევაში, ყოფიერებასთან მისი „მითოლოგიური“ გაიგივების შემთხვევაში) ვრცელდება სივრცეში ორ კოდს — ლინგვისტურსა და ტრანსლინგვისტურს — შორის;

ნარატივის განვითარება მიმდინარეობდა ზღაპრიდან მხატვრული ლიტერატურის ტექსტებამდე, სიღრმისეულ დონეზე სემანტიკური იგივეობის შენარჩუნების პირობებში, რამაც არქექტიპული მნიშვნელობა შეიძინა. უშუალოდ დაკავშირებული კავშირის გაწყვეტასთან მითსა და რიტუალურ ცხოვრებას შორის. მითიდან ზღაპრისაკენ გადასვლისათვის დამახასიათებელი ტენდენციები, მხატვრულ ნაწარმოებზე გადასვლისას კიდევ უფრო ძლიერდება. გრძელდება მითის შემდგომი დესაკრალიზაცია, ქმედებათა მოტივები სულ უფრო პირადულ ხასიათს იძენენ და გამოვლინდება მხოლოდ მითოლოგიური არქექტიპების დონეზე, ანუ ქმედებათა სიღრმისეული შინაარსი უკვე დეკოდირებას ექვემდებარება.

ნარატივის სტრუქტურული კვლევის საფუძვლად ჩვენ ვიღებთ ზღაპრის სტრუქტურას, როგორც, ერთი მხრივ, გარდამავალი ფორმისა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც აჩვენებს კვლევებმა, ყველაზე მდგრადი კონსტრუქციისა.

ზღაპრის მუდმივ, მდგრად ელემენტებს წარმოადგენენ მოქმედ პირთა ფუნქციები, იმისდა მიუხედავად, ვინ და როგორ ასრულებს მათ. ისინი წარმოქმნიან ზღაპრის ძირითად შემადგენელ ნაწილებს; ჯაღოსნური ზღაპრისათვის ცნობილ ფუნქციათა რაოდენობა შეზღუდულია (გამოყოფილია მხოლოდ 31 ფუნქცია); ფუნქციების თანმიმდევრობა ყოველთვის ერთნაირია. ყველა ზღაპარი არ იძლევა ყველა ფუნქციას. მაგრამ ეს არ ცვლის თანმიმდევრობათა კანონს. ზოგიერთი ფუნქციის ნაკლებობა არ ცვლის სხვების განრიგს. ყველა ჯაღოსნურ ზღაპარს ერთი ტიპის აგებულება აქვს. ყველა ფუნქცია ეტევა ერთ თხრობით მონაყოლში.

ფუნქციების ერთ ზღაპარში თავმოყრა გამოავლენს, რომ მის საფუძველს წარმოადგენს გარკვეული განყენებული წარმოდგენები. ისტორიული თვალთახედვით ეს ნიშნავს, რომ ჯაღოსნური ზღაპარი თავის მორფოლოგიურ ძირებში წარმოადგენს მითს და უნდა განიხილებოდეს რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებით.

ზღაპრული სიუჟეტის განვითარებას მავნებლობიდან ან დანაკლისიდან დაწყებული, შუალედური ფუნქციების გავლით ქორწილამდე ან კვანძის გახსნის სახით გამოყენებულ სხვა ფუნქციებამდე, მარათულება ეწოდება. თავისი აგებულებით მიმდინარეობა ფაბულურ ხაზს შეესაბამება. თითოეული ახალი მავნებლობა, ახალი დანაკლისი

ქმნის ახალ მიმართულებას. თუ ზღაპარი ორ მიმართულებას შეიცავს, პირველში მოცემულია ბრძოლა, ხოლო მეორეში — ძნელი ამოცანა. ზღაპრის ელემენტების უმრავლესობა სათავეს იღებს ამა თუ იმ არქაულ, ყოფით, კულტურულ, რელიგიურ სინამდვილეში, აუცილებელია იმ ღერძის გენეტიკური შესწავლა, რომელზედაც აგებულია ჯადოსნური ზღაპარი, აგრეთვე მეტამორფოზების ნორმებისა და ფორმების. პირველ რიგის ამოცანად გვესახება მითის, როგორც ზღაპრის არქეტიპის, ფორმისა და შინაარსის, ხოლო მოგვიანებით მხატვრული ლიტერატურის ტექსტების შესწავლა.

მოჩვენებითი ნებისმიერობის მიუხედავად, ერთი და იგივე მითები, ისევე როგორც ჯადოსნური ზღაპრები, ისეთივე განმასხვავებელი ნიშნებით და ხშირად იგივე წვრილმანებით, გვხვდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რაც სრულიად შეუძლებელი იქნებოდა მითების შინაარსი სრულიად შემთხვევითი რომ ყოფილიყო.

კ. გ. იუნგის თანახმად, მითის მნიშვნელობა დაკავშირებულია გარკვეულ მითოლოგიურ თემებთან, რომელთაც ის არქეტიპებს უწოდებს და რომლებიც ადამიანთა ქვეცნობიერის საფუძველს შეადგენენ (იუნგი, 2004).

კ. ლევი სტროსის (ლევი სტროსი, 2001) მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ: 1. როგორც ყველა ლინგვისტური ობიექტი, მითი შემადგენელი ნაწილებისაგანაა აგებული; 2. ეს შემადგენელი ნაწილები გულისხმობენ ისეთ ერთეულების არსებობასაც, რომლებიც ჩვეულებრივ, ენობრივ სტრუქტურებში შედიან. თითოეული მომდევნო ფორმა დგას სირთულის უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე წინა ფორმა. ამის გამო, მითისათვის დამახასიათებელ შემადგენელ ელემენტებს (ყველაზე რთულს), ლევი სტროსი უწოდებს დიდ სტრუქტურულ ერთეულებს ან მითემებს. მითი, როგორც ნებისმიერი თხრობა, დაიყვანება ფრაზებამდე, რომლებიც გადმოსცემენ მასში ასახულ მოვლენათა თანმიმდევრობას. ყველა შემთხვევაში ძირითადია პრედიკატი, რომელიც რომელიმე სუბიექტს მიეწერება. სხვა სიტყვებით, თითოეული დიდი სტრუქტურული ერთეული თავისი ბუნებით გარკვეულ შეფარდებას წარმოადგენს. მითის ყველაზე მსხვილ ერთეულს წარმოადგენს არა უბრალო შეფარდებები, არამედ შეფარდებათა კონები და მხოლოდ ასეთი კონების კომბინირების შედეგად იღებენ შემადგენელი ნაწილები ფუნქციურ დატვირთვას.

მითის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს რაღაც

ლოგიკურ კონსტრუქციას, რომელიც სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ გადასვლის გაცნობიერებაში გვეხმარება. მითი ჩვეულებრივ დაპირისპირებებით ოპერირებს და მიეღწევის მათ თანდათანობით განეიტრალებას — მედიაციას. მითში გაორმაგება, გასამმაგება და გაოთხმაგება განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელია, კერძოდ, მითის სტრუქტურას გამოავლენს (მოგვიანებით ეს ხერხი გამოყენებულია ზღაპრის სტრუქტურაში).

ლიტერატურა

- არისტოტელე, 1927** — Аристотель. Поэтика. Собрание соч. в 4 т., М., 1984, т. 4, с.646
- მელეტინსკი, 1975.** — Мелетинский Е.М. Эпос. КЛЭ. М., 1975. т. 8, с. 927-933
- ჰეგელი, 1971**— Гегель Г.В.Ф. Эстетика: В 4 т. М.,1968- 1971., т. 3, с. 113-119
- მებუკე, 1986** —Мебуке Т.Ш. Структура абзаца в жанрах эпической прозы (на материале английского языка). Автореферат кандидатской диссертации. Тбилиси, 1986.
- შიმიდი, 2003** —Шмид В. Нарратология. М., 2003, с. 158
- ბარტი, 1987** — Барт Р. Введение в структурный анализ повествовательных текстов / Пер. с фр. / Зарубежная эстетика и теория литературы XIX - XX вв.: Трактаты, статьи, эссе. М., 1987, с.387-422
- პროპი, 1987** —Пропп В.Я. Морфология «волшебной» сказки. Ленинград, Akademia, 1928, с. 49-50
- იუნგი, 2004** — Юнг К.Г. Душа и миф. Шесть архетипов. Минск, изд-во Харвест, 2004, с. 8-9
- იუნგი, 1996** —Юнг К.Г. Человек и его символы. С.-Петербург, 1996, с. 90
- ლევი სტროსი, 2001** — Леви Стросс К. Структурная антропология. М., 2001, с.217-219.

TAMAR MEBUKE

The Structure of a Narrative Piece of Fiction

Summary

As is known, the notion of genre implies the existence of recurrent compositional structures in many a literary work throughout the history of literature. The narrative is of hierarchical nature - on the one hand it consists of the topic which includes the logic of characters' behaviour and syntactic' links between them, and on the other hand there is a discourse with its narrative time, images and references. The paper argues that the criterion of meaning should be the basic for singling out minimal narrative units.

The paper surveys the development of narrative from fairy tales to literary fiction.

The archetypal deep structure semantic sameness among various narrative types is emphasized.

თეონა ნიჟარაძე

მეტაფორის სუბსტიტუციონალური და ინტერაქციონალური თეორიები

დასავლურ ენათმეცნიერებაში მეტაფორის მიმართ ორგვარი მიდგომა არსებობს: სუბსტიტუციონალური (substitution view of metaphor) და ინტერაქციონალური (interaction view) (ბლეკი, 1990, 158).

სუბსტიტუციონალური მიმართულება ტრადიციულია, ის ეყრდნობა არისტოტელესა და კვინტილიანეს წარმოდგენებს მეტაფორის შესახებ. ინტერაქციონალური მიმართულება, რომელიც მ. ბლეკის მიერ არის შემუშავებული, ფართოდ არის წარმოდგენილი მთელ რიგ თეორიებში, კერძოდ, ე. მაკორმაკის, დ. სერლისა და ვ. კიოლერის თეორიებში.

სუბსტიტუციონალური თეორიის თანახმად, მეტაფორული გამონათქვამი შეიძლება შეიცვალოს ეკვივალენტური შედარებით. სუბსტიტუციონალური თეორია ითვალისწინებს შესადარებელ ობიექტებს შორის ანალოგიის მომენტს. ამგვარი თვალთახედვით ყოველგვარი მეტაფორული გამონათქვამი შეიძლება შეიცვალოს ადეკვატური არამეტაფორულით.

სუბსტიტუციონალურ თეორიაში მეტაფორა წარმოადგენს კატახრეზის ნაირსახეობას, რომელშიც იგულისხმება სიტყვის გამოყენება ახალი მნიშვნელობით ლექსიკურ ფონდში სიცარიელის შესავსებად. კატახრეზმა ძველ სიტყვებში ახალი მნიშვნელობების ჩადებას ნიშნავს, მაგრამ არსებობს მრავალი მეტაფორა, რომელიც ენაში არსებული სიცარიელის შესავსებად არ გამოიყენება. მათ გააჩნიათ სიტყვები ეკვივალენტური სიტყვასიტყვითი მნიშვნელობებით. მაგალითად, წინადადება „რიჩარდი ლომია“ მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ემთხვევა წინადადებას „რიჩარდი მამაცია“. ამ შემთხვევაში მეტაფორა არ წარმოადგენს ლექსიკის გამდიდრების საშუალებას. ამგვარი მეტაფორები წარმოიქმნება სტილისტური მიზნებით. მათი გამოყენება სიტყვასიტყვით მნიშვნელობებთან შედარებით უფრო

დიდ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე, რომლისთვისაც მისაღებია, ახსნას თავსატეხები ან გაიგოს გადატანითი მნიშვნელობის ნამდვილი აზრი. ამგვარი გაგებით მეტაფორა ენის სამკაულს წარმოადგენს და გააჩნია მიზანი — მკითხველს მიანიჭოს სიამოვნება (ბლევი, 1990, 158).

სუბსტიტუციონალური თეორიის საწინააღმდეგოდ, ინტერაქციონალურ თეორიაში მეტაფორა განიხილება, როგორც სიტყვა კონტექსტში. ინტერაქცია ითვალისწინებს მოლაპარაკისა და აღმქმელის არსებობას, მათი ურთიერთქმედების პროცესს, ანუ ამ თეორიის დასახელებისას იმალება პრაგმატული ფაქტორი.

მ. ბლევი მეტაფორიზაციის პროცესს ხსნის მის მიერ შემუშავებული მოდელის „ფოკუს-ჩარჩოს“ მეშვეობით. **The chairmen plowed through the discussion.**

მოცემული მეტაფორა შედგება ფოკუსისაგან (ლექსემა **plowed**) და ჩარჩოსაგან (წინადადება), რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებენ. ფოკუსი რეაგირებს ჩარჩოზე უჩვეულო მნიშვნელობის დახმარებით, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება მეტაფორა. მ. ბლევი სავსებით მკაფიოდ განასხვავებს ლექსიკურ და ტექსტურ მნიშვნელობებს და აღნიშნავს, რომ პირველი არ წარმოადგენს ამოსავალს მეტაფორული ინტერპრეტაციისათვის. მეტაფორის ტექსტური მნიშვნელობა გამომდინარეობს კონტექსტის ლექსიკური მნიშვნელობიდან. ეს არა მარტო უბრალოდ მნიშვნელობის გაფართოებაა, არამედ რაღაც ახალია.

მეტაფორული მოდელი „ფოკუს-ჩარჩო“, მეტაფორას გვიჩვენებს, როგორც სემანტიკურ ფენომენს, მაგრამ მეტაფორის იდენტიფიკაციისა და ინტერპრეტაციის დროს ბლევი მიუთითებს მნიშვნელოვან პრაგმატულ კომპონენტზე — მოლაპარაკის მიზანზე, მოცემულ სიტუაციისა და ა. შ. მეტაფორას საფუძვლად უდევს როგორც საზოგადოდ მიღებული ასოციაციები, ასევე იმპლიკაციური სისტემები, რომლებიც შექმნილია სპეციალურად კონკრეტული შემთხვევებისათვის (ბლევი, 1990, 166). ინტერაქციონალურ თეორიას ეფუძნება ასევე ე. მაკორმაკის გამოკვლევები. ის მეტაფორას განიხილავს არა როგორც სუფთა ენობრივ ფენომენს სინტაქსისა და სემანტიკის დონეზე, არამედ — როგორც კოგნიტიურ პროცესს. ინტერაქციული პროცესი სინტაქსურ სტრუქტურასა და ლექსიკურ მნიშვნელობას შორის განსაზღვრავს ცალკეული სიტყვის მნიშვნელობას. მეტაფორის სემანტიკა — ეს ინტერაქციული მექანიზმია, რომელიც ენის ზედაპირსა და შე-

მეცნების სფეროს აერთიანებს. მეტაფორა კოგნიტიური პროცესის შედეგია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ შეუსაბამო რეფერენტს, რასაც მიგვაგვართ სემანტიკურ კონცეპტუალურ ანომალიამდე. ე. მაკორმაკი მეტაფორას წარმოგვიდგენს კონტექსტში, რამდენადაც მეტაფორული პროცესი მოიცავს არა მარტო ადამიანის ცნობიერებას, მის ტვინს, არამედ — გარე სამყაროსაც. ერთი მხრივ, მეტაფორა დამოკიდებულია საზოგადოების ენობრივ ფონდზე. რომელიც ინახება საზოგადოების თითოეული წევრის ხანგრძლივ მეხსიერებაში, მეორე მხრივ, მეტაფორა ზეგავლენას ახდენს ამ ფონდზე, რამდენადაც ის ავსებს მოცემული საზოგადოების ენას (მაკორმაკი, 1990, 363).

ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. მაკორმაკის თეორიაში გამოთქმული შეხედულება იმის შესახებ, რომ მეტაფორა განიხილება ორ კონტექსტში — კოგნიტიურში, რომელიც ახალ ცნებათა ფორმირებებში გამოიხატება და კულტურულში, რომლის საშუალებითაც თვით ენა იცვლება.

შემდეგი წარმომადგენელი ინტერაქციონალური თეორიისა — დ. სერლი — თვლის, რომ მეტაფორული პროცესი უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე ის წარმოდგენილია ინტერაქციონალურ თეორიებში (სერლი, 1990, 134). ეს პროცესი, მისი აზრით, მოიცავს მეტაფორიზაციის სუბიექტის ინტენციას, რომელიც იძლევა იმ კოგნიტიურ და პრაგმატულ ფუნქციებს, რომელსაც მეტაფორა კომუნიკაციის დროს ახორციელებს. მეტაფორიზაციის პრობლემა ეხება, ერთი მხრივ, სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობას შორის დამოკიდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, გამონათქვამის ან მოლაპარაკის მნიშვნელობას. მოლაპარაკის გამონათქვამის მნიშვნელობა ისაა, რასაც მოლაპარაკე იღებს მხედველობაში, ხოლო სიტყვისა და წინადადებისა კი ის, რასაც სიტყვა ან წინადადება ნიშნავს თავისთავად. მეტაფორული მნიშვნელობა — ეს ყოველთვის არის მოლაპარაკის გამონათქვამის მნიშვნელობა (სერლი, 1990, 308). მსგავსი გამონათქვამები იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ მეტაფორა უნდა წარმოვიდგინოთ პრაგმალინგვისტიკის პოზიციიდან, რამდენადაც ის განიხილავს მოლაპარაკის მიზნებს, მის დამოკიდებულებას ადრესატისა და სიტუაციისადმი.

პრედიკაციის თეორიის მთავარი წარმომადგენელი ვ. კიოლერი თვლის, რომ მეტაფორის სემანტიკური ანომალიის ბუნების გახსნისათვის აუცილებელია მისი განხილვა პრედიკაციის ასპექტში. მეტაფო-

რაში ვ. კიოლერი განასხვავებს საგნის ცნებას (**Gegenstandsbegriff**), რომლის შესახებაც რაიმე არის ნათქვამი და განსაზღვრების ცნებას (**Bestimmungsbegriff**), რომელიც პირველს ანიჭებს განსაზღვრულ სფერო-ციფიკას. ამ ორ ცნებას შორის წარმოიქმნება დეტერმინაციული დამოკიდებულება, რაც დიდ როლს ასრულებს მეტაფორიზაციის გაგებაში.

ვ. კიოლერი განიხილავს ისეთ მეტაფორებს, რომლებიც გამოხატავენ პირდაპირ ან ექსპლიციტურ პრედიკაციას. ამგვარი პრედიკაციული სტრუქტურა თვალსაჩინოა და მისი აღქმა მარტივია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მეტაფორა გამოიხატება არა მთლიანი წინადადების, არამედ სიტყვათშეთანხმების ფორმით, რომლის პრედიკაციაც სტრუქტურის სიღრმეშია. ტრანსფორმაციის დახმარებით იმპლიციტური პრედიკაცია შეიძლება გადავიყვანოთ ექსპლიციტურში.

Die jungfräuliche Erde => Die Erde ist jungfräulich;

ვ. კიოლერი მიუთითებს იმაზე, რომ არ არის აუცილებელი დეტერმინაციული დამოკიდებულება მიმართული იყოს განსაზღვრებიდან საგნისაკენ. ის ამას გვიჩვენებს შემდეგ მაგალითზე: **Die Purzelbäume der Ironie => 1. Die Purzelbäume bestehen aus Ironie => 2. Die Ironie kann sich aus Purzelbäumen konstituieren.**

პირველ პერიფრაზში **Purzelbäume** საგანია, **Ironie** კი — განსაზღვრება. **Purzelbäume** დეტერმინირდება **Ironie**-ის დახმარებით. ხოლო მეორე ფრაზაში ინტერპრეტაციისას მიმართულება იცვლება ისე, რომ საგანი ფუნქციონირებს როგორც განსაზღვრება (კიოლერი, 1975, 185).

მეტაფორების სუბსტიტუციონალურ თეორიისთან შედარებით, ვ. კიოლერის პრედიკაციის თეორია, ჩვენი აზრით, პროგრესულია. მაშინ სუბსტიტუციონალური თეორია მეტაფორას განიხილავს მხოლოდ სემანტიკის თვალსაზრისით, პრედიკაციის თეორია ამოდის წინადადების სემანტიკიდან და ცდილობს, რომ პრედიკაციული სტრუქტურის კონსტრუირება მოახდინოს დეტერმინაციის საშუალებით, რათა აიხსნას სემანტიკური შეუსაბამობა საგანსა და მის განსაზღვრებას შორის.

ისმის კითხვა: პრედიკაციული თეორიის დახმარებით შეიძლება თუ არა ყველა მეტაფორის აღწერა? ვ. კიოლერი თავის თეორიაში განიხილავს მხოლოდ პრედიკაციული სტრუქტურის მარტივ მეტაფორებს და არა რთულ მეტაფორულ წინადადებებს ან მეტაფორულ

ტექსტებს, სადაც რთულია საგნის ცნებისა და განსაზღვრების ცნების ურთიერთკავშირის აღმოჩენა, თანაც ყველა არაპრედიკაციული წინადადება ვერ შეიცვლება პრედიკაციულით. ამ სირთულის გათვალისწინებით, ვ. კიოლერმა გამოიკვსა ასეთი მეტაფორული წინადადებები თავისი კვლევიდან. ის მათ განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ შემთხვევებს. იზოლირებული წინადადებების მსგავსად, მათ აქვთ პრედიკაციული სტრუქტურა, მაგრამ ტექსტში გამოდიან როგორც სემანტიკურად ანომალიურნი. მეტაფორულ წინადადებებს, ტექსტებსა და სიტუაციებს მეტაფორულ სიტყვათშეერთებებთან შედარებით აქვთ სავსებით განსხვავებული ხასიათი. იმისთვის, რომ ისინი სწორად ავხსნათ, აუცილებელია, გავითვალისწინოთ კონტექსტის ფაქტორი. სწორედ ეს პუნქტი არ გაითვალისწინა ვ. კიოლერმა თავის თეორიაში. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ისევე როგორც სუბსტიტუციონალური შეხედულება, პრედიკაციული თეორიაც არ წარმოადგენს ოპტიმალურ მოდელს მეტაფორის ასახსნელად.

ამგვარად, მ. ბლეკი ინტერაქციონალურ თეორიაში მეტაფორას განიხილავს, როგორც სიტყვას კონტექსტში. ინტერაქციის პროცესში შეიცნობა ურთიერთქმედება „ავტორი-მკითხველი“. ბლეკის თეორია განავრცო მაკომარკმა კულტურული და კოგნიტიური ასპექტების შემოყვანით. დ. სერლი გვთავაზობს გათვალისწინებული იქნას პრაგმალინგვისტური ასპექტი მეტაფორების ფუნქციონირების ანალიზისათვის. ვ. კიოლერის პრედიკაციის თეორია მეტაფორას განიხილავს წინადადებაში, იღებს რა მხედველობაში მის პრედიკაციულ სტრუქტურას.

აღნიშნული თეორიები მაინც ვერ გვაძლევს მეტაფორების კონკრეტულ მოდელს. ისინი მხოლოდ მიანიშნებენ ენაში მეტაფორების ფუნქციონირების საერთო პრინციპებზე.

ლიტერატურა

ბლეკი, 1990 — Блэк М., "Метафора". Теория метафоры, Москва, 1990.

კიოლერი, 1975 — Koller W., "Semiotik und Metapher", Untersuchungen zur gramatischen Struktur und kommunikativer Funktion von Metapher, Stuttgart, 1975.

მაკორმაკი, 1990 — Макормак З., "Когнитивная теория метафоры", Москва, 1990.

სერლი, 1990 — Серль Дж., "Метафора и реальность. Теория метафоры", Москва, 1990.

TEONA NIZHARADZE

The Substitution and Interaction Theories of Metaphor

Summary

The paper examines two approaches to metaphor — the substitution theory which dates back to Aristotle and the interaction approach encountered in the works by Black, Searle, MacCormac and Koller.

Both theories investigate the metaphor within the context however none of the theories give specific models for metaphors. They just state the general principles of metaphorical function in a language.

რუსულან რაზიზვილი

სპარსული წარმომავლობის ერთი სიტყვის ორი ფონეტიკური ვარიანტი ქართულში

ქართულში დასტურდება ლექსიკური ერთეული **ჭულაბი**-ი. „**ჭულაბი**-ი 1) ერთწლიანი მცენარე რძიანასებრთა ოჯახისა; თესლი შეიცავს სასაქმებელ ზეთს (რომელიც ტექნიკური მიზნებისათვისაც გამოიყენება); ითესებოდა დასავლეთ საქართველოში, ახლა გვხვდება სარეველა მცენარის სახით. „იმისთანა დაღრანჯვით უყურებდა წიგნს, როგორითაც კაცი **ჭულაბს** ან საფაღარათო ზეთს სვამს ხოლმე (ნ. ნიკ.). 2. კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც აბუსალათინი. 3. ძვ. შარბათი, თაფლიანი ვაყინი. „მიირთვით /ხაჭაბურები/, შენი ჭირიმე, ნულა გააცივებთ!“ — ვიმ! ვიმ! საუცხოოა,... საუცხოო!“ — ღმერთმა შეგარგოსთ შაქრად და **ჭულაბად**“. (აკაკი) (ქეგლ, 1953, 1609-1610).

დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ **ჭულაბი**-ი განმარტებულია, როგორც „სასაქმებელი, *слабительное*“, ხოლო **საჭულაბე** — „ჭულაბისადმი საკუთნველი, ან ჭულაბის ჭურჭელი“ (ჩუბინაშვილი, 1984, 1775, 1162).

სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში **ჭollāb**-თან მითითებულია, რომ ეს არის არაბიზებული ფორმა სპარსული სიტყვისა **golāb** — „ვარდის წყალი“ (სპარს. **gol** — „ყვავილი“, ვარდი“, **āb** — „წყალი“). ბორჰან ყათ'ეს ლექსიკონში, გარდა ზემოაღნიშნულისა, დამატებულია, რომ ამ სიტყვას ირანელები ხმარობენ მთლიანად „შარბათის“ აღსანიშნავად. (Moin 1996, 1235; Borhan-Qate', 1983, 570)

Рубинчик, 1983, 439).

ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში დადასტურებული ლექსიკური ერთეულიდან **ჭულაბი**-ი ირკვევა, რომ ეს არის სამკურნალო შარბათი, სასაქმებელი:

„თუმცა მუცელი შეკურით იყოს ტკბილი ბროწეულის წყალი მიეც და **ჭულაბი** (უსწ. კარაბ. 25, 21-22);

„...აიღე... ერთი სასმელი **ჭულაბი** შექენ და ესე მუშკი შიგა გაურივე (უსწ. კარაბ. 286, 22);

ჯულაბი და თარანგუბინი შიგ გაურივე, აქალისა ძარღუი გაუხ-
სენ (უსწ. კარაბ. 379, 11)“

როგორც აღვნიშნეთ, **ჯ** არის არაბიზებული ფორმა სპარსული **golāb**-ისა მნიშვნელობით „ვარდის წყალი“. ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება მაგალითები, როცა **ჯულაბი** აღნიშნავს „შარბათს“, მაგრამ არა აუცილებლად — ვარდის წყლისას. მაგ.:

„ვარდის წყალი და გავზუბანი **ჯულაბსა** შიგა გაურივე და შესუ-
ას (უსწ. კარაბ. 174, 27);

„... ვარდის წყალსა და გაცივებულსა **ჯულაბსა** სმიდეს ერგების
(წიგნ. სააქიმ. 277, 43).

„იადიგარ დაუდში“ შემდეგნაირადაა განმარტებული **ჯულაბი**:

„... **ჯულაბი** ამას ჰქუინ, რომე ხმელი შინდი გათენებამდი წყალ-
შიგა დაალობონ და გაწურონ, **ჯულაბი** ამ რიგს შინდის წვესა ჰქუი-
ან...“ (იად. დაუდ. 582, 12).

როგორც ვხედავთ, „იადიგარ დაუდში“ განმარტებულია, რომ **ჯულაბი**-ი არის წყალში დამბალი ხმელი შინდის წვენი, ხოლო „სა-
მკურნალო წიგნი კარაბადინი“-დან ირკვევა, რომ **ჯულაბი**-ი არის სი-
თხე, შარბათი, რომელიც ცეცხლზე მზადდება, სქელდება:

„... აგბო... ვირემ შესქელდეს, ვითა **ჯულაბი** და უკმოილო ცე-
ცხლთაგან, ვირემ გაგრილდეს...“ (სამკ. კარაბ. 234, 33).

„... მერმე აიღე მაგა კოწახურისა წმიდისა წყლისაგან ორი დრა-
მი... და წმიდასა ქუაბსა შიგან ჩაასხი... და მუნამდის ადულე, რომე
ჯულაბივითა გასქელდეს“ (სამკ. წ. კარაბ. 245, 14).

თუმცა, „იადიგარ დაუდში“ გვხვდება მაგალითი, რომელშიც **ჯუ-
ლაბი**-ი აღნიშნავს არა „შარბათს“, არამედ „სამკურნალო სითხეს“.

მაგ.: ასე წამლები ან შარბათად უნდა ქნან და ისრე ასვან, და
ან უშარბათოდ ამათის წვენის **ჯულაბი** ასვან“ (იად. დაუდ. 266, 15).

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან შეგვიძლია დავას-
კვნათ, რომ **ჯულაბი**-ი არის სამკურნალო სითხე (შესაძლოა, შარბა-
თიც), რომელიც შეიძლება იყოს როგორც შინდის, ასევე ნებისმიერი
სხვა მცენარის.

ჯულაბი-ი გვხვდება, აგრეთვე, მეგრულშიც მნიშვნელობით „ცუდი
ხარისხის ღვინო“.¹ ჩვენი ვარაუდით, **ჯულაბი**-ი მეგრულში შეთვისებუ-
ლია ქართულიდან.

¹ მეგრული მაგალითი მოგვაწოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა
მეცნიერ თანამშრომელმა მერაბ ჩუხუამ.

ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში დასტურდება ამავე ძირის
სიტყვა **გულაბი**-ი.

მაგ.: „ყირმიზის ვარდის ფოთოლი და ამთენი **გულაბი**...
წმიდად დანაყე და გაცერ... (იად. დაუდ. 572, 30).

ლექსიკური ერთეული **გულაბი**-ი ქართულში ძირითადად ეწოდებ-
და მსხლის ერთ-ერთ ჯიშს. **„გულაბი** (გულაბისა) მსხლის ადგილობ-
რივი ჯიში, ნაყოფს მკრთალი ყვითელი ან ოდნავ მომწვანო ნაზი კა-
ნი აქვს; მეტად წვნიანია და ტკბილი... (ქეგლი, 1951, 1498).

გულაბი-ი „მსხალი“ < სპარს. **golābī** „მსხალი“ (სპარს. **god** —
„ყვავილი“, „ვარდი“, სპარს. **āb** — „წყალი“, i- სუფიქსი. სიტყვა-
სიტყვით „ვარდის წყლისა“).

გულაბი-ი — „ვარდის წყალი“ < სპარს. **golāb** — ვარდის წყალი“
(სპარს. **gol** — „ყვავილი“, „ვარდი“, სპარს. **āb** — „წყალი“). ქართულ-
ში **გულაბი**-ი ეწოდება მსხლის ერთ-ერთი ჯიშს, ხოლო სპარსულში —
ზოგადად მსხალს. ვვარაუდობთ, რომ ქართულში ამ ჯიშის მსხლის ეს
სახელი გამომდინარეობს მისი განსაკუთრებული წყლიანობიდან.

აქვე უნდა განვიხილოთ **„ჯულაბი** || **გულაბი**-ი ძირის სიტყვა **გუ-
ლაბდან**-ი, რომელიც „რუსულანინის“ ტექსტს დართულ ლექსიკონ-
ში შემდეგნაირადაა განმარტებული: „მინის ჭურჭული“, „მინის სუ-
რა“, „შუშა“.

გულაბდან-ი < სპარს. **golāban** (სპარს. **gol** — „ყვავილი“, „ვარ-
დი“, სპარს. **āb** — „წყალი“. **dan** — სუფიქსი. შდრ. ჩაიდან, ყავადან-
ნი).

მაგ.: „ამ აშიაზედ სულ სხვადასხვარიგი სურები და **გულაბდნე-
ბი** ილგა (რუსულ., 454, 30);

„ჩვენც დაგემოყურენით და მოგათხოვეთ : და ჩვენი ბატონი ანა
და გამოვატანეთ ზითვით... სუფრის იარაღისაგან: ერთი ოქროს თასი
სამოცდა ათის ფლურისა, ... ერთი სურა ვერცხლისა, ერთი **გულაბ-
დანი** ვერცხლისა ოქროთ დაფერული... (საქ. სიძგ. 11, 433, 6).

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილული ლექსიკური ერთეულები
ჯულაბი-ი, **გულაბი**-ი და **გულაბდან**-ი ერთი და იმავე ძირის სიტყვაა.

ქეგლი, 1951 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1951.

ქეგლი, 1953 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1953.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984.

რუბინიკი, 1983 — Ю. А. Рубинчик, Персидско-Русский словарь, т. I, "Русский язык", Москва, 1983.

Mo'in, 1996 — Mohammad Mo'in, Farhang-t Farsi, I, moaseseye entesharāt-e Amir Kabir, Tehran, 1996.

Barhān-e Qāte', 1983 — Borhān-e Qāte', II, moaseseye entesharāt-e Amir Kabir, Tehran, 1983

წყარო

უსწ. კარაბ. — ქარანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1949.

წიგნ. სააქიმ. — „წიგნი სააქიმო“, ლაღო კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XIII საუკუნე, თბ., 1936.

იად. დაუდ. — იადიგარ დაუდი: ლაღო კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XVI საუკუნე, თბ., 1938.

სამკ. წ. კარაბ. — ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი. ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მიხეილ შენგელიამ, თბ., 1959.

რუსუდ. — რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, საბჭოთა მწერალი, თბ., 1957.

საქ. სიძგ. II — საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1910.

Two Phonetic Versions of a Persian Borrowing in Georgian

Summary

The paper discusses two Georgian words that seem to have originated from the phonetic versions of a Persian word.

Georg. žulab-i → Persian žullāb meaning 'rose water'

Georg. gulab-i → Pers. golāb meaning 'rose water'.

The main meanings of the word žulab-i in Georgian literary sources are also examined. It is argued that the word žulabi, gulabi and gulabdani have the same root.

ენო რუხაძე

თავაზიანობის საკითხი და მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში

კომუნიკაციისას ძალზედ მნიშვნელოვანია ენის ისე გამოყენება, რომ მსმენელმა ზედმიწევნით ზუსტად გაიგოს, თუ რას გულისხმობს მისი თანამოსაუბრე. მოსაუბრეებს შორის სწორი ურთიერთგაგებინება დიდადაა დამოკიდებული მათ ზიარ ანუ ფონისეულ ცოდნაზე. საკმაოდ ხშირია კომუნიკაციისას მოსაუბრესა და მსმენელს შორის გაუგებრობის წარმოქმნა, რასაც შეტყობინების არასწორი დეკოდირება მოსდევს. თუ მოსაუბრეები სხვადასხვა ყოფითი კოლექტივის წარმომადგენლები არიან, მაშინ არასწორი გაგებინების უფრო დიდი შანსი არსებობს, ვიდრე მაშინ, როდესაც მოსაუბრე და მსმენელი ერთი და იმავე ყოფის (კულტურის) წარმომადგენელია, რადგან მათ ბუნებრივად აქვთ ზიარი ცოდნა.

ყველა ენა, მათ შორის ინგლისური, ქართული და რუსული განსხვავდება ერთმანეთისაგან თავაზიანობის გამოხატვის საშუალებებით. აუცილებელია, რომ სხვადასხვა ყოფითი კოლექტივის წარმომადგენლებმა იცოდნენ ეს ყოფითი თავისებურებანი, რათა საუბრისას შექმნან დადებითი იმიჯი, რაც უკეთ წარმოაჩენს მოსაუბრეთა კულტურის ფასეულობებსა და რწმენას და თავიდან ააშორებს მათ *სახის რღვევისადმი* მიმართული ქმედებების საშიშროებას.

ძალზედ მნიშვნელოვანია იმ სიაში ძირითადი ფაქტორის ხაზგასმაც, რომელსაც მთლიანად მოქმედებაში მოჰყავს თავაზიანობისა და სახის სისტემა. ეს ფაქტორებია: **ძალაუფლება (power); დისტანცია (distance)** და **გავლენის ხარისხი (weight of imposition)**.

ძალაუფლება მიგვითითებს იერარქიულ სტრუქტურაში მოსაუბრეებს შორის არსებულ ვერტიკალურ უთანასწორობაზე. (+ ძალაუფლება; ან — ძალაუფლება).

-ძალაუფლება-ს სოციოლინგვისტიკაში ასევე თანასწორუფლებიანობის ანუ ევალიტარული სისტემის სახელითაც მოიხსენიებენ. რაც

შეეხება *დისტანციას*, ის მოსაუბრეებს შორის არსებულ სიახლოვე-სიშორეზე მიგვანიშნებს. *გავლენის ხარისხი* ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ინდივიდუალურ სიტუაციურ ურთიერთობაზე და იგი არ ახდენს გავლენას მიმართვის ფორმების შერჩევაზე და გამოყენებაზე.

საინტერესოა სიუზან და რონ სქოლანების მიერ გამოყოფილი თავაზიანობის სისტემის სამი ძირითადი ტიპი: **დეფერენციალური თავაზიანობის სისტემა, სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა და იერარქიული თავაზიანობის სისტემა**. თავაზიანობის სისტემის სამივე ტიპი, უპირველეს ყოვლისა, დამყარებულია თავაზიანობის სისტემის ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე — *ძალაუფლებასა* და *დისტანციაზე*.

დეფერენციალურ თავაზიანობის სისტემას სქოლანები უწოდებენ ისეთ სისტემას, სადაც მოსაუბრეები თანასწორნი არიან ან თითქმის თანასწორნი არიან მათი რანგიდან გამომდინარე, თუმცა მათ შორის დისტანციური ურთიერთობაა.

სოლიდარობის თავაზიანობის სისტემაში საკმაოდ ნათლად იჩენს თავს ჩართვის თავაზიანობის სტრატეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაუბრეებს შორის არ არსებობს არც დისტანცია და არც სხვაობა ძალაუფლებაში. შესაბამისად, სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა არის სიმეტრიული. ე.ი. მოსაუბრენი თანასწორ სოციალურ პოზიციაზე დგანან და მათ ურთიერთობაში არ არსებობს დისტანცია.

იერარქიულ თავაზიანობის სისტემაში ურთიერთობები ასიმეტრიულია. ე.ი. მოსაუბრეები სხვადასხვა, არათანაბარ სოციალურ პოზიციაზე დგანან.

ბრაუნი და ლევისონი თავაზიანობის სტრატეგიის ორ ტიპს განარჩევენ: **დადებით თავაზიანობას (positive politeness)**, რაც გულისხმობს სხვა პიროვნებების, მოსაუბრეების *სახის* გათვალისწინებას და **უარყოფით თავაზიანობას (negative politeness)**, როდესაც მოსაუბრეზე არ ხდება ზეწოლა.

სქოლანი და სქოლანი ბრაუნი და ლევისონის მიერ მოწოდებული თავაზიანობის სტრატეგიის სახეცვლილ ვარიანტს გვთავაზობენ. სქოლანების მსჯელობა თავაზიანობის სტრატეგიაზე უფრო დაკონკრეტებული, ღრმად გაანალიზებული და ამომწურავია. მათი აზრით, უმჯობესია თავაზიანობის სტრატეგიები დაიყოს არა დადებით და უარყოფით თავაზიანობად, რაც ამ სიტყვების შინაარსიდან გამომდინარე ხშირად არასწორი ინტერპრეტაციის საბაბი ხდება, არამედ —

ჩართვის სტრატეგიად და დამოუკიდებლობის სტრატეგიად.

შესაბამისად, ამ ორი ვარიანტის შეჯერების შედეგად ჩართვის სტრატეგია შეგვიძლია გავაიგივოთ დადებით თავაზიანობასთან, ხოლო დამოუკიდებლობის სტრატეგია კი უარყოფით თავაზიანობასთან. აქედან გამომდინარე ჩართვის სტრატეგია არის იგივე, რაც სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა, ხოლო დამოუკიდებლობის სტრატეგია — დეფერენციალური თავაზიანობის სისტემა. სქოლანები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ *სახის* ცნება თავაზიანობის ორივე სტრატეგიაშია გამოხატული. ნებისმიერი ტიპის კომუნიკაციისას ჩართვის და დამოუკიდებლობის სტრატეგიები თანაბრად უნდა იქნას წამოწეული წინ, თუმცა ერთდროულად ისინი არ მოქმედებენ. თუმცა შეიძლება ერთი და იმავე პიროვნების მიმართ სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა სტრატეგია ამოქმედდეს. მაგალითად, ოფიციალურ შეხვედრამდე ორი მეგობარი ერთმანეთს მხოლოდ სახელით მიმართავს, ხოლო ბიზნეს შეხვედრის დაწყების შემდეგ ისინი მიმართვის თავაზიან ფორმაზე გადადიან და შესაბამისად ჩართვის სტრატეგიას დამოუკიდებლობის სტრატეგია ენაცვლება.

საინტერესოდ მიგვაჩნია ერთ-ერთი პროფესიული კოლექტივის დახასიათება თავაზიანობის პრინციპებისა და მიმართვის ფორმების გამოყენების თვალსაზრისით. საინტერესოა ქართულ ყოფაში ექიმთა საზოგადოებაში მიმართვის ფორმების გამოყენება. ერთი და იმავე ასაკობრივი ჯგუფისა და სტატუსის მქონე ექიმები, თუ მათ შორის არ არის დისტანცია და ისინი დიდი ხნის ნაცნობები არიან, ერთმანეთს მხოლოდ სახელით მიმართავენ. ე.ი. მათი ურთიერთობისას სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა მოქმედებს. ხოლო ასაკით უფროს ან რანგით მაღლა მდგომ ექიმებს უფრო ახალგაზრდა ან რანგით დაბლა მდგომი ექიმები თავაზიანი მიმართვის ფორმით *ბატონო/ქალბატონო+პიროვნების სახელი* მიმართავენ. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსაუბრეებს შორის ასიმეტრიული ურთიერთობაა, ე.ი. მათ შორის არის დისტანცია და იერარქიული სხვაობა მათ ურთიერთობისას იერარქიული თავაზიანობის სისტემა მოქმედებს. შესაბამისად, რანგით მაღლა მდგომი და ასაკით უფროსი ექიმები მათზე რანგით დაბლა მდგომ და ახალგაზრდა ექიმებს მხოლოდ სახელით მიმართავენ. მაგალითად,

ერთი და იმავე ასაკობრივი ჯგუფისა და სტატუსის მქონე ექიმების საუბარი:

-**რუსიკო**, სისხლის საერთო ანალიზი საკმაოდ დამაიმედებელია.
-**მარინა**, როგორ თვლი, საჭიროა გავაკეთოთ ენცეფალოგრამა?

ერთი და იმავე სტატუსის და დაახლოებით ერთი ასაკის მქონე ექიმების საუბარი:

-**დალი**, რა ხდებოდა კონფერენციაზე?
-უცხოელი პროფესორი კითხულობდა მოხსენებას ენცეფალიტზე. ხო, მართლა, **ლია**, როგორ არის შენი ავადმყოფი? რა დაუდგინდა?

ერთი და იმავე სტატუსის, მაგრამ განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის მქონე ექიმების საუბარი:

-**დიანა**, პუნქცია ჩაუტარეთ პაციენტს?
-ჯერ არა. **ქალბატონო გუგული**, შეიძლება არც დაგვჭირდეს პუნქციის ჩატარება.

განსხვავებული სტატუსისა და ერთი და იმავე ასაკობრივი ჯგუფის მქონე ექიმების საუბარი:

-**თათა**, შენი პაციენტის ყველა ანალიზის პასუხი შეაგროვე და ერთად განვიხილოთ.
-დიახ, **ქალბატონო ნანა**, თქვენთან რამდენიმე შეკითხვაც მაქვს ავადმყოფთან დაკავშირებით.

თუ ექიმებს შორის ურთიერთობა სიმეტრიულია, მაგრამ მათ შორის არსებობს დისტანცია, მაშინ მათ ურთიერთობისას დეფერენციალური თავაზიანობის სისტემა მოქმედებს. ანუ ისინი ერთმანეთს თავაზიანი მიმართვის ფორმით მიმართავენ.

-**ქალბატონო მარინა**, რა პასუხი გვაქვს ანალიზების გაკეთების შემდეგ?

-**ბატონო ოთარ**, მე მგონია, რომ ალბათ ხელახლა უნდა ჩავატაროთ ანალიზები. ჩემი აზრით, რაღაც შეცდომასთან გვაქვს საქმე.

-**ქალბატონო ნინო**, თქვენი აზრი მაინტერესებს.

-რა გითხრათ, **ქალბატონო ელისო**, სამწუხაროდ, პაციენტის მდგომარეობა ბევრს ვერაფერს გვპირდება.

პაციენტები, რომლებიც მკურნალობას გადაიან საავადმყოფოში, თავიანთ ექიმებს უმთავრესად *სახელი+ექიმო* მიმართვის ფორმით მიმართავენ. თუმცა ზოგ შემთხვევაში *ბატონო / ქალბატონო + პიროვნების სახელი*-ც გამოიყენება. ის პაციენტები, რომლებიც საავადმყოფოში არ მკურნალობენ, არამედ ერთჯერად კონსულტაციაზე მიდიან ექიმთან, მიმართვისას უმთავრესად *ბატონო/ქალბატონო+პიროვნების სახელი* მიმართვის ფორმას იყენებენ. 40-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე მთავარ კაც პროფესორს *ბატონო+პროფესორო* მიმართვის ფორმით მიმართავდნენ. თანამედროვე ქართულ ყოფაში მსგავსი მიმართვის ფორმა აღარ არსებობს და პროფესორ ქალსაც და კაცსაც მიმართავენ *ქალბატონო/ბატონო+პიროვნების სახელი*.

-**თამილა ექიმო**, ბავშვს დღეს სიცხე აღარ აქვს, ხასიათიც გამოუსწორდა და ჭამაც დაიწყო. საღამოს კიდევ ერთ ნემსს გაუკეთებენ და ალბათ უშველის.

-კიდევ სამი ნემსის გაკეთების შემდეგ სახლში წასვლაც შეგეძლება.

-**ნანა ექიმო**, ექოსკოპიამ კარგი პასუხი მოგვცა.

-ძალიან კარგი. სისხლის ანალიზიც კარგი იქნება.

-რა ჩივილები გაქვთ?

-**ქალბატონო ირინა**, ბავშვი თავს ცუდად გრძნობს, ოფლიანობს, თავბრუსხვევის შეგრძნებაც ხშირად აქვს.

-ყურადღებით გისმენთ. რამ შეგაწუხათ?

-თქვენთან გამომავლავნეს, **ბატონო ნოდარ**. ჩემი ანალიზების პასუხებიც და გამოკვლევების დასკვნებიც მოგიტანეთ.

როდესაც ექიმებს შორის სიმეტრიული ურთიერთობაა ე.ი. როდესაც ისინი თანასწორ სოციალურ პოზიციაზე დგანან და მათ შორის არ არსებობს დისტანცია, ანუ ისინი ახლო ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, ოფიციალურ რეგისტრში ურთიერთობისას (მაგალითად, კონსილიუმის დროს, კონფერენციაზე) სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა შეიცვლება დიფერენციალური თავაზიანობის სისტემით და ამ დროს მიმართვის თავაზიანი ფორმები გამოიყენება.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ექიმებს შორის კონკრეტულ სიტუაციაში ურთიერთობისას, იმის მიხედვით ოფიციალურია ეს ურთიერთობა იმ მომენტში თუ არაოფიციალური, დეფერენციალური და იერარქიული თავაზიანობის სისტემები ორივე რეგისტრში უცვლელად გამოიყენება, მაშინ როდესაც სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა მხოლოდ არაოფიციალური ურთიერთობისას მოქმედებს.

საინტერესოა ექიმებსა და მედლებს შორის არსებული დამოკიდებულება. მათი ურთიერთობა ასიმეტრიულია, რადგან ექიმი თავისი თანამდებობრივი პოზიციიდან გამომდინარე რანგით მაღლა დგას მედლაზე. ე.ი. მათ შორის იერარქიული დამოკიდებულებაა. რაც შეეხება დისტანციას, ის შეიძლება არსებობდეს ექიმსა და მედლას შორის ან არ არსებობდეს. მაგალითად, თუ ექიმი და მედლა დიდი ხნის განმავლობაში მუშაობენ ერთად და მათი ურთიერთობა ახლო ნაცნობობაში გადაიზარდა, მაშინ მათ შორის დისტანცია ქრება. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათ შორის მაინც არსებობს დისტანცია. შესაბამისად, ექიმი მედლასთან ურთიერთობისას ჩართვის სტრატეგიას იყენებს, ანუ მას მხოლოდ სახელით მიმართავს, ხოლო ეს უკანასკნელი კი ექიმთან საუბრისას დამოუკიდებლობის სტრატეგიას მიმართავს, რაც მედლისგან ექიმისადმი თავაზიანი მიმართვის ფორმით გამოიხატება (*პიროვნების სახელი+ექიმო ან ქალბატონო/ბატონო+პიროვნების სახელი*). მაგრამ თუ მედლასა და ექიმს შორის დისტანცია აღარ არსებობს და მედლა ექიმზე ასაკით უფროსია, ასეთ შემთხვევაში არაოფიციალურ სიტუაციაში მედლა ექიმთან ურთიერთობისას ჩართვის სტრატეგიას იყენებს. ე.ი. მას მხოლოდ სახელით მიმართავს. ასეთ დროს იერარქიული თავაზიანობის სისტემა აღარ მოქმედებს და მას სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა ცვლის. თუ იგივე მედლა და ექიმი ოფიციალურ სიტუაციაში მოხვდნენ ან მათ საუბარს პაციენტი ესწრება, მაშინ მათი ურთიერთობისას კვლავ იერარქიული თავაზიანობის სისტემა მოქმედებს.

-**ნელი ექიმო**, რა დოზით გავუკეთო წამალი?

-**ნანული**, თუ სიცხემ დაუკლო და თავს უკეთესად გრძნობს, შეგიძლია წამლის დოზა შეამცირო.

-**ციური**, მიმღებში ჩადი და პაციენტის მშობლებს დაუძახე.

-**ნათელა ექიმი**, ბავშვის მშობლები უკვე კაბინეტში გელოდებიან.

-**მარინა**, პაციენტის მშობლებს მივეცი წამლების სია და იქ დოზებიც მიწერია. გაარკვე და ნემსის გაკეთება უკვე დაფუჭეთ.

-უკვე ვნახე. **ნანა**, ექოსკოპიაზე გავაზრავნო თუ ჯერ პასუხებს დაველოდო?

-**რუსიკო**, ბავშვს ჩივილები ისევ აქვს. წამალი შევცვალეთ?

-**ციური**, ჯერ ვაცალოთ და თუ ჩივილები გაგრძელდა, მე რე შევცვლი.

ამ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ ექიმსა და მედდას შორის დისტანცია აღარ არის და მათი ურთიერთობა სოლიდარობის თავაზიანობის სისტემაზეა აგებული, თუმცა იგივე ექიმი და მედდა ოფიციალურ სიტუაციაში იერარქიულ თავაზიანობის სისტემაზე გადადიან.

-**რუსიკო ექიმი**, ეს ქალბატონი პაციენტის მშობელია. თქვენი ნახვა უნდა.

-ის პასუხებიც მოვიტანე თქვენ, რომ მითხარით, **რუსიკო ექიმი**.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც მედდა ექიმზე ასაკით გაცილებით დიდია, ექიმი მას *პიროვნების სახელი+დედა* მიმართვის ფორმით მიმართავს და ამით ხაზს უსვამს მისადმი პატივისცემას მისი ასაკიდან გამომდინარე.

-**უუუუნა დედა**, დაახარისხეთ წამლები დოზების მიხედვით? ხომ გახსოვთ, რომ ანტიბიოტიკი დღეში ერთხელ უნდა გაუკეთოთ?

-**ლიდა დედა**, ხვალ შევებულებაში გავდივარ და თუ ჩემს პაციენტს რაიმე დასჭირდა, სახლში დამირეკეთ.

საინტერესოა ინგლისურ, ქართულ და რუსულ ყოფაში პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების ურთიერთობისას მიმართვის ფორმების გამოყენება.

წლების წინ სამივე ენაში სკოლის მასწავლებლები თავიანთ მოსწავლეებს გაკვეთილზე გვარებით მიმართავდნენ და მიმართვისას იშვიათად იყენებდნენ მათ სახელებს.

-**Gallagher**, your essay is too long.

-**ასათიანი**, შემდეგში გაითვალისწინე ჩემი შესწორებანი.

-**Залотухин**, не разговаривать!

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანდათანობით გამოიკვეთა ტენდენცია, როდესაც მცირერიცხოვან ჯგუფებში, კერძოდ პრესტიჟულ სკოლებში, მასწავლებლები მოსწავლეებს სახელებით მიმართავენ, რითაც მოსწავლეებთან თბილ, მეგობრულ ურთიერთობას ქმნიან.

-**Tony**, I think you'd better change the structure.

-**თორნიკე**, დავალება სრულყოფილად არ არის შესრულებული.

-**Таня**, может узнаешь кто автор книги?

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ სამივე ყოფაში დღესდღეობით სიის ამოკითხვის დროს მასწავლებელი მოსწავლეებს გვარებით მიმართავს.

თვით მოსწავლეები მასწავლებლების მიმართვისას, სამივე ყოფაში მიმართვის განსხვავებულ თავაზიან ფორმებს იყენებენ. ბრიტანეთში საშუალო სკოლის მოსწავლე კაცი მასწავლებლის მისამართით *Mr+პიროვნების გვარი* ან *Sir* მიმართვის ფორმას იყენებს, ხოლო თუ მასწავლებელი ქალია, მაშინ მას *Mrs/Miss+პიროვნების გვარი* მიმართვის ფორმით მიმართავენ.

-**Sir**, can you explain the difference between these two terms?

-**Mrs. Johns**, I tried to calculate but... no way...

-**Mr. Jackson**, the poem was too ambiguous.

ქართულ ყოფაში მოსწავლე მასწავლებელს *პიროვნების სახელი+პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა* „მასწავლებელი“ მიმართვის ფორმით მიმართავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი სიტყვა უმთავრესად შემოკლებული ფორმით გვხვდება.

-**ქეთინო მასწავლებლო**, ავად ვიყავი და გაკვეთილი ვერ მოვაშედე.

-**ნინო მასწ**, რას ნიშნავს სიტყვა „coward“?

რუსულ ყოფაში მასწავლებლისადმი მიმართვისას მოსწავლე *სახელი+მამის სახელი* მიმართვის ფორმას იყენებს. შესაძლებელია მიმართვის ეს ფორმაც ზოგჯერ შეკვეცილი ფორმით შეგვხვდეს.

-**Нина Антоновна**, объявите нам наши отметки.

-**Марьстепанна**, я выучила стихотворение.

როგორც ვხედავთ, მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთობა სამივე ყოფაში მთლიანად იერარქიულ თავაზიანობის სისტემას ემყარება. უმაღლეს სასწავლებლებშიც პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ურთიერთობისას მიმართვის თავაზიან ფორმებს იყენებენ. მათი ურთიერთობა ასევე იერარქიულ თავაზიანობის სისტემაზეა დამყარებული. სამივე ყოფაში პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებს მხოლოდ სახელებით მიმართავენ.

-**Michael**, Well done. Next level will be harder.

-**მარიკა**, შენი თეზისი ძალიან ორაზროვანია. შეეცადე უფრო ნათელი გახადო.

-**Валодя**, твои отметки очень низкие. Надо лучше заниматься.

სტუდენტები ლექტორთან საუბრისას თავაზიან მიმართვის ფორმებს იყენებენ. ბრიტანეთში სტუდენტები ლექტორს *Professor+პიროვნების გვარი* ან *Mr/Mrs/Miss/Ms+პიროვნების გვარი*-ით მიმართავენ. როდესაც *sir* ტიტულის მაჩვენებელია, მაშინ მიმართვისას იხმარება *Sir+პიროვნების გვარი*.

-**Sir Lyons**, could my friend attend your class today?

-**Professor Hutchins**, what is the point? I really don't understand.

-**Mr. Newman**, I think that the conclusion is really good.

-**Mrs. Hopkins**, thank you for your help.

ქართულ ყოფაში ლექტორისადმი მიმართვისას *ბატონო/ქალბატონო+პიროვნების სახელი* გამოიყენება, ხოლო რუსული ყოფისთვის *სახელი+მამის სახელი* მიმართვის ფორმა დამახასიათებელი.

-**ბატონო ნოდარ**, რას მიჩვენდით თემის სათაურის შესახებ?

-**ქალბატონო ლილი**, დიპლომზე მუშაობა დავასრულე.

-**Надежда Николаевна**, на что обратить внимание в статье?

-**Андрей Павлович**, у меня проблемы. Можете помочь?

საინტერესოა თვით პროფესორ-მასწავლებლების ურთიერთობისას ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმების გამოყენება. სამივე ყოფაში მაღალი რანგისა და ასაკის უფროსს კოლეგას თავაზიანი მიმართვის ფორმით მიმართავს, ხოლო ახლო ურთიერთობაში მყოფ ასაკით ტოლ კოლეგას, თუნდაც იგი რანგით მაღალ საფეხურზე იდგეს, მაინც მხოლოდ სახელით მიმართავენ. შესაბამისად, ასაკით უფროსი კოლეგა ასაკით უმცროსს სახელით მიმართავს. ე.ი. პროფესორ-მასწავლებლების ურთიერთობისას მიმართვის ფორმები მოსაუბრეების ასაკის, მათ შორის არსებული დისტანციისა და მოსაუბრეების რანგის საფუძველზე შეირჩევა. თუ დიდი სხვაობაა მოსაუბრეთა ასაკში და მათ შორის დისტანციაც დიდია, მაშინ ურთიერთობა დამოუკიდებლობის სტრატეგიაზეა აგებული. ხოლო დაახლოებით ერთი ასაკის და ახლო ურთიერთობაში მყოფი მოსაუბრეები ჩართვის სტრატეგიას იყენებენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. კომუნიკაციისას მოსაუბრეების მიერ მიმართვის ფორმების სწორი არჩევა და მათი სათანადო გამოყენება დიდადა დამოკიდებული საკომუნიკაციო კომპეტენციის გათვალისწინებაზე, თავაზიანობის სტრატეგიების ცოდნაზე და მის სწორად გამოყენებაზე, ასევე მოსაუბრეების მიერ დადებითი იმიჯის შექმნაზე, რაც *სახის რღვევის* თავიდან არიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. კომუნიკაციის უკეთ დასამყარებლად და ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მოსაუბრეები საერთო ფონისეულ ცოდნას იზიარებდნენ. რაც მეტია ფონისეული ცოდნა მოსაუბრეებს შორის, მით უფრო ზუსტია ურთიერთგაგებინება. შესაბამისად, სხვადასხვა კოლექტივის (კულტურის) წარმომადგენლებში უფრო ხშირია არასწორი გაგებინება, იქიდან გამომდინარე, რომ მათ საერთო ზიარი ცოდნა

- არ გააჩნიათ, ვიდრე ერთი და იმავე კოლექტივის (კულტურის) წარმომადგენლებს შორის.
- II. კომუნიკაციისას მოსაუბრეებმა, მიუხედავად იმისა, ისინი ერთი და იმავე თუ განსხვავებულ ყოფითი კოლექტივს მიეკუთვნებიან, უნდა გაითვალისწინონ ის სტრატეგია, რომელიც იმ მომენტში მოქმედებს (სოლიდარობის, დეფერენციალური და იერარქიული). რადგან საუბრისას ჩართვის თავაზიანობის სტრატეგიიდან დამოუკიდებლობის თავაზიანობის სტრატეგიაზე გადასვლა *სახის რღვევას* გამოიწვევს.
 - III. თავაზიანობის სამივე სისტემა სხვადასხვა მიმართვის ფორმების ხმარებით გამოირჩევა. იერარქიული სისტემისათვის დამახასიათებელია მიმართვის შემდეგი ფორმები: *Mr/Mrs/ Miss/ Ms* + პიროვნების გვარი/ტიტული; *ბატონო/ქალბატონო*+პიროვნების სახელი/ტიტული; *Господин/Госпожа*+პიროვნების გვარი/ტიტული, ხოლო სოლიდარობის სისტემისათვის მხოლოდ პიროვნების სახელი მისი სრული ან მოფერებითი ფორმით.
 - IV. იმის მიხედვით ოფიციალურ დონეზე ხდება საუბარი თუ არა ოფიციალურზე მოსაუბრეები შესაბამისად ჩართვის ან დამოუკიდებლობის თავაზიანობის სტრატეგიებს იყენებენ.
 - V. საინტერესოა სხვადასხვა პროფესიული კოლექტივის დახასიათება თავაზიანობის პრინციპებისა და მიმართვის ფორმების გამოყენების თვალსაზრისით. მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთობა სამივე ენაში მთლიანად იერარქიულ თავაზიანობის სისტემას ემყარება. უმაღლეს სასწავლებლებშიც პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების ურთიერთობა ასევე იერარქიული თავაზიანობის სისტემაზეა აგებული. პროფესორ-მასწავლებლების ურთიერთობისას კი მიმართვის ფორმების არჩევა მოსაუბრის ასაკის და მათ შორის არსებული დისტანციის საფუძველზე ხდება. შესაბამისად, მათი ურთიერთობისას გამოიყენება როგორც ჩართვის, ასევე დამოუკიდებლობის სტრატეგია, იმის გათვალისწინებით თუ რა ურთიერთობაა მოსაუბრეებს შორის. (ასაკი, დისტანცია). რაც შეეხება სამედიცინო წრეს, ურთიერთობა სოლიდარობის და იერარქიულ თავაზიანობის პრინციპზეა აგებული.

ლიტერატურა

სქოლანი რონი და სუზან ვონდგ სქოლანი, 1994 — Scollon R, Scollon S. W. Intercultural Communication, 1994.

ბრაუნი, ლევინსონი, 1978 — Brown P. Levinson S. Universals In Language Usage: Politeness Phenomena, 1978.

ბრაუნი, გილმანი, 1960 — Brown P. Gillman A. Power And Solidarity, 1960.

ბრაუნი, იული, 1983 — Brown P. Yule G. Discourse Analysis, 1983.

ბოსვუდი, 1992 — Bosswood T. English For Professional Communication, 1992.

NINO RUXADZE

**Politeness and Forms of Address in the English,
Georgian and Russian Languages**
Summary

1. The choice of forms of address in communication largely depends on the awareness of Politeness Strategies and their principles.
2. In the interaction between representatives of different cultures it is important to pay special attention to language norms typical of their cultures, the forms of address in our case.
3. While communicating the participants (representatives of one culture or different cultures) must consider the Politeness Strategy appropriate to the moment of speaking, as shifting from Involvement Politeness Strategy to the Independent one may cause Face Threatening Act (FTA).
4. All the three systems of Politeness Strategy are characterised by different forms of address in the three languages analyzed. English uses Mr/Mrs/Miss + surname or title; Georgian — Kalbatono | Batono + the first name or title; Russian — first name with patronymics or Gospodin | Gospoja + surname. These forms of address are typical of Hierarchical Politeness system. The Solidarity System uses only the first name in its full or short form, whereas in Hierarchical System one speaker uses the formal way of address and the other an informal one.

კარლო საზნაშვილი

ფრაზეოლოგიური კვლევის ახალი პარამეტრები

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ფრაზეოლოგიის კვლევის ახალი პარამეტრების ზოგად მიმოხილვას.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა ენის ფენომენის კვლევის სირთულე და სინთეზური მეთოდის მოშველიების აუცილებლობა. მრავალი ტერმინი შემოსული ზუსტი მეცნიერების სფეროდან ორგანულად შეერწყა ენათმეცნიერებას და გაამარტივა კიდევ ენის სისტემაში მიმდინარე ზოგიერთი პროცესის ლაპიდარული ახსნა. მაგალითად: „ვალენტობა“, „კოპეზია“ და მრავალი სხვა.

ამდენად, სწრაფვამ „ინტეგრაციისა“ თუ „გლობალიზაციისაკენ“, როგორც ზოგადმა მოვლენამ, ჰუმანიტარული მეცნიერების მიკროსისტემებშიც ჰპოვა თავისებური ასახვა, ერთი მხრივ, კვლევის მეთოდების სინთეზით და, მეორე მხრივ, ჰუმანიტარული დარგებისთვის თითქოს ეკლექტიკური, მაგრამ მეტად მოსახერხებელი ტერმინების სიმრავლით.

შევეხებით მხოლოდ ენის ფრაზეოლოგიურ დონეზე ასახულ ინოვაციებს, რამდენადაც მეცნიერების ეს დარგი შედარებით ახალგაზრდაა და კონსერვატიულობა მისთვის ტიპური არ უნდა იყოს. უდიდესი წვლილი ენის ფრაზეოლოგიური სისტემის შესწავლაში საბჭოთა ენათმეცნიერებას მიუძღვის, თუმცა დღეს ეს აღიქმება, როგორც XIX საუკუნის რუსული ტრადიციების გაგრძელება. სწორედ რუს ენათმეცნიერთა ღვაწლია ე.წ. „ფრაზეოლოგიური თეორიის“ წინაპირობის შექმნა, რომელმაც ათწლეულების მანძილზე მრავალმხრივი ევოლუცია განიცადა, არეალიც გაიფართოვა და უკვევ ო. ესპერსენისა და შ. გალის ნაშრომებში, მისი როგორც მყარი შესიტყვების განხილვის პარალელურად, ექსპრესიულ-სტილისტური ფუნქცია წამოიწია წინა პლანზე.

ფრაზეოლოგისტ ენათმეცნიერთა ნუსხა რიცხობრივად იმდენად გაიზარდა, რომ დღეს შეუძლებელიც კი ხდება ამ საკითხთან დაკავ-

შირებული ნამუშევრების ბიბლიოგრაფიის დადგენა.

1946 წელი ფრაზეოლოგიის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების თარიღად არის აღიარებული და ეს სიახლე ვ. ვინოგრადოვის საპროგრამო ნაშრომს უკავშირდება, სახელწოდებით „რუსული ფრაზეოლოგიზმების ძირითადი ტიპების შესახებ“.

ვ. ვინოგრადოვის წიგნი ერთგვარ კლასიკად არის აღიარებული, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამოსავალ დებულებად ის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იქნა მიღებული, მაგრამ ყოველი ახალი დებულება თუ თეორია დროის პერსპექტივაში ევოლუციას განიცდის: იწყება მყარი შესიტყვებების სხვადასხვა კუთხით შესწავლა, პირველ რიგში კი მისი საზღვრების დადგენა და სხვ.

XIX ს-ის დასასრულიდან ფრაზეოლოგიური პარადიგმის კვლევა გერმანიაში უფრო მეტად ანდაზებსა და ფრთოსან გამოთქმებზე იყო კონცენტრირებული, რომლებშიც ქვეყნის ფოლკლორი და კულტურაა ასახული. ზოგადად კი ნაშრომები გერმანიაში ფრაზეოლოგიური კვლევის სფეროში, XIX ს-ის ჩათვლით, ეპიზოდურ და არასისტემურ ხასიათს ატარებს.

შემაჯამებელ ნაშრომად ჩათვლება ვ. ფლაიშერის წიგნი „გერმანული ენის ფრაზეოლოგია“ (*Dic deutche Praseologie*), სადაც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს გერმანული ფრაზეოლოგიის შესწავლის აუცილებლობას და საყვედურს გამოთქვამს გერმანულ ენათმეცნიერთა მიერ სემიოტიკურ-სემანტიკური თუ სტილისტურ-ექსპრესიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო ენობრივი დონის იგნორირების გამო. მისი აზრით, „მიმართება ანდაზასა და ფრაზეოლოგიზმებს შორის ისეთივეა, როგორც ფრთოსან გამოთქმასა და ფრაზეოლოგიზმებს შორის“ და თვალსაჩინოებისათვის მოჰყავს ისეთი გამოთქმები, რომლებიც დღეს ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონებშია აღნუსხული, ხოლო ავტორი (პირველწყარო) დიდი ხანია მივიწყებულია, ისეთებიც კი როგორც თვით გოეთე, ულანდი და სხვანი.

ვ. ფლაიშერის მონოგრაფიამ თითქოს ამოავსო გერმანისტიკის „ცარიელი უჯრა“ გერმანიის ტერიტორიაზე და ფრაზეოლოგიური პრობლემისტიკის სრული კლასიფიკაცია მოახდინა:

1. ფრაზეოლოგიის ისტორია და კვლევის ძირითადი პრობლემები
2. ფრაზეოლოგიზმის, როგორც ენობრივი ერთეულის არსი;
3. ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაციის ვარიანტები გერმანულში;
4. ფრაზეოლოგია და სიტყვაწარმოება;

5. ფრაზეოლოგიზმების სტილისტური და კომუნიკაციურ-პრაგმატული ასპექტები.

ცხადია, თითოეული თავი ენის ფრაზეოლოგიური სისტემის თითოეული სეგმენტის ზედმიწევნით ანალიზი და გერმანული კვლევის სპეციფიკის საუკეთესო ნიმუშია, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ავტორი ახერხებს კლასიფიკაციითა ურიცხვი ვარიანტის ოთხ სუბკლასად გაერთიანებას, თითოეული კლასისათვის კონვექსურად ნიშანდობლივი და გამაერთიანებელი ავტორის არჩევით.

1. ე. აგრიკოლას
2. ი. ჩერნიშევას
3. უ. ფიქსის
4. ა. როთკეგელის

მოცემული კლასიფიკაციები მოწმობენ, რომ თითოეული მათგანი და მათთან გაერთიანებული სხვა ავტორები, ფრაზეოლოგიზმების ჯგუფების დიფერენციაციას სხვადასხვა საფუძველზე ახდენენ: ე. აგრიკოლა სემანტიკურ კრიტერიუმებზე ახდენს კონცენტრაციას, ი.ი. ჩერნიშევა მხედველობაში იღებს ყველა არსებით ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს მყარი შესიტყვების კონსტრუირებას, უ. ფიქსი „მრავალგანზომილებიან სისტემას“ გვთავაზობს, რომელსაც თანმიმდევრულად ერთიანი კრიტერიუმები ედება საფუძვლად და ხაზს უსვამს ფრაზეოლოგიზმების სინტაქსურ დონეზე კვლევის აუცილებლობას.

ფიქსი ფრაზეოლოგიზმებისთვის ახალ ტერმინსაც გვთავაზობს, რომელიც ქართულ თარგმანში საკმაოდ მოუხერხებლად ყდერს „სიტყვათა ჯგუფებისაგან (შემდგარი) ლექსემა“ და სიტყვათა ამ კომპლექსის შემადგენლობაში ზმნის დომინირებაზე მიუთითებს. ა. როთკეგელი ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებს როგორც ენობრივ ერთეულს, რომელიც „სიტყვის ზღვარს სცდება, მაგრამ წინადადების ზღვარს ვერ აღწევს“. როთკეგელიც სემანტიკურ კრიტერიუმს ეყრდნობა და მათ „მყარ სინტაგმებს“ უწოდებს. „მყარი სინტაგმების“ ნაწილი კომპონენტთა კომუტაციას (შეცვლას) ექვემდებარება, მეორე ნაწილი სიმყარის ხარისხით კომუნიკაციას გამოირიცხავს.

თვით ც. ფლაიშერი განასხვავებს:

1. ნომინაციურ და კომუნიკაციურ ფრაზეოლოგიზმებს;
2. ფრაზეომაბლონებს;
3. მორფოლოგიურ-სინტაქსურ სტრუქტურებს, რომლებიც ან

მორფოლოგიურად ან სინტაქსურად არიან მარკირებული.

ფრაზეოლოგიური პარადიგმის შემადგენელ ნაწილებად კი ის მიიჩნევა:

1. ფრაზეოლოგიურ რიგებს
2. ფრაზეოლოგიურ სინონიმებს
3. ფრაზეოლოგიურ ანტონიმებს
4. საენობრივ ჯგუფებს

ცნობილია, რომ ბოლო ათწლეულების ენათმეცნიერული ძიებანი კომუნიკაციურ-პრაგმატული და შესაბამისად ტექსტების (დისკურსების) შესწავლით განისაზღვრება. ვ. ფლაიშერის ბოლო ნაწილშიც კვლევის სწორედ ეს მიმართულება მკაფიოდ არის გამოხატული და ფრაზეოლოგიის სტილისტურ და კომუნიკაციურ-პრაგმატულ ფუნქციას ეთმობა.

მოკლე ექსკურსი ფრაზეოლოგიის ისტორიაში მიზნად ისახავს იმ ახალ პარამეტრებთან მიახლოებას, რომლითაც დღეს ფრაზეოლოგიის კვლევა არის მარკირებული. რიცხვი მონოგრაფიების, ცალკეული სტატიების, ლექსიკოგრაფიული კრებულების, ინტერ-თუ ინტრაფრაზეოლოგიური ტიპოლოგიის ერთობლიობიდან, დროის შესაბამისად ამოიზარდა სრულიად ახალი მოთხოვნილება ფრაზეოლოგიის შესწავლისა კულტუროლოგიის შუქზე, რაც თვით კულტუროლოგიის, მეცნიერების ამ ახალი დარგის წინ წამოწევამ განაპირობა.

გაჩნდა ახალი ტერმინი სახელწოდებით „ფრაზეოლოგიზმები კულტურული სემანტიკით“. ამ პარამეტრის მეთოდოლოგიური კვლევები ენისა და კულტურის ჩარჩოში მოქცეული და ფრაზეოლოგიზმები კულტურის მარკერის არსებობას განიხილავენ.

ნიშანდობლივია, რომ 1999 წელს ვ.ნ. თელიას რედაქტორობით გამოიცა წიგნი, სათაურით „ფრაზეოლოგია კულტურის კონტექსტში“, რომელმაც თავი მოუყარა ნაშრომთა საკმაოდ სოლიდურ რიცხვს და ლინგვოკულტუროლოგიის მეთოდოლოგიურ და ფრაზეოლოგიის კულტურულ-ენობრივი იდენტურობის ასპექტებს მიეძღვნა. წიგნში განსაზღვრულია ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის ზოგადი პრინციპები, ხოლო ფრაზეოლოგია ინტერტექსტუალობის ასპექტში მოიაზრება. ავტორების უმეტესობა ცდილობს ფრაზეოლოგიების შინაარსში, ახალი ტერმინოლოგიის შესაბამისად „კულტურის ენის“ ელემენტებისა და კულტურულ-ნაციონალური სპეციფიკის ამოკითხვას.

კრებულში მოთავსებული სტატიები, მოხსენებების სახით; 1998

წლის საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქ. მოსკოვში იქნა წაკითხული, რომლის თემატიკაც სწორედ ამით შემოიფარგლებოდა — „ფრაზეოლოგია კულტურის კონტექსტში“.

ფრაზეოლოგიის კვლევის ახალი პარამეტრი (კულტურა) და შერჩეული თემატიკის მოტივაცია შემდეგნაირად არის ფორმულირებული: კულტურის კონტექსტში. ეს „ადამიანის ბინადრობის“ სფეროა. კულტურა — ეს არის პროდუქტი ადამიანის მიერ მსოფლხედვის სულიერ-ზნეობრივი გააზრებისა, რომლის ფონზეც ყალიბდება თვითშეგნება. ამიტომ კულტურით შექმნილი განაწესი, რომელიც ადამიანის ცხოვრებისეული ფასეულობათა და პიროვნების ცხოველქმედების ორიენტირია, რეფლექსურად აღიქმება. კულტურის კანონები, რომლებიც საკუთარ „ენას“ ქმნიან, მენტოფაქტებია ანუ ფაქტები, რომლებიც მენტალიტეტს განსაზღვრავენ ნიშნის ფუნქციით და ამდენად, ენაში აისახებიან. სწორედ ფრაზეოლოგიების ამ ფუნქციას წამოსწევს ვ. თელია წინა პლანზე და თვლის, რომ ფრაზეოლოგია, როგორც კულტურის ენობრივი სემანტი პერსპექტივაში სრულიად ახალ ამოცანებს წამოსწევს მკვლევრისათვის. ცხადია, ახალი ამოცანები ახალ მეთოდოლოგიურ ბაზას გულისხმობს.

1. ფრაზეოლოგიისათვის საკითხების სამი ძირითადი ჯგუფია განმსაზღვრელი.

პირველ რიგში გასარკვევია თვით ფრაზეოლოგიური ფონდი, როგორც ნომინაციური მარაგის ყველაზე თავისებური ნაწილი კულტურულ-ენობრივი თვალსაზრისით. ეს კი გულისხმობს სხვადასხვა ფრაზეოლოგიაში ექსტრალინგვისტური წინაპირობის დადგენას, რომელიც კულტურის გარკვეულ საგნობრივ სფეროს მიესადაგება და იმ შიდაენობრივი საშუალებებისა და წესების გამოვლენას, რომლებიც ფრაზეოლოგიას კულტურული რეფერენციის უნარს ანიჭებენ. სწორედ ან რეფერენციით — ნიშნის ფორმით — ფრაზეოლოგიები კულტურის იმ მახასიათებლებს ასახავენ, რომლებიც ესა თუ ის ენობრივი გაერთიანება (საზოგადოება) ხასიათდება.

საკითხთა მეორე ჯგუფი ეხება კორესპონდენციის დაზუსტებას, მეთოდთა დიფერენციაციის და მოიცავს ფრაზეოლოგიების სემანტიკის შესწავლას თუ აღწერას, აგრეთვე ეთნოლონგვისტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ და ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების დადგენას. ამ საკითხთა გამაერთიანებელია შესწავლის ობიექტი, მაგრამ განსხვავებულია მათი მიზნები და ამოცანები: კვლევის ობიექტი შეიძ-

ლება განხილულ იქნას დიაქრონიაში, სინქრონიაში და ამავე დროს სრულიად არაერთგვაროვან არეალში.

საკითხების მესამე ჯგუფი ენისა და კულტუროლოგიის საერთო პლატფორმის გამოანხვას ეთმობა, რომელიც ხალხის კულტურული თვითმყოფადობის ენობრივი გამოხატულების შესწავლას უწყობს ხელს. ვ.მ. თელია საკითხთა სამი ჯგუფის სამ პოსტულაციას ასახელებს:

1. ფრაზეოლოგიების უმეტესობა ენობრივ-კულტურული თავისებურებებით ხასიათდება

2. ყოველი ენის კოლექტიურ ქვეცნობიერ მესხიერებაში იხანება ფრაზეოლოგიების ინტელექტუალური კავშირი კულტურულ კოდთან, ეს კი, თავის მხრივ, ენის მატარებლის კულტურული რეფერენციის უნარს უკავშირდება და კულტურული კონოტაციის კვალს ტოვებს.

3. ლინგვოკულტურული გაერთიანების საზღვრებში ფრაზეოლოგიებს გააჩნიათ უნარი „კულტურის კონსტანტის“ ფუნქციის შესრულებისა, ანუ თაობათაშორისი ტრანსლაციისა კულტურის სფეროში.

ლინგვოკულტუროლოგიის საგანს, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს ენის სინქრონულ ჭრილში მოქმედი საშუალებებისა და იმ ხერხების აღწერა და კვლევა, რომლებიც ენისა და კულტურის ურთიერთქმედებას ასახავენ. ეს კი უნდა განხორციელდეს ადეკვატური მეთოდოლოგიური მექანიზმებით.

ვ.ნ. თელია პირველ რიგში შემდეგი ამოცანების გადაჭრის აუცილებლობას მიიჩნევს:

1. კულტურის თვალსაზრისით მარკირებული სიგნალების გამოვლენას ფრაზეოლოგიური ნიშნით და მიმართებებისა, რომლებიც ამა თუ იმ კულტურულ კოდთან და მის „ენასთან“ არიან კავშირში.

4. ამის საფუძველზე „კულტურული კონოტაციის“ ცნების დაზუსტებას, რომლის შინაარსის ჩამოყალიბებაც ენის მატარებლის კულტურულ-ენობრივი კომპეტენციის და სხვა ენობრივი ნიშნების ინტერპრეტაციის შედეგია.

5. დამუშავდეს კულტურული კონოტაციის ტიპოლოგია ლექსიკურ-სინტაქსურ და კონცეპტუალურ დონეებზე.

კულტუროლოგიაში, როგორც ყველა ახლად აღმოცენებულ დარგში გამალებით მიმდინარეობს სამუშაო ტერმინებისა და „კულტუროლოგიისა“ თუ „კულტურის“ ზუსტი დეფინიციის დადგენა.

ცხადია, „კულტურის“ გაგრძელების არეალი გლობალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ კვლევის საგანი — „ფრაზეოლოგიაში არეკლილი კულტურა“ — თვითონ კარნახობს და უადვილებს მკვლევარს „მოქმედების საზღვრებს“. მისი თეზაურუსი კულტურის ვერბალური თეზაურუსია, და არა მარტო კულტურისა. ამდენად, ახლად აღმოცენებული დარგი თავისი ტერმინოლოგიით ენის თეზაურუსის გამდიდრებას ემსახურება.

„კულტურის კოდი — მისი ტექსტების ტაქსონომიური სუბსტრუქტია, რომელიც რომელიმე სოციუმის სამყაროს შესახებ გაკულტურებულ წარმოდგენათა ერთობლიობაა“ (ვ.ნ. თელია). ტერმინები „ტაქსონი“, „ტაქსონომიური კატეგორია“, ანუ დისკრეტული ობიექტების ჯგუფი, რომელიც საერთო ნიშნით არიან გაერთიანებული და ამ პრინციპით გარკვეული ტაქსონომიურ კატეგორიას განეკუთვნებიან, კულტუროლოგიის სამუშაო ტერმინებად იქცნენ, კულტურის „მეტაენას“ „კულტურის სიმბოლარიუმი“ ჩაენაცვლა, ეს უკანასკნელი კი უფრო ფართო გაგებისაა და „კულტურის სემანტიკის მატარებელი“.

შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერება კვლავ უბრუნდება ვ. ჰუმბოლდტის კონცეფციას ენისმიერი ხატის შესახებ, დიდი მეცნიერი ენას არა მარტო შედეგად (ერგონად) მოიაზრებდა, არამედ როგორც ენერგიას — უდიდეს შემოქმედებით გზას, რომელსაც ხალხი და მისი ენა ყოველდღიურად გადის. ენა სულიერი რეალობაა, ადამიანის სულის ცოცხალი შემოქმედება, რომელიც მთელ მის ყოფას თან სდევს, როგორც კულტურის ნამდვილი სუბსტანცია, ანუ ა.ფ. ლოსევის პერიფრაზით, „სიცოცხლის აღქმის შემოქმედება“.

ამგვარად, ფრაზეოლოგიამ დაძლია კულტურულ-ტაქსონომიური პარადიგმა და ანთროპოლოგიურ პარადიგმას და ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს მიუახლოვდა.

ჩვენს მიმოხილვით სტატიას ე. ბენვენისტის შემდეგი სიტყვებით დავამთავრებთ: „მაგრამ ენა — აგრეთვე ადამიანური ფენომენია.. ტერმინოლოგიური ტრიადის საფუძველზე — ენა, კულტურა, პიროვნება — შეიძლება სხვა ლინგვისტიკა შეიქმნას“.

ლიტმარატურა

ბენვენისტი, 1974 — Беневи́ст Э-Общее лингвистика. М. 1974

ჰუმბოლდტი, 1984 — Тумбольдт В-Избранные труды по языкознанию. М.1984

თელია, 1974 — Телия В.Н. Первоочередные задачи и методологические исследования фразеодогического состава языка в контексте культуры В кн. "Фразеодогия в контексте культуры"

ფლაიშერი, 1982 — Fleischer W. Phraseologie der Deutschen Gegenwartssprache Leipzig, 1982

KARLO SAMNIASHVILI

New Parameters of Phraseological Studies

Summary

The paper is a historical survey of phraseological studies from the very beginning up to the 21st c. The importance of synthetic method of investigation is particularly stressed. Special emphasis is placed upon the cultural context of phraseologisms. The paper discusses as well Leischer's book on German phraseology.

გარინა სიორიძე

**აღამიანის კოგნიტურ-ემოციური ფსიქოსომატური
მდგომარეობის ფენომენოლოგიური მიღებული დისკრიფცია**

მსოფლმხედველობა აისახება ენის თავისებურებებში. შესაბამისად, ენა აყალიბებს მსოფლმხედველობას. აღამიანი ხასიათდება ცნობიერების ისეთი მდგომარეობით, როდესაც მას შეუძლია შეიცნოს, შეიმეცნოს გამთიშველი და გამაერთიანებელი გონებისათვის უხილავი არსებები. ამ არსებებს შეესაბამება სუბიექტის განსაკუთრებული მდგომარეობები — კოგნიტური გრძობები, მაგრამ კოგნიტური გრძობები იმდენად შეუსწავლელია, რომ მათი მიმართება ენასთან სრულიად ამოუცნობ პრობლემას წარმოადგენს.

ლ. ვიტგენშტეინმა, გააცნობიერა ენის დამოკიდებულება არაენობრივ სიტუაციებზე მისმა მიმდევრებმა, კონტექსტის ცნება ინდივიდის სემანტიკური მეხსიერების გათვალისწინებით მასში თვით ინდივიდუალური კოგნიტური მდგომარეობის ჩართვამდე განავრცეს. ასე, მაგალითად, ჯ. სერლის ინტენციონალობის კონცეფცია. იგი ინტენციონალობას ორ სახეობად ყოფს: ინტენციონალური აქტები, მოქმედებები და ინტენციონალური მდგომარეობები. პირველები უკავშირდებიან რაიმეს კეთების განზრახვას, მეორენი არსებითად წარმოადგენენ მენტალურ მდგომარეობებს, რომლებიც სრულიად არ განაწყობენ აღამიანს იმ ობიექტისათვის რაიმეს გაკეთებისათვის, რომლისკენაც არიან მიმართული. ასეთებია, მაგალითად, შიში, სიხარული, სიყვარული, რისხვა და სხვა. ყველა ამათ აქვთ კონკრეტული საბაბი — შეგნებული მიზეზი შიშის, სიხარულის, სიყვარულის, რისხვისათვის.

ობიექტის ცოდნა როგორც საშიშისა, სასიამოვნოსი, საწყენისა იწვევს შესაბამის ემოციურ მდგომარეობებს. მაგრამ თუკი მენტალური მდგომარეობები უმიზეზოა, ისინი, ჯ. სერლის მიხედვით, არ იქნებიან ინტენციონალურები. ამგვარად აქ არ არის საუბარი არავითარ კოგნიტურ გრძობაზე, რომელიც გონებისათვის უხილავ არსებებს იმეცნებს.

თვით ა.ა. პოტენია, რომელმაც ესოდენ ნათლად და ჭკვიანურად გამოიჭნა „გრძობების ენა“ და „გონების ენა“, სრულიად სხვას ამბობდა. განცდის მდგომარეობაში სიტყვა ასახავს რეალურობაში არსებულ სპეციფიკურს, გრძობადს. „გონების ენაში“ სიტყვა გამოხატავს მხოლოდ ერთ, ზოგად ნიშან-თვისებას, რომელიც მოცემული სახეობის ყველა საგანს ახასიათებს.

მთავარია ის, რომ „გონების ენაში“ სიტყვა გვიჩვენებს ზოგადს, ობიექტურს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფორმალურ-აბსტრაქტულს, გარეგნულს, ხოლო „გრძობის ენაში“ — ერთსულოვანს, სუბიექტურს, ანუ ინდივიდუალურს კონკრეტულ შინაგან მდგომარეობას.

იმავეს გზვდებით ცნობიერების ფილოსოფიის ისტორიაში. დილტეი, რომელიც სულიერი ცხოვრების გაგებაზე მსჯელობდა, სწორად აღნიშნავდა, რომ არავითარმა აზროვნებამ არ შეიძლება შეაღწიოს განცდაში და „განცდის“ გაგების მეთოდად განსაზღვრა თვით განცდა, ანუ თანაგანცდა. მაგრამ არც საკუთარი თავით სხვისი შეცვლა, არც მოტორული რეაქციებისადმი მიბაძვა არ წარმოადგენს კოგნიტურ პროცესებს. კოგნიტური ემპათია კი ეფუძნება ინტელექტუალურ პროცესებს (შედარება, ანალოგია და ა. შ.), ანუ არც აქ არ არის საუბარი შემეცნებელ გრძობაზე — ყველაფერი ეს ძიების ფსიქოლოგიური და გნოსეოლოგიური დონეა.

ფსიქოლოგიური მეცნიერება როგორც ასეთი, არ ცნობს გნოსეოლოგიურ განსხვავებებს გრძობასა და ემოციას შორის. ეთიკამ და ესთეტიკამ, ისევე როგორც ფსიქოლოგიის მიღწევა, თავიანთ წარმოდგენაში გრძობები გაუთანაბრეს რთულ სტრუქტურებში ასოცირებულ ემოციებს, აამაღლეს ისინი უკანასკნელზე წარმომავლობის სოციალურობით, დაუტოვეს რა წმინდა ემოციური განცდის მნიშვნელობა. გასაკვირი არ არის, რომ რაციონალისტური მსოფლმხედველობა არ მიაწერს გონების ღირსებებს თვით გრძობას. და ეს ხდება სრულიად გულწრფელად — საკუთრივ ემოციები ხომ გენეტიკურად წინ უსწრებენ განვითარებულ ლოგიკურ აზროვნებას როგორც აღამიანის ონტოგენეზში, ისე კაცობრიობის ისტორიაში.

არსებული ეთიკური კონცეფციების კონსტრუქციულ ანალიზს კი მივყავართ დასკვნამდე, რომ არსებობს შემეცნებითი მდგომარეობა კოგნიტური და ემოციური მხარეების არასოციალისტური სინთეზის სახით. ჯ. მურის იდეები კი, რომელმაც პირველად განსაზღვრა „სიკეთე“, როგორც მენტალური მდგომარეობა ორგანული მთლიანობის

ფორმით, რომელიც შეიცავს „სიკეთის“ ცოდნის (ცნობის) ელემენტსა და ამ საბაზით ემოციურობის ელემენტსაც, 80-იან წლებში წამოყენებულ ჰიპოთეზაში გრძნობის შესახებ, რომელიც კოგნიტიური და ემოციის მსგავსი მხარეების სინკრეტულ ერთიანობას წარმოადგენს (ორტონი, კლოური, კოლინზი, 1995).

ეს ერთი შეხედვით უცნაური გნოსეოლოგიური მდგომარეობა აღწერილია დამატებითობის ცნობილი პრინციპის თანახმად. განასხვავებენ „მცოდნე“ გრძნობების ორ სახეობას: ასახვითი გნოსეოლოგიის კალაპოტში (მჭვრეტელობითი გრძნობა) და „შემგრძნობი“ გრძნობა. როგორც შეცნობადი, მათ შეესაბამება სტრუქტურული მთლიანობა და სისტემური მთლიანობა. აქ არ არის დისკურსი არც ჩვეულებრივი დასკვნებისა და არც ფრეიმების მსგავსად ორგანიზებული სტრუქტურების სახით და ა. შ. რაციონალური შემეცნების ეთიკა და ესთეტიკა ძალაუფლებურად არიან შემოფარგლული საკუთარი გამოცდილებით — იმის ცოდნით, რომ მთლიანად დისკურსში არიან მოთავსებული. მისი გამოცდილება მატერიალისტურია იმ აზრით, რომ კოგნიტიური გრძნობის არსებობის გამო არ მოიცავს სულიერ მდგომარეობებს. მისთვის მხოლოდ თავისი გენეზისით მატერიალური ემოციებია ცნობილი.

შემეცნებითი უნარის ეს შეზღუდულობა სრულიად გამოვლინდა სპინოზას გეომეტრიულ ეთიკაშიც, თუკი საუკუნეების სიღრმეში ჩავიხედავთ, და მორალური არჩევანის, მორალური გადაწყვეტილების კონცეფციაში, თუ თანამედროვეობას მივმართავთ. არსი კი ის არის, რომ რაციონალისტურ აზროვნებას არ ძალუძს რაიმეთი ოპერირება გარდა იმისა, რასაც საფუძვლად უდევს მატერიალური ფაქტორები — სული, სამშვიინველი, მისთვის სრულიად შეუღწევადია (კარნაპი, 1959).

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი ფენომენოლოგიურ პარადიგმაში (დაწყებული ე. ჰუსერლის ნაშრომებით) დამუშავებულ განცდათა დესკრიფციული ეიდეტიკის შესაძლებლობის შესახებ.

ფენომენოლოგიური განწყობისას მკვლევარი თავის მზერას წმინდა განცდებისაკენ მიმართავს. ეს არის მეცნიერება მხოლოდ უშუალო ინტუიციის ფარგლებში, წმინდა დესკრიფციული მეცნიერება არსთა შესახებ. ფენომენოლოგიის საქმეა საჩვენებელი სახით წარმოუდგინოს მზერას ცნობიერების წმინდა მოვლენები, მათი მიყვანა სრულ სიცხადემდე, ვარჯიში მათ ანალიზში, მათი არსის წვდომა ამ-

გვარი სიცხადის ფარგლებში, განიხილოს ნათელი შეხედულებისათვის მისაწვდომი არსებითი ურთიერთკავშირები; ის, რაც გათვალისწინებული იყო, გამოხატოს ადეკვატური ცნებითი გამოთქმებით, რომელთა შინაარსი მიჩნეულია უპირატესად გათვალისწინებულად, ანუ იმად, რაც საერთოდ ცხადადაა მიჩნეული.

ფენომენოლოგია არ ისწრაფვის იყოს რაიმე სხვა, თუ არა მეცნიერება არსთა შესახებ წმინდა სიტუაციის პირობებში. ფენომენოლოგი თავის ჭვრეტას აფიქსირებს ცნებითად, ანუ ტერმინოლოგიურად. სიტყვები, რომლებითაც ის სარგებლობს, შეიძლება მომდინარეობდნენ საერთო ენიდან, ისინი შეიძლება იყვნენ მრავალმნიშვნელოვანი და განუსაზღვრელი თავიანთი ცვალებადი შინაარსით.

ფენომენოლოგს საქმე აქვს რედუქციის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ განცდებთან და არსთა შესაბამისად მათდამი მიკუთვნებულ კორელატებთან. უტყუარობის, ნამდვილობის სფეროში კი იგი ფლობს მოსაზრებების, წინადადებების, გრძნობების, მღელვარებების მაგალითებს. ფენომენოლოგია განეკუთვნება კონკრეტულ ეიდეტურ დისციპლინებს. იგი მოიცავს განცდის არსებს და, აქედან გამომდინარე — არა აბსტრაქტულს, არამედ კონკრეტულს.

ე. ჰუსერლი ვარაუდობს, რომ გამოცდილების ყოველი იზოლირებული სფეროს ცხოვრებიდან ფსიქიური ცხოვრების ამა თუ იმ ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტების საფუძველზე შესაძლებელია გასვლა ეიდეტიკურ სფეროში.

ნებისმიერი ჩაკეტილი ველი შეიძლება განიხილებოდეს მისი „არსების“, მისი ეიდოსის მიმართ და ჩვენ შეგვიძლია უგულვებლყოთ ჩვენი ფენომენების ფაქტობრივი მხარე და გამოვიყენოთ ისინი მხოლოდ როგორც „მაგალითები“. ვუკვირდებით რა ინვარიანტულს და ვსწავლობთ რა ვარიაციებს, ჩვენ წინ იშლება ტიპური სფერო. ცხადი ხდება ნებისმიერი ფსიქიკური ფაქტის ტიპური თავისებურება. ფსიქოლოგიური ფენომენოლოგია უნდა ემყარებოდეს ეიდეტურ ფენომენოლოგიას. ფენომენოლოგიური რედუქცია ხსნის ნამდვილად შინაგანი გამოცდილების ფენომენებს; ეიდეტური რედუქცია — ფსიქიკური ყოფიერების სფეროს არსებითი ფორმებია (ჰუსერლი, 1991, 1995, 1998).

პარადოქსების მიმართ გარკვეული მიკერძოების პირობებში

ე. ჰუსერლი აყალიბებს იდეას იმის შესახებ, რომ ფიქცია ფენომენოლოგიის სასიცოცხლო სტიქიას შეადგენს, ესაა წყარო, რომლიდანაც

საზრდოობს „მარადიული ჭეშმარიტების“ შემეცნება. წვდომა, რომელიც თვალსაჩინო მოცემულობის ფარგლებს სცილდება, ცარიელ მიგნებებს, წვდომებს ნამდვილად თვალსაჩინო წვდომას გადააწნავს და მაშინ, თითქოს სიცხადის საფეხურებზე ასვლისას, სულ უფრო მეტი თვალსაჩინო წარმოდგენა შეიძლება იქცეს ცარიელ წარმოდგენად. გარკვევა ასეთ შემთხვევაში მდგომარეობს ორ ერთმანეთთან შეერთებად პროცესში — თვალსაჩინოდ გადაქცევის პროცესსა და ყველაფერი უკვე თვალსაჩინოდ გამხდარის სიცხადის ზრდის პროცესში. საჭიროა შევხვით შემდეგსაც: ყველაფერი, რაც მოცემული გვაქვს, როგორც წესი, გარემოცულია შარავანდელით — ესაა განუსაზღვრელად განსაზღვრულის შარავანდელი და და მას გააჩნია მზერასთან მიახლოების თავისი ხერხი; იხსნება რა და იშლება წარმოდგენების რიგებად, ვთქვათ, ჯერ კიდევ სიბნელეში, შემდეგ კი ისევ მოცემულობის სფეროში, მანამ, სანამ ინტენდირებადი არ შევა სრულყოფილი მოცემულობის გაკავშირებულ წრეში. ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთსაც: ალბათ, გადაჭარბებული იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოსდა არსების ცხადი მიგნება, წვდომა, ყოველთვის მოითხოვს საფუძველში ჩადებული დეტალების სრულ სიცხადეს, მათ კონკრეტულობას (გიომი, 1992).

უკეთესს რა კომენტარს ე. ჰუსერლის მოსაზრებას, პ. პ. ბლონსკი შემდეგნაირად განმარტავს ფენომენოლოგიურ ეიდეტურ დესკრიფციას: სიტყვიერი აღნიშვნა; ამ აღნიშვნით თანააღნიშნული ფსიქიკური განცდები შემცნობისა; რაიმე შინაარსის „შეხედულების“ აქტი; შინაარსი; ამ შინაარსის საშუალებით წარმოსახული შემეცნების საგანი; შინაარსის მჭვრეტელობითი განხორციელების აქტი; შინაარსის განხორციელება ჭვრეტით მისი ილუსტრაციის საშუალებით თვალსაჩინობამდე მიყვანის გზით (ლეონტიევი, 1969).

ტყუილად როდი ამტკიცებდა გ. გიომი, რომ სწორედ ენის შესწავლა მიგვიყვანს იმ საშუალებების შემეცნებამდე, რომლებიც საშუალებას აძლევენ აზროვნებას „ხელთ იგდოს“ ის, რაც მასში ხდება, ანუ ხელში ჩაიგდოს საკუთარი თავი. ენის შესწავლა მიგვიყვანს იმ საშუალებების შემეცნებამდე, რომლებსაც აზროვნება საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ყველაფერი იმის მყისიერად ხელში ჩაგდების უზრუნველსაყოფად, რაც მასში ხდება (გაკი, 1998).

რჩება საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მივაკუთვნოთ ნომინაციას მოსაუბრის ფსიქიკური მდგომარეობის, ემოციების, სუბი-

ექტური განცდების, ყველაფერი იმის აღნიშვნის პროცესი მეტყველების მომენტში, რაც აღინიშნება ფართო გაგებით ტერმინით „მოდალურობა“. ჩვენ საუბარი გვაქვს არა საგნების (თვისებების, ქმედებების) აღნიშვნაზე, არამედ ცნებების, აზრების, გრძნობების გამოხატვაზე. ასე რომ, აღინიშნება ყველაფერი, რაც მატერიალურად შეიგრძნობა (ან უთანაბრდება ამგვარს), გამოიხატება ის, რაც გრძნობებისა და ფიქრების არამატერიალურ სამყაროს განეკუთვნება. თუმცა ცნებები და ფიქრები წარმოდგენენ ადამიანის ცნობიერებაში ექსტრალინგვისტური სამყაროს ელემენტის ასახვას და ამიტომ, გამოხატავენ რა ცნებებსა და ფიქრებს, სიტყვები და წინადადებები ამავე დროს აღნიშნავენ საგნებსა და მოვლენებს, რომლებზეც მიმართულია ეს ცნებები და ფიქრები, ხოლო რაც შეეხება გრძნობებსა და ემოციებს, თანამედროვე გამოკვლევები ფსიქოლოგიის სფეროში წარმოაჩენს ემოციების უდიდეს როლს ადამიანის შემეცნებითა და მისი ცნობიერების ამსახველ საქმიანობაში. ისინი თავის მხრივ ექვემდებარებიან შეცნობის განსაზღვრას და კლასიფიკაციას, შეიძლება ჰქონდეთ სიტყვიერი აღნიშვნა და მოსაუბრეს შეუძლია აღნიშნოს თავისი განცდები და შეფასებები სიტყვიერად ანდა შორისდებულებისა და ინტონაციის დახმარებით. ეს საფუძველს გვაძლევს დავუშვათ, რომ მოდალურ-ემოციური მოვლენები ასევე იძენენ ენობრივ აღნიშვნას. ენობრივი სტრუქტურები, რომლებითაც გამოიხატება ემოციები და შეფასებები, საკმაოდ დეტალურადაა შესწავლილი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ა. მ. ვოლფის წიგნი და გ. გ. გაკის ნაშრომები. მათში მოცემულია დაწვრილებითი ანალიზი გამონათქვამის შეფასებითი ნომინაციებისა და სტრუქტურებისა, რომელიც შეიცავს შეფასებას. ემოციებისა და შეფასებების გამოხატვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთლიანად გამონათქვამისა და აგრეთვე ზეფრაზული ერთიანობისა და ტექსტის ორგანიზაციაში. ამასთან დაკავშირებით მუშავებოდა გამონათქვამის ემოციურ-შეფასებითი ჩარჩოს ცნებები და მისი ფორმირება, ემოციურ-შეფასებითი ბლოკების ფორმირება ტექსტში, ნეიტრალური და ემოციური ბლოკების შეფარდება გამონათქვამსა და ტექსტში.

აქედან გამომდინარე, მიღებულია ემოციების ასახვის (აღწერის), მათი გამოხატვის გამიჯვნა; აღქმის უნარის ცვლილებების გათვალისწინება პირობების (მათ შორის, ემოციურის) ცვლილებების შესაბამისად; ინფორმაციული უკმარისობის კომპენსაციის ფუნქციის გათვა-

ლისწინება პირობების (მათ შორის, ემოციურის) ცვლილებების შესაბამისად; ინფორმაციული უკმარისობის კომპენსაციის ფუნქციის გათვალისწინება.

მაშასადამე, ადამიანის კოგნიტიურ-ემოციური ფსიქოსომატური მდგომარეობის ფენომენოლოგიური ეიდეტური დესკრიფცია, მისი ონტოლოგიის აღწერა განაპირობებს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ პროტოტიპულ მოდელებს (ფრეიმებს): სტრუქტურულად — ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობის სფეროებში შეყვანამდე.

ლიტერატურა

გაკი, 1998 — Гак В. Г. Языковые преобразования. М., 1998.

გიიომი, 1992 — Гийом Г. Принципы теоретической лингвистики. М., 1992.

ვოლფი, 1985 — Вольф Е. М., Функциональная семантика оценки. М., 1985.

კარნაპი, 1959 — Карнап Р. Значение и необходимость, М., 1959.

ლეონტიევი, 1969 — Леонтьев А. А. Язык, речь и речевая деятельность. М., 1969.

ორტონი, კლოური, კოლინზი, 1995 — Ортони А., Клоур Дж., Коллинз А. Когнитивная структура эмоций. М., 1995.

ჰუსერლი, 1991, — Гессерль Э. Феноменология // Логос. 1991.;

ჰუსერლი, 1995, — Идеи к чистой феноменологии и феноменологической философии // Язык и интеллект. М., 1995

ჰუსერლი, 1998 — Антология феноменологической философии в России, М., 1998.

Французско-русский фразеологический словарь. М., 1963.

Итальянско-русский фразеологический словарь. М., 1982.

MARINA SIORIDZE

Phenomenological, Eidetic Description of Man's Cognitive-Emotional, Psychosomatic Condition

Summary

The paper is an attempt to characterize man's cognitive - emotional and psychosomatic condition from the standpoint of phenomenological and eidetic studies. The paper also deals with the ontological description of the condition in question. Cognitive-emotional and psychosomatic conditions form prototypical models of man's behaviour.

ელენე ტატიშვილი

აღწერის რობორც სამეცნიერო ფორმის ადგილი მხატვრული
ტექსტის სამეცნიერო-კომპოზიციურ დონეზე
(ინგლისურენოვანი მოთხრობების მაგალითზე)

ტექსტის კომპოზიციური დონისა და შესაბამისი ერთეულების შემსწავლელ სხვადასხვა თეორიაში შეინიშნება განსხვავებული მიდგომა კომპოზიციის ერთეულებისადმი. მაგალითად, მონოგრაფიაში „სამეცნიერო-კომპოზიციური ფორმის „მსჯელობა“ სტრუქტურულ-სემანტიკური პარამეტრები“ („Структурно-семантические параметры композиционно-речевой формы "Рассуждение"“) კომპოზიციის ცნებისა და მისი ინტერპრეტაციის დინამიკის განხილვისას ავტორი, ცხვედელიძე, წარმოადგენს ვ. კოჟინოვისა და ი. ლოტმანის მოსაზრებებს ტექსტის კომპოზიციის ერთეულების შესახებ. პირველი მათგანი მხატვრული ტექსტის „კომპონენტებად“ თვლის დინამიკურ თხრობას, სტატიკურ აღწერას, დახასიათებას, მონოლოგს, დიალოგს, ავტორისეულ რემარკას, ლირიკულ გადახვევას და სხვა; მეორე კი კომპოზიციის მონაკვეთებად მიიჩნევს აღწერას, დიალოგს, მონოლოგს, შინაგან მონოლოგს და ა. შ. (ხვედელიძე, 1989, 23-24). ე. რიზელი ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურის ერთ-ერთი ასპექტის¹ — შინაარსის გადმოცემის ორგანიზაციის — ერთეულებად თვლის ეპიკურ შეტყობინებას (თხრობას), სტატიკურ ან დინამიკურ ჩვენებას (აღწერას), განმარტებას, კომენტირებას, პროპაგანდას და ა.შ. იქვე ჩამოთვლილია ისეთი კომპოზიციური ერთეულები, როგორებიცაა მონოლოგი, დიალოგი, კინემატოგრაფიული მონტაჟი და ა.შ. ამასთან, სტატიაში დასახელებულია მხოლოდ ერთი კრებითი სახელწოდება — სამეცნიერო ფორმები, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი ერთეულების დაჯგუფების პრინციპი ნათლად მიაჩნდება იმაზე, რომ ავტორი გა-

¹ ც. ხვედელიძის აზრით, კომპოზიციის ეს ასპექტი ტექსტის სამეცნიერო-კომპოზიციურ დონეს შეესაბამება (ხვედელიძე, 1989, 26-27).

მიჯნავს, ერთი მხრივ, ეპიკურ შეტყობინებას, სტატიკურ და დინამიკურ ჩვენებას და ა.შ. და მეორე მხრივ, დიალოგს, მონოლოგს და ა.შ. (რიზელი, 1974, 37).

ო. კლიგერმანის სადისერტაციო ნაშრომში „ინგლისური მოთხრობის სამეცნიერო-კომპოზიციური სტრუქტურა“ („Композиционно-речевая структура английского рассказа“) წარმოდგენილია სხვადასხვა მეცნიერთა აზრი მხატვრული ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურის შესახებ (მათ შორის ტექსტის დაყოფის პრინციპი მონოლოგურ და დიალოგურ მეტყველებად) და ნათქვამია, რომ „მონოლოგური მეტყველება იყოფა თხრობად, აღწერად და მსჯელობად, რომლებიც წარმოადგენენ ავტორის პლანს, და პირდაპირ თავისუფალ მეტყველებად, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფორმებსა და სახეებს შორის“ (კლიგერმანი, 1989, 22).

ო. კლიგერმანი გამიჯნავს კომპოზიციური დონის ერთეულებს ორ ჯგუფს — ფორმებსა და სახეებს („формы и виды“). ეს ტერმინები, ჩვენი აზრით, მ. ბრანდესისგან არის ნასესხები, თუმცა, მათი ურთიერთმიმართება განსხვავებულად გაიზარება. იმ პოზიციის მიხედვით, რომელსაც ო. კლიგერმანი იზიარებს, სამეცნიერო-კომპოზიციური ფორმები და სახეები ერთ სიბრტყეზე განიხილება — ანუ როგორც ერთეულები, რომლებიც, გარკვეული მახასიათებლის საფუძველზე ქმნიან ოპოზიციას ერთმანეთის მიმართ, თუმცა ტექსტის ხსენებულ დონესთან მიმართებაში წარმოადგენენ ერთგვაროვან ელემენტებს, რადგან ტექსტში ენაცვლებიან და აქედან გამომდინარე, გამოირიცხავენ ერთი-მეორეს. ო. კლიგერმანი ასე განსაზღვრავს სამეცნიერო-კომპოზიციურ ფორმებსა და სახეებს:

„სამეცნიერო-კომპოზიციური ფორმა განიმარტება, როგორც ტექსტის ერთეული, რომელშიც აირეკლება უშუალოდ ავტორისეული აღქმა ობიექტური თუ გამოგონილი სამყაროს დროითი, სივრცითი და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებისა. სამეცნიერო ფორმებს მიეკუთვნება თხრობის სამი ტიპი — წარსული მოვლენების მოკლე გადმოცემა, პირდაპირი და სცენური თხრობა; აღწერა (სტატიკური და დინამიკური); მსჯელობა.

მეტყველების სახე განიმარტება, როგორც ტექსტის ერთეული, რომელშიც აირეკლება არაპირდაპირი (შუალობითი), პერსონაჟებისეული აღქმა ობიექტური თუ გამოგონილი სამყაროს დროითი, სივრცითი და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებისა. მეტყველების სახე-

ბად ასევე ითვლება ტექსტის ის ერთეულები, რომლებიც წარმოადგენენ პერსონაჟთა გამონათქვამების გადმოცემას ავტორის (მთხრობლის) პირით. ამგვარად, ნაშრომში მეტყველების სახეებს მივაკუთვნებთ: პირდაპირ და პირდაპირ გაუხმოვანებელ (შინაგან) მეტყველებას, პირდაპირ თავისუფალ და პირდაპირ თავისუფალ გაუხმოვანებელ მეტყველებას, ირიბ და ირიბ გაუხმოვანებელ მეტყველებას, გადმოცემულ და გადმოცემულ გაუხმოვანებელ მეტყველებას, არაპირდაპირ თავისუფალ და არაპირდაპირ თავისუფალ გაუხმოვანებელ მეტყველებას და ასევე პირდაპირი მეტყველების სახესხვაობებს — დიალოგსა და დრამატულ მონოლოგს" (კლიგერმანი, 1989, 7).

ზემოთ მოყვანილი ციტატა გვაფიქრებინებს, რომ ამ შეხედულების მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება ე.წ. ავტორის პლანი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოდგენილია ან თხრობით, ან აღწერით ან მსჯელობით (ანუ სხვადასხვა სამეტყველო ფორმებით), და პერსონაჟისეული პლანი, რომელიც მოიცავს პირდაპირ და შერეულ¹ მეტყველებათა სახეებს.

მეორე მიდგომის თანახმად, სამეტყველო ფორმები და სახეები თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა ქმნიან ერთ მთლიანობას. ამდენად, ერთი კომპოზიციური მთლიანობის სახით წარმოდგენილია როგორც სამეტყველო ფორმა, ისე მეტყველების სახე. ამ მიდგომის საილუსტრაციოდ მოგვყავს მ. ბრანდესის შემდეგი განმარტება:

„სამეტყველო ფორმები, რომლებსაც განვიხილავთ როგორც პირველად მასალას, ქმნიან სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის შიდა სტრუქტურას.

ამ ფენის გარეგან მასალას წარმოადგენს ავტორისეული, პირდაპირი, ირიბი და არაპირდაპირი თავისუფალი მეტყველება" (ბრანდესი, 1971, 120-121).

აუცილებლად მიგვაჩნია ნათლად განვსაზღვროთ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების (მათ შორის აღწერის) ადგილი მხატვრულ ტექსტში; შესაბამისად, ვარჩევთ მეორე მიდგომას, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად აფართოებს სამეტყველო-კომპოზიციური

¹ შერეულ მეტყველებაში ვგულისხმობთ ისეთ სახეებს, რომელთათვისაც ნიშანდობლივია როგორც ავტორის, ისე პერსონაჟის მეტყველების მახასიათებლები (შლრ. კლიგერმანი, 1989, 24-25).

ფორმების შესწავლის არეალს და უფრო სრულყოფილად წარმოაჩინოს მათ კომპლექსურობას და ვარიაციულობას.

მ. ბრანდესი „მეტყველების სახეებს“ აიგივებს მ. ბახტინისეულ „მეტყველების ტიპებთან“. მ. ბახტინი გამოიწვევს მეტყველების სამ ტიპს, რომელთაგან პირველი, მ. ბრანდესის აზრით, შეესაბამება ავტორისეულ მეტყველებას, მეორე — პერსონაჟისეულ მეტყველებას, მესამე კი იყოფა სამ ქვეტიპად: 1. ცალმხრივად მიმართულ ორხმოვან მეტყველებად („однонаправленное двуголосое слово“); 2. სხვადასხვამხრივ მიმართულ ორხმოვან მეტყველებად („разнонаправленное двуголосое слово“); და 3. აქტიურ ტიპად. ამათგან, პირველი ქვეტიპი შედგება ოთხი კომპონენტისგან: სტილიზაცია, მთხრობლის მონათხრობი („рассказ рассказчика“), პერსონაჟის არაობიექტური მეტყველება, რომელიც (ნაწილობრივ) გამოხატავს ავტორის ჩანაფიქრს და პირველ პირში მთხრობლის მეტყველება. მ. ბრანდესის აზრით, მესამე ქვეტიპი (აქტიური ტიპი) ახლოა არაპირდაპირ თავისუფალ მეტყველებასთან („несобственно-прямая речь“) (ბრანდესი, 1971, 120-125).

მ. ბრანდესისეული „მეტყველების სახეები“ შეიძლება ასევე გავაიგივოთ ვ. კუხარენკოს „გადმოცემის ტიპებთან“ („типы изложения“), რომლებშიც შედის ავტორისეული თხრობა, დიალოგი, შინაგანი მეტყველების სახეები, არაპირდაპირი თავისუფალი მეტყველება (კუხარენკო, 1979, 65-69). გადმოცემის ტიპები შეიძლება გავიაზროთ როგორც მხატვრული ტექსტის კომპოზიციის ელემენტები.

გარდა ამისა, ვ. კუხარენკო გამოყოფს ე.წ. „თხრობის (повествование) ტიპებს“ — მთლიანი ტექსტის ტიპებს. ესენია ავტორისეული მეტყველება და გადაბარებული მეტყველება (სხვისი პირით მეტყველება — „сказ“, „перерученное повествование“). ეს უკანასკნელი შემდეგ ქვეტიპებს მოიცავს: ზეპირ მეტყველებაზე ორიენტირებულ თხრობას პირველ პირში, ზეპირ მეტყველებაზე ორიენტირებულ თხრობას მესამე პირში, წერილობით მეტყველებაზე ორიენტირებულ თხრობას ასევე პირველსა და მესამე პირში. თითოეული მათგანი შეიძლება იყოს ცალმხრივად და სხვადასხვამხრივ მიმართული (როცა რეალური ავტორისა და გამოგონილი მთხრობლის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა და როცა ასეთი თანხვედრა არ არის) (კუხარენკო, 1979, 15-18).

მთხრობლის (повествователь) სახეებს გამოყოფს აგრეთვე კ. დოლინინი. ესენია: 1. აუქტორიული ავტორი, რომლის ქვეტიპებია 1.1 აუქტორიული ავტორი ფაბულის მიღმა; 1.2 ფაბულაში მონაწილე

აუქტორიული ავტორი; და II. გამოგონილი მთხრობელი („**ВЫМЫШ-
ленный рассказчик**“) ასევე ორი ქვეტიპით: II.1. ფაბულის მიღმა
მყოფი და II.2. ფაბულაში მონაწილე მთხრობელი (ანუ პირველ პირ-
ში მთხრობელი) (დოლინინი, 1985, 184-185).

ხსენებულ ტიპოლოგიებს თუ გავითვალისწინებთ და ამავე დროს
კომპოზიციური ფორმებისა და სახეების მ. ბრანდესის მიერ შემოთა-
ვაზებულ პრინციპს მივყვებით, კომპოზიციურ სახეებად უნდა მივიჩ-
ნიოთ ავტორისეული მეტყველება, მთხრობლისეული მეტყველება
(რომლებიც სხვადასხვა ვარიანტების სახით შეიძლება იყოს წარმო-
დგენილი — მაგ., მთხრობელი ფაბულის მიღმა, ზეპირ მეტყველებაზე
ორიენტირებული ავტორი ან მთხრობელი და ა. შ.), პირდაპირი
მეტყველება (დიალოგი, დრამატული მონოლოგი, შინაგანი მეტყველე-
ბა) და შერეული მეტყველების ტიპები, რომლებიც შედის ო. კლი-
გერმანის ჩამონათვალში.

მეტყველების სახეებსა და მათ ტიპოლოგიაზე დეტალურად არ
შევჩერდებით, რადგან ამჯერად ისინი გვიანტერესებს მხოლოდ აღწე-
რის სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ფუნქციონირების არეალის
განსაზღვრისთვის, რადგან მიგვაჩნია, რომ აღწერა გადმოიცემა არა
მხოლოდ ავტორისეული მეტყველებით, არამედ მეტყველების სხვა სა-
ხეებითაც.

გაანალიზებულ მასალაში შეგვხვდა მეტყველების სულ სხვადას-
ხვა სახეებით გადმოცემული აღწერები. მაგალითად:

ავტორისეული მეტყველება

"The officer was Captain Downing Madwell, of Massachusetts regiment
of infantry, a daring and intelligent soldier, an honorable man" (ბირსი,
1982, 111).

პირველ პირში მთხრობლის მეტყველება

"[I found her in a handsome dwelling on Rincon Hill.] She was beauti-
ful, well-bred – in a word, charming" (ბირსი, 1982, 105).

პირდაპირი მეტყველება

"The Parisian Police", he said, "are exceedingly able in their way. They
are persevering, ingenious, cunning, and thoroughly versed in the knowledge
which their duties seem chiefly to demand" (პო, 1983, 279).

პირდაპირი თავისუფალი მეტყველება

"A small girl, a piquant face, dark brown eyes, black hair; a simple white
dress with a blue stripe in it; ..." (ფაულზი, 1980, 18).

არაპირდაპირი თავისუფალი მეტყველება

"[He crawled up a small knoll and surveyed the prospect.] There were
no trees, no bushes, nothing but a gray sea of moss scarcely diversified by
gray rocks, gray lakelets, and gray streamlets. The sky was gray. There was
no sun nor hint of sun" (ლონდონი, 1950, 23-24).

ირიბი მეტყველება

"Dr Himmelblau's younger colleagues find him rambling and em-
barrassing" (ბაიატი, 1994, 98).

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ აღწერის სა-
მეტყველო-კომპოზიციური ფორმის მიკუთვნება მხოლოდ ავტო-
რის მეტყველებისადმი არ არის მართებული და მისი ანალიზის
შესაძლებლობებს ზღუდავს.

ლიტერატურა

ბრანდესი, 1971 — Брандес М.П., *Стилистический анализ* (На
материале немецкого языка), М., Высшая школа, 1971.

დოლინინი, 1985 — Долинин К. А., *Интерпретация текста*, М.,
Просвещение, 1985.

კლიგერმანი, 1989 — Клигерман О.Г., *Композиционно-речевая
структура английского рассказа, дисс ... канд ... филол. наук*, Саранск,
1989.

კუხარენკო, 1979 — Кухаренко В.А., *Интерпретация текста*, Л.,
Просвещение, Ленинградское Отделение, 1979.

რიზელი, 1974 — Ризель, Э.Г. Текст как целостная структура в
аспекте лингвостилистики, в кн.: *Лингвистика текста, материалы
научной конференции*, М., МГПИИЯ им. М. Тореза, часть II, 1974.

ხვედელიძე, 1989 — Хведелидзе Ц.Д., *Структурно-семи-
антические параметры композиционно-речевой формы "Рассуждение"*,
Тбилиси, изд. Тбилисского университета, 1989.

ციტირებული მსაბავრული ლიტერატურა

ბირსი, 1982 — A. Bierce, *The Coup de Grâce*, კრებულიდან *Tales
and Fables*, Moscow, Progress Publishers, 1982.

ბირსი, 1982 — A. Bierce, Killed at Resaca, კრებულიდან Tales and Fables, Moscow, Progress Publishers, 1982.

ბაიატი, 1994 — A.S. Byatt, The Chinese Lobster, ტრილოგიიდან The Matisse Stories, London, Vintage, 1994.

ფაულზი, 1980 — J. Fowles, The Enigma, კრებულიდან The Ebony Tower, Eliduc, The Enigma, Moscow, Progress Publishers, 1980.

ლონდონი, 1950 — J. London, Love of Life, კრებულიდან Short Stories, Moscow, Foreign Languages Publishing House, 1950.

პო, 1983 — E.A. Poe, The Purloined Letter, კრებულიდან Prose and Poetry, Moscow, Raduga Publishers, 1983.

HELEN TATISHVILI

The Place of Description as a Speech Form in the Compositional Structure of a Literary Text

Summary

The paper considers the place of description as a speech form in the compositional structure of fiction and examines its relationship with some other units of text composition. Two opposite viewpoints are discussed. According to the first one, narration, description and argument (commonly qualified as speech forms as well as elements of text composition) are placed side by side with dialogue, dramatic monologue, free direct speech, free indirect speech, etc., and in the text, they are believed to occur in a linear sequence, one after another. The other viewpoint suggests that these two groups of compositional units form a single unity, i.e. one compositional segment can at the same time represent a speech form and a narrative mode, e.g. a direct speech can represent a description as well as an argument. The author shares the second opinion and provides passages from fiction which illustrate that descriptions can be expressed through different narrative modes: direct speech, indirect speech, free direct or free indirect speeches, etc. It is argued that this approach might broaden the scope of speech form analysis.

ენო უზაგა

ტექსტობრივი კატეგორიების ღინამიკა და ემოლუცია

თანამედროვეობაში ტექსტის ღინამიკის ერთ-ერთ კარდინალურ ამოცანად ტექსტის კატეგორიათა გამოვლენა და აღწერა ითვლება. ისინი არ ემთხვევა წინადადების კატეგორიებს, პირიქით, ტექსტთან ერთად წარმოიქმნებიან, როგორც მალალი რანგის სისტემა. ეს განსაკუთრებული ხასიათის კატეგორიებია, რომლებიც უფრო დიდ ნაწყვეტებს ახასიათებს, ვიდრე პატარებს. თვით ტერმინმა „ტექსტის კატეგორია“ ჯერ კიდევ ვერ მიიღო ერთმნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური განმარტება. ამოსავალ წერტილად კატეგორიის ფილოსოფიურ განმარტებას გამოვიყენებთ — ეს ფართოდ გაგებული მოვლენაა, რომელშიც უმეტესად საერთო და არსებითი თვისებები, ნიშნები. კავშირები და საგნებთან დამოკიდებულება აისახება.

გ. ლებანიძის აზრით, ტექსტის ღინამიკის ექსპლიციტურ საფუძველს წარმოადგენს ტექსტის ცნება, იმპლიციტურს — პრაგმატიკა. თანამედროვე კომუნიკაციური ღინამიკის ფარგლებში გვაქვს ტექსტის განსაზღვრისა და, შესაბამისად, მისი გაგების ორი ვარიანტი: ფუნქციური და სტრუქტურული. ტექსტის ცნება დაუკავშირდა იმ ენობრივ ფაქტებს, რომელთა ფუნქციური გაგება ვერ ხერხდება და წინადადების ფარგლებს გარეთ გასვლის გარეშე. ტექსტის ცნების ასეთმა გენეზისმა მიგვიყვანა ისეთი ცნებების აღმოცენებამდე, როგორცაა ზეფრაზული ერთიანობის ცნება. ტექსტის სტრუქტურული გაგების შედეგად მან მიიღო ტექსტთა დაახლოებით შემდეგი იერარქიული სისტემა, სადაც ზეფრაზობრივი ერთიანობა იწოდება მიკროტექსტად, ხოლო ტექსტი, რომლის სტრუქტურულ ელემენტებსაც იგი წარმოადგენს, მაკროტექსტად (ლებანიძე 2004, 294).

ქართველ ენათმეცნიერ ვ. სერგიას თანახმად ტექსტთან ერთად გამოიყოფა ტერმინი „მეტატექსტი“, ანუ წინადადებაზე მალალი დონის ენობრივ-სამეტყველო ოდენობა, რომელსაც აქვს საკუთარი მიკროთემა, ღინამიკურად ორგანიზებული გაფორმება, აზრობრივი

დამთავრებულობა და საკომუნიკაციო ფუნქცია. სწორედ მეტატექსტების და ტექსტების კვლევის ადრეულ პერიოდში ამ ახალ ენობრივ ერთეულებს სინტაქსის პოზიციებიდან უყურებდნენ, აფასებდნენ და იმ კატეგორიებით ზომავდნენ, რომლებიც ცნობილი იყო მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, მაგრამ კვლევის შემდგომ გაზღასთან ერთად აღმოჩნდა, რომ ახალ საკომუნიკაციო სიდიდეს წინადადებისაგან განსხვავებული საკუთარი პარამეტრები და კატეგორიები აქვს, რომელთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობას დღესაც აქვს ადგილი (სერგია 1989, 236).

ტექსტის კატეგორიების შედგენისას მიიჩნევდნენ, რომ ისინი გრამატიკული ხასიათისა იყო, რომელიც მოცემულ ენაში თანამიმდევრულად გადმოიცემა იმ ფორმების სისტემით, რომელთა სტრუქტურა ამ ენის ტიპზეა დამოკიდებული. ვ. სერგიას აზრით, კატეგორიის ასეთი განმარტება ტექსტის დონეზე უფუნქციოა. ტექსტი ისეთი ენობრივი სიდიდეა, რომლისთვისაც ძირითადი და არსებითი პარამეტრი კომუნიკაციაა. საკომუნიკაციო ურთიერთობის დროს კი გადამწყვეტია შინაარსი, ინფორმაცია. ტექსტი სემანტიკური სიდიდეა და მას ფორმობრივი მაჩვენებელი არ გააჩნია. ტექსტის კატეგორია ვერ თავსდება ერთ სიტყვაში ან ერთ წინადადებაში. იგი შინაარსობრივი კატეგორიაა, რომელიც გამომდინარეობს ტექსტის თემის შინაარსიდან (სერგია 1989, 237).

ტექსტის კატეგორიების დადგენას ი. რ. ვალპერინმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, სადაც იგი ამ კატეგორიებს ორ ჯგუფად ყოფს. სემანტიკურად და სტრუქტურულად. სემანტიკურ კატეგორიებს იგი ინფორმაციულობას, სიღრმეს (ქვეტექსტს), პრესუპოზიციას, პრაგმატიკას, დამთავრებულობას აკუთვნებს; ტექსტის სტრუქტურულ კატეგორიებად ი. ვალპერინი ინტეგრაციას, რეტროსპექციას, პროსპექციას, კონტინუუმს, გაბმულობას მიიჩნევს. ყველა ჩამოთვლილ კატეგორიას იგი გრამატიკულს უწოდებს. მაგრამ მათ ტრადიციული გრამატიკა არ იცნობს. ისინი სემანტიკური ხასიათის კატეგორიებია (ვალპერინი, 1981, 524).

ენათმეცნიერთა შორის აზრთა ერთიანობაა ტექსტის ისეთი კატეგორიის შესახებ, როგორცაა გაბმულობა. ის ტექსტის არსებითი კატეგორიაა, რადგან გაუბმელი, შეუკავშირებელი ტექსტი არ არსებობს.

ტ. ნ. ნიკოლაევამ გამოყო ტექსტის სხვადასხვა კატეგორიები: აქ-

ტუალური დანაწევრება, თანმიმდევრობა, „ამბავი“ (ნიკოლაევა, 1980, 24).

ვ. ი. ტურაევა ასახელებს მხატვრულ დროს, პროგრესია/სტაგნაციას (ტურაევა, 1989, 33). გ. ლებანიძე ცენტრალურ კატეგორიად კოჰერენტულობას მიიჩნევს, რადგან ეს სწორედ ის კატეგორიაა, რომელიც ტექსტის ნიშნობრივ გაგებას ეფუძნება, მაგრამ ამავე დროს სწორედ ნიშნის მთლიანურ (არადიფერენცირებულ) წარმოდგენას ეფუძნება, ე. ი. იგი ეკუთვნის არა ტექსტის ფორმას და მის შინაარსს, არამედ — ორივეს ერთად. კოჰერენტულობა ტექსტის შინაარსს უკავშირდება, ხოლო კოჰეზია — მის ფორმას, მაგრამ უპირატესობა პირველ თვალსაზრისს ენიჭება, რომლის თანახმადაც კოჰერენტულობა სინთეზური კატეგორიაა. კოჰერენტულობის, როგორც ცენტრალური კატეგორიის წამოყენებით აქტუალური გახდა ნიშნის არადიფერენცირებული წარმოდგენა. რაც შეეხება სხვა ტექსტობრივ კატეგორიებს, ისინი ამ სტრუქტურაში ერთიანდებიან. კოჰერენტულობა ყველა დანარჩენი კატეგორიის ინტეგრირებას ახდენს. იგი ყველა შესაძლო კატეგორიათა ინტეგრალია. ცალკეული კატეგორიები კი კოჰერენტულობის დიფერენციალია. ყველა იერარქიულ დონეზე ტექსტი მუდამ წარმოდგენს ისეთი წინადადების თანმიმდევრობას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი თემით: ტექსტს ქმნის თემატური ერთიანობა და ტექსტში მთავარია შინაგანი შეკავშირებულობა — შინაგანი კავშირი წინადადებათა შორის (ლებანიძე 2004, 298).

ვ. სერგიას აზრით, დღეისათვის ტექსტის კატეგორიებად გაბმულობა, თანმიმდევრობა და მოდალობა უნდა ჩაითვალოს. კამათი და დავა ტექსტის კატეგორიების შესახებ ალბათ დიდხანს გაგრძელდება. დრომ უნდა გვიჩვენოს, თუ რომელი კატეგორიაა ტექსტისათვის მუდმივი. სირთულეს ის ქმნის, რომ ტექსტის კატეგორიები სემანტიკური კატეგორიებია, ხოლო სემანტიკა ენათმეცნიერების ყამირია (სერგია 1989, 239).

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კლასიფიკაციები არაერთგვაროვანია. მათ საფუძვლად უდევს სხვადასხვა კრიტერიუმი — სემანტიკური, სტრუქტურული, პრაგმატიკული, ფუნქციონალური, ობლიგატორული, ფაკულტატური ნიშნები, რომლებიც ტექსტის ექსტრალინგვისტური სიტუაციის მახასიათებლებია. არსებობს ისეთი ნიშნებიც, რომლებიც არ არის ფართოდ გავრცელებული.

ე. ი. ტურაევა მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ტექსტის კატეგორი-

ების დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად, რომლებშიც შევლენ:

ა) კატეგორიები, რომლებიც მის სტრუქტურულ ნიშნებს წარმოადგენენ;

ბ) მისი შინაარსობრივი მხარის მაჩვენებელი კატეგორიები;

პირველს შეიძლება ეწოდოს სტრუქტურული, მეორეს - შინაარსობრივი ანუ კონცეპტუალური (ტურაევა, 1989, 61).

ჩვენ ასეთი დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითად მიგვაჩნია, რადგან სხვა კატეგორიებსაც აქვთ ფორმალური და შინაარსობრივი მხარეები. ეს კატეგორიები ურთიერთგანპირობებულა. თუმცა პირველები ტექსტს როგორც ლინგვისტიკის ობიექტს, მეორენი — ტექსტში ობიექტური სინამდვილის ასახვის პროცესს ახასიათებენ. პირველნი ტექსტის სტრუქტურაში ჰპოვებენ საფუძველს, მეორენი — ტექსტსა და ობიექტურ სინამდვილეს შორის კავშირს ახორციელებენ. ტექსტის კატეგორიები უნივერსალების სახეს ატარებენ და ტექსტთან არიან დაკავშირებულნი იმ ენისაგან დამოუკიდებლად, რაზეც ტექსტია შექმნილი.

პირველ ჯგუფში შესაძლოა გაერთიანდეს ჯაჭვურობა, ინტეგრაცია, მოდალობა, პროგრესია; მეორეში — ავტორის სახე, მხატვრული სივრცე და დრო, ინფორმაციულობა, მიზეზობრიობა, ქვეტექსტები.

ტექსტის კატეგორიათა ტიპოლოგია, კერძოდ, ქრონოტიპების შინაარსობრივი ტიპოლოგია არა მარტო სივრცით-დროითი კონტინუუმის ენობრივი ხორცშესხმის თავისებურებების გათვალისწინებით, არამედ ქრონოტიპების ნიშნების მიხედვით აიგება, რომლებიც მხატვრული ტექსტის ყანრობრივ ნიშნებთანაა დაკავშირებული. მკვლევართა აზრით, ანტიკური რომანის ქრონოტიპი განისაზღვრება როგორც ავანტიურული დროისა და უცნობი სივრცის ერთიანობა, კურტუაზულისა — ზუსტი სივრცისა და მკვდარი დროისა, თანამედროვე ფსიქოლოგიური რომანის, როგორც შეკუმშული დროისა და სივრცის ურთიერთქმედება. მსგავსი სისტემა არ არის ნათელი და გარკვეული. მათ, როგორც ენისა და მხატვრული ენის გამაერთიანებელ ერთეულებს ახასიათებთ საერთო და გამყოფი თვისებები: პირველადი მოდელირებადი სისტემისა (ბუნებრივი ტიპის) და მეორადი მოდელირებადი სისტემის (მხატვრული ენა). მხატვრულ ტექსტზე პროეცირებადი ენის ანთროპოცენტრიზმი ავტორის სახეს ტექსტში წამყვან კატეგორიად ხდის. ეს კატეგორია ენობრივ საშუალებათა არჩევანს განსაზღვრავს. სამყაროს სურათი, მხატვრულ ტექსტში განსხეულებული,

მხატვრის ინდივიდუალური ცნობიერების ჭრილში დანახულად გვევლინება.

ჩვენი, როგორც მკვლევრის წინაშე ტექსტის კატეგორიის კვლევის ორი ამოცანა დგას:

1) გამოვავალინოთ ტექსტის კატეგორიით გადმოცემული გაგება;

2) განვსაზღვროთ როგორი საშუალებების არჩევანი გამოიყენება მათ გადმოსაცემად;

მიგვაჩნია, რომ ამ ორი ამოცანის ფარგლებში შემდეგი საკითხები უნდა იქნეს წარმოჩენილი:

1) ტექსტის კატეგორიის საშუალებათა განსაზღვრა;

2) ტექსტის კატეგორიაში იერარქიის დადგენა;

3) შესაძლო კლასიფიკაციების მკვეთრი კრიტერიუმების შემუშავება;

4) ენობრივი და არაენობრივი საშუალებების სისტემატიზაცია;

5) ტექსტის კატეგორიის ცენტრალური, პერიფერიული, ექსპლიციტური და იმპლიციტური საშუალებების დადგენა.

საინტერესოა როგორ ფორმულირდება მათი შინაარსის პლანის გამოხატვა და მათი გადმოცემის საშუალებათა ძიება. ტექსტის ყველა კატეგორიას, როგორც ზემოთ გამოითქვა, გააჩნია გამოხატულებისა და შინაარსის პლანი. ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ, როგორ ფორმულირდება ტექსტის კატეგორიის გამოხატვის პლანი, როგორი საშუალებები მონაწილეობს მათ რეალიზაციაში. ენობრივი მასალის გამოკვლევა იმას მოწმობს, რომ ტექსტის კატეგორიის ფორმირებაში სხვადასხვა დონის, ენობრივი საშუალებების ინვენტარის ფართო წრე მონაწილეობს. აქ შინაარსისა და გამოხატულების პლანს შორის ასიმეტრიაა, რაც სხვა დონის ენობრივ ერთეულებს ახასიათებს. ტექსტის კომპონენტები იქცევიან რა ენობრივ ნიშნებად, სემანტიკურ ფუნქციას იძენენ. აქტუალიზდება არა მხოლოდ მათი ძირითადი სემანტიკური ბირთვი, არამედ — დამატებითი მნიშვნელობა, კონოტატიური და ასოციაციური შესაძლებლობები. ენობრივი ერთეულების მახასიათებლები უფრო მკაცრი, ნაკლებად ავტომატიზირებული ხდება.

ენობრივი საშუალებები ნახევრად ფუნქციონალურია და შესაძლოა ტექსტის სხვადასხვა კატეგორიაში მონაწილეობა მიიღონ. ტექსტის კატეგორიების ფორმირებისას ორი ერთმანეთზე დამოკიდებული პრინციპი მოქმედებს: სემანტიკური კონტინუუმისა და ენობრივ

მოვლენათა აზრობრივი დისკრეტობის.

ტექსტის კატეგორიის განხილვისას ორგვარი მიდგომა გამოიყენება:

1) აზრიდან ფორმისაკენ — აზრობრივი ბირთვიდან მისი გამოხატვის ენობრივ საშუალებამდე;

2) მოცემული ფორმიდან მის ფუნქციებსა და მნიშვნელობამდე.

ენისაგან დამოუკიდებლად იქმნება ტექსტის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია — ველის პრინციპით. პირველად ენობრივ მოვლენათა მიმართ ველის მიდგომა გერმანულ მკვლევართა მიერ იქნა გამოყენებული. იგი პირველადი მნიშვნელობით ლექსიკის დონეზე იქნა მიღებული, ბოლო დროს კი სხვადასხვა დონის მოვლენად იქცა.

ტექსტის კატეგორიებს გააჩნიათ ძირითადი ნიშნები, რომლებიც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების მსგავსია:

1) მოცემული დაჯგუფების შემქმნელი ელემენტების საერთო ინვარიანტული სემანტიკური ფუნქციების არსებობა;

2) ურთიერთქმედება არა მხოლოდ ერთგვაროვანი, არამედ სხვადასხვაგვარი ელემენტებისა, კერძოდ, ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური;

3) სტრუქტურა, რომელშიც განსაზღვრულ როლს თამაშობს დანაწევრება ცენტრი/პერიფერია და თანდათანობითი გადასვლა კომპონენტთა შორის, ნაწილობრივი კვეთა;

ამგვარად, ერთეულები, რომლებიც მონაწილეობენ ტექსტის კატეგორიის ფორმირებისას, ორი ნიშნის მიხედვით ერთიანდება: ფუნქციური და სემანტიკური. ტექსტის კატეგორიები, მსგავსად ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიებისა სხვადასხვა დონეების სხვადასხვაგვარი ელემენტების ფართო სფეროს წარმოადგენენ, ურთიერთმოქმედებენ გარკვეული სემანტიკური ფუნქციის შესრულებისას.

თუკი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები, რომლებიც ენაში ტრადიციულად გამოიყოფა, მიეკუთვნება ენობრივ სამყაროს, რაც ლოგიკურ და ლინგვისტურ სამყაროს აინტერესებს, მაშინ ტექსტის კატეგორიები, განსაკუთრებით მხატვრულისა, იდეალური რეალობის ესთეტიკურ სამყაროს მიეკუთვნება.

ტექსტის კატეგორიის შესწავლა მჭიდრო კავშირშია სემანტიკის კონტექსტთან. ტექსტის კატეგორიის ფორმირებისას ყოველი ერთეული მთელ ტექსტთანაა დაკავშირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების, სინტაქ-

სური ორგანიზაციისა და კომპოზიციის ერთდროული მოქმედება. ტექსტის კატეგორიის ადეკვატური საშუალება გლობალური კონტექსტის არსებობას უნდა ითვალისწინებდეს, რაც თან ახლავს ენობრივ კომუნიკაციას.

ჩვენ ვითვალისწინებთ კონტექსტის ფართო გაგებას, როგორც ვერბალური კომუნიკაციის თანმხლებ ყველა ფაქტორს. ეს საერთო სიტუაციაა, რომელშიც კომუნიკაცია მიმდინარეობს, ამავდროულად ის წარმოადგენს კონტექსტის ქსელს, რომელშიც ტექსტია მოცემული.

წინასწარ ცოდნას, ფონურ ცოდნას ჩვენ ვიგებთ როგორც პრესუპოზიციას. ეს მნიშვნელოვანია ტექსტის ისეთი კატეგორიების გააზრებისას, როგორცაა ქვეტექსტი, ინფორმაციულობა, მხატვრული დრო და სივრცე. ფართო პრესუპოზიცია რეალების, მითოლოგიის, ერის ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნა მეორე დონის კომპეტენციაა. პრესუპოზიცია — ეს ტექსტის სემანტიკური ანალიზის საშუალებაა, რომელიც სხვადასხვა ტიპის კავშირებს ხსნის, რომლებიც სიტყვის სემანტიკის პროგნოზირებას, სიტყვათშეთანხმებას, ზეფრაზულ ერთეულებს ემყარება.

ტექსტის კატეგორიის ანალიზი ტექსტის არსის ანალიზთან მჭიდრო კავშირშია. ტექსტის არსის განსაზღვრისას მკითხველი არა მხოლოდ მოცემული ტექსტის, არამედ სხვა ტექსტების ცოდნასაც ამჟღავნებს ასოციაციურ კავშირებთან ერთად, რაც მათ შორის მყარდება. ტექსტის აზრი ექსტრალინგვისტურ პირობებზე დამოკიდებულებით იცვლება. ის მსგავსია იმ სამყაროს შიგა მოდელისა, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში „თეზაურუსის“ სახით იქმნება. ტექსტის სიღრმეში წვდომა კავშირშია მკითხველის პიროვნულ თავისებურებებთან, მისი აღქმის ხასიათთან. ტექსტის გაგება ავტორისა და მკითხველის აქტიური თვითშემოქმედებაა. რაც შეეხება იმ ენობრივი საშუალებების კონკრეტულ ანალიზს, რომლებიც ტექსტობრივი კატეგორიების ფორმირებაში მონაწილეობენ, ის დამოკიდებულია პირველადი და მეორადი მნიშვნელობების ურთიერთქმედებაზე, მათ სემანტიკურ ფუნქციებზე, რომლებიც წარმოიქმნება ტექსტში ენობრივ ნიშანსა და ტექსტის კატეგორიას შორის სამეტყველო რეალიზაციის სახით.

მხატვრული ნაწარმოების განუმეორებლობა, მასში შექმნილი სახეების უნიკალურობა, მათი მატარებელი მატერიალური ფორმები

Evolution and Dynamics of Textual Categories

Summary

The paper discusses one of the basic and controversial issues of text linguistics revealing and classification of textual categories. A number of approaches towards the issue are examined. The paper considers the following to be the universal textual categories: informativeness, coherence, presupposition, temporality, location and modality.

ტექსტის კატეგორიებს პროეცირებენ. მათ ფორმირებაში სხვადასხვა საშუალებანი მონაწილეობენ, იქმნება იერარქია; ბირთვის განსაზღვრისას შესაძლოა სხვა კრიტერიუმების გამოყენება. წამყვან კრიტერიუმებად მიჩნეულია ტექსტის კომპონენტთა ფუნქციური დატვირთვა, მათი ტექსტთან ინტეგრაციის დონე, მასში მეტ-ნაკლებად სპეციფიკური ნიშნების კონცენტრაცია. თუკი გრამატიკულ კატეგორიას ველის სტრუქტურის სახე აქვს, გრამატიკული ბირთვით და ლექსიკურ-გრამატიკული პერიფერიებით, მხატვრული ტექსტის ველის სტრუქტურას ტიპური ბირთვი აქვს — უფრო მაღალი დონის ელემენტებისაგან შემდგარი.

ელემენტები, რომლებიც ჩართულია ტექსტის კატეგორიის ფორმირებაში, განსაზღვრულ ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან. ისინი, ერთი მხრივ, ენობრივ ფორმას, ხოლო, მეორე მხრივ, ერთმანეთს უკავშირდებიან.

ლიტერატურა

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003.

ლებანიძე, 1998 — გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: 1998.

ლებანიძე, 2004 — გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: ენა და კულტურა. 2004.

სერგია, 1989 — ვ. სერგია, ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი: განათლება. 1989

გალპერინი, 1981 — Гальперин И. А. Текст как объект Лингвистического исследования. Москва: Наука. 1981

ნიკოლაევა, 1980 — Николаева Т. М. Современное состояние и перспективы в кн: Новое в зарубежной лингвистике. Москва: Прогресс 1980.

ტურაევა, 1986 — Тураева З. Я. Лингвистика Текста Москва: Просвещение. 1986.

შუშუნა ფიჭვიშვილი

შეთანხმების კვლიწიკაციისათვის მართულში

ტრადიციული ქართული გრამატიკის მიხედვით, სინტაგმაში შე-
მაგალ წევრთა შორის შეიძლება იყოს შეთანხმება, მართვა და მი-
რთვა. ამ საკითხზე მეცნიერული მსჯელობა სათავეს იღებს ჯერ კიდევ
ანტონის გრამატიკიდან. მას შემდეგ ქართულ ლინგვისტიკაში თანდა-
თან ზუსტდებოდა სინტაგმის წევრთა ურთიერთობა; გამოითქვა ბევ-
რი საინტერესო მოსაზრება, მაგრამ შეთანხმების, მართვისა და მი-
რთვის ასპექტით სპეციალისტთა შორის ზოგი რამ დღესაც იწვევს
აზრთა სხვადასხვაობას, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნის სასწავლო
პრაქტიკაშიც.

ამჯერად განვიხილავთ ერთ კონკრეტულ შემთხვევას.

სამეცნიერო ლიტერატურაში სახელსა და სახელს შორის ბრუნ-
ვაში ურთიერთობის კვალიფიკაცია არაერთგვაროვანია: ერთი თვალ-
საზრისით, სახელებისაგან შემდგარი სინტაგმის წევრებს შორის არის
შეთანხმება (როცა მსაზღვრელი ატრიბუტულია: მაღალი-ი სახლ-
ი, ფართო გზა...) ან მართვა (როცა მსაზღვრელი სუბსტანტიურია:
ხის სახლი) (ა. ჩიქობავა, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ო. დვისაძე...), მეორე
თვალსაზრისით კი, სახელებს შორის ურთიერთობა მხოლოდ შე-
თანხმებაა (ა. დავითიანი, თ. უთურგაიძე).

ირკვევა, რომ მკვლევართა უმრავლესობის მიერ ატრიბუტული
მსაზღვრელი (ბრუნვისნიშნისანი თუ ფუძის სახით წარმოდგენილი)
ჩათვლილია შეთანხმებულ წევრად, სამაგიეროდ, სადავოდაა ქცეული
ე. წ. მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობის
ფორმა — **ხის სახლი** ტიპის სინტაგმაში მართვა თუ შეთანხმება?

ჩვენი აზრით, უფრო მართებულად ჩაითვალოს ის თვალსაზრისი,
რომლის მიხედვითაც მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური
შეკავშირების ერთადერთი სახე შეთანხმებაა. აქედან გამომდინარე,
სუბსტანტიური მსაზღვრელიც შეთანხმებული წევრია, ისევე როგორც
ატრიბუტული.

ამ მოსაზრების ავტორთათვის ამოსავალია ის გარემოება, რომ
შეთანხმების საფუძვლად მიჩნეულია, ერთი მხრივ, ლექსიკური შეხა-
მებულობა და, მეორე მხრივ, საზიარო მორფოლოგიური კატეგორია.

მაშასადამე, რამდენადაც სუბსტანტიური მსაზღვრელი და მისი
საზღვრული — ორივე სახელია, ისინი აზრობრივად შეთანხმებულნი
არიან და მოეპოვებათ საზიარო გრამატიკული კატეგორია (ბრუნვა),
ამდენად, მათ შორის შეთანხმებაა და არა მართვა. **ხის სახლის** ტი-
პის სინტაგმაში **ხის** არის მთლიანი ფუძე, ბრუნვის ნიშნის ნულოვა-
ნი ალომორფით წარმოდგენილი: ხის-~~ი~~ სახლ-ი, ხის-~~ი~~ სახლ-მა...
ისევე როგორც პატარა-~~ი~~ სახლ-ი, პატარა-~~ი~~ სახლ-მა... **ხის** ფორმაში
ის, უკვე ფუნქციადაკარგული ბრუნვის ნიშანი, მოგვევლინა სადერი-
ვაციო ელემენტად და ფუძის კუთვნილებად იქცა. იგი ისეთივე სადე-
რივაციო ელემენტია, როგორიცაა **ად**, **ით ის** (თ. უთურგაიძე). შდრ.:
გულად-ი კაცი, შემთხვევით-ი ამბავი, მის-ი ოთახი...

საანალიზო ტიპის სინტაგმაში რომ შეთანხმებაა, ამას ევროპულ-
ლი ენების ჩვენებითაც ადასტურებენ (ა. დავითიანი): ხის კიბე
деревянная лестница.

საგულისხმოა, რომ, ზემოაღნიშნულის გარდა, ამ თვალსაზრისის
სასარგებლოდ შეიძლება დავასახელოთ სხვა არგუმენტებიც. წარმო-
ვადგენთ ზოგიერთ მათგანს.

1. რაკი შეთანხმებისათვის ამოსავალია ზიარი გრამატიკული კა-
ტეგორია, ცხადია, ბრუნვაში სახელთა ურთიერთობა უნდა განი-
საზღვროს შეთანხმებით, მნიშვნელობა არა აქვს, დაქვემდებარებული
წევრი როგორი სახელია — არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნა-
ცვალსახელი თუ ნაზმნარი სახელი, რადგან, რაც მთავარია, სინტაგ-
მის ორივე წევრს, როგორც ბრუნებად სიტყვებს, აერთიანებს ერთნა-
ირი **ფორმაცვალბა** და საზღვრულის მიმართ მსაზღვრელის **ფუნ-
ქცია**. წესისამებრ, ყოველგვარი მსაზღვრელი საზღვრულს ახასიათებს
რაიმე ნიშნის მიხედვით, მაგალითად, ლამაზი ბავშვი, ორი ბავშვი,
გახარებული ბავშვი, ჩვენი ბავშვი, მეზობლის ბავშვი, პატარა ბავ-
შვი... ამკარაა, რომ სემანტიკურად სხვადასხვა სახელით გადმოცემუ-
ლი მსაზღვრელები, ბრუნვის ფორმის მიუხედავად, ერთნაირად ახასი-
ათებენ საზღვრულს ნიშან-თვისების, რაოდენობის, კუთვნილებისა და
მისთ. მიხედვით (ჩემი ბავშვი, სასადილო ოთახი, შდრ. მეზობლის
ბავშვი, სუფრის კოვზი).

მაშასადამე, ტრადიციული ტერმინებით რომ ვთქვათ, ატრიბუტულ და სუბსტანტიურ მსაზღვრელთა ფუნქცია ერთნაირია.

გარდა ამისა, ორივე სახის მსაზღვრელები არ სხვაობენ ფორმაცვლების თვალსაზრისითაც. მაგალითად, ჩაკეტილი კონსტრუქციის გამო ზოგჯერ არ არის აუცილებელი პრეპოზიციული წყობის ბოლო-თანხმოვნის ატრიბუტული (გაუთიშავი) მსაზღვრელიც იმავე ნიშნით იყოს წარმოდგენილი, რაც აქვს საზღვრულს, ე. ი. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი არ არის გაფორმებული სათანადო მარკერით. მეტიც: ამგვარ კონსტრუქციაში ბოლოხმოვნის მსაზღვრელი ფუძის სახითაა, არც ერთ ბრუნვაში არ დაირთავს ნიშანს (იგულისხმება ნულოვანი ალომორფი). და მაინც, ასეთ სინტაგმებში შეკავშირების სახედ თვლიან შეთანხმებას, რომელიც შეიძლება იყოს სრული, ნაწილობრივი და ნულოვანი (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-ი სახლ-ის, მაღალ- სახლ-ს, ფართო გზა-მ...). მაგრამ ღია კონსტრუქციის დროს, როცა პრეპოზიციული მსაზღვრელი და საზღვრული გათიშულია ანდა წყობა პოსტპოზიციურია, ატრიბუტული მსაზღვრელი ყოველთვის გაფორმებულია სათანადო ნიშნით — შეთანხმება სრულია: მაღალ-ს ავაგებ სახლ-ს, მწვანე-ს ეწვდება ფოთოლ-სა... გზა-მ ფართო-მ, სახლ-სა მაღალ-სა...

ფორმაცვლებადობის ასპექტით ზუსტად ანალოგიური ვითარებაა სუბსტანტიური მსაზღვრელის შემთხვევაშიც: ხის სახლ-ი, ხის სახლ-მა... (ნულოვანი შეთანხმება), მაგრამ, ხისა-ს ავაგებ სახლ-ს... სახლ-მა ხისა-მ... შეთანხმება სრულია.

ამგვარად, თუკი ფუძის სახით წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი შეთანხმებულია, ცხადია, შეთანხმებული უნდა იყოს ამ ფორმით მოცემული სუბსტანტიური მსაზღვრელიც. ერთნაირ ფორმაცვლებას კვალიფიკაციაც ერთნაირი უნდა მიეცეს.

2. ტრადიციული გაგებით, ატრიბუტული მსაზღვრელი **შეთანხმებულია**, სუბსტანტიური კი — **მართული** ან **მართულ-შეთანხმებული**. აქ, პირველ ყოვლისა, საცილობელია თვით ტერმინი „მართულ-შეთანხმებული“, რამდენადაც სახელებისაგან შედგენილი ერთი სინტაქსური წყვილის ურთიერთობა არ შეიძლება იყოს მართვაც და იმავდროულად შეთანხმებაც. თუ ასეთს დავუშვებთ, მაშინ მსაზღვრელს ერთდროულად უნდა ჰქონდეს ორი სხვადასხვა ბრუნვის მოქმედი ნიშანი — ორი ფორმათსაწარმოებელი აფიქსი. ქართულში კი ამგვარი რამ არ გვხვდება. მართალია, გულად-მა, გულითად-მა,

დროებით-მა, მის-მა, სხვის-მა და ა. შ. ფორმებში რეალურად ორი ან სამი ბრუნვის ნიშანია, მაგრამ სიტყვის ფორმაცვლების უნარი მხოლოდ **მა**-ს აქვს. **-ით**, **-ად**, **-ის**, ფუნქცია დაკარგული ბურნვის ნიშნები, აწ უკვე დერივატებია. ამიტომაც, რომ გულად-მა კაც-მა, გულითად-ი სალამ-ი, სხვის-მა შეცდომა-მ... სინტაგმებში არავინ ამბობს მართვა-შეთანხმებააო, განიხილება მხოლოდ შეთანხმებად. მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე სახლ-მა ხისა-მ, სახლ-ს ხისა-ს და მისთ. სინტაგმებში, სადაც **ის** ფუძის კუთვნილებააა ქცეული, **-მა** და **-ს** კი ბრუნვის ნიშნებია. უდავოა, რომ ჩვენთვის საინტერესო სინტაგმებშიც მსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ შეთანხმებულია და არა მართულ-შეთანხმებული.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენადაც შეთანხმება და მართვა ორი სრულიად განსხვავებული ურთიერთობაა, ბუნებრივია, ერთი რომელიმე ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი წევრი — საზღვრული ფორმობრივად ერთდროულად ვერ დააკმაყოფილებს შეთანხმებისა და მართვისათვის აუცილებელ მოთხოვნებს — ითანხმებდეს და თანვე მართავდეს: თუ წამყვანი სიტყვა ითანხმებს დამოკიდებულს სათანადო ბრუნვაში, იმავდროულად იგი ვერ შეძლებს მოითხოვოს დამოკიდებულისაგან ის ფორმა, რაც მას მოცემულ შემთხვევაში არ გააჩნია.

თუ ამოვიღებთ ტერმინს „მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი“, ეს სინტაქსშიც მოხსნიდა უხერხულობას განსაზღვრების, როგორც წევრის, კვალიფიკაციისას. ტრადიციული წესით, განსაზღვრება სამგვარია: შეთანხმებული, მართული და მართულ-შეთანხმებული. ფაქტობრივად განსაზღვრება, როგორც სხვა სახელის მსაზღვრელი, საზღვრულ წევრთან საზიარო ბრუნვის კატეგორიის მქონეობის გამო მხოლოდ შეთანხმებული უნდა იყოს.

რაც შეეხება ტერმინებს „ატრიბუტული“ და „სუბსტანტიური“, ისინი შეიძლება დავტოვოთ მორფოლოგიაში რამდენადაც ძირითადად გახაზავენ **მსაზღვრელის წარმომავლობას** და არა სინტაგმის წევრთა ფორმობრივ ურთიერთობას (წითელი ვარდი, სამი მეგობარი, გახარებული ბავშვი... შდრ. ჰიქა წყალი, ხის სახლი, სტუდენტი ვაჟი...).

3. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ სუბსტანტიური მსაზღვრელი **ნაგენეტივარი** სახელია — **ნანათესაობითარი** ფორმა. სწორედ ეს ტერმინიც მიუთითებს, რომ ამგვარ ფორმებში **-ის**, როგორც ნათესა-

ობითის გაფორმების საშუალება, ისტორიული ფაქტია. დღეს იგი ახალი ფუძის შენების მონაწილეა. და ამ გზით მიღებული ახალი ფუძე საჭიროების შემთხვევაში თავადვე ფორმდება სათანადო ბრუნვის ნიშნებით. საანალიზო ფორმებში **ის** რომ ბრუნვის ნიშანი იყოს, ცხადია, მეორე ბრუნვის ნიშანს აღარ დაირთავდა (სახლ-მა ხისა-მ).

4. თუ **ხის სახლი** ტიპის სინტაგმებში მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობად ბრუნვის ერთიან პარადიგმაში მართვას მივიჩნევთ, მაშინ ნათესაობითი ბრუნვის შემთხვევაში თავს იჩენს წინააღმდეგობა (იხ. ხის სახლის).

მართვის ტრადიციული წესის მიხედვით, წამყვანი სახელი დამოკიდებულისაგან მოითხოვს იმ ბრუნვის ფორმას, რომელიც მას მოცემულ შემთხვევაში არ გააჩნია (ხის სახლ-ი, ხის სახლ-მა...), მაგრამ, როგორც კი წამყვანი ჩადგება ნათესაობითში, სინტაგმის ორივე წევრის ბრუნვა ერთმანეთს დაემთხვევა, ე. ი. „მოცემულ შემთხვევაში“ ორივეს ნიშანია **ის**. სხვაგვარად: რა ფორმაც აქვს წამყვანს, იმ ფორმაშია დამოკიდებულიც. ამის გამოა, რომ პრაქტიკული ანალიზისას ასეთ სინტაგმებში წევრთა ურთიერთობა აღიქმება შეთანხმებულად და არა მართვად. გარდა ამისა, ამგვარი კვალიფიკაციით თეორიულად ირღვევა მართვისა და შეთანხმების დეფინაცია.

ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ნათესაობითში დასმულ სახელებს შორის თითქოს შეთანხმებაა, მაგრამ ეს მოჩვენებითია. ნამდვილად ორივე სახელი მართულია თავ-თავის საზღვრულის მიერ (ლ. კვაჭაძე). საილუსტრაციოდ განხილულია ასეთი მაგალითი: „დადიანმა კარგად იცოდა მეფის ლაშქრის მდგომარეობა“.

ვფიქრობთ, რომ აქ მოჩვენებითობა გამოიხატულია, რადგან ორივე სიტყვა ნამდვილად ნათესაობითში, რაც ნათლად დასტურდება შემდეგით: ტრადიციული წესით, **მეფის ლაშქრის** და **ლაშქრის მდგომარეობა** მართული სინტაგმებია. აქედან გამომდინარე, **მეფის** (I სინტაგმაში) და **ლაშქრის** (II სინტაგმაში) საზღვრულის მოთხოვნით ღვანან ნათესაობითში: სინტაგმაში **ლაშქრის მდგომარეობა** „ლაშქრის“ მართულია წამყვანისაგან ნათესაობითში (ე. ი. **მისი ბრუნვაა ნათესაობითი**). მეორე მხრით, სინტაგმაში **მეფის ლაშქრის** წამყვანი სიტყვაა „ლაშქრის“. იგი მართავს დამოკიდებულს („მეფის“) ნათესაობით ბრუნვაში. თუკი ნათესაობით ბრუნვაში მდგომარეობა წამყვანმა დამოკიდებულისაგან მოითხოვა ისევე ნათესაობით-

თი, ცხადია, აქ მართვა ვერ იქნება. სხვაგვარად: თუ სინტაგმაში **მეფის ლაშქრის** მართვაა, წესის მიხედვით, წამყვან სიტყვას **არ შეეძლო მოეთხოვა** დამოკიდებულისაგან **ნათესაობითი ბრუნვა**.

მაშასადამე, თუკი საანალიზო სინტაგმებში დამოკიდებული სიტყვის მთლიანი ფორმა ფუძედ გაიგება და ნულოვანი სახით შეთანხმება წამყვანს ყველა ბრუნვაში (ხის-ღ სახლ-ის, შდრ. პატარა-ღ სახლ-ის), მაშინ ადვილად მოიხსნება ზემოაღნიშნული წინააღმდეგობაც.

5. როგორც წესი, სუბსტანტიურ მსაზღვრელად არსებითის გარდა ზოგჯერ გამოიყენება გასუბსტანტივებული ატრიბუტივები — ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ნაზმნარი სახელები (ლამაზის ოცნება, სამის ამბავი, რომლის თვალები, ზოგის რჩევა, დაჭრის კენესა... შდრ. ლამაზი ოცნება, სამი ამბავი, რომელი თვალები, ზოგი რჩევა, დაჭრილი მებრძოლი...). ამგვარი ფუნქცია ამ სიტყვებს მიანიჭა არა ბრუნვის ნიშანმა, არამედ ფუძის კუთვნილებად ქცეულმა **ის** აფიქსმა, რომელმაც ატრიბუტის მთლიანი ფორმა სუბსტანტივის ფუძედ წარმოადგინა და სათანადო ფუნქციითაც აღჭურვა.

უფრო მართებული იქნება ამ ტიპის სინტაგმებშიც შეკავშირების სახედ თუ მივიჩნევთ ნულოვან შეთანხმებას, რასაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ამგვარი მსაზღვრელების ატრიბუტული წარმომადგენლობაც.

ზემოაღნიშნულთა გარდა, საანალიზო საკითხთან დაკავშირებით კვლავ რჩება სხვა საცილობელი არგუმენტები, რომელთა წარმოჩენა და შესწავლა, ცხადია, კიდევ უფრო დააზუსტებს სინტაქსური შეკავშირების სახეთა ტრადიციულ კვალიფიკაციას და სრულყოფს შეთანხმების, მართვისა და მირთვის თეორიულსა თუ პრაქტიკულ ასპექტებს.

სპეციალური ლიტერატურისა და ჩვენი მსჯელობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ სახელებისაგან შედგენილი სინტაგმის წევრთა (ყოველგვარი მსაზღვრელისა და მასთან შეწყობილი საზღვრულის) ურთიერთობა შეიძლება ჩაითვალოს შეთანხმებულად, რაც გამართლებული იქნება როგორც ფორმობრივად, ისე ფუნქციურად. შესაბამისად, ორივე წყობის შემთხვევაში გამოიყოფა ბრუნვაში შეთანხმების სამი სახე: სრული, ნაწილობრივი და ნულოვანი. სახელური სინტაგმების კვალიფიკაცია დაეფუძნება მხოლოდ ერთ პრინციპს, მოიხსნება ის უხერხულობაც, რაც ჩნდება ტრადიციული წესის მიხედვით ერთი და

იმავე მსაზღვრელის ხან შეთანხმებულად და ხან მართულად მიჩნევისას.

ლიტერატურა

დავითიანი, 1973 — აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.

დეისაძე, 1978 — ოთ. დეისაძე, სინტაქსური დამოკიდებულების სახელების სწავლებისათვის სკოლაში: ქელს, № 4, 1978.

კვაჭაძე, 1988 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.

უთურგაიძე, 1986 — თ. უთურგაიძე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში: ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

შანიძე, 1948 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, თბ., 1948.

ჩიქობავა, 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.

ZHUZHUNA PEIKRISHVILI

On the Definition of some Cases of Agreement in Georgian

Summary

In Georgian linguistics the question of relationship between the members of syntagms of the 'xis saxli' type is debatable. There are two approaches to the issue. According to one the relationship is of governing type, whereas the other regards it as agreement. The paper supports the second view, arguing that formally and functionally the relationship is of an agreement type.

Three types of agreement (complete, partial and zero) characteristic of the syntagm in question are discussed. The latter qualification will make precise the theoretical and practical aspects of agreement.

თბა ფბთაღაღა

ინტერპრეტაციული სკოლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინტერპრეტაციულ სკოლას, რომლის დამფუძნებლად ავსტრიელი რომანისტი ლეო შპიცერი ითვლება.

ინტერპრეტაციული სკოლა, როგორც ფსიქოლოგისტური ყაიდის მიმართულება, ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მისმა მიმდევრებმა ახალ ღირებულებებს ჩაუყარეს საფუძველი, კერძოდ, წინა პლანზე წამოსწიეს ლიტერატურულ-ესთეტიკური მომენტები, თუმცა ტექსტის ენობრივ-სტილისტიკური თავისებურებებიც არ დარჩათ ყურადღების მიღმა.

ფსიქოლოგისტური მიდგომა საკვლევი ობიექტისადმი, მხატვრული და არამხატვრული ტექსტების განხილვა მთლიანობაში სტილზე დაყრდნობით, მწერლის სულიერი მდგომარეობის გათავისება და ინდივიდუალური სტილის მიჩნევა კვლევის უპირველეს საგნად, თვალშისაცემი ენობრივი თავისებურებების აღნუსხვა და მათში ჩადებული საზრისის წვდომა — აი ის პარამეტრები, რომლებიც ინტერპრეტაციული სკოლისთვისაა ნიშანდობლივი.

ინტერპრეტაციულ სკოლას ჰერმენევტიკასთან აიგივებენ. მიუხედავად საერთო ინტერესებისა, მათი აბსოლუტური გაიგივება სწორი არ იქნებოდა. ჰერმენევტიკა, როგორც გაგებისა და გაგებინების კლასიკური დისციპლინა, კვლევის საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია რელიგიური ტექსტებისა და ჰომეროსის შესწავლასთან. თავად სიტყვა „ჰერმენევტიკა“ თანამედროვე გაგებით ვერმანუალენოვან სამყაროში დაფიქსირებულია თეოლოგ და ნჰაუერთან, ხოლო გარდატეხა ჰერმენევტიკის ისტორიაში თეოლოგ ფრ. შლაიერმახერის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც დააყენა ჰერმენევტიკის ფილოსოფიური პრობლემა და მას მეცნიერებათა მეცნიერება უწოდა.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უყენებს მკვლევარს ინტერპრეტაციული სკოლა, მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვნების ნიმუში გაგებული უნდა იქნეს შემოქმედის ინდივიდუალური „ფსიქეს“ გათვალისწინებით. ინტერპრეტაციის მეთოდმა უნდა უზრუნველყოს წრიული პროცესი, რომელიც მიმართულია კერძოდან ზოგადისკენ და ზოგადიდან კერძოსაკენ, რაც ტექსტის საზრისის ნაბიჯ-ნაბიჯ აღქმას გულისხმობს (ფურცელაძე 1998, ნაწილი პირველი, 21). თავად ინტერპრეტაციული სკოლის მეთოდი „პერმენეგტიკული წრის“ სახელთანაა დაკავშირებული. (ფლაიშერი, მიხელი, 1979, 29)

ინტერპრეტაციული სკოლა ხელოვნების თეორეტიკოსის ბენედეტო კროჩეს ესთეტიკურ საფუძვლებს ემყარება. ბენედეტო კროჩე (1866-1952) იტალიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, იტალიური პოზიტივიზმისა და იდეალიზმის დამაარსებლად ითვლება. ჯერ კიდევ გიმნაზიის სისტემატიურად ესწრებოდა ლოგიკის ლექციებს ნეაპოლის უნივერსიტეტში, ხოლო 1899 წელს 16 წლის ასაკში, აქვეყნებს ლიტერატურათმცოდნეობით სტატიას რომის გაზეთ „*Opinione*“-ში. 1899 წელს მან გაიცნო გერმანული ლიტერატურის თეორეტიკოსი კარლ ფოსლერი, რომელთანაც მას მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა. სწორედ კარლ ფოსლერმა შეუწყო ხელი კროჩეს პოპულარიზაციას გერმანიაში. მან გერმანულად თარგმნა და გამოაქვეყნა მისი შრომები.

ბენედეტო კროჩე მხატვრულ ენას აღიქვამს, როგორც ხელოვნების თეორიის საგანს და მისი ინტერპრეტაციის არსს ესთეტიკურ-პოეტური მახასიათებლების წინ წამოწევაში ხედავს. მან მოშალა ზღვარი მხატვრულ და არამხატვრულ ენებს შორის, ხოლო მისგან განსხვავებით კარლ ფოსლერმა, როგორც ლიტერატურათმცოდნემ, ესთეტიკა შემოფარგლა ბელეტრისტიკული ნაწარმოებებით.

კარლ ფოსლერი (1872-1949) მოღვაწეობდა ჰაიდელბერგის (1902), ვიურცბურგის (1905) და მიუნხენის (1911) უნივერსიტეტებში, როგორც რომანისტიკის პროფესორი. იგი ავტორია მრავალი შრომის, რომელთაგან უნდა დავასახელოთ: „გერმანული მადრიგალი. მისი განვითარების ისტორია მე-18 საუკუნის შუა წლებამდე“, ვაიმარი 1898 („*Das Deutsche Madrigal. Geschichte seiner Entwicklung bis in die Mitte des XVIII Jahrhunderts*“) „იტალიური ლიტერატურის ისტორია“, ლაიპციგი 1900 („*Italienische Literaturgeschichte*“) „თანამედროვე

იტალიური ლიტერატურის ისტორია რომანტიზმიდან ფუტურიზმამდე“ ჰაიდელბერგი, 1914 („*Italienische Literatur der Gegenwart von der Romantik zum Futurismus*“)

კარლ ფოსლერი მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციისას, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს შემოქმედის ინტუიციას. იგი ხელოვნების ნიმუშებში ეძებს ინდივიდუალურ სტილს და სტილისტიკური კვლევის მთავარ არსს კულტურული ფონის წინ წამოწევაში ხედავს.

1. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტერპრეტაციული სკოლის მამოთავრად და დამფუძნებლად ავსტრიელი რომანისტი ლეო შპიცერი ითვლება.

ლეო შპიცერი (1887-1960) იყო პროფესორი მარბურგის (1925), კიოლნისა (1930) და სტამბოლის უნივერსიტეტებში (1933). იგი ითვლება ფსიქონალიტიკურ-ფილოსოფიური და პოზიტივისტური მიმართულებების მიმდევარად, ახალი სტილისტიკის ფუძემდებლად.

ევროპული ლიტერატურის კრიტიკა, თეორია და ტექსტის ლინგვისტიკა განიცდის ლეო შპიცერის ინტეგრირებული შემოქმედების გავლენას. მის მიერ შემუშავებული ტექსტის ანალიზის მეთოდს იყენებენ რომანისტიკისა და გერმანისტიკის სფეროში მომუშავე მკვლევრები. ლ. შპიცერის მთავარი ნაშრომებია: „სიტყვაწარმოება როგორც სტილისტიკური საშუალება ილუსტრირებული რაბლეს მაგალითებით“ 1910 („*Die Wortbildung als stilistisches Mittel, exempliziert an Rabalies*“), „სტატიები რომანული სინტაქსისა და სტილისტიკის შესახებ“ 1918 („*Aufsätze zur romanischen Syntax und Stilistik*“), „სტილისტური შტუდიები“ 1928 („*Stilstudien*“), „რომანული სტილისა და ლიტერატურის შტუდიები“, 1931 („*Romanische Stil- und Literaturstudien*“).

როგორც კ. ფოსლერი, ასევე ლ. შპიცერი ხელოვნების ნიმუშში ინდივიდუალურ სტილს ეძებს, რომელიც ასახავს შემოქმედის სულიერ მდგომარეობას. შპიცერის აზრით, თითოეულ მკითხველს თავად შეუძლია აღმოაჩინოს თვალშისაცემი თავისებურებანი, იპოვოს სტილი, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალური შეიძლება იყოს და ჩასწვდეს პოეტის სულიერ მდგომარეობას. ლ. შპიცერის ინტერპრეტაციული მეთოდი, რომელსაც ხშირად პერმენეგტიკულსაც უწოდებენ, შემდეგი ფაზებისაგან შედგება: ა) დეტალის ინტუიციური აღქმა. ბ) ტექსტის წაკითხვის დროს მწერლის სულიერი მდგომარეობის გათა-

ვისება; ყოველი მკითხველი თავად უნდა იყოს ინტერპრეტატორი და ჩასწვდეს შემოქმედის სულიერ მდგომარეობას, მის ფსიქეს (შპიცერი, 1961).

ლ. შპიცერის შემოქმედება პირობითად შეიძლება ორ ეტაპად გაიყოს — ემიგრაციამდე და ემიგრაციის შემდეგ (ფაშისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ ავსტრიელი რომანისტი ემიგრაციაში წავიდა ჯერ თურქეთში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქ გააგრძელა მეცნიერული მუშაობა). ტექსტოლინგვისტიკური კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო და ღირებული მისი პირველი პერიოდის ნაშრომებია.

ლ. შპიცერმა 1916 წელს თავის მეგობარ ჰანს შპერბერთან ერთად დაიწყო კვლევა სახელწოდებით „მოტივი და სიტყვა“, რომელიც ემყარებოდა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფსიქონალიტიკურ საფუძვლებს. შპიცერი იქვე ავითარებს იმ მოსაზრებას, რაც მან თავის დისერტაციაში (1910) საკმაოდ თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა, კერძოდ, იგი ხაზს უსვამს ენის სტრუქტურის რელატიურ დინამიკას, ანალიზებს არა მარტო ლიტერატურულ-პროზაულ ტექსტებს, არამედ, პოეტურ ნიმუშებსაც.

ლეო შპიცერს ბრალად ედება მხატვრული ნაწარმოების განხილვა იზოლირებულად, საზოგადოებრივი გარემოდან მოწყვეტით. ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ ინტერპრეტაციული მეთოდი იფარგლება მხოლოდ ერთი ობიექტით და უარყოფს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირების გავლენას მხატვრულ ნაწარმოებზე ლეო შპიცერის ნაშრომები კი სულ სხვა რამეზე მეტყველებს. უტყ მასი მალალ შეფასებას აძლევს მის თეორიასა და პრაქტიკას და მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდს დისკურსიული ანალიზის საწყისად მიიჩნევს. პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრიის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილი შპიცერი ანალიზებს იტალიელი ჯარისკაცების წერილებს. აღნიშნულ ბანაკში დომინანტური თემა შიმშილი იყო, რომლის შესახებაც მკაცრი ცენზურის პირობებში, წერილის დაწერა აკრძალული იყო. ტყვეები ცდილობდნენ ცენზურის მიუხედავად მინიშნებებით დაეწერათ წერილები და თავიანთი ახლობლებისთვის შეექმნათ რეალური სურათი, თუ როგორ პირობებში იმყოფებოდნენ ისინი. ლეო შპიცერი არა თუ უარყოფს ადრესატის კავშირს სოციალურ-პოლიტიკურ გარემოსთან, პირიქით, ზემოთ აღნიშნული კონკრეტული მასალის ანალიზით აჩვენებს, თუ როგორ არის შესაძ-

ლებელი ენობრივ გამოთქმაში პოლიტიკური სიტუაციის რეკონსტრუირება.

ენათმეცნიერული კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ლ. შპიცერის მიერ ოჯახურ გარემოში ჩატარებული კვლევა. მან აღწერა თავისი შვილის ვოლფგანგის ენობრივი ბიოგრაფია, რომელშიც გაანალიზებულია ოჯახური დებატები. ლ. შპიცერი ახდენს კულტუროლოგიური მასალისა და სპეციფიკური კონოტაციის რეკონსტრუირებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ავსტრიელმა რომანისტმა თავის საქმიანობაში პრაქტიკულად ჩამოაყალიბა ის ძირითადი დებულებები, რომელსაც საერთოდ დისკურსიული ანალიზი ეყრდნობა. (უ.მასი, 1988)

ლეო შპიცერისათვის მიუღებელია ტექსტის როგორც მხოლოდ ლიტერატურული, ასევე მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით კვლევა. იგი წერს, რომ ენათმეცნიერები ნაკლებად კომპეტენტურნი არიან ესთეტიკაში და ლიტერატურათმცოდნეები — ენათმეცნიერებაში. („Die Literaturforscher sind also sprachwissenschaftlich, die Sprachwissenschaftler ästhetisch zu wenig gebildet“ (რიზელი, 1974, 17). ეს იშვიათი სიმბიოზი დაძლეულია მის შემოქმედებაში.

ტექსტოლინგვისტიკური თვალსაზრისით საინტერესოა მისი მთავარი ნაშრომი „Stilstudien“, რომელიც ორი ნაწილისაგან — „Sprachstil“ („საერთო ენობრივი სტილი“) და „Stilsprachen“ („ინდივიდუალური სტილი“) შედგება. ამ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლ. შპიცერის თეორიული და მეთოდოლოგიური მრწამსის გაგებისათვის. მასში დასმული პრობლემები გადაწყვეტილია სტილის კვლევის პრაქტიკულ ჭრილში და მჭიდრო კავშირშია იმ თვალსაზრისთან, რომელიც ჩამოყალიბებულია კარლ ფოსლერის პუბლიკაციაში: „სტატიები რომანულ სინტაქსსა და სტილისტიკაზე (1918)“, სადაც წინა პლანზე ინდივიდუალური სტილია წამოწეული.

მაშინ როცა ლეო შპიცერის აღნიშნული ნაშრომის პირველ ნაწილში ენების სტილისტური პოტენციების შედარებითი მომენტია განხილული, მეორე ტომში შედარების მომენტები ნეიტრალიზებულია და საკითხი ინდივიდუალურ-ენობრივის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი, თუმცა მკაცრი ზღვარი მათ შორის არ არის გავლებული.

პირველი ტომი „Sprachstile“, რომელსაც ავტორი საერთო ენობრივს უწოდებს, თექვსმეტი ქვეთავისაგან შედგება და წარმოადგენს ფრანგული, იტალიური, ესპანური და რუმინული ენების კვლევას ემ-

პირიული მასალის საფუძველზე. (მაგ. „არსებითი სახელების ატრიბუტული თანწყობა ფრანგულ ენაში“ („Attributive Anreicherung von Substantiven im Französischen“), „ასინდეტური შედარება იტალიურსა და რუმინულში“ („Asyndetische Vergleiche im Italienischen und Rumänischen“)). აქვე მას მოჰყავს ენათმეცნიერთა და ლიტერატურათმცოდნეთა მოსაზრებებიც (კ. ფოსლერი კ. მიულერი, მაიერ-ლიუბკე, ლ.ტობლერი და ა.შ), რომელთა პოზიციებსაც იგი ხან იზიარებს და ათვალსაჩინოებს მისსავე მოპოვებული კონკრეტული ნიმუშების ინტერპრეტაციით, ხან, პირიქით, აკრიტიკებს მათ.

ლეო შპიცერის აზრით, სტილი წარმოადგენს ენობრივი საშუალებების შეგნებულ გამოყენებას სათანადო ეფექტის მისაღწევად და ძვეს კონკრეტულსა და ინდივიდუალურს შორის. სტილი უნდა გავიგოთ არა როგორც კომუნიკატორის ინტენცია, არამედ როგორც შთაბეჭდილებები, რომელსაც იგი კომუნიკანტზე ახდენს.

ლეო შპიცერის მიმართ გამოითქმის მეორე საყვედური, რომ იგი ემპირიულ მასალას მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე მის განზოგადებას. მაგრამ იგი ძველი ფილოლოგიებისაგან განსხვავდება და აცხადებს, რომ ფილოლოგიისათვის უფრო მნიშვნელოვანია ნიმუშებით დამოწმებული მასალა და მოწიწება ტექსტის მიმართ, ვიდრე მასზე ზოგადი მსჯელობა: „Die Andacht zum Text ist noch immer wichtiger als die „Dacht“ über ihn“ (შპიცერი, 1961, ტ.1,1). იდეალისტებისა და პოზიტივისტების საპირისპიროდ, რომლებიც მხოლოდ იდეალისტურს ან პოზიტივისტურს აღიარებენ, ლეო შპიცერი მხარს უჭერს „პოზიტივისტურ-იდეალისტურს“ ან „იდეალისტურ-პოზიტივისტურს“, რაც არასოდეს უგულებელყოფს ფილოლოგიურ მუშაობაში ხელოვნურ-ტექნიკურ მომენტს.

პირველი ნაწილის შესავალშივეა გატარებული ლეო შპიცერის მეთოდოლოგიური კვლევის მთავარი მიზანი. (ავტორი მას „mein Ziel“-ს უწოდებს): სწრაფვა უდიდესისაკენ და მისი უმცირესობაში განცდა: „Nach dem Grössten streben und im Kleinsten es erleben“ (შპიცერი, 1961, ტ. 1,3)

მეორე ტომში, სადაც ინდივიდუალური სტილია განხილული, ავტორი გვთავაზობს ცალკეული მწერლების სტილის ანალიზს. (მაგ., „შარლ პეგიუს სტილი“ („Charles Pegueys Stil“) „მარსელ პრუსტის სტილის საკითხისათვის“ („Zum Stil Marsel Proust,s“)). იგი შესავალში საუბრობს ენათმეცნიერებასა და სიტყვის ხელოვნებაზე, ენათმეცნიერების

დამოკიდებულებაზე ესთეტიკის მიმართ, რასაც ანესთეზირებულს უწოდებს. ენათმეცნიერება იგნორირებას უკეთებდა ენაში ხელოვნების ღირებულებების უდავო არსებობას. მისი განვითარების ფაზებიდან გამომდინარე მსგავსი ფსევდო-ისტორიული დამოკიდებულება გასაგებიცაა. დღეს ფოსლერის, ვალცელის, ლენსონის ნაწარმოებების წყალობით იგი უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენს. ისეთი მკვლევრები, როგორებიც არიან — ლენსონი, გუნდოლფი, ვალცელი ვერ უარყოფენ ვერც გრამატიკის წვლილს ტექსტის ანალიზში და ვერც გრამატიკული კატეგორიების მხატვრულ ზეგავლენას ამა თუ იმ შემოქმედთან. აქედან გამომდინარე, ის დაწესებული ზღვარი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს ლიტერატურულ და ლინგვისტიკურ სფეროებს, უნდა მოიშალოს. რომანისტი, რომელიც მხოლოდ ან რომანული ენების ან მხოლოდ ლიტერატურის კვლევით არის დაკავებული, მუშაობს სანახევროდ. ლეო შპიცერი მკვლევრებს მოთხოვნად უყენებს ენისა და ლიტერატურის ინტერესების არა თუ გაყოფას, არამედ, პირიქით, გაერთიანებას. (შპიცერი, 1961)

ლეო შპიცერი ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ინტერესების გამაერთიანებელ ხიდად სტილის კვლევას მიიჩნევს: „Die gangbarste Brücke zwischen Sprach - und Literaturwissenschaft ist aber die Stilforschung“. სტილს ავტორი განსაზღვრავს, როგორც ხელოვნების დონეზე აყვანილი ენის გამოყენების ნიმუშს „Sprache als Kunst verwendet“. (შპიცერი, 1961, ტ. 2, 3-4) ყოველ ინდივიდუალურ სტილს გააჩნია საკუთარი სტილისტური სახე („Stilgesicht“) და არ ჰკავს მეორეს. იგი აქვე ავითარებს იმ აზრს (ფრანგული ენიდან მოყვანილი შესაბამისი მაგალითებით), რომ სტილი ვლინდება სხვადასხვა ენობრივ ქმედებებში, და პირიქით, გრამატიკა თავად აირეკლება სტილისტურ ელემენტებში. აქედან გამომდინარე ავტორი გრამატიკისა და სტილისტიკის ურთიერთმიმართებას ერთმანეთში გადაჯაჭვულს უწოდებს. (შპიცერი, 1961, ტ. 2,11)

ამრიგად, ლეო შპიცერი აღიარებს ხელოვნების ინდივიდუალობას, იგი ენაში ინდივიდუალურ მხარეს ეძებს, თუმცა ენის სოციალურ ბუნებასაც არ გამორიცხავს. ავსტრიელი რომანისტი ამოდის საერთო ენობრივიდან და მიემართება ინდივიდუალურისაკენ, საერთო ენა ხომ ინდივიდუალური ენების გადაკვეთილობაა.

2. ლეო შპიცერის მეთოდოლოგიური მრწამსი ძალიან ახლოსაა ჰაიმან შტაინთალის თვალსაზრისთან. ჰაიმან შტაინთალი განასხვავ-

ვებს — გაგებას, როგორც პროცესს (**das Verstehen**) და გაგებას როგორც შედეგს (**das Verständniss**). ცნება „გაგება“ ორგვარია — უბრალო და ფილოლოგიური. უბრალო გაგება (**das gemeine Verstehen**) ჩვეულებრივია, რაც შეეხება ფილოლოგიურ გაგებას, ეს არის გაგების გაშუალებული პროცესი, რომლის პირობებიც ხელოვნურად უნდა იქნეს შექმნილი — წერს შტაინთალი. (შტაინთალი, 1972, 535)

3. შტაინთალი ინტერპრეტაციის ექვს საფეხურს გამოყოფს. იგი ანალიზს სიტყვით იწყებს, შემდეგ გადადის წინადადებაზე და ბოლოს განიხილავს წინადადებათა კავშირებს. ინტერპრეტაციის პირველ ფორმად მას გრამატიკული მიაჩნია (**die grammatische Interpretation**), რომელიც საფუძველია ყოველი მომდევნო ფილოლოგიური ინტერპრეტაციისა, ხოლო მეორე ფორმა-სავნობრივი ინტერპრეტაციაა (**die sachliche Interpretation**). შემდგომ, მესამე საფეხურს შეადგენს სტილისტიკური ინტერპრეტაცია (**die stilistische Interpretation**). მისი ობიექტი ნაწარმოების კომპოზიციაა. მას მოსდევს მეოთხე, ინდივიდუალური ინტერპრეტაცია (**die individuelle Interpretation**), რომლის არსი მწერლის თავისებურებების ახსნა-განმარტებაში მდგომარეობს. შტაინთალი ინტერპრეტაციის მეხუთე საფეხურად ისტორიულს (**die historische Interpretation**) განიხილავს. ყველაფერს აქვს განვითარების სხვადასხვა ეტაპი. თავად ესა თუ ის სიტყვა ან სინტაქსური შენაერთი ამა თუ იმ დროს სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი იყო, ამიტომაც ისტორიული ფონის გათვალისწინება ინტერპრეტატორისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ინტერპრეტაციის ბოლო, უმაღლესს საფეხურად ჰაიმან შტაინთალი თვლის ფსიქოლოგიურ (**die psychologische Interpretation**) ინტერპრეტაციას, რომელიც ინტერპრეტაციის სხვა ფორმებთან ერთად ინტერპრეტატორს ხელს უწყობს გაგების პროცესის სრულყოფაში. მისი მიზანი მწერლის სულში წვდომაა. ამ ხერხის მეშვეობით ინტერპრეტატორმა უნდა გამოკვეთოს ნაწარმოების შექმნაში ჩართული მომენტები და გაანალიზოს ავტორის მიერ შექმნილი ახალი სიტყვები. (შტაინთალი, 1972, 540)

ჰაიმან შტაინთალსა და ლეო შპიცერს საერთო აქვთ ის, რომ ტექსტის ინტერპრეტაციისას ორივე აუცილებლად თვლის გრამატიკული/ენათმეცნიერული და სტილისტიკური/ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებას.

დასკვნები

1. ინტერპრეტაციული სკოლის ფუძემდებლის, ავსტრიელი ენათმეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნის ლეო შპიცერის თეორიას საფუძველი ჩაუყარა ხელოვნების თეორეტიკოსის, იტალიელი ბენედეტო კროჩესა და გერმანელი ლიტერატურათმცოდნის კ. ფოსლერის მოსაზრებებმა, რომელიც მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციისას ესთეტიკურ-პოეტური მახასიათებლების კვლევას უკავშირებს შემოქმედის ინტუიციის წვდომას. ისინი ხელოვნების ნიმუშში ეძებენ ინდივიდუალურ სტილს და სტილისტიკური კვლევის ერთ-ერთ პირობად კულტურული ფონის გათვალისწინებას მიიჩნევენ.

2. ინტერპრეტაციული სკოლის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ჰერმენევტიკა. ამ სკოლის წარმომადგენლები აღიარებენ ტექსტისადმი ჰოლისტურ მიდგომას და ეყრდნობიან ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა ტექსტის შექმნის, გაგებისა და ინტერპრეტაციის სუბიექტური პროცესი; ტექსტის გაგების წრიულობა;

3. ლეო შპიცერი ავითარებს ბენედეტო კროჩესა და კარლ ფოსლერის მიმართულებას და ამასთანავე ტექსტის ინტერპრეტაციის აუცილებელ პირობად თვლის ლიტერატურათმცოდნეობითი (ესთეტიკური) და ენათმეცნიერული (გრამატიკული) ასპექტების სიმბიოზს.

4. ინტერპრეტაციულმა სკოლამ ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა.

ლიტერატურა

ბროკჰაუსი, 1977 — Brockhaus, Die Enzyklopädie in 24 Bnd Leipzig, Mannheim, 1977

ვაისი — Weiss M, Band XVI (1999) Spalten 340-352 www.bautz.de

იგნატოვი — Ignatow A. Hermeneutik und Symbolforschung. Beiträge zu Symbol, Symbolbegriff und Symbolforschung. Herausgegeben von Manfred Lürker. Valentin Koerner. Baden – baden.

მაასი, 1988 — Maas U, Probleme und Tradition der Diskursanalyse ZPSK. Band 41. Heft Akademie. Berlin 1988

რიზელი, 1974 — Riesel E, Theorie und Praxis der linguistischen Textinterpretation. Hochschule. Moskau. 1974

ფლაიშერი, მიხელი 1979 - Fleischer W, Michel G. Stilistik der deutschen Gegenwartssprache. VEB Bibliographisches Institut Leipzig. 1979

ფურცელაძე 1998 — ვ. ფურცელაძე ტექსტი როგორც ენობ-

რივი მოღვაწეობის შედეგი. სამშობლო. თბ., 1998.

შპიტერი, 1961 — Spitzer L. Stilstudien. Erster Teil. Sprachstile. Max Huber.München.1961

შპიტერი, 1961 — Spitzer L.Stilstudien. Zweiter Band. Stilsprachen. Max Huber.München 1961

შტაინთალი, 1972 — Steinthal H. Die Arten und Formen der Interpretation. In: Abriss der Sprachwissenschaft in 2 Bnd.G.Olms.Hildesheim-New York. 1972

TEA PETELAVA

Theoretical and Methodological Bases of Interpretation School

Summary

The paper examines some basic principles of Interpretation school, the forerunner of textlinguistics. The school in question was founded by Leo Spitzer. B. Croche's and K. Fossler's viewpoints form the theoretical basis of the school, whereas hermeneutics is regarded as its methodology. According to L. Spitzer the symbiosis between literary criticism and linguistics is vital for an adequate interpretation of a text

ნათია ქათამაძე

პრესუპოზიციის თეორიის ისტორიული წინამძღვრები

პრესუპოზიციის თემა საწყის ფილოსოფიიდან იღებს. პირველი ფილოსოფოსი, რომელმაც ბოლო წლებში ყურადღება მიაქცია ამ პრობლემას, არის თანამედროვე ლოგიკის არქიტექტორი გოტლობ ფრეგე. (ფრეგე 1952, 64).

დისკუსიებში, რომელიც თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა, გ. ფრეგე შეეხო ბევრ ისეთ საკითხს, რომელიც პრესუპოზიციის თეორიისათვის არსებითი გახდა. (ibid..69).

მისი აზრით, რაიმეს მტკიცება ყოველთვის პრესუპოზიციას (ვარაუდი) (ფრეგე 1952, 65).

მაგალითად, თუ ვინმე ამტკიცებს **Kepler died in misery**, ვარაუდობს, რომ საკუთარი სახელი **Kepler** რაღაცას აღნიშნავს. **Kepler-** ი რომ რაღაცას აღნიშნავს, ეს პირველი წინადადების **“Kepler died in misery”** შემადგენელი ნაწილი არ არის, ამ შემთხვევაში გვექნებოდა: **Kepler died in misery – Kepler designates something.** შესაბამისად, წინადადების **„Kepler did not die in misery“** ან **„Kepler has no reference“**, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გამოყენებულ მარტივ ან შედგენილ სახელებს რაღაც მახასიათებელი აქვთ. (ibid. 69)

გ. ფრიგმა ფაქტიურად პრესუპოზიციის თეორია შემდეგი თეორემების სახით ჩამოაყალიბა:

1. ფრაზები და ტემპორალური დამოკიდებული წინადადებები პრესუპოზიციას ხშირად თავისთავად ატარებს იმ ეფექტის მოსახდენად, რასაც ისინი სინამდვილეში მოიცავენ.

2. წინადადება და მისი უარყოფითი ვარიანტები ერთსა და იმავე პრესუპოზიციას ინაწილებს.

3. იმისათვის, რომ დავამტკიცოთ წინადადება მცდარია თუ სწორი, მისი პრესუპოზიცია სწორი ან თუნდაც დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს. (ibid.43)

როგორც მესამე თეორემიდან ჩანს, გ. ფრიგმა მოგვცა პრესუპო-

ზიციის რამდენიმე სახე. ზოგჯერ იგი იმ წინადადებათა გამოყენებაზე ლაპარაკობს, რომელთაც აქვთ პრესუპოზიცია, ზოგჯერ კი ისეთ წინადადებებზე, რომელშიც პრესუპოზიცია თავისთავადაა ნაგულისხმები. იგი პრესუპოზიციის მატარებელ მოსაუბრესაც არ ივიწყებს. მაგალითად: როცა ვამბობთ „the moon“, ჩვენ გარკვეულ რეფერანტს ვვარაუდობთ. (ibid. 61).

მოგვიანებით ამ განმარტებებმა უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინეს და საფუძველი ჩაუყარეს პრესუპოზიციის განხილვას.

მეორე მეცნიერი, ბერტნარ რასელი აღნიშნულ საკითხზე გ. ფრეგეს შეხედულებებს მცდარად მიიჩნევდა. რეფერანტის თეორიაში, მსგავსი პრობლემების განხილვისას, ბ. რასელი მივიდა განსხვავებულ დასკვნამდე. (რასელი, 1905, 67). ერთი პრობლემა ის იყო, როგორ შეიძლებოდა წინადადება რაიმე აზრის მატარებელი ყოფილიყო, თუ იგი საკუთარ სახელს არ შეიცავდა. მაგალითად, **King of France is wise**.

გ. ფრეგეს პასუხი ეყრდნობოდა განსხვავებას აზრსა და რეფერანტს შორის. ასეთი წინადადებები ინარჩუნებს გრძნობასა და მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, როცა მათ რეფერანტი არა აქვთ.

ბ. რასელის ვარაუდით, გ. ფრეგეს შეხედულებებს ანომალიამდე მიგყავართ და მის საპირისპიროდ მან წამოაყენა ცნობილი აღწერილობითი თეორია (**Theory of Description**), რომელიც მსგავს გამოკვლევებში მთელი 45 წლის განმავლობაში დომინირებდა. ის ამბობდა, რომ განსაზღვრულ დესკრიფციებს, როგორცაა **the-so** აქვთ უმარტივესი ლოგიკური თარგმანი. ენაში ისინი ქვემდებარედ გვხვდებიან. ლოგიკური ფორმით ისინი ლოგიკური ქვემდებარეები არ არიან, მაგრამ პროპოზიციის კავშირებს შეესაბამებიან. (რასელი, 1905, 37). აქედან გამომდინარე (1) წინადადების ფორმა შემდეგია:

There is King of France and there is no one else who's King of France and he's wise.

აღნიშნული მოსაზრება ასაბუთებს, რომ წინადადება (1) **The King of France is wise** მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ის უბრალოდ მცდარია. ბ. რასელის მიხედვით, ეს არ არის იმის მტკიცება, რომ (1) წინადადება ასაბუთებს კონკრეტული პიროვნებების (**King**) არსებობას.

ბ. რასელის ანალიზის ერთ-ერთი უპირატესობა არის ე.წ. ორაზროვნება. (ibid. 41).

მაგალითად, ავიღოთ უარყოფითი წინადადება:

(2) **The King of France is not wise;**

ეს წინადადება შეიძლება გაგებულ იქნეს ორნაირად:

1) რომ არის მეფე საფრანგეთის და ის არ არის ბრძენი ან

2) რომ არის მეფე საფრანგეთისა და ის არის ბრძენი.

მეორე წინადადებების გაგება შესაძლებელია კიდევ ერთი წინადადების დამატებით:

(3) **The King of France is not wise – because there is no such person.**

ბ. რასელის ფორმულირების მიხედვით უარყოფა გვხვდება ფართო ან ვიწრო მასშტაბით.

ფართო დიაპაზონის უარყოფა საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ წინადადება (2) **The King of France is not wise**, რომ უარყოფთ საფრანგეთის მეფის არსებობას, ხოლო ვიწრო დიაპაზონის უარყოფა უარყოფს მხოლოდ შემასმენელს, რომელიც ქვემდებარეს ეხება.

მაგალითად,

There is King of France and there is no one else who's King of France and the King of France is not wise.

ბ. რასელის ამ იდეას დიდხანს არ ჰყავდა მოწინააღმდეგე. 1950 წელს პ. სტროსონმა შემოიტანა აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა. ის თვლიდა, წინადადება **The King of France is not wise** – მნიშვნელობის მატარებელია, რადგან მას გააჩნია ნათელი აზრი — ის ან სწორი ან მცდარი უნდა იყოს. პ. სტროსონის ვარაუდით, არ შეიძლება ვიმსჯელოთ წინადადების სისწორე/მცდარობაზე. მხოლოდ მტკიცებულება შეიძლება იყოს მცდარი ან სწორი. აქედან გამომდინარე, მტკიცებულება **The King of France is not wise** შეიძლება სწორი იყოს 1670 წელს, მაგრამ მცდარი 1770 წელს. ხოლო 1970 წელს თუ ჩავთვლით, რომ საფრანგეთის მეფე არ არსებობდა, მაშინ მტკიცებულების სისწორე — მცდარობაზე საკითხი არც კი წარმოიშობა. (სტროსონი, 1952, 175).

ამრიგად პ. სტროსონმა ორ წინადადებას შორის განსაკუთრებული ურთიერთობა დაინახა:

The King of France is wise და

There is King of France.

კერძოდ, მეორე წინადადება იმის წინაპირობაა, რომ ვიმსჯელოთ პირველის სისწორე/სიმცდარეზე და მან ამ ურთიერთობას პრესუპოზიცია უწოდა. (ibid. .175).

პ. სტროსონი გ. ფრეგეს მსგავსად თვლიდა, რომ უარყოფითი წინადადება თავის პრესუპოზიციას წარმოთქმისას ინარჩუნებს. ხოლო ბ. რასელი, რთული ლოგიკური ფორმების საშუალებით გამოყოფდა უარყოფის ორ ფორმას.

ამგვარად, პ. სტროუსონსა და ბ. რასელს გ.ფრეგესაგან განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ.

ლინგვისტიკის პრესუპოზიციის საკითხით 1965 წლის შემდეგ დაინტერესდნენ. მანამდე ფილოსოფიურ ლიტერატურაში განმტკიცებული იყო შემდეგი შეხედულებები:

- I. განსხვავება ლოგიკურ იმპლიკაციას ან გარდაუვალ შედეგსა (entailment) და პრესუპოზიციას შორის;
- II. კონტრასტი მტკიცებასა (assertion) და პრესუპოზიციას შორის;
- III. პრესუპოზიციის განმარტება, როგორც წინადადება ან მტკიცებულებებს (statement) შორის არსებული ურთიერთობისა, ან როგორც ურთიერთობისა, ერთის მხრივ, მოლაპარაკეთა და მეორეს მხრივ, ვარაუდებს შორის.
- IV. რას უნდა მივაკუთვნოთ უარყოფის აშკარა ორაზროვნება, სტრუქტურულ თუ ლექსიკურ ორაზროვნებას? უარყოფის ორაზროვნებაში იგულისხმება პრესუპოზიცია, რომელიც აზრს უარყოფს (presupposition denying sense) და პრესუპოზიცია, რომელიც მას ინარჩუნებს (presupposition preserving sense) ორაზროვნების საკითხი წამოიჭრა არა ფილოსოფიურ ლიტერატურაში, არამედ ბ. რასელის შეხედულებების საწინააღმდეგოდ პ. სტროსონის თეორიებში.
- V. როგორ უნდა იქნეს გაგებული პრესუპოზიცია, როგორც მტკიცება თუ როგორც წინადადების მნიშვნელობის შესაბამისად გარდაუვალი შედეგი.

ლინგვისტიკაში კი პრესუპოზიციის არსებობის შესაძლებლობას გამოყოფენ. კერძოდ:

- ა) მხოლობითობის აღმნიშვნელი ტერმინები. მაგ: განსაზღვრული ატრიბუტები, საკუთარი სახელები.
- ბ) რაოდენობის აღმნიშვნელი სახელობითი ფრაზები. მაგ: All of John's children ვარაუდობს, რომ ჯონს ჰყავს შვილები.
- გ) ტემპორალური დამოკიდებული წინადადებები.
- დ) ფაქტის შემცველი ზმნები. მაგ: Bernand had stopped bea-

ting his wife – ვარაუდობს, რომ იგი ადრეც სცემდა ცოლს.

პ. სტროსონის თეორიებმა პრესუპოზიციის შესახებ, ლინგვისტიკებს ახალი შესაძლებლობისაკენ გაუხსნა გზა.

დავუბრუნდეთ (III) თეორიას, სადაც საუბარი იყო პრესუპოზიციაზე, რომელიც მტკმელსა და მსმენელს შორისაა. ასეთი მაგალითები ქმნის პრაგმატული დასკვნის დამოუკიდებელ და განსხვავებულ კლასს, რომელსაც პრაგმატული პრესუპოზიცია ეწოდა. იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ურთიერთობა, რომელიც არსებობს მტკმელსა და წინადადების შინაარსს (Appropriateness of a sentence) შორის კონტექსტში.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველი პიონერი პრესუპოზიციის თეორიისა გახლავთ გოტლობ ფრეგე, ფრიგს გამოცხადება მეცნიერი რასელი და სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი იმას, რომ პრესუპოზიცია ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი და საინტერესო საკვლევი ობიექტი გამხდარიყო.

ლიტერატურა

ლევისონი, 1983 — Levinson S. Pragmatics. Cambridge, 1983.

ლიჩი, 1990 — Leech G. Semantics. London, 1990

რასელი, 1920 — Russell B. Introduction of mathematical philosophy. London, 1920.

სტროსონი, 1991 — Strawson P. Introduction and conversion in speech acts, New York, 1991.

ფრეგე, 1952 — Frege G. Logical structure of the Language. London, 1952.

NATIA KATAMADZE

Historical Premises of the Theory of Presupposition

Summary

The paper examines the notion of presupposition and surveys its historical development. The works by G. Frege, B. Russell and Strawson are discussed and contrasted.

ივოლდა ჯარღავა

ღერძულსიტყვიანი ფრაზეოლოგიების განვითარებული მოდელი

ფრაზეოლოგიური ერთეული (ფე) ენაში მკვიდრდება, როგორც არსებული ცნების ახალი დასახელება.

ყველა სიტყვის მსგავსად ფე შეიძლება იყოს მოტივირებული, ბუნდოვანი და არამოტივირებული, ან როგორც ამბობენ, ფე-ს შეიძლება ჰქონდეს ცოცხალი, გაბუნდოვებული და წაშლილი შინაფორმა. მოტივაციის საფუძველს ფრაზეოლოგიურ დონეზე წარმოადგენს თავისუფალი სინტაქსური შესიტყვების სემანტიკის მიმართება ფე-ის, კერძოდ კი სომატური ფე-ის სემანტიკასთან.

სიზუსტისათვის განვმარტავთ, რომ სომატური ფრაზეოლოგიური მიკროსისტემა, რომლის ე. წ. „ღერძულ“ სიტყვებად ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი სიტყვები გამოიყენება (ლათ. სიტყვისაგან „soma“ — ადამიანის სხეული), საკმაოდ მრავალფეროვანია და დერეკაციის თვალსაზრისით მთლიანი ფრაზეოლოგიური სისტემის ყველაზე პროდუქტიული შემადგენელი ნაწილია.

სტრუქტურის თვალსაზრისით სომატიზმები დაიყვანებიან რამდენიმე ფიქსირებულ მოდელზე, რომელთა მადიფერენცირებელი ნიშანია შემადგენელთა რაოდენობა, ხოლო ინტეგრალური — კავშირი სახელთან.

შემოვიტანოთ აღნიშვნა მეტყველების ნაწილების მიხედვით: S — ღერძი სიტყვა, S₁ — დამატებითი არსებითი სახელი, V — ზმნა, ^ — დამატებითი წევრი წინდებულის სახით, A — ზედსართავი, ზმნიზედა და სხვა. მაგალითისათვის მოვიყვანთ სომატიზმებს ღერძული სიტყვით „თვალი“.

S $\left\{ \begin{array}{l} - \text{ein Auge riskieren, sein Auge bricht, ein Auge zudrücken... (SV)} \\ - \text{Auge fallen, j-en ins Auge fassen... im Auge haben (^SV)} \\ - \text{ein Dorn im Auge, den Daumen aus Auge drücken (S' ^ Auge, S_1^{\wedge}SV)} \end{array} \right.$

შინაარსით თვალსაზრისის სომატიზმებს განსხვავებული სიღრმისეული სტრუქტურა აქვთ:

1. ბინარული სიღრმისეული სტრუქტურა ანუ ომონიმია თავისუფალი შესიტყვებასთან, მაგ. *j-m die Augen öffnen* — თვალეზი აუხილა, *ins Auge fallen* — თვალში მოხვდა (თვალში ხვდება).
2. მონოსემიური, მხოლოდ ფრაზეოლოგიური სტრუქტურა, როდესაც არსებითი სახელი ანუ ღერძული სიტყვა აზრობრივად არაშეთავსებადი ზმნის დისტრიბუციაშია. მაგ. *mit den Augen verschlingen, wie aus den Augen geschnitten sein, sein Auge bricht* — თვალეზით ჩაყლაპა, ძლიერ ჰგავს ვიღაცას (მაგ. გაჭრილი მამაა), მისი მზერა კრთება.

განსხვავებული ღერძული სიტყვის მიუხედავად სომატიზმების ცალკეული ფრაზეოლოგიური ბუდეები ერთგვაროვან სტრუქტურულ-სემანტიკურ კლასებს ქმნიან, რომელთა ამოსავალი სტრუქტურა არის SV (არსებითი და ზმნა) — ხელი გამოჰკრა, გული უტირის, თავი გაუსკდა (ფიქრით), ყური არ ათხოვა, თვალეზი გაუფართოვდა, ცხვირს მაღლა სწევს და მრავალი სხვა.

ამიტომ იქმნება შესაძლებლობა თითოეული სტრუქტურა განვიხილოთ, როგორც აბსტრაქტული ერთეული, რომელიც თავის მხრივ გამოხატავს ამ კლასისათვის დამახასიათებელ ყველა ძირეულ ნიშანს, ინტრაქსტრუქტურული სხვაობა კი აიხსნება ღერძული სიტყვების განსხვავებული ექსტრალინგვისტური ბუნებით. SV-სტრუქტურაში ხატოვანი ცენტრია ღერძული სიტყვა (S) ე. ი. სომატიზმის, როგორც ფე-ის ხვედრით წონას განსაზღვრავს მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი S, რომელიც უცვლელი სიდიდეა ანუ „კონსტანცა“. სემების აქტუალიზაცია და ნეიტრალიზაცია განპირობებულია ცვლადი სიდიდის, V-ს დისტრიბუციით, ამგვარად, S-ის ვალენტობა შეზღუდულია ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების განსაზღვრული რიცხვით.

დავუშვათ, რომ S არის V ვალენტობის და შეიცავს n სემათა რიცხვს, მაშინ $n=n_1+n_2+n_3+...x$, $V=V_1+V_2+V_3...V_x$ დისტრიბუციული მიმართება განზოგადდება შემდეგი ფორმულით:

$$S_n^v = S_{n1}^{v1} + S_{n2}^{v2} + S_{n3}^{v3} + ... + S_{nx}^{vx} \quad (\text{ჯანელიძე, 1980, 175}).$$

მნიშვნელობის დაშლა სემებად გულისხმობს სემების ორგანიზაციის შესწავლის და მათი წონობრივი სტატუსის დადგენას.

მაქსიმალური წონის სემა შეადგენს ბირთვს — არქისემის, დანარჩენი კი, პოტენციური სემები გადმოსცემენ ობიექტის არაძირითად, მეორეხარისხოვან თვისებას. მაგ. „გულ“ — სიტყვიანი სომატიზმების არქისემა „ემოციურ“ მომენტს აქცევს ფოკუსში, „ხელ“ — სიტყვიანი „საქმეს“ ან „ხელით შესრულებულ მოძრაობას“, „თვალ“ — სიტყვიანი სომატიზმების არქისემა კი გერმანულსა და ქართულში „მხედველობის“, მასთან დაკავშირებული ექსტრალინგვისტური პროცესების არეალშია მოქცეული.

ზემოთ მოყვანილი გამარტივებული ფორმულა, რომლის ავტორია ნ. ჯანელიძე, გავრცელება ყველა იმ შესიტყვებაზე, სადაც შესიტყვების ღერძია ერთი სიტყვა, — ცხოველის აღმნიშვნელი სახელი (ზოსემიზმი), ფერის აღმნიშვნელი სახელი, ციური სახელი და სხვა.

მათი მსგავსება და განსხვავება, სწორედ ამ ფორმულაშია მოქცეული.

დასასრულ, შემდეგ განზოგადებულ სურათთან გვაქვს საქმე:

1. SV-სტრუქტურის მქონე ფე-ბის მიკროკონტექსტში ღერძული სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის სემათა აქტუალიზება გამოიხატება მოდელით S_n^v , სადაც S — ღერძული სიტყვაა, V — ზმნა, n — კი ამგვარი დისტრიბუციით მიღებული საერთო მნიშვნელობა. მოდელის დიფერენციაციას ახდენს V-ს მონაცვლეობა, რაც თავის მხრივ ახალ მნიშვნელობას იძლევა, $S_{n1}^{v1}, S_{n2}^{v2}, S_{n3}^{v3}, \dots, S_{nx}^{vx}$.
2. არქისემა იმპლიციტურად თითოეულ ერთეულში მოიაზრება და ამდენად, მთელი ფრაზეოლოგიური ბუდის ძირითადი და თანმდევი ნიშანია.
3. სომატიზმების უმეტესობა არაშეთავსებადი კომპონენტების სინთეზს წარმოადგენენ (მაგ. თვალით შეჭამა, ჩაყლაპა — *mit den Augen verschlingen*).
4. სიღრმისეული სტრუქტურის სომატიზმები ორგვარია:
 - ა) ბინარული-თავისუფალი შესიტყვების ომონიმები;
 - ბ) მონოსემიური — მხოლოდ ფრაზეოლოგიური სიღრმისეული სტრუქტურით.

ლიტერატურა

ჯანელიძე, 1980 — ნ. ჯანელიძე, სიტყვის სემის ექსპლიკაცია სომატიზმებში, სმპ „მაცნე“ ე/ლ-ის სერია 1/1980.

IZOLDA KARDAVA

Generalized Model of Phraseologisms with Basic Words

Summary

Somatic phraseological microsystem whose basic words denote parts of man's body is quite varied. From the derivational viewpoint it is the most productive part of the phraseological system. Somatism is associated with a number of fixed models, whose differential feature is the number of constituents, and the integral one is their link with the noun.

მანანა ყალაგაშვილი

**ზმნის ნარიანი ფორმები თურმეობით პირველსა და
თურმეობით მეორეში თანამედროვე ქართული
პრემის მიხედვით**

პირველ თურმეობითსა და მეორე თურმეობითში ზოგიერთ ზმნაში გაჩენილია **5** სუფიქსი (უყიდნია, მოუმატნია, გაუტაცნია... ეყიდნა, მოემატნა ...).

სამეცნიერო ლიტერატურაში **5** სუფიქსის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. თ. ჟორდანიას უყიდ-ნ-ია, უქადაგ-ნ-ია ტიპის ფორმებში -ნ-ს კეთილხმოვანების მოთხოვნით გაჩენილად თვლიდა (ჟორდანიას, 1889, 28). ს. ხუნდაძეს ზმნებში (მინადირნია—მინადირებია, მიყვირნია—მიყვირებია) **5** სუფიქსი მოქმედებითისა და ვნებითის გასარჩევ საშუალებად მიაჩნდა (ხუნდაძე, 1891, 62). ა. ქუთათელაძე „პარაზიტს“ უწოდებდა, „რადგანაც არავითარი ძალა და მნიშვნელობა მას უღვლილების დროს არ აქვს“ (ქუთათელაძე, 1897, 38).

ა. შანიძემ აქტივისა და მედიოაქტივის, ვნებითისა და მედიოაქტივის ფორმათა სადიფერენციაციოდ მიიჩნია **5** ინფიქსი, რომელმაც მედიოაქტივში ებ-ის ადგილი დაიჭირა (აწვალებს—უწვალ-ებ-ი—ა, წვალ-ობ-ს—უწვალ-ნ-ი—ა; ეთამაშ-ებ-ა—ეთამაშა, თამაშ-ობ-ს—ეთამაშ-ნ-ა). ა. შანიძის აზრით, თურმეობითებში ნარის ხმარებისთვის ხელი უნდა შეეწყოს იმ ზმნებს, რომელთაც ნარი აწმყოშიც აქვს: ვთოხნი, ვტკეპნი, ვკოცნი... (შანიძე, 1980, 443—476). ანალოგიურად **5** პასივიდან გადავიდა მოქმედებითი გვარის ისეთ ზმნებში, რომელთაც აწმყოში ნარი არ აქვთ (ყიდის—გაუყიდნია—გაეყიდნა, უამბობს—უამბნია—ეამბნა).

ავ. არაბული **5** ინფიქსს „ისტორიულად ჩართულს“ უწოდებს (არაბული, 1984, 69).

ივ. ქავთარაძის დაკვირვებით, XIV—XV საუკუნეებიდან დასტურდება **5** სუფიქსი, რომელიც ქართულში გავრცელებული ელემენტია ზმნურ ფუძეთა საწარმოებლად როგორც გარდამავალ, ისე გარდაუ-

ვალ ზმნებში. მისი გრამატიკული დანიშნულება გაუჩინარებულია. (ქავთარაძე, 1955, 63—77).

ვ. თოფურია პირველსა და მეორე თურმეობითში **ნ**-ს ჩართვას დიალექტურ მოვლენად მიიჩნევს (თოფურია, 1964, 25). **ნ** სუფიქსი თავდაპირველად შეიმჩნევა ქართლურ—კახურში (ქავთარაძე, 1955, 77). ამიტომაც ნარიანი წარმოება დამახასიათებელია მეტწილად აღმოსავლური კილოებისა და შესაბამისად, ამ კუთხის მწერალთა ენისათვის, დასავლურ დიალექტებში კი იგი შედარებით უფრო ნაკლებად იჩენს თავს (ფეიქრიშვილი, 1979, 113).

თანამედროვე ქართული პრესის ენაში პირველ თურმეობითსა და მეორე თურმეობითში გვხვდება ზმნის ნარიანი ფორმები.

I თურმეობითი :

„ახალგაზრდა არქიტექტორს არ უღალატნია ინჟინერთა ტრადიციისთვის“ („ლიტ. საქ.“ №16, გვ. 12, 1999); „ღირსეულ მწერალთა იმავე ჯგუფს არც ის დავიწყნია, დაეგმოთ ჩაჩუასა და ძმათა მისთა ბინძური საქციელი“ („ლიტ. საქ.“ №10, გვ. 3, 1999); „ირაკლი აბაშიძეს უამბნია“ („ლიტ. საქ.“ №16, გვ. 1, 1997); „რედაქციაში არაერთ უკმაყოფილო მკითხველს დაურეკნია“ („ლიტ. საქ.“ №14, გვ. 11, 1997); „მას არასოდეს უღალატნია საქვეყნო მოვალეობისადმი“ („ლიტ. საქ.“ №13, გვ. 6, 1997); „სალამზე არ უბასუნნია“ („ლიტ. საქ.“ №39, გვ. 15, 1997); „აღნიშნული არქივი არც არავის გაუყიდნია და არც დაუგირავებია“ („ლიტ. საქ.“ №52, გვ. 11, 1997); „98-დან 51-ს არასოდეს უმუშავნია საშუალო სკოლაში“ („შანსი“, №82, გვ. 10, 1998); „ხაინდრავას არც აკაკი ასათიანის წარსული არ დავიწყნია“ („შანსი“, №81, გვ. 2, 1998); „საბჭოთა ეპოქაში არავის გაუბედნია ეზოს დამახინჯება“ („შანსი“, №89, გვ. 2, 1998); „მამულის გაყიდვის შემთხვევაში იგი ვალდებულია ბანკის ვალი მთლიანად გაისტუმროს, ხოლო სანამ არ გაუყიდნია და მის განკარგულებაშია, ყოველ წლივ იხადოს სარგებელი“ („შანსი“, №3, გვ. 4, 1996); „ჯავრობენ — იმას ის უყიდნია, იმას ის აუშენებიაო“ („კვირის პალიტრა“, 25-12-00, გვ. 15); „ეროსი მანჯგალაძეს იგი არ უთამაშნია“ („საქ. რესპ.“, 13-01-96, გვ. 3); „ჩვენ, ვისაც მის გვერდით გვიმუშავნია, დღემდე გვახსოვს ვაჯა ჯალაღონიას გაკვეთილები“ („საქ. რესპ.“, 23-07-96).

II თურმეობითი :

„ერთი ყლუპი ახლა ქვეყნიერებას ერჩინა“ („ლიტ. საქ.“ №9,

გვ. 9, 1999); „თავის დროზე არ უნდა მებასუნნა“ („ლიტ. საქ.“ №30, გვ. 5, 1997); „აჭარაში ახალი ძმათამკვლელი ომის გაჩაღება, ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიის სულში მართლა ჩაფურთხება გეკადაგნათ“ („ლიტ. საქ.“ №13, გვ. 5, 1997); „რათა რუსის მთავრობისთვის გამოეტაცნა უკანონოდ და ძალით წართმეულ-წაგლეჯილი მიწის ფართობი“ („ლიტ. საქ.“, №8, №31, 1997); „წესით და რიგით ამ კითხვაზე უნდა ებასუნნა“ („შანსი“, №86, გვ. 5, 1998); „მას ერჩინა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება“ („შანსი“, №113, გვ. 12, 1997).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კრებულში ვკითხულობთ, რომ ნარიანი ფორმები მიუღებელია. —ია დაბოლოების წინ **ნ** დარჩება მხოლოდ იმ ზმნებში, რომელთაც ფუძეში **ნ** მოეპოვებათ.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, თანამედროვე ქართული პრესის ენაში გვხვდება ისეთი ნარიანი ფორმები თურმეობით I-სა და II-ში, რომელთაც ფუძეში **ნ** არ მოეპოვებათ, რაც ეწინააღმდეგება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს.

ლიტერატურა

არაბული, 1984 — არაბული ავ., მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, 1984.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I კრებული, 1986.

თოფურია, 1964 — თოფურია ვ., ქართული ენის სიწმინდისათვის, 1964.

უორდანი, 1889 — უორდანი თ., ქართული გრამატიკა: ეტიმოლოგია და სინტაქსი, 1889.

ფეიქრიშვილი, 1979 — ფეიქრიშვილი უ., გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითის წარმოება ახალ ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეორე, 1979.

ქავთარაძე, 1955, ქავთარაძე ივ., დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება: იკე, ტ. VII, 1955.

ქუთათელაძე, 1897 — ქუთათელაძე არ., ქართულ ზმნების კლასიფიკაცია, 1897.

შანიძე, 1980 — შანიძე ა., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III,

1980.

ხუნდაძე, 1891 — ხუნდაძე ს., ქართული ზმნები, 1891.

„ლიტერატურული საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კავკასიონი“, „შანსი“ (1996-2000), „ახალი თაობა“ (2001-2003), „კვირის პალიტრა“ (2000).

თეა შავლაძე

MANANA KALAMASHVILI

Verbs with the Suffix n in Resultative I and Resultative II in Modern Georgian Press

Summary

The paper examines one of the errors encountered in modern Georgian press. Some verbs in Resultative I and Resultative II have the suffix n (uqidnia, gaṭacnia... eqidna, gaṭacna). This is the violation of the norm of Standard Georgian. The suffix n is preserved before the ending ia only in the verbs containing n in the stem.

The forms encountered in modern Georgian press are unacceptable from the standpoint of Standard Georgian.

სინესთეტური სურათი – ცაკლე კატეგორია თუ ინფორმალურ სინესთეტურ მითაფორათა კრებულში?

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ცნობილმა ფრანგმა პოეტმა ა. რემზომ 17 წლის ასაკში ერთობ საინტერესო და დამაინტრიგებელი სონეტი შექმნა, რომელმაც საყოველთაო აღიარება და სახელი მოუტანა მას. ეს იყო ფერადი სონეტი „ხმოვნები“, რომელშიც ავტორი შეეცადა თითოეული ხმოვნისათვის შესაფერისი ფერადოვნება მიეცა.

ეს შესავალი იმისთვის გავაკეთეთ, რომ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი დღემდე აღიარებს ა. რემზოს პირველი სინესთეტური სურათის ფუძემდებლად და ამტკიცებს, რომ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ლიტერატურაში ამ მეტისმეტად უცნაური და ემოციებით გაჯერებული „სინესთეტური სურათების“ არსებობას.

სინესთეტური სურათის შესახებ მეცნიერები შემდეგ აზრს გამოთქვამენ:

„სინესთეტური ტროპების გარდა არსებობს გაცილებით უფრო ძლიერი ესთეტური ზემოქმედების მქონე „სინესთეტური სურათები“, რომელთაც სხვაგვარად სინესთეტური საუბარიც კი შეიძლება ეწოდოს“ (მორგანი, 2002, 1)

„სინესთეტური სურათი“, განსხვავებით სინესთეტური ტროპისაგან, მთელ აბზაცს მოიცავს. თუკი სინესთეტური ტროპები პოეტურ ან პროზაულ ნაწარმოებში მარგალიტებივით არის გაბნეული, „სინესთეტური სურათები“ ხშირად რამდენიმე აბზაცზეა გადაჭიმული, მაგრამ მათი დაძებნა ლიტერატურაში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. იშვიათია მწერალი ან პოეტი, ვისაც ამდენი სინესთეტური ხილვის ერთად თავმოყრა შეუძლია“ (გალევი, 2001, 3).

ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

„სინესთეტური სურათი“ ძირითადად ორი სახისაა:

1. სინესთეტიური სურათი, რომელიც სინესთეტიური მეტაფორების ნაკრებს წარმოადგენს, ცალკეულ სინესთეტიურ მეტაფორათა მექანიკურ კომბინაციას, ჯამს ქმნის. ასეთი სახის სინესთეტიური სურათი შეიძლება კიდევ ორ პატარა ქვეჯგუფად დაიყოს: ა) სინესთეტიური სურათი, რომელიც სინესთეტიურად ალაგ-ალაგ მარკირებულია. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მოიცავს გარკვეული რაოდენობით ინდივიდუალურ სინესთეტიურ მეტაფორებს, რომლებიც ტექსტის რომელიღაც ნაწილშია მოქცეული. ბ) სინესთეტიური სურათი, რომელიც თავიდან ბოლომდე სინესთეტიურია და ერთიანი, მთლიანი ფორმა აქვს. ცხადია, ისიც ინდივიდუალურ სინესთეტიურ მეტაფორებს მოიცავს, მათ კავშირს წარმოადგენს, მაგრამ ამ შემთხვევაში თავად ტექსტი არ არის სინესთეტიურად მარკირებული.

2. სინესთეტიური სურათი, რომელშიც სრულებით არ არის სინესთეტიური მეტაფორა. ასეთი სინესთეტიური სურათი ბგერითი ინსტრუმენტირებითაა შექმნილი. ბგერა კი, როგორც ცნობილია, ინფორმატულია. ბგერის ინფორმატულობა თავისთავად სინესთეტიურობას ემყარება. ასეთ შემთხვევაში სინესთეტიური მიმართების მხოლოდ მთლიანობაში ხორციელდება.

ჩვენი აზრით, სინესთეტიური სურათი არის ინდივიდუალურ სინესთეტიურ მეტაფორათა ხელოვნური შეკავშირება და მათი ჯამი. ერთადერთი კრიტერიუმი, რაც ინდივიდუალურ სინესთეტიურ მეტაფორებს სინესთეტიური სურათებისაგან განარჩევს, არის მოცულობა, ტექსტური ფორმა. თუკი „სინესთეტიურ სურათებს“ ცალკეულ სინესთეტიურ მეტაფორებად დავშლით, დავინახავთ, რომ ფაქტობრივად ყველაფერი მაინც სინესთეტიურ მეტაფორამდე დადის. ანუ პრინციპული განსხვავება „სინესთეტიურ სურათს“ და ცალკეულ მეტაფორას შორის არ არის. მათ შორის განსხვავება უფრო რაოდენობრივ ხასიათს ატარებს, ვიდრე ხარისხობრივს. ამიტომაც ჩვენ ვთვლით, რომ „სინესთეტიურ სურათზე“, როგორც ცალკე კატეგორიაზე, მსჯელობა გაუმართლებელია და მასზე საუბარი მხოლოდ ამა თუ იმ მწერლის სტილის დახასიათებისას შეიძლება.

ლიტერატურა

მორგანი, 2002 — N. Morgan "Synesthesia", (Internet), 2002

გალეევი, 2001 — Б. Галеев, "Цветной слух" – Химера или чудо поэтического мышления? Журнал "День и ночь" , 2001, №1-2.

TEA SHAVLADZE

Is the Synaesthetic Picture a Separate Category or a Collection of Individual Synaesthetic Metaphors?

Summary

The paper deals with the issue of synaesthetic picture - one of the means of expressing synaesthetism in language. The research has been carried out on the material of modern English and Russian literature.

Contrary to the view prevalent in linguistic literature, the author of the paper argues, that the synaesthetic picture cannot be a separate category, it is a collection of individual synaesthetic metaphors. Unlike the synaesthetic metaphor, the synaesthetic picture has a textual form. Two types of synaesthetic picture have been singled out: 1. The one which is either synaesthetically marked in places or represent a continuous unity of synaesthetic metaphors. 2. The picture which does not contain synaesthetic metaphors at all, but is built by sound instrumentation.

ენის უარზენიძე

ვალენტობა როგორც კომპარენცის
ერთ-ერთი ბაზოვლინება

იმ დროს, როცა ცალკეული მეტყველების ნაწილების ვალენტობა ძალზე ფართოდაა გაშუქებული გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ტექსტის ვალენტობა ფაქტობრივად ყურადღების მიღმა რჩება. ჩვენ დავინტერესდით ვალენტობით ტექსტის დონეზე იმდენად, რამდენადაც ვფიქროვებთ, რომ იგი სიღრმული ბმულობის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ჰ. ნიკულა სამართლიანად აღნიშნავს, რომ ვალენტობა სიტყვების თვისებაა, მაგრამ სიტყვები ვლინდება კომუნიკაციაში მხოლოდ როგორც ტექსტების ნაწილები (ნიკულა, 1986, 263). მეცნიერი ხაზს უსვამს კონტექსტის მნიშვნელობას სიტყვათა ვალენტობის გაგებისათვის. ვალენტობის მატარებლის უშუალო კონტექსტს განეკუთვნებიან შესაბამისი აქტანტები და თავისუფალი დამატებები. ტექსტი უმეტესწილად შედგება წინადადებათა თანამიმდევრობისაგან. ვალენტობის თვალსაზრისით წინადადება აიგება ზმნათა თვისებებზე. ზმნის ხსნის ცარიელ ადგილთა გარკვეულ რაოდენობას. გამართული წინადადება წარმოიშობა მაშინ, როცა ყველა ცარიელი ადგილი ივსება ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად. იმპლიციტური შევსება არ ნიშნავს იმას, რომ ვალენტობის მატარებლის მიერ გახსნილი ადგილები უფუნქციოდ რჩება. თუ აქტანტი გამოტოვებულია, ანუ ექსპლიციტურად არ არის წარმოდგენილი, ცარიელი ადგილი ივსება იმპლიციტურად, წინამავალი კონტექსტის მეშვეობით. ასეთ მოვლენას ჰ. ნიკულა უწოდებს „იმპლიციტურ ანაფორას“ (ნიკულა, 264). განვიხილოთ ეს მოვლენა შემდეგი მაკროტექსტის მაგალითაზე:

მაგალითი 1 (ტექსტის მოყვანილია სრულად):

Interrent: Mietwagen ab 8,99 Euro

(1) Der VW-Konzern lässt über seine Mietwagen-Tochter Eurocar die Marke Interrent als Billiganbieter neu aufstellen: Ab 8,99 Euro pro Tag sind per Internet-Buchung zunächst in zwei Berliner Stationen Golfs zu mieten. (2)

Andere deutsche Großstädte sollen folgen. (3) Das Konzept verzichtet auf Service: Kunden betanken die Wagen selbst – der Tank ist bei Übernahme und Rückgabe leer - und reinigen den Fahrraum. (4) Wer Müll liegen lässt, zahlt 15 Euro. (5) Der Höchstpreis bei kurzfristigen Buchungen soll mit 45 Euro traditionelle Vermieter immer noch um die Hälfte unterbieten. (6) VW kann so auch ältere Modelle günstig vorschlagen [Focus 2003 N19, 216].

მეორე წინადადებაში გვაქვს იმპლიციტური ანაფორის შემთხვევა: ზმნა „folgen“ ორვალენტოვანია და შესაბამისად ორ აქტანტს მოითხოვს, მაგრამ ამ წინადადებაში შევსებულია მხოლოდ ერთი ცარიელი ადგილი, რომელსაც იკავებს ქვემდებარე „Großstädte“. მეორე ცარიელი ადგილი ექსპლიციტური თვალსაზრისით ღიაა, მაგრამ იმპლიციტურად იგი შეიძლება იქნეს შევსებული წინამავალი კონტექსტის მეშვეობით, კერძოდ, „Andere deutsche Großstädte sollen Berlin folgen“.

ჩვენი აზრით, ტექსტში შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო იმპლიციტური ანაფორა, არამედ იმპლიციტური კატაფორაც. კატაფორის შემთხვევაში ვალენტობის მატარებლის აქტანტი ძვეს მომდევნო კონტექსტში:

მაგალითი 2 (ტექსტი მოყვანილია სრულად):

Gespräch

- (1) Zwei Männer sprachen miteinander.
- (2) Na, wie ist es?
- (3) Ziemlich schief.
- (4) Wieviel haben Sie noch?
- (5) Wenn es gut geht: viertausend.
- (6) Wieviel können Sie mir geben?
- (7) Höchstens achthundert.
- (8) Die gehen drauf.
- (9) Also tausend.
- (10) Danke.
- (11) Die beiden Männer gingen auseinander.
- (12) Sie sprachen von Menschen.
- (13) Es waren Generale.
- (14) Es war Krieg [Borchert, 27].

ეს ტექსტი შეიცავს იმპლიციტურ კატაფორას: ნაწარმოების

პირველი თერთმეტი წინადადება მიუთითებს რეფერენტზე, რომელიც წარმოადგენს ორი მამაკაცის საუბრის საგანს, მაგრამ სახელდება მხოლოდ მეთორმეტე წინადადებაში. დიალოგის რეპლიკებს არ აქვთ არც შინაარსობრივი და არც სტრუქტურული დამოუკიდებლობა. როცა კომუნიკანტი კითხულობს დიალოგს, მას თავდაპირველად ექმნება ყალბი შთაბეჭდილება თითქოს საუბარი ეხებოდეს ფულად თანხას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეპლიკა „Die gehen drauf“. კომუნიკანტი, რომელმაც ტექსტის დასაწყისში ჯერ კიდევ არ იცის, რომ ლაპარაკია ცოცხალ ადამიანებზე, ახდენს მის ინტერპრეტირებას შემდეგნაირად: „ისინი გაიფლანგება“ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც კითხულობს მეთორმეტე წინადადებას, ხვდება, რომ ზემოხსენებული რეპლიკა გაგებულ უნდა იქნეს როგორც „ისინი დაიღუპებიან“. კონტრასტით ისეთ წინადადებებს შორის როგორცაა „Die gehen drauf“ და „Sie sprachen von Menschen“ მწერალი ხაზს უსვამს იმას, რომ ომის დროს უბრალო ჯარისკაცები არიან არა პიროვნებები, რომელთა უკან დგას მათი ოჯახები, იმედები, ოცნებები, არამედ უსახო მასა, საზარბაზნე ხორცი. სტრუქტურულად დიალოგის რეპლიკები ელიპტური წინადადებებია, რომლებიც შეიცავენ იმპლიციტურ კატაფორას — მარცხნივ მიმართულ მითითებას ძირითად რეფერენტზე — საუბრის თემაზე, რომელიც ვალენტობის თვალსაზრისით ამ წინადადებების ობლიგატორულ აქტანტს წარმოადგენს. მაგრამ ეს აქტანტი გამოხატულია იმპლიციტურად და მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ მომდევნო კონტექსტის მეშვეობით: „Sie sprachen von Menschen“. სწორედ აქ სახელდება ობლიგატორული აქტანტი „Menschen“, რომელიც იგულისხმება ზემოხსენებულ დიალოგში.

ვალენტობა ემსახურება წინადადების / ტექსტის აზრობრივი გამართულობის შექმნას. თუ ცარიელი ადგილი, რომელიც იხსნება რომელიმე მეტყველების ნაწილის მიერ, არ შეივსება აქტანტით, წარმოიქმნება ხარვეზი, რომელიც, თავის მხრივ, უქმნის დაბრკოლებას ინფორმაციის გადმოცემას და უშლის ხელს კომუნიკაციურ პროცესს. ასეთი ხარვეზების მატარებელი ტექსტში შეიძლება იყოს რომელიმე სიტყვა (შესიტყვება ან პრაოპოზიცია), რომელიც მოითხოვს შემდგომ ახსნა-განმარტებას, რათა მკითხველისთვის მთლიანად გასაგები გახდეს ის აზრი, რომელიც ჩადებულია მასში. ავტორი, როგორც წესი, თავად გვაძლევს „შიფრის გასაღებს“ და აქ ჩვენ შეგვიძლია ვილაპა-

რაკოთ მოვლენაზე, რომელსაც აქვს გარკვეული პარალელი ვალენტობის თეორიასთან. ამ მოვლენას ჩვენ ვუწოდებთ ტექსტის ინფორმაციულ პერსპექტივას, ხოლო მისი მატარებელი არის სიტყვა (შესიტყვება ან პრაოპოზიცია), რომელიც ხსნის ინფორმაციის თვალსაზრისით ცარიელ ადგილს და ამით ტექსტის განვითარების საშუალებად იქცევა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინფორმაციული პერსპექტივის მოვლენას აგრეთვე შეიძლება მიენიჭოს იმპლიციტური კატაფორის სტატუსი.

მაგალითი 3 (ტექსტი მოყვანილია სრულად)

Gefährlicher Angriff

Die Gefahr lauert überall in der freien Natur. Und sie ist nur wenige Millimeter klein – die Zecke. Ihr Biss kann ein Leben ruinieren. Die gängige Imp-Prophylaxe schützt nur gegen FSME, eine der gefährlichsten Krankheiten, die Zecken übertragen können. Gegen die andere, Lyme-Borreliose, gibt es keinen Wirkstoff. Die Erkrankungen nehmen ebenso zu wie die Verbreitungsgebiete der Zecken. Besonders im Frühsommer ist das Risiko groß, von den Blutsaugern erwischt zu werden. Da hilft nur eins: vorbeugen [Focus 2003 N21, 151].

ტექსტის პირველივე წინადადება იწყება სიტყვით „die Gefahr“ (საშიშროება). ინფორმაციული თვალსაზრისით იგი ხსნის ცარიელ ადგილს, ვინაიდან მკითხველისთვის გაუგებარია, თუ რა სახის საშიშროება იგულისხმება ამ სიტყვაში: ბოროტმოქმედის თავდასხმა, გარეული ცხოველის გამოჩენა, ეპიდემიით დაავადება თუ სხვა რამ. წარმოქმნილი ინფორმაციული ხარვეზის გადალახვაში მკითხველს ეხმარება ტექსტის შემდგომი განვითარება, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მოსალოდნელ საშიშროებას წარმოადგენს მიკროსკოპული ტკიპა, რომლის ნაკბენმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი. ამ ტექსტში სიტყვა „die Gefahr“ ინფორმაციული პერსპექტივის მატარებელია. ეს არის იმპლიციტური კატაფორის ერთ-ერთი შემთხვევა, ვინაიდან შეიცავს მითითებას მომდევნო კონტექსტზე: ხსნის ინფორმაციული თვალსაზრისით ცარიელ ადგილს, რომელსაც ავსებს შემდგომი კონტექსტი.

როგორც ვხედავთ, ვალენტობა არის, ერთი მხრივ, სიტყვათა ლექსიკური თვისება, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ახდენს ზეგავლენას არა მარტო წინადადებათა სტრუქტურაზე, არამედ ტექსტთა ფორმირებაზეც, როგორც ფორმალურ-სტრუქტურული, აგრეთვე შინაარ-

სობრივი თვალსაზრისით. ვალენტობა ტექსტის დონეზე იმპლიციტური ანაფორისა და იმპლიციტური კატაფორის სახით იჩენს თავს. როგორც იმპლიციტური ანაფორა, ასევე იმპლიციტური კატაფორა ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ვალენტობის მატარებელი სიტყვა ხსნის ცარიელ ადგილებს ერთ წინადადებაში, ხოლო აქტანტები, რომლებიც ავსებენ ამ ადგილებს იმპლიციტურად, ძვეს სხვა წინადადებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვალენტობის მატარებელი და მისი აქტანტები არ შემოიფარგლებიან ერთი წინადადებით, არამედ „გაბნეულია“ მთელ ტექსტში. ამდენად ვალენტობა ტექსტის დონეზე სიღრმული ბმულობის მნიშვნელოვანი საშუალებაა და აქედან გამომდინარე შეიძლება იქნეს განხილული როგორც კოპერენციის ერთ-ერთი გამოვლინება.

ლიტერატურა

ბორხერტი, 1999 — Borchert W. Gespräch. In: Aufschluss. Hrsg. von D. Krusche, 6. Auflage. Inter Nationes.

ნიკულა, 1986 — Nikula H. Valenz und Text. In: Deutsch als Fremdsprache 23, S. 263-268.

Focus 2003, N19.

Focus 2003 N21.

NINO SHARASHENIDZE

Valency as One of the Means of Coherence

Summary

In the paper valency is considered to be one of the means of textual coherence. Being a semantic trait of a word, valency determines both the structure of the word and of the sentence the word is used in. The actants of a word are not restricted to one sentence, but are distributed throughout a text. Hence valency is closely associated with implicit anaphora and cataphora.

წესუ ჩარკვიანი

ასპექტი, როგორც ფუნქციონალურ-სემანტიკური კატეგორია

ასპექტის კატეგორიის შესწავლას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს გრამატიკის თეორიისათვის, ასპექტისა და დროის პრობლემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც საკუთრივ მორფოლოგიის საზღვრებს სცილდება. ეს კი აისახება ასპექტ-დროითი ურთიერთობის გრამატიკული და ლექსიკური გამოხატვის საშუალებათა ურთიერთდამოკიდებულებით, სინტაქსით განპირობებული გრამატიკულ ფორმათა გამოყენებით, რასაც გრამატიკისა და კონტექსტის ერთობლიობამდე მივყავართ

ასპექტის ზუსტი განმარტება მკვლევართათვის დღემდე საკამათოა. ამის მთავარი მიზეზი სემანტიკურ ლიტერატურაში ორი აზრობრივად განსხვავებული სიტყვის არსებობაა. ენაში მოქმედების მიმდინარეობის ხასიათი, გარდა ასპექტის გრამატიკული კატეგორიისა, სხვადასხვა არაგრამატიკული საშუალებებითაც გამოიხატება. ეს ის საშუალებებია, რომლებიც „ასპექტის ფუნქციურ — სემანტიკურ კატეგორიაში“ მისი პერიფერიული ელემენტების სახით შედის. არსებობს სწრაფვა აისახოს იმ ურთიერთმოქმედ ენობრივ საშუალებათა და მნიშვნელობათა მთელი კომპლექსი, რომლებიც მოქმედების (და უფრო მეტად სიტუაციის) ასპექტურ დახასიათებაში მონაწილეობენ. ასეთი კომპლექსური მიდგომა უდევს საფუძვლად ასპექტურ ურთიერთობებს გრამატიკაში, რომელიც ველის თეორიითაა ცნობილი, კერძოდ, „ასპექტობის ფუნქციურ სემანტიკური ველის“ სახით.

ამ თეორიის თანმიმდევრული განვითარება მოითხოვს ასპექტობის ველის სტრუქტურის არა მხოლოდ აღწერას ენაში, როგორც სისტემაში, არამედ ამ ველის სხვადასხვა ელემენტების ურთიერთმოქმედების დეტალურ ანალიზს. მეტყველებაში მათი ფუნქციონირებისას, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული სიტუაციის ასპექტური დახასიათებისას უნდა განისაზღვროს თითოეული ასპექტური ელემენ-

ტის (რომლებიც მოთავსებულნი არიან ზმნების, როგორც გრამატიკულ ფორმებში, ასევე ლექსიკურ მნიშვნელობებში და კონტექსტში) როლი გამონათქვამში გამოხატული მოქმედების რაობის დადგენისას.

ასპექტი ფუნქციურ — სემანტიკურ კატეგორიას განეკუთვნება ტემპორალურთან და მოდალურთან ერთად. ისევე, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიებს, მასაც აქვს შინაარსის პლანი და გრამატიკის პლანი. შინაარსის პლანით ფუნქციურ — სემანტიკური კატეგორიები მორფოლოგიურის ანალოგიურია, გამოხატვის პლანით ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები განსხვავდება მორფოლოგიურისაგან. ისინი წარმოდგენილნი არიან ენობრივი საშუალებებით, რომლებიც უკავშირდებიან ენის სხვადასხვა დონეს და ასპექტს მორფოლოგიას, სინტაქსს, სიტყვათწარმოებას, ლექსიკას.

ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია მოქმედების მიმდინარეობის ბუნების გამოსახატავად სხვადასხვა საშუალებას იყენებს. რუსულსა და სხვა სლავურ ენებში ამ კატეგორიის მორფოლოგიის ბირთვის ხარისხით ზმნური ასპექტი გამოდის. ასპექტი განიხილება, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც ერთმანეთთან დაპირისპირებული ფორმებით — სრულ და არასრული ასპექტით გამოიხატება. გარდა ამისა იგი გადმოიცემა იმ სხვადასხვა ზმნის ურთიერთდაპირისპირებით, რომელსაც ასპექტური წყვილი ან აქვს, ან არა აქვს. ასპექტის კატეგორია გვიჩვენებს მოქმედების მიმდინარეობის სახეებს (მიზნობრიობა/არამიზნობრიობა, პროცესობა/არაპროცესობა და ზოგიერთი სხვა) სემანტიკური ნიშნის გათვალისწინებით.

ასპექტური სემანტიკა თავისთავად გამონათქვამის სემანტიკური სტრუქტურის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია. მასში შედის ძლიერად და მკვეთრად გამოხატული ინტერპრეტაციული კომპონენტი — ენობრივი მნიშვნელობის მდიდარი გაა. არ იქნებოდა გადამეტებული გვეთქვა, რომ ასპექტობის სფერო ყველაზე უფრო მკვეთრად გამოხატავს შიდა ენობრივი სემანტიკის განვითარებულ და განშტოებულ სისტემას. იგი არის შიდაენობრივი (თავისებური და სპეციფიკური) ასახვა იმ ობიექტური სინამდვილისა, რასაც ადამიანი აღიქვამს.

ასპექტის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიას „პერიფერიულ ელემენტებად გვევლინება ტელიკურობა/არატელიკურობის კატეგორია, რომელიც უთუოდ დიდ გავლენას ახდენს ასპექტური ფორმების მნიშვნელობასა და ფუნქციონირებაზე. ასპექტის პერიფერიული კომ-

პონენტია აგრეთვე ზმნების სემანტიკური კლასები „მოქმედებათა სახეებად“ ცნობილი, რომლებიც გამოიყოფიან ზმნით გამოხატული მოქმედების ნიშნით (მაგ: დაწყებითი მოქმედების სახე: ათამაშდა, ალაპარაკდა, გაძლიერებელი — ბობოქრობა) მოქმედებათა სახეების გარდა, ასპექტობის პერიფერიული ელემენტებად გვევლინება არაზმნური ლექსიკური მაჩვენებლები მოქმედების მიმდინარეობის ბუნებით (ხანგრძლივობა — დიდხანს, მთელი ღამე და ა.შ.) უწყვეტობა (შეუწყვეტლივ, განუწყვეტლივ) მყისიერება, პროცესობა, ინტენსიური მოქმედების ზრდა და ა.შ.

სემანტიკური ფაქტორების ქსელი, რომელიც მოიცავს ასპექტს, აქციონზარტს სხვა გრამატიკულ და კონტექსტუალურ ფაქტორებთან ერთად (განკერძოებული გარემოება, დეიქსისი და ა.შ.) შეიძლება ჩავთვალოთ ვერბალურ კომპლექსად.

ამგვარად, მტკიცება „X-ის ზმნური კომპლექსის მნიშვნელობა“ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ინკლუზიური, პრაგმატიკული მტკიცება (ჩვეულებრივ წინადადების დონეზე მიღებული), რომელიც თავს უყრის ზმნისა და ცალკეულ კონტექსტში მასზე დართულ განკერძოებულ გარემოებას, რასაც ემატება ასპექტი, ლექსიკა, და სხვა კონტექსტუალური ფაქტორები.

„ასპექტური მნიშვნელობები აშკარად სხვადასხვაგვარია. ბ.ა. სერებრენიკოვმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ასპექტის გრამატიკულ კატეგორიას აქვს რამდენიმე საფუძველი, რომლებიც მათი ბუნებით და არსებით არ არიან ერთნაირი. ასპექტური მნიშვნელობის მრავალსახეობა უფრო თვალსაჩინო ხდება მათი გამოხატვის გრამატიკული, ასევე სხვა ლექსიკურ-გრამატიკული (ან „ფარული გრამატიკული“) ფორმების გათვალისწინებით, ე.ი. არა მარტო ასპექტის, არამედ ასპექტების მთელი „ფუნქციურ-სემანტიკური ველის“ გათვალისწინებით.

ზმნის „მოქმედებათა სახეები“ უნდა გვესმოდეს, როგორც ზმნების სემანტიკური დაჯგუფებები, რომლებიც ფორმალურად ან არიან აღნიშნული ან არ არიან, რომლებიც მოიცავენ ზმნური ლექსიკის უმეტეს ნაწილს და ერთმანეთთან განსხვავდებიან იმ დროის მიმდინარეობისა და განაწილების მიხედვით, რასაც ზმნის მოქმედება გამოხატავს (მასლოვი, 1965)

გერმანული სიტყვა **Aktionsart** (მოქმედების სახე) გახდა საერთო ტერმინი გერმანული ზმნის შესახებ არსებულ დისკუსიებში, რომლე-

ბიც მე-19 საუკუნის გვიან და მე-20 საუკუნის ადრეულ წლებს მოიცავს.

ზუსტი განსხვავების დადგენა ასპექტსა და აქციონზარტს შორის ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, მაგრამ მეცნიერები გვერდს ვერ უვლიან იმ ფაქტს, რომ ისინი ზმნის განსხვავებული ელემენტებია. სხვაობას ასპექტსა და აქციონზარტს შორის მკვლევრები მათ მიერ გადმოცემული მნიშვნელობებში კი არ ხედავენ, არამედ იმაში, რომ ასპექტი არის გრამატიკული კატეგორია, ხოლო მოქმედების სახეები — ზმნათა ლექსიკური დაჯგუფებებია.

ე. კრუიზინგა ინგლისურ ენაში ასპექტობის განხილვით ცდილობს განასხვავოს ასპექტის სემანტიკური ფორმები). იგი გამოყოფს ზმნის „ლექსიკური“ ხასიათის რამდენიმე ტიპს: მომენტურს (**momentaneous**), დურატიულს (**durative**), განმეორებადს, რომელიც ზმნის ფორმით არ აისახება, მრავალგზისს (**frequentative**), განმეორებითს, რომელიც გამოხატულია ფუძის გამეორებით, ხმოვნის შესაძლებელი ცვლით და ბოლოს ინხოატივს (**inchoative**), რომელიც მოქმედების ახლახან დაწყებას აღნიშნავს (კრუიზინგა, 1931, 762).

რუსი მეცნიერი გ.ნ. ვორონცოვა მკაფიოდ განასხვავებს ზმნის ასპექტურ ხასიათს (რომელსაც ის „ლექსიკურს“ უწოდებს) და ასპექტის გრამატიკული კატეგორიის შესაბამისად, მათი აღრევა გამოირიცხება. გარდა ამის, გ.ნ. ვორონცოვა, თავისი კლასიფიკაციის საფუძვლად იღებს ერთიან პრინციპს — ზმნაში ტელიკურობის სემანტიკის არსებობა-არარსებობას (ვორონცოვა, 1960, 203).

ასპექტი, როცა იგი ლექსიკურადაა გამოხატული, მაგ: **to travel** დურატიული (**durative**) ისეთ მოქმედებას გადმოსცემს, რომელსაც დრო სჭირდება და **to arrive** პუნქტუალურია (**punctual**), როცა მოქმედება ერთჯერადია. ზოგჯერ კი იგი გადმოსცემს წამიერ მოვლენას, როცა იგი (**eat a boiled egg**) ტელიკურია ან დაუსრულებელს (**eat scrambled eggs**), როცა ატელიკურია, რასაც შინაგან ანუ ძირითად ასპექტს უწოდებენ, ხოლო როდესაც ასპექტი გრამატიკულადაა გამოხატული (**eat/be eating/have eaten**), მაშინ მას მეორად ასპექტს უწოდებენ. ასპექტის კლასიფიკაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად ვენდლერ-დაუტის კლასიფიკაცია რჩება, რომლის მიხედვითაც ზმნის ასპექტი 4 სახისაა: მდგომარეობის (**State**), მოქმედების (**activity**), დასრულებისა (**accomplishment**), და მიღწევის (**achievement**), (ვენდლერი, 1967; დაუტი, 1979).

ბევრმა ლინგვისტმა შეამჩნია, რომ მტკიცება „აქციონზარტის“ კლასი არა მარტო მის ზმნაზეა დამოკიდებული, არამედ მისი შემთხვევის ჩარჩოზე (და კერძოდ, მის ქვემდებარესა და ობიექტზე, თუკი არსებობს) და ასევე ტემპორალური ზმნიზედებსა და წინადადებების ასპექტზე. მაგ: ვერკულმა შენიშნა, რომ ობიექტის სპეციფიკურ რაოდენობას ან არასპეციფიკურ რაოდენობას ძლიერი ზეგავლენა აქვს ტელიკურობაზე, რასაც წინადადება აღნიშნავს.

მაგ: **Judith ate a sandwich** არის ტელიკური მაშინ როდესაც **Judith ate a sandwichis** არის ატელიკური.

ანალოგიურად, მოენსმა და სტიდმენმა შემოგვთავაზეს კომპოზიტიური მიდგომა განსაზღვროთ წინადადების აქციონზარტი მისი ზმნის, ასპექტისა და ტემპორალური ზმნიზედის ბაზაზე. მაგ: **Rojer ran a mile**, აღნიშნავს სრულობას და **Rojer was running a mile**, პროგრესული ფორმა ეწევა მას აქტივობისაკენ, ანალოგიურად, „in“ ედგვრბილი ბუნებრივად მიმართავს წინადადებას სრულობისაკენ, ხოლო **John ran for four minutes** სრულობას აღარ გვიჩვენებს.

დაუტმა წარმოგვიდგინა ლინგვისტური ტექსტები, რომ დაედგინა **Aktionzartis** – ის გავლენა ლინგვისტური თეორიების სემანტიკაზე.

მაგ: მნიშვნელობა ზმნების პროგრესული ასპექტიდან: თუკი არის აქტიური (მოქმედი) ზმნა, [ატელიკური ზმნა ჩვენი ტერმინოლოგიით], მაშინ X არის **0-ing** ახლა. **0-ing** გვიჩვენებს, რომ **X 0-ed**. თუკი 0 არის სრული ზმნა [ტელიკური ზმნა, ჩვენი ტერმინოლოგიით], მაშინ X არის ახლა **0-ing** ნიშნავს, რომ X **Has not yet 0-ed** (დაუტი, 1979, 59).

მაგ.; **John is walking** მიგვინიშნებს, რომ **John has walked** (იარა), მაშინ როდესაც **John is building a house** (ააშენა სახლი).

აქ შეიძლება აღინიშნოს ტელოსის დამატება (ტელიკურობის მიღება), პოსტპოზიციების ზედსართაული რეზულტატებით და ნაწილაკებით.

ზმნის გარეშე აქტუალურმა მნიშვნელობამ შეიძლება მიიღოს ესა თუ ის გამოხატულება სიტყვათშეთანხმების ჩარჩოებში (შემასმენლის ჯგუფში), ცალკეული წინადადების ან წინადადებების შეთანხმებით. უფრო არსებითია ასპექტური მნიშვნელობის სპეციალური მაჩვენებლების გამოყენება (გარემოება და ა. შ.), მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, ასევე ზმნაში არსებულმა ამა თუ იმ აქტანტის გრამატიკულმა მახასიათებლებმა. (რიცხვი, ბრუნვა, გაპიროვნება და ა.შ.)

და ამ აქტანტების არსებობის და არარსებობის ფაქტმა. Judith ate a sandwich / Judith ate a sandwiches

შიედილება ითქვას, რომ ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი ასე თუ ისე ორგანიზებულია, ყველა ენაში გვაქვს, მაგრამ ყველა ენაში არა გვაქვს ასპექტი, რომელიც გრამატიკული რუბრიკებს შორის (აქტივობა, მდგომარეობა, არასრულობა, ზღვრობა, მოქმედების დაწყება/დამთავრება, მიზნობრიობა, ართაქტიანობა, მრავალაქტიანობა და ა.შ.) გვევლინება შედარებითი გაურკვეველ დიაქრონიაში. ერთი გადადის მეორეში, რომლის შედეგადაც სინქრონულ ჭრილში წარმოგვიდგებიან რაღაც შუალედურ, გარდამავალ შემთხვევად. მაგ.; რაღაც საშუალო „ლია“ და „ფარულ“ გრამატიკულ დაპირისპირებად ან ლექსიკური მაჩვენებლის (ზმნიზედა) და ზმნაში შემავალ სიტყვამ-წარმოებელ ელემენტს შორის არსებული რამ (მაგ.; ზმნის თავსართი, რომელიც განსაზღვრულ მოქმედებათა სახეს მარკირებას უკეთებს) და ა.შ.

კონკრეტული გამონათქვამის კონტექსტში ხშირად ვხვდებით ასპექტულობის მაწარმოებელ რამდენიმე ფორმალურ სხვადასხვა საშუალებას, რომელიც ერთდროულად იხმარება და ურთიერთგავლენასაც ახდენენ ერთმანეთზე.

სწორედ ზმნის ასპექტობის, ზღვრულობის/არაზღვრულობის, მოქმედებათა სახეების (მეტყველებაში კი — ყველა ამ ელემენტების და კონტექსტის) შესწავლის საფუძველზე გაჩნდა აზრი, ასპექტობა განგვეხილა, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური ველი (ბონდარკო, 1967).

ლიტერატურა

მეგრელიშვილი, 1973 — ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში, თბილისი, 1973

ბონდარკო, 1967 — Бондарко, А.Б. К проблеме функционально – семантических категории (глагольный вид и аспектуальность в Русском языке) Вопросы языкознания, 1976, №2

მასლოვი, 1978 – Маслов, Ю.С К основаниям сопоставительной аспектологии – В кн. «Вопросы сопоставительной аспектологии», - Изд. Ленин. гос. ун-та 1978, №1.

სერებრენიკოვი, 1960 – Серебряков Р. А. категории времени и вида в фиппоугорских языках пермской и волжской групп, М. 1960.

კრუინგა, 1926 – Kruisinga E.A. – A Hardbook of Present Day English – groningen, 1926, pt 2, vol I.

ოლსენი, 1996 – Olssen, M.B. –A Semantic and Pragmatic Model of lexicical and gramatical Aspect, Garland Publishing, 1966.

დაუტი, 1979 – Dowty, D.R., - Word meaning and Montague Grammar: the semantics of verbs and times in generative semantics and in Montague’s PTQ Dordrecht Reydell, 1979.

ვენდლერი, 1967 – Vendler Z. – Verbs and Times in Linguistics in Philosophy, Ithaca (NY): Cornell University Press, 1967.

ვერკული, 1995 – Verkul I. Aspectuality. From the 7th European Summer School in Logic, Language and Information, 1995.

NUNU CHARKVIANI

Aspect - a Functional-Semantic Category

Summary

The paper discusses one of the most debatable grammatical categories - the category of aspect. The aspect is regarded as a functional-semantic category. On the one hand the semantic relationship between the notion of aspect and the types of action is dealt with, and on the other hand, the inherent aspectual traits of verbs are examined. The paper focuses on the lexico-grammatical means of expressing aspectuality in present-day English.

განანა ჩაჩანიძე

კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის ადგილისათვის
ლექსიკოგრაფიის ტაქსონომიურ სისტემაში*

ლექსიკოგრაფია, ენათმეცნიერული დისციპლინა ლექსიკონთა და ლექსიკონური ტიპის ნაწარმოების შედგენის შესახებ, არის ძირითადი არხი, რომლის მეშვეობითაც ლინგვისტიკა წარმოაჩენს თავის მიღწევებს და ემსახურება ფართო საზოგადოებას. „სწორედ ლექსიკოგრაფიაში, შესაძლოა როგორც არსად, მეტად თვალსაჩინოდ არის ხორცშესხმული თეორიისა და პრაქტიკის კავშირი, მეცნიერებისა და სალექსიკონო მუშაობის მიერ მიღწეული დონეები“ (უგაროვა, 1979, 3).

ტრადიციული გაგებით ლექსიკოგრაფიის ცნების შინაარსში მოიწოდება თეორიული და პრაქტიკული ლექსიკოგრაფია. ე. წ. ახალმა ლექსიკოგრაფიულმა სიტუაციამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ამ ცნების ტრადიციულ გაგებაში. „არატრივიალურ ლექსიკონთა ეპოქაში“ (ტ. ვინოკური) კომპიუტერულმა ლექსიკოგრაფიამ თავისი არსის საფუძველზე გამოკვეთა ის ნიშნები, რითაც უდავოდ შეიძლება მისი კუთვნილი ადგილის განსაზღვრა ლექსიკოგრაფიულ სისტემატიკაში.¹ ეს ნიშნები მთლიანობაში აისახება ლექსიკონთა იმ ტიპოლოგიაში, რასაც გვთავაზობს კომპიუტერული ლექსიკოგრაფია. კერძოდ, კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიაში ლექსიკონთა კლასიფიკაცია ეფუძნება ფორმალისებრი ნიშანთა ჯგუფებს და მიმდინარეობს ლექსიკოგრაფირების ობიექტთა და ამ ობიექტთა ატრიბუტების მარტების მიხედვით, რაც საბოლოოდ ფორმდება მონაცემთა ბაზებისა და ამ ბაზებთან მიმართვის განსხვავებული რეჟიმების სახით. იმის გამო, რომ ლექსიკონთა ტიპოლოგიის საკითხი თეორიული ლექსი-

* წაკითხულია მოხსენებად 2004 წლის 21 აპრილს კონფერენციაზე „არნოდ ზიქობავას საკითხავები, XV, იხ. მასალები, თბ., 2004, გვ. 73.

¹ ე. წ. ახალი ლექსიკოგრაფიული სიტუაციის, კომპიუტერული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკონთა ტიპოლოგიის შესახებ დაწვრი. იხ. მ. ჩაჩანიძე, 2003.

კოგრაფიის ცენტრალური საკითხია, ხოლო კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიას ლექსიკონთა საკუთარი ტიპოლოგია აქვს, ცხადია, არამართებულია მისი წარმოდგენა პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ საფეხურად. კომპიუტერული ლექსიკოგრაფია სრულიად დამოუკიდებელი რგოლია ლექსიკოგრაფიის ტაქსონომიურ სისტემაში. ამიტომაც მივიჩნევთ, რომ ტაქსონომიური განხილვით თანამედროვე ლექსიკოგრაფია მოიცავს: თეორიულ, პრაქტიკულ და კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიას. აქ წარმოდგენილი მოტივაციის საფუძველზე, განზოგადებული და იერარქიულად მოწესრიგებული, სტრუქტურირებული სახით, ლექსიკოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტიკური დისციპლინის, შინაარსობრივი რაგვარობა ასეთია:²

0.0. ლექსიკოგრაფია

1.0. თეორიული ლექსიკოგრაფია

1.1. ლექსიკოგრაფიის თეორია

1.1.1. ლექსიკოგრაფიის ცნება (მოცულობა, შინაარსი, სტრუქტურა)

1.1.2. ლექსიკოგრაფიის ლექსიკოლოგია

1.1.3. ლექსიკონთა ტიპოლოგია (კლასიფიკაცია, ჟანრები, ტიპები)

1.1.4. ლექსიკონთა სტრუქტურა

1.1.5. ლექსიკოგრაფიული კონსტრუირება

1.2. ლექსიკოგრაფიის ისტორია

1.2.1. ლექსიკონთა ისტორია

1.2.2. ტიპურ ლექსიკოგრაფიულ პრობლემათა გადაწყვეტის ისტორია

2.0. პრაქტიკული ლექსიკოგრაფია

2.1. სალექსიკონო მუშაობის დაგეგმვა და ორგანიზაცია

2.2. პირველადი სალექსიკონო მასალების შეგროვება; კარტოთეკები, სადოკუმენტაციო ფონდი

2.3. ლექსიკონთა და ლექსიკონური ტიპის ნაწარმოების შედგენა

2.4. სადოკუმენტაციო ფონდის შევსება და დაცვა

3.0. კომპიუტერული ლექსიკოგრაფია

3.1. ელექტრონული (მანქანური) ლექსიკონები

3.1.1. მონაცემთა ბაზები

² შდრ. ვ. მორკოკინი, 1988, გვ. 83.

3.1.2. მონაცემთა ბაზებთან მიმართვის რეჟიმები

ლიტერატურა

მორკოვკინი, 1988 — Морковкин В. В., Понятие «лексикография» в таксономическом рассмотрении, в кн.: Актуальные проблемы учебной лексикографии, М., 1988.

უვაროვი, 1979 — Уваров В. Д., Субъективное и объективное в словаре (из опыта итальянской лексикографии), в кн.: Переводная и учебная лексикография, М., 1979.

მ. ჩაჩანიძე, 2003 — მ. ჩაჩანიძე, კომპიუტერული ლექსიკოგრაფია და ლექსიკონთა ტიპოლოგიის საკითხი. კონფერენცია ბუნებრივ ენათა დამუშავება, ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. კონფერენციის მასალები, თბ., 2003.

MANANA CHACHANIDZE

The Place of Computer Lexicography in the Lexicography Taxonomic System

Summary


The paper argues that because of its specific features computer lexicography should be given a definite place in the system of lexicography. The specificity of Computer lexicography is reflected in its typology of dictionaries.

As is known, classification of dictionaries is one of the basic issues of theoretical lexicography. Since computer lexicography has its own system of typology, it is unacceptable to include it into the sphere of practical lexicography. The paper considers computer lexicography to be an independent link of lexicography. The division of lexicography into branches presented in the paper is as follows: theoretical, practical and computer lexicographies.

სოფიო ჭავჭავაძე

ინტერვიუს როგორც ჟურნალისტურ-ინფორმაციული ჟანრის, ეპოქალურ-კულტურული არსის და მისი კვლევის ლინგვოკულ-ტერმინოლოგიური პარსკამტიზა.

ჩვენს წინა სტატიაში (ჭეიშვილი, 2005) ვმსჯელობდით, ერთის მხრივ ინტერვიუზე, როგორც ერთ-ერთ ჟურნალისტურ ინფორმაციულ ჟანრზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მიმართებაზე, რომელიც არსებობს ხსენებულ ჟანრსა და იმ ტექსტთა ერთობლიობას შორის, რომლებიც ჟურნალისტური პრაქტიკის ფარგლებში ახდენენ ხსენებული ჟანრის ტექსტობრივ აქტუალიზაციას. ამ ურთიერთმიმართების აღსანიშნავად გამოვიყენეთ სივრცის მეტაფორული ცნება და ამავე დროს მოვახდინეთ ამ ცნების განზოგადება შემდეგი სახით:



როგორც ვხედავთ, ზემოთ წარმოდგენილი სქემა ახდენს სოციალური სინამდვილის იმ განზომილების მოდელირებას, რომლის სტრუქტურა განპირობებულია ფუნქციურ სტილთა არსებობით. სქემის ფარგლებში ფუნქციურ-სტილთა დაკავშირებული ყველა ფაქტორი (თვით ფუნქციურ სტილთა ჩათვლით) ქმნის მისთვის დამახასიათებელ ისეთ სივრცეს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება სოციალურ სინამდვილეში სივრცის წარმომქმნელი ფაქტორის რეალიზაცია. ამ სქემის მიხედვით ყოველი ჟანრი, ხოლო მათ შორის ნებისმიერი ჟურნალისტური ჟანრიც, წარმოშობს (ქმნის) თავის **ტექსტობრივ**

სტობრივ სივრცეს. ჩვენი სქემის მიხედვით ყველაზე მაღალი „რანგის“ წარმომქმნელ ფაქტორად წარმოგვიდგება ეპოქა თავისი კულტურულ-ცივილიზებულ განზომილებით.

როგორც ჩვენი წინა, ისე წინამდებარე სტატიაც უნდა განვიხილოთ როგორც იმ კვლევის შემადგენელი მომენტები, რომლის მიზანია ინტერვიუს, როგორც ერთ-ერთი ინფორმაციული ჟანრის ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაცია, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი მიზანია გავცეთ პასუხი შემდეგ კითხვებზე: როგორია ინტერვიუს, როგორც ჟანრის ტექსტობრივი განზომილება და როგორი ტიპის ტექსტებს შეუძლიათ მოახდინონ ამ განზომილების რეალიზაცია? ერთი სტატიის ფარგლებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ზემოთ დასმულ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა. ამგვარ პასუხთა სისრულე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მთელი ჩვენი კვლევის ეტაპთა თანმიმდევრობით. ეს თანმიმდევრობა, ანუ კვლევის ეტაპობრივი სტრუქტურა, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

1. უნდა განვსაზღვროთ თვით **ინტერვიუ**, როგორც ჟურნალისტური ჟანრი;
2. უნდა გამოიკვეთოს ამ ჟანრის ის მაკონსტიტუირებელი ნიშნები, რომლებიც არსებითად განასხვავებენ მას სხვა ჟურნალისტური ჟანრებისაგან;
3. უნდა მოხდეს ამ მაკონსტიტუირებელ ნიშნის შინაგანი დაკავშირება თანამედროვეობის, როგორც ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ინტერვიუ დანახულ უნდა იქნას, როგორც **ისტორიულ-სოციალური ფენომენი**;
4. უნდა დასახელდეს იმ ტექსტობრივი სივრცის მაკონსტიტუირებელი ანუ კატეგორიული ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ინტერვიუს, როგორც ჟანრს ჟურნალისტურ პრაქტიკაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა მივუთითოთ ამ **ჟანრის ტექსტობრივ განზომილებაზე**;
5. უნდა მოვახდინოთ ტექსტობრივი სივრცის ზემო ეტაპზე დახასიათებული მაკონსტიტუირებელი ნიშნის **ტიპოლოგიზაცია**;

6. ინტერვიუს, როგორც ჟანრის მიერ წარმოშობილი ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაცია უნდა ატარებდეს არა მარტო ლინგვისტიურ, არამედ აგრეთვე კულტუროლოგიურ ხასიათს, ე.ი. ეს უნდა იყოს ხსენებული ტექსტობრივი სივრცის **ლინგვოკულტუროლოგიური ტიპოლოგიზაცია**.

შევვცადოთ დავახასიათოთ ყოველი ზემოთ ხსენებული ეტაპი იმ ძირითადი ამოცანის მიხედვით, რომლის შესრულებასაც იგი გულისხმობს, მაგრამ ამ ეტაპთა დახასიათებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, ერთი მხრივ, მთელი ჩვენი კვლევის ინტერდისციპლინარული მიმართულება, მეორე მხრივ კი, ის გარემოებაც, რომ ხსენებული ინტერდისციპლინარიზმი ცენტრირებულია ლინგვოსემიოტიკურად: ჩვენს ძირითად და საბოლოო მიზანს წარმოადგენს შემდეგ ორ კვლევით ამოცანათა ერთობლიობის განხორციელება: ა) უნდა განვსაზღვროთ ინტერვიუს, როგორც ჟურნალისტური ჟანრის ტექსტობრივი განზომილება, ანუ დავასახელოთ ამ ჟანრის შესაბამისი **არქიტექსტი** — ყველა იმ ტექსტობრივ ვარიანტთა განზოგადოებული ტიპი, რომელიც უნდა შეიცავდეს მოცემული ჟანრის ტექსტობრივი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მაკონსტიტუირებელ (კატეგორიულ) ნიშანს და ბ) უნდა მოვახდინოთ ზემოთ ნახსენები არქიტექსტის ტიპოლოგიზაცია, არქიტექსტის ამგვარი ტიპოლოგიზაცია უდრის ინტერვიუს, როგორც ჟანრის ტექსტობრივი სივრცის აღწერას.

1) ინტერვიუს, როგორც ჟანრის განსაზღვრა

ინტერვიუს როგორც ჟანრის განსაზღვრა, რა თქმა უნდა, ხდება არა ლინგვისტიკაში, არამედ ჟურნალისტიკის თეორიაში. აქედან გამომდინარე ინტერვიუს ჟანრობრივი არსის განსაზღვრისას დავეყრდნობით ლ. შიბაევას სტატიას „Жанры в теории и практике журналистики“ (შიბაევა, 3) ხსენებული სტატიის ავტორის თანახმად ყოველი ჟურნალისტური ჟანრის საგნობრივ-ფუნქციური ბუნება განისაზღვრება შემდეგი სამი ძირითადი პარამეტრის მიხედვით:

1. „ყოველი ჟანრი მუდმივად დაკავშირებულია ცხოვრებისეული **მასალის** გარკვეულ ტიპთან (ცხოვრებისეული მასალის ამ ტიპს ავტორი უწოდებს აგრეთვე ჟანრის „საგანსაც“ და „თემასაც“.
2. ყოველი ჟანრი განკუთვნილია გარკვეული ინფორმაციული **ამოცანის** გადაჭრისათვის (ხსენებულ ამოცანას ავტორი ჟანრის „ფუნქციას“ უწოდებს — ს.ჭ.);

3. ყოველი ჟანრი ხასიათდება ინფორმაციის დამუშავების გარკვეული **მეთოდით**“ (შიბაევა, 4-5).

ავტორის აზრით, „საგანი, ფუნქცია და მეთოდი წარმოადგენს იმ სამ საყრდენს, რომლებსაც ეფუძნება ჟანრი.“ (შიბაევა, 5)

როგორ განსაზღვრავს ავტორი ინტერვიუს, როგორც ჟანრის საგანს (ან, რაც იგივეა, მის თემას)? ავტორი ლაპარაკობს ყოველი ცალკეული ჟანრის „საგნობრივ ორიენტაციაზე“ (შიბაევა, 5) და ამით გულისხმობს, რომ ყოველი მათგანი ორიენტირებულია არა „რომელიმე ცალკეულ ცხოვრებისეულ მასალაზე, არამედ ამ მასალის ტიპზე.“ (იქვე) ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ინტერვიუს საგანს ავტორი განსაზღვრავს სხვა ინფორმაციულ ჟანრთან საგნების ფონზე. იგი წერს: „რეპორტაჟი, მაგალითად, შეიძლება იყოს სპორტულ შეჯიბრზე, კოსმოსში გაფრენაზე, ხანძარზე, მაგრამ აუცილებლად ხდომილებაზე (событие), უფრო ზუსტად კი, ხდომილების მსვლელობაზე. „სტატიის როგორც ჟანრის საგნობრივ ორიენტაციას წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პრობლემები, ინტერვიუსა კი — შეხედულებები (мнения), რითაც, როგორც ჩანს, იგულისხმება ის აზრები, რომლებიც ინტერვიუს პროცესში გამოიხატება რესპონდენტის მიერ.

როგორც ზემოთ ითქვა, ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაცია უნდა ატარებდეს **ლინგვოკულტუროლოგიურ** ხასიათს, თუმცა ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც უკვე ითქვა, ტიპოლოგიისათვის ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა უნდა იყოს ლინგვოსემიოტიკურად ცენტრირებული: ჩვენთვის მთავარი და გადამწყვეტია ინტერვიუს ტექსტობრივი სივრცის ისეთი გააზრება, რომელიც დაეყრდნობა ტექსტის თანამედროვე ლინგვისტურ თეორიას. მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენი ამოცანისადმი ამგვარი მიდგომა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ლინგვოკულტუროლოგიურ მომენტსაც — არა მარტო იმიტომ, რომ ამას მოითხოვს თანამედროვე ინტერდისციპლინარში, არამედ იმიტომაც, რომ ლინგვოკულტუროლოგიური მომენტი ნაგულისხმევია ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი სქემის სტრუქტურით : ამ სტრუქტურის ყველაზე მაღალი შრე წარმოდგენილია ეპოქით, უფრო კონკრეტულად კი — ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილებით. ამიტომ მთელი ჩვენი კვლევის პერსპექტივისთვის მნიშვნელოვანია დაისვას კითხვა: რომელია ის ისტორიული ეპოქა, რომელმაც განაპირობა ინტერვიუს, როგორც ინფორ-

მაციული ჟანრის გენეზისი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით ჩვენ უკვე გადავდგამთ გარკვეულ ნაბიჯს იმის განსაზღვრისკენ, თუ როგორი უნდა იყოს, ერთი მხრივ, ინტერვიუს როგორც ჟანრის არქიტექსტის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ არქიტექსტის ტიპოლოგიზაციის კულტუროლოგიური კომპონენტი?

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჟანრთა სისტემა (და, საბოლოო ანგარიშში, ფუნქციურ სტილთა სისტემაც კი) წარმოადგენს **ისტორიულ** მოვლენას. მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფორმულირება ატარებს ზოგად ხასიათს და, ბუნებრივია, იგი მოითხოვს დაკონკრეტებას ყოველ ცალკეულ ჟანრთან მიმართებაში. როგორ კონკრეტდება იგი ინტერვიუსთან მიმართებაში? ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ უკვე ციტირებული სტატიის ავტორი ამბობს: „მართალია, სამყარო შეიცვალა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ მომხდარიყო რაიმე ცვლილება ჟანრთა სისტემაში; ამისთვის საჭირო იყო, რომ შეცვლილიყო ადამიანის შეხედულება სამყაროზე. ასე, მაგალითად, რატომ გამოჩნდა ასე გვიან (შედარებით გვიან) ინტერვიუს ჟანრი? თითქოს შეიძლება გვეფიქრა, რომ სწორედ იგი უნდა გამოჩენილიყო ყველა სხვა ჟურნალისტურ ჟანრამდე. ხომ ცნობილია, რომ ადამიანისთვის უკვე ბავშვობიდან დამახასიათებელია კითხვების დასმა. მსოფლიო ლიტერატურას დაგროვილი აქვს უზარმაზარი გამოცდილება დიალოგის ფორმულირებაში — ანტიკური ფილოსოფოსებიდან და დრამატურებიდან მოყოლებული. მაგრამ მოხდა ისე, რომ ურთულესი ჟანრი — პამფლეტი — ფართოდ გამოიყენებოდა უკვე მე-17 საუკუნეში, უბრალო ინტერვიუ კი „მწიფდებოდა“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდის. ჟურნალისტები, ექვს გარეშე, უფრო ადრეც მოიპოვებდნენ ხოლმე მასალას კითხვების დასმის საშუალებით, მაგრამ მიღებული ინფორმაციის გადმოცემისას გამოტოვებდნენ ხოლმე კითხვებს. რატომ? (შიბაევა, 4) ამ კითხვაზე ავტორი იძლევა შემდეგ პასუხს:“ უნდა მომწიფებულიყო ანტიფეოდალურ რევოლუციათა შედეგები და დაგროვილიყო დემოკრატიულ ტრადიციათა გარკვეული რაოდენობა, ხოლო ხელისუფლებას უნდა გაეცნობიერებინა პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე ... იმისათვის, რომ საზოგადოებაში მიღებული ყოფილიყო საჯაროდ კითხვის დასმა და მათზე პასუხი, უნდა შეცვლილიყო არა მხოლოდ სოციალური ურთიერთმომართებანი, არამედ უნდა შეცვლილიყო ეტიკეტი თვით ინფორმაციულ სფეროში.“ (იქვე)

ჩვენ, რა თქმა უნდა, დაუბრუნდებით, ზემოთ მოყვანილი ციტატის იმ ასპექტს, რომელიც ეხება ინტერვიუს, როგორც ჟანრის შინაგან კავშირს ეპოქის ცივილიზაციურ-კულტურულ ასპექტთან, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მოგვეცემა იმის შესაძლებლობა, რომ ეპოქის ხსენებულ განზომილებას დაუკავშიროთ არა მხოლოდ ინტერვიუ, როგორც ჟანრი (ამ კავშირზე მსჯელობს ავტორი), არამედ მასთან ერთად ამ ჟანრის შესაბამისი ტექსტობრივი სივრცეც. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ სივრცეს უნდა დაუკავშირდეს (და ეს დაკავშირება ნიშნავს ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის რეალიზაციას) ის **კატეგორიული დიადა**, რომელსაც ერთობლივად ქმნიან ჟანრი და ტექსტი.

მაგრამ, სანამ ხსენებულ კატეგორიულ დიადას დაუკავშირებთ ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ სივრცეს, აუცილებლად მიგვაჩინია განვსაზღვროთ, თუ რა აკონსტიტუირებს შინაგანად ამ კატეგორიულ დიადას, ანუ შევეცადოთ იმის განსაზღვრას, თუ როგორია ის მიმართება, რომელიც იქმნება ჟანრისა და ტექსტის მაკონსტიტუირებელ ნიშნებს შორის? ამგვარად ფორმულირებულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობთ, უნდა გვქონდეს თეორიულ-მეთოდოლოგიური საყრდენი შემდეგ 3 კითხვაზე პასუხის გაცემით: ა) როგორია ჟანრის მაკონსტიტუირებელ ნიშანთა სისტემა; ბ) როგორია ამ ჟანრის შესაბამისი (მის მიერ შექმნილი) ტექსტის მაკონსტიტუირებელ ნიშანთა სისტემა? გ) როგორია მიმართება ამ ორ სისტემას შორის?

თუ შევეცდებით ზემოთ დასმული სამი პრობლემის რამდენადმე მაინც გადაჭრას, დავინახავთ ინტერვიუსთან, როგორც ჟანრთან დაკავშირებული პრობლემატიკის მთელ სირთულეს. ის სირთულე, ჩვენი აზრით, უკავშირდება, პირველ რიგში, უკვე მოცემული ჟანრის განსაზღვრას იმ თვალსაზრისით, რომელიც გადამწყვეტად ითვლება თვით ჟანრთა ჟურნალისტურ თეორიაში : ჩვენ ვგულისხმობთ ინტერვიუს, როგორც ჟანრის საგნის, ანუ თემის განსაზღვრის პრობლემას ლ. შიბაევა ტერმინებს ჟანრის „საგანი“ და ჟანრის „თემა“ ხმარობს სინონიმურად, ხოლო ერთსაც და მეორესაც მიიჩნევს „ცხოვრებისეული მასალის გარკვეულ ტიპად“) მაგრამ როგორ ესმის იმავე ავტორს იმავე ინტერვიუს, როგორც ჟანრის თემა? ზემოთ, როცა განვიხილავდით ჟანრთა განსაზღვრის პრობლემას ჟურნალისტურ თეორიაში და, შესაბამისად, შევეხეთ ჟანრთა საგნის (თემის) ამოცანისა და მეთოდის საკითხებს, უკვე მოყვანილ იქნა ხსენებული ავტორის

აზრი იმის თაობაზე, რომ ინტერვიუს „საქმე აქვს აზრებთან (с мнениями)“, რაც მოცემულ კონტექსტში იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სწორედ ეს „აზრები“ (იგულისხმება, როგორც ჩანს, რესპონდენტის მიერ წარმოთქმული აზრები) წარმოადგენენ ინტერვიუს, როგორც ჟანრის თემას, ანუ საგანს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ იმის უარყოფას, რომ ინტერვიუს შემთხვევაში ჟურნალისტს მართლაც აინტერესებს რესპონდენტის „აზრი“ და, შესაბამისად, ცდილობს მის მოპოვებას. მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ისეთი ჟანრის, საგნისა თუ თემის განსაზღვრა, როგორცაა ინტერვიუ, არ უნდა ხდებოდეს ისეთი უშუალო თვალშისაცემი, ე.ი. ზედაპირულად აღქმული ნიშნის საფუძველზე, როგორცაა ჟურნალისტის მიერ ამა თუ იმ რესპონდენტის გარკვეულ თემაზე აზრთა მოპოვება. ხსენებული ნიშანი, ბუნებრივია, უნდა შენარჩუნებულ იქნას, მაგრამ ისე, რომ მთლიანად და რელიეფურად გამოიკვეთოს ამ ნიშნის **სიღრმისეული საფუძველი**. (ამ შემთხვევაში, ალბათ, საჭიროა დავეყრდნოთ იმ გამოცდილებას, რომელიც მოპოვებული აქვს ლინგვისტიკას ზედაპირულ და სიღრმისეულ სტრუქტურათა როგორც გამიჯვნის, ისე ურთიერთდაკავშირების სფეროში). ამ სიღრმისეული საფუძვლის დადგენა და განსაზღვრა აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ორი მოსაზრებიდან გამომდინარე: ა) პირველი მოსაზრება ეფუძნება იმ გადამწყვეტ მნიშვნელობას, რომელსაც თვით ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია ანიჭებს ჟანრის თემის განსაზღვრას. როგორც თვით ლ. შიბაევა ამბობს, „თემის არჩევის მომენტი არის ნაბიჯი ჟანრის არჩევისკენ“ (შიბაევა, 5);

ბ) ჩვენი მეორე მოსაზრება კი ეფუძნება ინტერვიუს, როგორც ჟანრის შინაგან კავშირს ეპოქასთან, უფრო კონკრეტულად კი ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან: როგორც უკვე ვიცით, თვით ლ. შიბაევა უკავშირებს ინტერვიუს გამოჩენას გაზეთის ფურცლებზე ეპოქის ჩვენ მიერ ხსენებულ განზომილებას. იმავე ავტორზე დაყრდნობით უნდა გავიხსენოთ, რომ „ჟურნალისტები, ეჭვს გარეშე, უფრო ადრე იძენდნენ მასალას კითხვების დასმის გზით..., მაგრამ მასალის გამოქვეყნებისას ამ კითხვებს გამოტოვებდნენ ხოლმე“, . როგორც გვახსოვს, ავტორი ამ მომენტს უკავშირებს სწორედ ეპოქას, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია დაისვას კითხვა : უნდა აირეკლოს თუ არა ინტერვიუს როგორც ჟანრის თემის განსაზღვრაში ეპოქასთან მისი ეს ორგანული კავშირი? და თუ გვსურს მოვიპოვოთ

ინტერვიუს, როგორც ჟანრის, თემის სიღრმისეული (არა მხოლოდ ზედაპირულ ნიშანზე დაფუძნებული) განსაზღვრა, უნდა მივიჩნიოთ თუ არა, რომ ეპოქასთან ხსენებული კავშირი უნდა წარმოადგენდეს ამ განსაზღვრის კომპონენტს?

თუ ჩვენ აქ დასამულ პრობლემას თანმიმდევრულად მივუდგებით, მაშინ, ალბათ, აუცილებელი იქნება დავეყრდნოთ განსაზღვრის (დეფინიციის) ზოგად ლოგიკურ თეორიასაც. ამ თეორიის მიხედვით გამოიყოფა დეფინიციის შემდეგი ორი სახეობა:— „**ატრიბუტულ-რელაციური**, როცა ნაჩვენებია საგნის უახლოესი გვაროვნული და სახეობითი ნიშნები... და **გენეტიკური**, როცა ნაჩვენებია ობიექტის წარმოშობა ან მისი კონსტრუირების გზა“ (ვორობევა, 145.)

თუ მთელი ჩვენი კვლევითი კონტექსტიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ როგორც ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრის, ისე მისი ტექსტობრივი განზომილება სწორედ სიღრმისეულად უნდა დაუკავშირდეს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებას და სწორედ მასთან ამგვარმა კავშირმა უნდა გვიჩვენოს ხსენებული ჟანრის ფუნქციური არსი, მაშინ, ბუნებრივია, უნდა მივიღოთ შემდეგი თეორიული გადაწყვეტილება: ინტერვიუს, როგორც ჟანრის, ამოსავალი დეფინიცია უნდა ატარებდეს, პირველ რიგში, **გენეტიკურ**, ხოლო უკვე შემდეგ — ატრიბუტულ-რელაციურ ხასიათს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინტერვიუ უნდა განისაზღვროს ჯერ მის ეპოქასთან კავშირის თვალსაზრისით და მხოლოდ შემდეგ მიექცეს ყურადღება მისი განსაზღვრის ატრიბუტულ-რელაციურ ასპექტს. მოცემულ სტატიაში, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა მოგვეცა ეპოქის ის შედარებით სრული კულტურულ-ცივილიზაციური დახასიათება, რომლის საფუძველზე შევძლებდით ინტერვიუს ასევე სრულ გენეტიკურ განსაზღვრასაც, მაგრამ ასევე მიგვაჩნია, რომ უკვე კვლევის ამ ეტაპზე წარმოვაჩინოთ ამგვარი განსაზღვრის თუნდაც სქემატურად წარმოდგენილი, მაგრამ ამავე დროს თეორიულად მნიშვნელოვანი ფუნქციონირებული მომენტი. ხსენებული მომენტის წარმოჩენას შევეცდებით შემდეგ სამ მოსაზრებაზე დაყრდნობით:

ა) შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პირველი ამგვარი მოსაზრება იმპლიციტური სახით უკვე გამოთქმულია ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიაში, სახელდობრ კი, იმ ციტატაში რომელიც ჩვენ უკვე მოყვანილი გვაქვს ზემოთ. როგორც გვახსოვს, ხსენებულ ციტატაში ნათქვამია შემდეგი: ინტერვიუს, როგორც ჟანრის, გამოჩენა შესაძლებელი გახდა

მაშინ, როცა „საზოგადოებაში შესაძლებელი გახდა საჯაროდ კითხვების დასმა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა“. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ინტერვიუ, როგორც ჟანრი, შესაძლებელი გახდა მაშინ როცა შესაძლებელი გახდა საზოგადოების არსებითი **დიალოგიზირება**, ე.ი. მაშინ როცა დიალოგი იქცა საზოგადოებრივი რეალობის არსებობის უპირველეს ფორმად. თუ ჩვენ ამ ისტორიულ მომენტს დავუკავშირებთ ინტერვიუს გენეტიკური განსაზღვრის ამოცანას, მაშინ შევძლებთ ვთქვათ: ინტერვიუ, როგორც ჟანრი, წარმოშვა საზოგადოების **დიალოგიზაციამ**;

ბ) მაგრამ საქმე ისეა, რომ ისტორიის თანამედროვე ფილოსოფიაში და, შესაბამისად, თანამედროვე ისტორიულ-სოციოლოგიაში თანამედროვეობა დანახულია კომუნიკაციური, დიალოგიური პრიზმით. საზოგადოებრივი სინამდვილის სწორედ ამგვარი ხედვა ასახული შემდეგ ციტატაში: „XX საუკუნის ისტორიის ფილოსოფიამ განსაკუთრებული რელიეფურობით დასვა კომუნიკაციის, როგორც ისტორიული სინამდვილის არსებითი დახასიათების, უფრო ფართოდ კი, ადამიანთა არსებობის საფუძვლის პრობლემა... დიალოგზე ორიენტაცია სწორედ ის ორიენტაციაა, რომელიც ქმნის მომავლის წინაპირობას... „ისტორია ხორციელდება ურთიერთობის გზით“ (სტრელკოვი, 1997,181)

როგორც ზემოთ ითქვა, ეპოქის კულტურულ-ცივილიზებული დახასიათება, რა თქმა უნდა, უნდა მოხდეს ბევრად უფრო გაშლილი სახით, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ მოყვანილი ციტატაც ადასტურებს ინტერვიუს იმ გენეტიკური განსაზღვრის ადეკვატობას, რომელიც ზემოთ იყო მოცემული. როგორც ნათქვამიდან ჩანს, ეპოქა ხასიათდება არა მხოლოდ საზოგადოების დიალოგიზირებით — ჩვენს ეპოქაში ხდება მთელი ისტორიული სინამდვილის **დიალოგური ხედვა**;

გ) მაგრამ ამავე დროს, უაღრესად მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე თეორიაში გამოხატულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც დიალოგურობა უნდა ჩაითვალოს საგაზეთო ჟანრთა სიღრმისეულ საფუძველად. როგორც ლ. დუსკაევა ამბობს, „დიალოგურობა უნდა ჩაითვალოს პრესის სამეტყველო ჟანრთა საფუძველად“ (დუსკაევა, 2004, 2). სწორედ ამ მოსაზრების საფუძველზე ხსენებული ავტორი ავითარებს ჟურნალისტურ ტექსტთა დიალოგურ კონცეფციას“ (იქვე).

მოცემულ ერთ სტატიაში შეუძლებელია მოცემული კონცეფცი-

ის ზედმიწევნით განხილვა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: თუ **დიალოგურობა** მართლაც წარმოადგენს ჟურნალისტურ ჟანრთა სიღრმისეულ საფუძველს, მაშინ სწორედ ინტერვიუ უნდა მივიჩნიოთ იმ ჟანრად, რომელიც ახდენს ამ სიღრმისეული საფუძვლის სრულ ექსპლიკაციას, ე.ი. თვალნათლივ გვიჩვენებს ჟურნალისტური დისკურსის არსებითად დიალოგურ ბუნებას.

როგორც დავინახეთ, ინტერვიუსთან დაკავშირებულმა ჩვენმა მსჯელობამ გამოავლინა ამ ინფორმაციული ჟანრის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის სამი შემდეგი პრობლემური მიმართულება: 1) აუცილებელია მისი შემდგომი სიღრმისეულად ექსპლიცირებული დაკავშირება თანამედროვეობის, როგორც ეპოქის ისეთ ტიპოლოგიურ ნიშანთან, როგორცაა მისი **დიალოგურობა**; 2) აუცილებელია იმ შინაგანი როგორც სემანტიკური, ისე პრაგმატიკული კავშირის ხაზგასმა და თანმიმდევრული ექსპლიკაცია, რომელიც უნდა არსებობდეს (და, ალბად, არსებობს კიდევ) ინტერვიუს **ეპოქალურ-კულტურულ** და **ტექსტობრივ** განზომილებათა შორის. კვლევის უკვე ამ ეტაპზე შეგვიძლია ხაზგასმით ვთქვათ, რომ **დიალოგურობა** ისევე წარმოადგენს ინტერვიუსადმი დაქვემდებარებული ტექსტობრივი სივრცის მაკონსტიტუირებელ ნიშანს, როგორც ეპოქის ერთ-ერთ ტიპოლოგიურად განსაზღვრულ ნიშანს. ამის გათვალისწინებით აუცილებელი ხდება — თუ გსურს ინტერვიუს კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურ პლანში გადაყვანა — დიალოგის, როგორც ტექსტობრივი ფენომენის ფუნქციური არსის ზოგადი განსაზღვრა. დიალოგის, როგორც ფენომენის კვლევას საკმაოდ დიდი ადგილი უკავია თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ დიალოგურობა მისი ეპოქალურ-კულტურული და ტექსტობრივი ასპექტების ურთიერთკავშირში? და როგორ უნდა დავუკავშიროთ ეს ორი ასპექტი ინტერვიუსადმი დაქვემდებარებულ ტექსტობრივ სივრცეს? ეს ორი კითხვა შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი კითხვის დასმით: როგორ უნდა განისაზღვროს ინტერვიუსთან, როგორც ჟანრთან. არსებით კოროლაციაში მყოფი **დიალოგური არქიტექსტი**?

3) მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ინტერვიუს ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის საბოლოო და არსებით მიზანს უნდა წარმოადგენდეს იმ კატეგორიულური დიადის ფუნქციური არსის ისეთი ექსპლიცირებული გამოვლენა, რომლის შედეგად უნდა გაიცეს პასუხი კითხვაზე: როგორ გამოიყურება ის „ფუნქციური მექანიზმი“, რომლის

საფუძველზე და რომლის მოქმედების შედეგად ხდება ინტერვიუს ჟანრობრივ მაკონსტიტუირებელ ნიშანთა მის ტექსტობრივ სივრცეში ტრანსპოზიცია? როგორც უკვე ვიცით, ინტერვიუს როგორც ჟანრის დიალოგურობა უნდა გავიგოთ როგორც ეპოქის დიალოგურობის ასახვა და რეალიზაციის ერთ-ერთი (სახელდობრ ჟურნალისტური) ასახვა. ლინგვოკულტუროლოგიურმა კვლევამ უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ ასახება ინტერვიუს ტექსტობრივ სივრცეში იგივე, ანუ ეპოქალური წარმოშობის დიალოგურობა.

ლიტერატურა

ჭეიშვილი, 2005 — ს. ჭეიშვილი, „სივრცის მეტაფორული ცნება და ინტერვიუს როგორც ჟურნალისტური ჟანრის კვლევის პერსპექტივები“, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის შრომები, ტ-V, 2005.

შიბაევა — Л. Шибеева. „Жанры в теории и практике журналистики (file://C:\internet\ Жанры в теории и практике Журналистики [Л. Шибеева.] htm.

ვორობევა, 1999 — С. В. Воробьева. Дефиниция, : Новейший философский словарь Минск, 1999.

სტრელკოვი, 1994 — В.И.Стрелков. Философия истории, : Философия (под редакцией В.П. Губинаб Т. Ю. Сидориной, В.Н.Филатова) Москва, 1997.

დესკაევა, 2004 — Л. Р. Дускаева. Диалогическая природа газетных речевых жанров, Санкт-Петербург, 2004. (file://C:\internet\ Диалогическая природа газетных речевых жанров)

SOPIO CHEISHVILI

**Epochal and Cultural Nature of the Informative Journalistic Genre
Interview and Linguo-Cultural Perspectives of its Research**

Summary

როინ ზიბაძე

The paper examines the relationship between the epochal and cultural nature of interview and its textual dimensions.

The aim of the paper is to reveal the functional mechanism that transposes the constituent features of the genre into textual.

**საერთო მისამართი წევრი პარატაქსულ
კონსტრუქციაში**

უაღრესად მნიშვნელოვანია მისამართი წევრის ფაქტორი პარატაქსული წინადადების სტრუქტურულ თავისებურებათა გამოსავლენებლად. განსაკუთრებით დიდია მისი როლი ისეთ პარატაქსული კონსტრუქციის წინადადებაში, სადაც იგი სემანტიკურად საერთო სიტყვაა, ხოლო ფუნქციურად — საერთო წევრი. გ. ბურჭულაძის აზრით, **მისამართი წევრი** „მარჯვე ტერმინია — ადეკვატურად ამსახველი იმ სინტაქსური დამოკიდებულებისა, რასაც ასეთი სიტყვა ავლენს სათანადო შემთხვევაში“ (ბურჭულაძე, 2003, 47). ჩვენ კიდევ უფრო მარჯვე ტერმინად მივიჩნით **„საერთო მისამართი წევრი**, ვინაიდან იგი მართლაც საერთოა პარატაქსული კონსტრუქციის პოლიპრედიკატული წინადადების ყველა ზმნა-შემასმენლისათვის.

ტრადიციულად ერთგვარშემასმენლიანადაა მიჩნეული შერწყმული წინადადება, სადაც რამდენიმე შემასმენელი სინტაქსურად უკავშირდება ერთსა და იმავე ქვემდებარეს. ასეთ შემთხვევაში ყურადღების გარეშე რჩება ზმნა-შემასმენლის მიმართება პირდაპირ და ირიბ დამატებასთან, რომლებიც ქვემდებარის თანაბარი სინტაქსური ძალის მთავარი წევრები არიან; ქართულში „სუბიექტი და ობიექტი არსებითად ერთნაირი სინტაქსური უფლებით სარგებლობს... დამატება ქვემდებარეს ეტოლება; ტრადიციული ტერმინი რომ ვიხმაროთ, დამატება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი კი არა, არამედ ისეთივე „მთავარი“ წევრია, როგორც ქვემდებარე“ (ჩიქობავა, 1941).

უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებში (ჭიკაძე, 1968; ჭიკაძე, 1976; ჭიკაძე, 1981) და რამდენიმე სტატიაში (ჭიკაძე, 1984) გამოვთქვით თვალსაზრისი, რომ, გამომდინარე ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმიდან, ერთგვარ შემასმენელთა მიმართება უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ საერთო ქვემდებარესთან, არამედ საერთო პირმიმართ დამატებასთან

მიმართებაშიც. ეს დებულება განავითარა გ. ბურჭულაძემ: „ქართულში შერწყმული წინადადების სახეობათა ტრადიციულ კლასიფიკაციაში ერთგვარ-შემასმენლიანი წინადადება განსახილველია არა მხოლოდ ერთ საერთო ქვემდებარესთან, არამედ ერთ საერთო პირდაპირ და ირიბ-დამატება ობიექტებთანაც“ (ბურჭულაძე, 1979, 150), რაც საესეებით მართებულად მიიჩნია ლ. ენუქიძემაც (ენუქიძე, 1987, 127). ეს თვალსაზრისი გაიზიარა ლ. კვაჭაძემ „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის“ 1988 წლის გამოცემაში, რაც კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატა ამავე წიგნის მეოთხე შეესებულ გამოცემაში: „აქ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით ფასეულია რ. ჭიკაძისა და გ. ბურჭულაძის გამოკვლევებში გატარებული თვალსაზრისი. ერთგვარ-შემასმენლიანი შერწყმულ წინადადებად, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ ისეთი შემთხვევები იყო მიჩნეული, როცა ქვემდებარეს ახლავს რამდენიმე შემასმენელი. დასახელებულ მკვლევართა აზრით, ერთგვარ შემასმენელთა მიმართება უნდა განიხილებოდეს არა მარტო ქვემდებარესთან დაკავშირებით, არამედ პირდაპირ და ირიბ დამატებებთან მიმართებითაც. ამ თვალსაზრისს იზიარებს ლ. ენუქიძე და ეს სათანადოდ არის გათვალისწინებული წინამდებარე შრომაშიც“ (კვაჭაძე, 1996, 376).

აღნიშნული საკითხები მონოგრაფიულად დამუშავდა და შეჯამებულია ჩვენს ნაშრომში „წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში“ (ჭიკაძე, 1995).

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ენაში კონსტრუქციას ქმნის ბრუნვათა თავისებურება სუბიექტისაც და ობიექტისაც“ (დავითიანი, 1973, 313), ისინი მხოლოდ სხვადასხვა კონსტრუქციის (ნომინატიური, ერგატიული, დატიური) თანამონაწილენი არიან და წინადადების აგებულებას ვერ ცვლიან, ამიტომაც პარატაქსული კონსტრუქციის პოლიპრედიკატულ წინადადებაში მისამართი წევრი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ოდენ ქვემდებარე, არამედ ოდენ ირიბი დამატება და ოდენ პირდაპირი დამატება; აგრეთვე ერთდროულად: ქვემდებარე და ირიბი დამატება; ქვემდებარე და პირდაპირი დამატება; ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება.

ასეთ შემთხვევაში იშლება ზღვარი ერთგვარ-შემასმენლიან და თანწყობილ წინადადებას შორის, ვინაიდან მათი სტრუქტურული აღნაგობა ეფუძნება პარატაქსულ კონსტრუქციას, მით უფრო, როდესაც მისამართი წევრი იგივე საერთო წევრია.

ე.წ. ერთგვარ-შემასმენლიან და რთულ თანწყობილ წინადადებათა სტრუქტურული იგივეობის ერთ-ერთი მძლავრი საფუძველია მისამართ წევრთან ზმნა-შემასმენელთა სინტაქსური ურთიერთობა, რასაც განაპირობებს ქართული ზმნა-შემასმენლის პოლიპერსონალიზმი. გ. ბურჭულაძისათვის „უბრიანია ასეთი წინადადების შერწყმულ წინადადებად მიჩნევა“ (ბურჭულაძე, 1979, 149); ლ. ენუქიძემ ამ ტიპის წინადადებები მიიჩნია „რთული თანწყობილი წინადადების ქვეტიპად, მის კერძო შემთხვევად“ (ენუქიძე, 1987, 127).

ლ. კვაჭაძისათვის „ერთგვარ-შემასმენლიანი შერწყმული წინადადება რთული თანწყობილი წინადადების შეკუმშული სახეა... იგი თანწყობილ-შემასმენლიანი წინადადებაა“ (კვაჭაძე, 1996, 377).


პარატაქსული კონსტრუქციის წინადადება განსაკუთრებით მონოლითურია, როდესაც მის ზმნა-შემასმენლებს მისამართ წევრად აქვთ საერთო წევრი; სწორედ ამის შესახებ მიუთითებდა აკაკი შანიძე ჯერ კიდევ 1950 წელს ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოში: „რთულ თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებულ მარტივ წინადადებებს შეიძლება რომელიმე წევრი საერთო ჰქონდეთ: „გეფხისტყაოსანი დაწერა რუსთაველმა XII საუკუნეში და პირველად დაბეჭდა ვახტანგ VI 1712 წელს“. ამ მაგალითში საერთო წევრია პირდაპირი დამატება („გეფხისტყაოსანი“), რომელიც ნაჩვენებია პირველ წინადადებაში, მაგრამ ის მეორეშიც იგულისხმება“ (შანიძე, 1950, 137).

ასე რომ, მიუხედავად თვალსაზრისთა მსგავსება-განსხვავებისა, მკვლევართა უმრავლესობა აღიარებს, რომ ერთგვარ შემასმენელთა სინტაქსური მიმართება უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ საერთო ქვემდებარესთან, არამედ საერთო პირმიმართ დამატებასთანაც, რომლებიც პარატაქსულ წინადადებაში ასრულებენ საერთო მისამართი წევრის ფუნქციას ცალ-ცალკეც და ერთდროულადაც. ჩვენთვისაც ეს კრიტერიუმი საყრდენი.

საერთო მისამართი წევრია ოდენ ქვემდებარე

მონოპერსონალურ ზმნა-შემასმენელთა მიმართება საერთო ქვემდებარესთან მარტივ სურათს იძლევა:


სტიან თავგები, **ფრინავენ**, **გარბიან** და **გამორბიან**, **ხმაურობენ** და **წრუწუნებენ** (რაზ.)




საერთო ქვემდებარე პოლიპერსონალურ ზმნა-შემასმენლებს შე-
საძლებელია დამატება-ობიექტები თავთავისი ჰქონდეს:

საერთო ქვემდებარე + თავთავისი პირდაპირი დამატება:

ყურშამ **გაიგო** პატრონის მოძრაობა, კული **გაიქნია** და სიამოვ-
ნებით ტუჩები **მოილოკა** (ყაზ.)




პირუტყვი წამდაუწუმ კულებს **იქნევდნენ** და **იგერიებდნენ** გა-
მაბეზრებელ მწერებს (**გოგ.**).




საერთო ქვემდებარე + თავთავისი პირდაპირი დამატება

ყველანი **გამოეთხოვნენ** მასპინძელს და **გაუდგნენ** თავ-თავიანთ
გზას (კლდ.)




მწყემსები ან განთიადს **მიეგებებოდნენ** და ან ჩამავალი მზის
შუქს **ესალმებოდნენ** (ყაზ.).




**საერთო ქვემდებარე + თავთავისი ირიბი და პირდაპირი და-
მატება**

ან **მოგიყვან** იმ ცხენს ან თავს **შევწირავ** შენს მეგობრობას
(წერ.).




საერთო მისამართი წევრია ოდენ ირიბი დამატება

გული **დაელანჯრათ** და მუხლი **მოეკვეთათ** ქართველებს (სა-
ნიკ.).




თორელს გატეხილი **გაუმთელდა**, დათეთქვილი **დაუამდა** და წყლულები **მოუშუშდა** (გრ. აბაშ.).




საერთო მისამართი წევრია ოდენ პირდაპირი დამატება

„ვეფხისტყაოსანი“ **დაწერა** რუსთაველმა XII საუკუნეში და პირველად **დაბეჭდა** ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს (ა. შან.).




ან ბრაზიანმა ძაღლმა არ **დაგგლიჯოს**, ან გველმა არ **დაგკბინოს** (აკაკი).




საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე და ირიბი დამატება

მაიორი ზაალს **მიუბრუნდა** და რუსულად **დაელაპარაკა** (ჯავ.).




მომვარდა სიცილით და **შემომენვია** (ს. კლდ.).




საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე და პირდაპირი დამატება

მწყემსებმა საქონელი ჩრდილოებიდან **წამოშალეს** და მინდვრად საძოვარზე **გარეკეს** (მგალ.).




მცხეთელებმა არსენას გვამი საკაცეზე **დადეს**, ბორანზე **დაასვენეს**, გაღმა **გაატანეს**, **გაჭბანეს**, **შესუდრეს** და სვეტიცხოველში **დაასვენეს** (მ. ჯავახ.).




საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება

ოძელაშვილმა სამადლოში დედაბერს საფქვავი **ჩამოართვა** და წისქვილში **წაუღო** (მ.ჯავახ.).



ამას წინათ რუსმა პოეტმა მას თავისი კომედიის რამდენიმე მონოლოგი **გადაუწერა** და **აჩუქა** (მ.ჯავახ.).



როგორც ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, „გვხვდება უფრო რთული შემთხვევებიც. მაგ: 1. [მე] დავაყენე ცხენი, ჩამოვიყვანე პეპია, გავუშალე ფარაჯა, დავუდე თავით უნაგირის ბალიში და დავაწვინე (ჭავ.); 2. [ელიზბარმა] ვილაც ჩანჩურა გლენს ნიკაპზე წითელი ძუა მიაკრა, თავპირი ინით შეუღება, თავზე ირანული გვირგვინი ჩამოაფხატა, ზაალის მამაბაპეული ირანული ხალათი ჩააცვა, პირში ორადლიანი ჩიბუჭი მისცა, ხელში ბატის ფრთა ჩასჩარა, ჯიბეში სიმინდი ჩაუყარა, აქლემზე უკუღმა შესვა, სოფლის დასავლელად წაიყვანა (ჯავ.).

პირველ წინადადებაში ქვემდებარეს ახლავს ხუთი შემასმენელი, მეორეში — ცხრა. ამათგან „ჩამოვიყვანე“ და „დავაწვინე“ ზმნა-შემასმენელთა საერთო, საზიარო წევრია პირდაპირი დამატება. „გავუშალე“ და „დავუდე“ ზმნა-შემასმენლებისა — ირიბი დამატება. მეორე წინადადებაში „შესვა“ და „წაიყვანა“ ზმნა-შემასმენელთა საერთო წევრია პირდაპირი დამატება. დანარჩენი შვიდისა — ირიბი დამატება“ (კვაჭაძე, 1996, .286-287).

ამრიგად, ჩვენ წარმოვადგინეთ პარატაქსული კონსტრუქციის წინადადებაში საერთო მისამართი წევრისა და ზმნა-შემასმენლების სინტაქსურ ურთიერთმიმართებათა კომბინაციების შესაძლო ვარიანტები; დადასტურდა, რომ პარატაქსული წინადადების სტრუქტურული თავისებურებანი განპირობებულია ქართული ზმნა-შემასმენლის პოლიპერსონალიზმით, რის საფუძველზეც პარატაქსულ კონსტრუქციაში საერთო მისამართი წევრი შეიძლება იყოს ოდენ ქვემდებარე, ოდენ ირიბი დამატება, ოდენ პირდაპირი დამატება, ანდა ერთდროულად — ქვემდებარე და პირმიმართი დამატება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით მართებულად მიგვაჩნია, რომ ე.წ. ერთგვარშემასმენლებისანი შერწყმული წინადადება განიხილებოდეს თანწყობილი წინადადების ერთ-ერთ სახედ; ფაქტობრივად იგი პარატაქსული კონსტრუქციის წინადადებაა.

ლიტმარატურა

ბურჭულაძე, 1979 — გ. ბურჭულაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ ქართულში, არნ. ჩიქობავას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ. 1979.

ბურჭულაძე, 2003 — გ. ბურჭულაძე, რეცენზია რ. ჭიკაძის ნაშრომზე „წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში“, ქესს, VIII, 2003.

დავითიანი, 1973 — აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ. 1973.

ენუქიძე, 1987 — ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ. 1987.

კვაჭაძე, 1988 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ. 1988.

კვაჭაძე, 1996 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეოთხე შევსებული გამოცემა, თბ. 1996.

შანიძე, 1950 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი მეორე, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII-VIII კლასებისათვის, თბ. 1950.

ჩიქობავა, 1941 — ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, საქართველოს სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი მეორე, № 2, თბ. 1941; გადმობეჭდილია მისივე შრომაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I, მეორე გამოცემა, თბ. 1968.

ჭიკაძე, 1968 — რ. ჭიკაძე, წინადადების აგებულების საკითხისათვის ქართულში ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების მაგალითზე, თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესიის თეზისები, 1968.

ჭიკაძე, 1981 — რ. ჭიკაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების თავისებურება ქართულში, თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის სამეცნიერო სესია, 1976.

ჭიკაძე, 1981 — რ. ჭიკაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების სტრუქტურა ქართულში, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კონფერენცია, თსუ, 1981.

ჭიკაძე, 1984 — რ. ჭიკაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების სტრუქტურული თავისებურება ქართულში, წერილების

კრებული — „ქართული ენა“, 1984.

ჭიკაძე, 1995 — რ. ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბ. 1995.

ROIN CHIKADZE

The Common Referred Member in Paratactic Constructions

Summary

Structural peculiarities of paratactic sentences are conditioned by the polypersonalism of the Georgian verb.

It has been stated that the common referred member in paratactic constructions can be either the subject, the direct object or the indirect object or simultaneously the subject and the referred object. Consequently it can be concluded that sentences with homogeneous predicates can be regarded as subtypes of a compound sentence.

ნატა ზილაუშვილი

ავტობიოგრაფიული თხრობა როგორც მნემური პროცესების ერთ-ერთი ასპექტის - მოგონების აქტუალიზაცია მხატვრულ ტექსტში

ავტობიოგრაფიული თხრობის გარკვეულ თავისებურებათა შესახებ აღრეც გვიმსჯელია (იხ. საენათმეცნიერო ძიებანი, XII) ფრაზული და ტექსტის მოდალობის ანალიზის მონაცემების (პერიფერიული და თემატური ეპითეტების ანალიზის) გათვალისწინებით. რადგან ავტობიოგრაფიული თხრობა მოგონებასთან არის დაკავშირებული, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა ეს ლინგვისტური მოვლენა ფსიქოლოგიასთან მიმართებაში განგვეხილა და მეტი სიცხადე შეგვეტანა ამ პრობლემის შესწავლისა და საკვლევი მასალის განზოგადების საქმეში.

დ. უზნაძე მოგონებას მნემური (მეხსიერებითი) პროცესების ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს. ამავე სახის პროცესებს მიეკუთვნება დავიწყებაც. მოგონებაზე მსჯელობის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დავიწყების მექანიზმიც — რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობთ დავიწყებაზე როგორც ჩვენი სისუსტის გამოვლენაზე, არამედ მხედველობაში გვაქვს დავიწყების დადებითი ღირებულება. მოგონების, ავტობიოგრაფიული თხრობის დროს დავიწყების დადებითი ღირებულებაა რეალიზებული — ადამიანს რაც არ სჭირდება, ივიწყებს და რაც საჭიროა და მნიშვნელოვანი მისი აზრით, იმ მოგონების აქტუალიზაციას ახდენს; რაც ღირებულება მისთვის (არა აქვს მნიშვნელობა დადებითი თუ უარყოფითია ეს მომენტები მის ცხოვრებაში), რაც რელევანტურია წარსულის ფაქტების გადმოცემის დროს. ამ შემთხვევაში, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, დავიწყებას ნამდვილი განტვირთვის მნიშვნელობა აქვს. ფროიდის აზრით, ჩვენი მისწრაფებები, სურვილები ცდილობენ განდევნონ ცნობიერებიდან ყველაფერი, რაც კი ეწინააღმდეგება მათ და, დავიწყებაც სწორედ

არაცნობიერად მიმდინარე პროცესის გამოვლენის ერთ-ერთი ფორ-
მაა. მაშასადამე, დავიწყების მექანიზმს სურვილი უდევს საფუძვლად,
სურვილი, რომელიც ადამიანში არაცნობიერადაა წარმოდგენილი
(უზნაძე, 1940, 319). მაგრამ ადამიანი ივიწყებს არა უსიამოვნო ფაქ-
ტებს, არამედ არარელევანტურს, არა არსებითს, მისთვის მინიმალურ
მნიშვნელობის მქონეს ან სრულიად უმნიშვნელო ხდომილებებს
მისი ცხოვრებიდან. მოგონება კი — წარსულის აწმყოში განგრძობის
არსებობაა; განცდასთან ერთად საკუთარი მე-ს განცდაც. მოგონებაში
ცენტრალური ადგილი სუბიექტს უკავია, მოგონება სუბიექტის გან-
ცდილი ისტორიაა; ამიტომ მას ისტორიულ მეხსიერებასაც უწოდებენ
(უზნაძე, 1940, 320). მოგონება შეიძლება სუბიექტის მიერ იქნეს
როგორც გარკვეული წარსული ფაქტების კონსტატაცია — ამ შე-
მთხვევაში სუბიექტურობის ინდექსი დაბალი იქნება, მაგრამ იმ მასა-
ლაში, რომელიც ჩვენ დავამუშავებთ (ირლანდიელი მწერალი ქალების
ავტობიოგრაფიული თხრობა, ე.წ. ავტობიოგრაფიებში („A Portrait of
the Artist as a Young Girl“) შემფასებლური (მოდალური) ელემენტები
მრავლადაა მოცემული, თანაც მოდალობის ორი სახის აქტუალიზა-
ცია ხდება ავტობიოგრაფიებში: ფრაზული მოდალობა, რაც ჩვენს საი-
ლუსტრაციო მასალაში პერიფერიული ეპითეტებით გამოიხატება და
ცალკეული მოვლენის, პიროვნების შეფასებას ახდენს და ტექსტის
მოდალობა, რომელიც თემატური ეპითეტითაა გამოხატული და მთე-
ლი ბავშვობისდროინდელი ცხოვრების გლობალურ შეფასებას ახ-
დენს. აქ ალბათ უნდა დაისვას — საკითხი, რომელიც ძალიან ძნელი
დასადგენია; რომელი შეფასებაა ობიექტურობასთან უფრო მიახლოე-
ბული: ის, რომელიც ცალკეული მოვლენის შეფასებას ახდენს ტექ-
სტის სიუჟეტურ ხაზზე თუ ის, რომელიც „გარედან“, სიუჟეტიდან
ამოვარდნილი დროიდანაა ათვლილი და განზოგადებული? ამ კითხვა-
ზე პასუხის გაცემა არა მგონია ვინმეს გაუადვილდეს, მათ შორის,
მეც. შეიძლება სხვაგვარად დავსვათ კითხვა: რომელი შეფასებაა უფ-
რო ობიექტური — მყისიერი, ე. ი. ხდომილების დროში რეალიზებუ-
ლი, თუ ხდომილების დროიდან დაშორებული? ერთი კი შეიძლება
ითქვას, რომ პირველი გრძნობადია, მეორე — განსჯადი, პირველი —
მყისიერი რეაქცია, მეორე — დროში გაწეილი, „დაგვიანებული“. ეს
უკანასკნელი დაყოფა დროულ კრიტერიუმს ეყრდნობა და ამ საკი-
თხის განხილვა „ენათმეცნიერების საკითხებში“ გვაქვს გამოქვეყნებუ-
ლი (ენათმეცნიერების საკითხები, 2004). დასახელებულ სტატიაში

შემფასებლური ლექსიკა სიუჟეტური დროისა და მთხრობელის ფუნ-
ქციონალური დატვირთულობის გათვალისწინებით იყო განხილული.
აქ წარმოდგენილ სტატიაში მოგონებას დროულ კოორდინატებთან
მიმართებაში განვიხილავთ. მთხრობელი სუბიექტი მოგონების წარმო-
დგენას წარსულში ათავსებს. ამ პროცესს დ. უზნაძე მოგონების ტემ-
პორალიზაციას უწოდებს. მოგონების აუცილებელ შემადგენელ ნა-
წილს ობიექტური ხდომილება შეადგენს. ვფიქრობთ, არსად არ არის
ნამყო და აწმყო ისე მჭიდრო ურთიერმიმართებაში, როგორც მოგო-
ნებაში. მოგონება წარსული განცდების აწმყოში განახლებაა, რომელ-
საც ხშირ შემთხვევაში — მთხრობელი სუბიექტის მხრიდან (როგორც
ეს ჩვენ მიერ დამუშავებულ „ავტობიოგრაფიებშია“) შეფასებაც თან
სდევს. ეს შეფასება, რომელსაც ჩვენ პირობითად თემატური (ანუ
ტექსტობრივი) ვუწოდებთ, არც თუ იშვიათად განსხვავებულია პერი-
ფერიული (ფრაზული) შეფასებისაგან. მაშასადამე, მოგონება არ
წარმოდგენს ჩვენი წარსული განცდების „სარკისებურ ასახვას“, მათ
უბრალო გამეორებას, არამედ აწმყოს ათვლის წერტილიდან, თხრო-
ბის დროიდან „ინტერპრეტირებული“ წარსულის მოვლენების ასახ-
ვას. ამ მოვლენას სწორედ თემატური ეპითეტების არსებობა ადას-
ტურებს. აწმყოს ინტერესების გავლენით შესაძლოა მოგონებათა სუ-
ბიექტური ინტერპრეტაცია განსხვავებულად წარმოდგეს. თუ აწმყო
უინტერესოა, ნაირგვარი პრობლემებით დატვირთული, მაშინ ადამი-
ანი წარსულისადმი პოზიტიურ მიდრეკილებას გრძნობს; განსაკუთრე-
ბით ხანში შესულ ადამიანებს ძველი ყველაფერი უკეთესად ეჩვენე-
ბათ, ვიდრე ახალი; ახალში ცხოვრების გაუარესებას ხედავენ. მაგრამ
თუ აწმყო წარმატებულია (როგორც ჩვენ მიერ გაანალიზებულ ავ-
ტობიოგრაფიებშია), მთხრობელი (ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში)
ხალისით იგონებს წარსულს და თავისი ბავშვობის დროინდელ მძიმე
მომენტებსაც კი თხრობის დასკვნითი ნაწილი „გადაფარავს“ და ბედ-
ნიერი აწმყოს განცდა წარსულის უსიამოვნო მოვლენებს „აბათი-
ლებს“; საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სხვადასხვა ავტობიოგრაფიული
პერიფერიულ უარყოფით ეპითეტებს — **a bitter disappointment, particu-
lar tortures, a real thorn into the flesh, a dreadful chore, absolute torture, ante-
diluvian lines, an egotistical man** და ა.შ. ამ უარყოფითი სემანტიკის პე-
რიფერიული ეპითეტებით დახასიათებული წარსულის მოგონება
თითქმის ყველა ავტობიოგრაფიულ (გარდა მოლი კინისა) მაჟორული
აკორდით მთავრდება: **I was extraordinarylucky; I have nothing but good**

memories; I had a wonderful childhood; my parents gave me a sense of my own importance; life had been full of glory and full of sun; my childhood was sheltered and secure; my childhood was idyllic in America, and in Ireland it was great fun; by and large, my childhood was a happy one; on the whole I was happy; my childhood has not ended yet; there were marvelous things in my childhood. რაც შეეხება ზემოხსენებულ მოლი კინს, იგი ორმაგ შეფასებას აძლევს ბავშვობას; „Overall my childhood was far from idyllic. There were marvelous moments, but there were also long, long periods of boredom”. პერიფერიული მოდალობის და თემატური მოდალობის დეტალური შეპირისპირებითი ანალიზი მოცემულია სადისერტაციო ნაშრომში; სამეცნიერო სტატიაში ამ დეტალური ანალიზის აღწერა არ მივიჩნით მიზანშეწონილად. დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ავტობიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებს საფუძვლად უდევს მნემური (მეხსიერებითი) პროცესების ერთ-ერთი ასპექტი — მოგონება, რომელიც ამ პროცესების სხვა ასპექტსაც — დავიწყებასაც გულისხმობს. დავიწყების საფუძველი არ არის უსიამოვნო ხდომილებების ამოღება ცნობიერებიდან, არამედ არაარსებითი, უმნიშვნელო ფაქტების მეხსიერების მიღმა დატოვება. ამასთანავე, წარსულის ფაქტების შეფასება პერიფერიული ეპითეტებით, როგორც წესი, სრულად არ ემთხვევა ტექსტობრივ მოდალობას და ჩვენ მიერ განხილულ „ავტობიოგრაფიულ ტექსტებში“, ხდომილების დადებითი და უარყოფითი შეფასება (თანადროული ამ ხდომილებისა) არ განსაზღვრავს ტექსტობრივ მოდალობას, რომელიც სიუჟეტის მიღმა რეალიზებულ შეფასებას წარმოადგენს.

ლიტერატურა

A Portrait of the Artist as a Young Girl, 1957 — A Portrait of the Artist as a Young Girl, edited by G. Quinn, Woman's Journal, Great Britain, 1957.

ენუქიძე, ჭილაშვილი, 2004 — რ. ენუქიძე, ნ. ჭილაშვილი, სიუჟეტური დროისა და მთხრობელის დროის ფუნქციონალური დატვირთულობა შემფასებლური ლექსიკის აქტუალიზაციის პროცესში. — ენათმეცნიერების საკითხები, 2004.

უზნაძე, 1940 — დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1940.

ჭილაშვილი, 2002 — ნ. ჭილაშვილი, მოდალობის გამოხატვის ზოგიერთი საშუალების შესახებ ავტობიოგრაფიულ ჟანრში. საენათმეცნიერო ძიებანი XII, გამომცემლობა „ქართული ენა“, 2004.

NATA CHILASHVILI

Autobiographic Narration as the Actualization of the Memory Process in Fiction Summary

Since autobiographic narration is closely connected with memory, we think it reasonable to consider this phenomenon as related to psychology. In psychology, memory always implies another aspect of the process – forgetting. One forgets not only unpleasant moments of one's life, but moments that are irrelevant and of petty importance. This consideration finds its proof in "A Portrait of the Artist as a Young Girl" by Irish women writers. In their narration the happenings of their childhood are evaluated by epithets of peripheral (phrasal) modality, whereas the global evaluation is realized by textual modality viz. by thematic epithets. In most cases, simultaneous evaluation of happenings (negative and positive) is dominated by a positive modality, which is the evaluation beyond the subject line.

ცირა ჰაუნის

ფრაზული ზმნების სტრუქტურული თავისებურებანი

ინგლისურ ენაში ფრაზული ზმნები, რომლებიც სასაუბრო მეტყველების ერთ-ერთი დამახასიათებელი და ფართოდ გავრცელებული კომპონენტებია, გარკვეული სემანტიკური და სტრუქტურული თავისებურებებით გამოირჩევა.

ფრაზული ზმნა ზმნის ისეთი ტიპია, რომელიც ქმნის არა ცალკეულ სიტყვას, არამედ გარკვეულ ფრაზას, რის გამოც ენის ამ თავისებურ ერთეულს სხვადასხვა ტერმინს უწოდებენ; ესენია: რთული ზმნა, ზმნურ-ადვერბიალური კომბინაცია, ზმნურ-ნაწილაკიანი კონსტრუქცია, ორნაწილიანი სიტყვა/ზმნა, მრავალსიტყვიანი ზმნა და ა.შ. ფრაზული ზმნა შედგება ზმნის, უმეტესად ერთმარცვლიანი ზმნისა, რომელიც აღნიშნავს მოქმედებას ან მოძრაობას, როგორცაა: **go, put, take** და ერთი ან მეტი ნაწილაკისაგან. ნაწილაკი შეიძლება იყოს ზმნიზედა ან წინდებული, ან სიტყვა, რომელიც გამოხატავს ზმნიზედას ან წინდებულს.

ბარბარა შტრანგი ერთზე მეტსიტყვიან ზმნებში გამოყოფს სამ სხვადასხვა ტიპს. პირველი — წინდებულიანი ზმნა, რომელიც შედგება თვით ზმნისა და წინდებულისაგან, მეორე — ფრაზული ზმნა, რომელიც შედგება ზმნისა და ნაწილაკისაგან (**particle**) ხოლო ეს ნაწილაკი შეიძლება იყოს ან წინდებული ან ზმნიზედა და მესამე — წინდებულიანი ფრაზული ზმნა. (ბოლინგერი, 1971, 1).

აღნიშნული ტიპები შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. წინდებულიანი ზმნა, თუ ის გარდამავალია, მოქმედებითი გვარისაა და მას აუცილებლად უნდა ახლდეს ობიექტი: **I took to him at once.**

ანალოგიური შესიტყვება **verb+particle** შეიძლება იყოს გარდამავალიცა და გარდაუვალიც და თუ გვაქვს მასთან შეწყობილი ობიექტი, ის თავსდება ზმნასა და ნაწილაკს შორის:

I took it to them -- or -- I took the case to him

2. ფრაზული ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალიც და გარდაუვალიც. შეიძლება გამოვყოთ მისი ოთხი დამახასიათებელი თვისება:

ა) ობიექტის (დამატების) ადგილი. თუ ობიექტი ნაცვალსახელია, იგი ზმნასა და ნაწილაკს შორის თავსდება, ხოლო თუ სახელია, იღებს პოსტპოზიციურ მდგომარეობას:

He turned the light off

He turned off the light

He turned off the road (it)

მაგრამ არ შეიძლება:

He turned the road off

ბ) მახვილი. ნაწილაკი მახვილიანია, ხოლო სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივ უმახვილო:

He can not be taken in at any price

(**It cannot be taken in large doses --** ეს კონტრასტი შეიძლება გამოჩნდეს მხოლოდ წინდებულთან, როგორც კომპონენტთან).

გ) ინტონაცია. ნაწილაკის ინტონაცია დინამიკურია, თუმცა მოძრაობის მიმართულება განსხვავდება კონტექსტის მიხედვით; თუ ნაწილაკი ცალკეული ელემენტია ან წინდებულიანი ზმნის ნაწილი, ჩვეულებრივ წარმოითქმება თანაბარი ტონით, განსაკუთრებით პრეპოზიციულ სიტუაციებში:

He cannot be taken in (falling contour, 2-4, on, in).

დ) ზმნიზედები. ზმნიზედა ვერ მოთავსდება ფრაზული ზმნის კომპონენტებს შორის, როგორც ეს შესაძლებელია ვერბ + პრეპოზიტიონ/ადვერბ კონსტრუქციებში:

He turned off the street suddenly

He turned off the light suddenly

He turned suddenly off the road

შემოთ მოყვანილი ყველა ვარიანტი დასაშვებია, მაგრამ ანალოგიური მაგალითები, როგორცაა — **He turned suddenly off the light** - არ შეიძლება შეგვხვდეს.

3. წინდებულიანი ფრაზული ზმნა შედგება ზმნისა და ორი ნაწილაკისაგან, რომელთა კომპონენტების გადასმა და გახლეჩა ზოგჯერ დაუშვებელია:

I cannot put up with it any longer

ზმნასა და ნაწილაკს, ან ნაწილაკსა და წინდებულს შორის არ

შეიძლება ჩავსვათ სუბსტანციური სიტყვაფორმები (noun phrase):

John gets away with murder (it) all the time

* John gets murder (it) away with all the time

* John gets away murder (it) with all the time

წინდებულიანი ფრაზული ზმნის ნაწილაკსა და წინდებულს შორის შეიძლება ჩაისვას მხოლოდ ზმნიზედა ან ზმნიზედური სიტყვაფორმა;

I have not kept up fully with the work.

My father has cut down almost completely on his smoking.

ფრაზული ზმნები შეიძლება დავყოთ განმყოფად და განუყოფელ ფრაზულ ზმნებად. თუ ფრაზული ზმნა განმყოფადია, მისი გაცალკეება შეიძლება, თუ პირდაპირი დამატება არის ნაცვალსახელი, ხოლო თუ ნაწილაკი განუყოფელია, მაშინ არცერთ სიტუაციაში არ არის დასაშვები ზმნისა და ნაწილაკის დაშორება.

გაყოფადი ფრაზული ზმნები:

(separable phrasal verbs)

kate threw away the umbrella

* Kate threw away it

Kate threw the umbrella away

Kate trew it away

We looked up the information

* We looked up it

We looked the information up

We looked it up

განუყოფელი ფრაზული ზმნები:

(inseparable phrasal verbs)

I came across an interesting article

I came across it

* I came an interesting article across

* I came it across

She ran into an old friend

She ran into him

* She ran an old friend into

* She ran him into

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს რაიმე გარკვეული წესი, რომლის თანახმადაც დავადგენთ, თუ რომელი ფრაზული ზმნაა განმყოფადი და რომელი განუყოფელი; მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ უმეტესობა ფრაზული ზმნებისა არის გარდამავალი და განმყოფადი, სადაც ნაწილაკი შეიძლება გამოეყოს ზმნას, თუ პირდაპირი დამატება გამოხატულია არსებითი სახელით და აუცილებლად უნდა გამოეყოს, თუ ის ნაცვალსახელია.

შეიძლება გამოვყოთ ისეთი ფრაზული ზმნები, რომლებიც ყოველთვის განმყოფადია:

How can I get the message (it) through to him?

*How can I get through the message to him?

We will see this ordeal (it) through together

*we will see through this ordeal together

შესაძლოა, ამ აუცილებელი გაყოფის მიზეზი ის არის, რომ არ წავაწყდეთ წინააღმდეგობას იმავე ფორმის მქონე განუყოფელ ფრაზულ ზმნებთან:

Get through the lesson (finish)

See through his disguise (not be deceived by)

ენაში ძალიან ცოტაა ისეთი კატეგორიის ფრაზული ზმნების რაოდენობა, სადაც ზმნისა და ნაწილაკის გაყოფა აუცილებელია.

ფრაზული ზმნები უნდა განვასხვაოთ წინდებულიანი ზმნებისაგან. ერთ-ერთი განმასხვავებელი საფუძველი გახლავთ ნაწილაკისა და წინდებულის გადმოტანა სპეციალურ კითხვებში. თუ ეს ტრანსფორმაცია შესაძლებელია, მაშინ საქმე გვაქვს წინდებულიან ზმნებთან, და არა ფრაზულ ზმნებთან.

She looked at the blackboard

At what did shi look?

Make up არის განმყოფელი ფრაზული ზმნა, თუმცა სპეციალურ კითხვაში ნაწილაკის გადმოტანა შეუძლებელია:

John made up the incident (it up)

* Up what did John make

ასევე შეუძლებელია ნაწილაკის გადმოტანა განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში, მაშინ როდესაც თავისუფლად შეიძლება ადგილი შევუცვალოთ წინდებულს.

The picture at which she looked reminded her of her childhood home.

წინდებულის გადანაცვლებით საკმაოდ ფორმალურ, მაგრამ მართებულ გრამატიკულ სტრუქტურას ვიღებთ, რაც დასაშვები არ არის ფრაზული ზმნების შემთხვევაში.

The incident up which John made was not true.

და ბოლოს, ზმნისა და წინდებულს შორის შეიძლება ჩავსვათ ზმნიზედა, მაგრამ ის ვერ მოთავსდება ფრაზული ზმნების კომპონენტებს შორის, რადგანაც მივიღებთ გრამატიკულად გაუმართავ წინადადებას:

she looked quickly at the picture

* John made quickly up the incident.

აი, ამ ბოლო განმასხვავებელ ფაქტორთან ვაწყდებით გარკვეულ

აზრთა სხვადასხვაობას მეცნიერთა შორის: ანუ შეიძლება თუ არა ზმნიზედა მოთავსდეს განუყოფელი ფრაზული ზმნის კომპონენტებს შორის. **verb + preposition** კომბინაციებში ელემენტთა დაშორება ბევრად უფრო გარკვეული და მისაღებია, ვიდრე **verb +particle** კონსტრუქციებში. ზოგი თვლის, რომ ფრაზული ზმნის ელემენტთა ამგვარი დაყოფა გვაძლევს უშინაარსო და გრამატიკულად გაუმართავ წინადადებებს, ზოგი კი არ აღიარებს წინადადების სტრუქტურის დარღვევას.

გვაქვს შემთხვევები, როდესაც ფრაზული ზმნის კომპონენტები შეიძლება ან გაიყოს ან არა. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ზმნა და ნაწილაკი იმ შემთხვევაში შეიძლება დავაშოროთ, როცა ობიექტით გადმოცემული ინფორმაცია ძველია ან უკვე ნახსენები და დამკვიდრებული, როგორც დისკურსის ნაწილი და ეს ინფორმაცია ხშირად გადმოცემულია ნაცვალსახელით:

George turned the light (it) off.

ხოლო თუ ობიექტით გადმოცემული ინფორმაცია ახალია, მაშინ ზმნა და ნაწილაკი განუყოფელი რჩება.

ერთ-ერთი მეცნიერის Ulm-ის მტკიცებებმა უფრო და უფრო შეზღუდეს ზემოთ მოყვანილი ვერსია. მან აღმოაჩინა ბევრი თეორიულად განმყოფადი ზმნები, რომლებიც მეტყველებაში გამოყენებისას იშვიათად იყოფიან, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ობიექტი ნაცვალსახელითაა გამოხატული. (შროკა, 1972, 6) Ulm-ის ვერსია საკმაოდ საინტერესო და მისაღებია — თუ პირდაპირი დამატება ფონოლოგიურად გრძელია და გრამატიკულად რთული, მაშინ ნაწილაკი აუცილებლად თან უნდა ახლდეს ზმნას:

The president called the undersecretary of the interior up

The president called up the under secretary of the interior

ამგვარად, რაც უფრო მოკლე და მარტივია პირდაპირი დამატება, მით უფრო მისაღები და შესაფერისია ზმნისა და ნაწილაკის გაყოფა.

ლიტერატურა

The Grammar Book – A ESL/EFL Teacher’s course,

Marianne Celce-Murcia; University of California, 1999.

A student’s Grammar of the English Language- S. Greenbaum. 1995.

კრისტალი, 1995 — David Crystal –Cambridge Encyclopedia of the English Language. Cambridge/New York, Cambridge University Press., 1995.

Longman Dictionary of Phrasal Verbs – Countney, Rosemary. New York., Longman, 1983.1971

ბოლინგერი, — Bolinger, Dwight, The Phrasal Verrb in English. Cambridge., Harvard University Press, 1971.

შროკა, 1972 — Kazimierz A Sroka. The Syntax of English Phrasal verbs. Mouton., 1972.

TSIRA CHKONIA

Somes Structural Peculiarities of Phrasal Verbs

Summary

English phrasal verbs constitute one of the most distinctive and creative features of the English language. The phrasal verb consists of a verb, usually a monosyllabic verb of action or movement such as: go, put, take and one or more particles. The particle may be an adverb, a preposition, or a word that can act as either an adverb or a preposition.

One of the syntactic distinctions peculiar to phrasal verbs is that it is important to determine whether the particle of the phrasal verb is separable or inseparable. If the particle is separable, separation is obligatory when the direct object is a pronoun. If the particle is inseparable, there is no separation of the verb and particle under any circumstances.

The reason for the obligatory separation is presumably to avoid confusion with inseparable phrasal verbs that have the same form but different meanings.

Some scholars argue that the verb and particle are split when the information in the object-noun phrase is the given, i. e. it has already been mentioned the given information is often pronominalized, but the verb and particle are not split when the object contains new information.

თაგარ ჯაფარიძე

**პოსტმოდერნისტული დრამა
(ტომ სტობარდის პიესის „როზენკრანცი და
გილდენსტერნი მკვდარნი არიან“ მასალაზე)**

„პოსტმოდერნიზმი“ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური ცნების აღმნიშვნელი ტერმინია. მან, პრაქტიკულად, ადამიანური აქტივობისა და აზროვნების თითქმის ყველა სფეროში იჩინა თავი — სახვით ხელოვნებაში, არქიტექტურაში, ლიტერატურულ კრიტიკაში, ლინგვისტიკაში, ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, ისტორიაში, კულტუროლოგიაში და, ასე განსაჯეთ, ეკონომიკასა და პოლიტიკაშიც. ამ ცნების სირთულე და ბუნდოვანება კი იმიტომ პირობადებული, რომ ყველა ზემოაღნიშნულ სფეროსა და კონტექსტში იგი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა შინაარსის მატარებელია.

არქიტექტურის ცნობილი კრიტიკოსი ჩარლზ ჯენსკი, რომლის სახელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პოსტმოდერნიზმთან, ამბობს: „კითხვაზე — რა არის პოსტმოდერნიზმი? გარკვეული პასუხი არ შეიძლება არსებობდეს, რადგანაც ეს ცნება (და ის ეპოქა, რომლის მიმართაც მას იყენებდენ — თ. ჯ.) ჯერ კიდევ არაა ამოწურული“ (ჯენსკი, 1986) მიუხედავად ამისა, ცნების ირგვლივ გამართულ 40-წლიან დებატებში. თეორეტიკოსთა მეტი წილი მაინც შეთანხმდა, რომ პოსტმოდერნიზმი იმ ახალი სოციალური და ეკონომიკური ფორმაციის შედეგია, რომელიც მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იღებს სათავეს და საგრძნობ ცვლილებებს იწვევს აზროვნებასა და კულტურაში (ბელი, 1973; ტურინი, 1974). ესაა აქამდე არსებულ ფასეულობათა და ჭეშმარიტებათა სრული რევიზიისა და ახლებურად გადაზარების ხანა, როდესაც საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ცხოვრებაში არაფერია „ბუნებრივი“ და „თავსითავადი“, რომ ყველაფერი პირობითი და ხელოვნურად შექმნილია წინასწარ განსაზღვრული მიზნით; ეს არის ეპოქა, რომელშიც ადამიანები კი აღარ „ტყუვდებიან“ (მაგალითად, სხვადასხვა ტიპის იდეოლოგიური პროპაგანდის შედეგად), არამედ

შეგნებულად „იტყუებენ თავს“ (ნოკოლი, 2002).

ასეთი განწყობა, ბუნებრივია, თანამედროვე ცხოვრების წესითაა ნაკარნახევი. მაგალითად, მომხმარებელმა მშვენივრად იცის, რომ რეკლამირებული პროდუქცია სულაც არაა ყველა იმ თვისების მატარებელი, რომელსაც რეკლამა ეფექტურად წარმოაჩენს, მაგრამ პროდუქციას მაინც ყიდულობს: ადამიანებს კარგახანია გაუქრათ ილუზია, თითქოს პოლიტიკოსები მუდამ სიმართლეს ამბობენ, მაგრამ ისინი მათ მაინც აძლევენ ხმას; ჩვენ ისიც ვიცით, რომ მიმოქცევაში არსებული კუპონები ფარატინა ქალაქებია, მაგრამ მათ „ფულს“ ვუწოდებთ და ხშირ-ხშირად გადავითვლით ხოლმე (ბოლოდროს კი სულაც პლასტიკურ ბარათებზე გადავდივით, რამაც გადათვლის სიამოვნებაც მოგვაკლო). სხვა სიტყვებით, თანამედროვე საზოგადოება პირობითი სიმბოლოებით, მეტაფორებით, მეტონიმებით, პარადოქსებით და აბსურდიზმებით აზროვნებას შეეჩვია და მისი განწყობა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ირონიული ხასიათისა გახდა. თავად ირონია, როგორც სტილური ხერხი, ორგვარია — სიტყვის დონეზე (როდესაც ამბობ ერთს და გულისხმობ სრულიად საპირისპიროს) და კონტექსტის დონეზე (როდესაც შეუსაბამო ანდა აბსურდული კონტექსტი ანიჭებს სიტყვებს ირონიულ ჟღერადობას). ასე თუ ისე, აღმოჩნდა, რომ თავად სიტყვებს (რომლებიც, თავის მხრივ, პირობითი ნიშნებია) საერთოდ აღარ გააჩნია მყარი მნიშვნელობები (თუკი მათ საერთოდ აქვთ რაიმე მნიშვნელობა) და რომ ისინი ნებისმიერ შინაარსობრივ ვარიანტს ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ჩვენთვის ნაცნობი სიტყვითა თუ შესიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია სრულიად ახალი აზრი გამოვხატოთ და სრულიად სხვა ტიპის შეტყობინება გადავცეთ ადრესატს. მაშ, რაღა საჭიროა ახალი ტექსტების შექმნა, თუკი ძველითაც შეგვიძლია ახალი აზრის გამოხატვა? მთავარია მათი ისეთ კონტექსტში ჩასმა, რომელიც ამ ახალ აზრსა და შინაარს მარჯვედ წარმოაჩენს.

ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის ზღვრის გაფერმკრთალებას ახალმა ტექნიკურმა და სამეცნიერო მიღწევებმაც შეუწყო ხელი. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ორიგინალს ასლისაგან ველარ გააჩვენებ, ვერც ნამდვილ არსებას გააჩვენებ კლონირებული საგან. უფრო მეტიც, მოისპო ჩვენი ფიზიკური არსებობისათვის აუცილებელი დროით-სივრცობრივი კატეგორიები (კომპიუტერისა და ინტერნეტის საშუალებით შესაძლოა რაკეტა მთვარეზე საკუთარი ოფისიდან

გაუსვლელად დასვა, საათობით ეჭორაო ქვეყნის დასალიერს მცხოვრებ ადამიანს, ინადირო დინოზავრებზე, ჭადრაკის პარტია ითამაშო ე. წ. გარდაცვლილ გროსმეისტერთან, ანდა „ახლომეგობრული კავშირი“ დაამყარო არარსებულ, ვირტუალურ არსებთან). ავიღოთ, თუნდაც, ტელემაუწყებლობა — რა სხვაობაა დოკუმენტურ კადრებსა და მხატვრულ ფილმებს შორის? ჩვენ ხომ ერთგვაროვანი ემოციით ვუყურებთ „კატასტროფათა ჟანრის“ ფილმებს და ქარიშხლებითა და წყალდიდობებით განადგურებული ადგილების ამსახველ რეალურ კადრებს? ამრიგად, როგორც პოსტმოდერნიზმის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — თეორეტიკოსი ბოდრიარი ამბობს, „პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ცხოვრება ნიშნავს რეალობა სიყალბედ წარმოდგინო და სიყალბე — რეალობად“ (ბოდრიარი, 1993), რადგანაც ზღვარი მათ შორის, პარქტიკულად, აღარ არსებობს; ზუსტად ისევე, როგორც აღარ არსებობს ზღვარი თვით ყოფნასა და არყოფნას შორის.

ტომ სტოპარდი — „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“

თუკი ზოგადად მხატვრული ლიტერატურის არსი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის (ან ასპექტების) მხატვრულად გადააზრებაა, ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი — დრამა (როგორც შექსპირი შენიშნავს) — ამ ცხოვრების „უშუალოდ ამსახველი სარკეა“. ამიტომ, საესებით ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნულმა ტენდენციებმა და განწყობამ, პირველ ყოვლისა, სწორედ პოსტმოდერნისტულ დრამაში ჰპოვა ცხოველი გამოხატულება. აღნიშნულის დასტურსაყოფად მოვიშველიოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დრამატურგის, ტომ სტოპარდის ნაწარმოები „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“, რომელიც ავტორის წარმატებული დრამატურგიული დებიუტი იყო და, შეიძლება ითქვას, მისი შემდგომი აღიარების მყარი საწინააღმდეგო გახდა.

ჰაროლდ პინტერისა არ იყოს, თავდაპირველად ტომ სტოპარდიც აბსურდისტად, სახელდობრ კი, ბეკეტის მიმდევრად და მიმბაძველად ჩათვალეს; უფრო მეტიც, 1966 წელს დაწერილი ზემოაღნიშნული პიესა, მიუხედავად მისი უზომო წარმატებისა, თეატრალურმა კრიტიკამ იმ „თეატრალურ პარაზიტად“ აღიარა, რომელიც იკვებებოდა შექსპირის „ჰამლეტით“ (რომელსაც გმირებს დაესესხა). ბეკეტის „გო-

დოს მოლოდინით“ (რომლის ტონსაც იმეორებს) და პირანდელოს „ავტორის მიძიებელი ექვსი პერსონაჟით“ (მსგავსი დრამატურგიული ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით). მოგვიანებით ისიც აღმოაჩინეს, რომ სტოპარდისეული პოეტიკა ოსკარ უაილდის მახვილსიტყვაობისა და პარადოქსებისა და ბერნარდ შოს ინტელექტუალიზმის პირდაპირი მემკვიდრე უნდა ყოფილიყო.

გამოხდა ხანი ჩაცხა ვენებები, გაიარა სკანდალური მოულოდნელობით გამოწვეულმა შოკმა და სრულიად ცხადი გახდა, რომ ტომ სტოპარდი ჭეშმარიტი პოსტმოდერნისტული სულისკვეთებით განმსჭვალული დრამატურგია, ხოლო მისი პაროდული ხასიათის პიესა „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“ — ამ სულისკვეთების ნამდვილი აპოთეოზი.

ის, რაც თეატრალურმა კრიტიკამ, თავის დროზე, „პარაზიტობად“ მონათლა, პოსტმოდერნისტული ეპოქის ზემოაღნიშნული არსის გახსენებისთანავე იდეალურ მხატვრულ ხერხად მოგვევლინება: არსებულის პაროდირება, უკვე ნათქვამისა და მოყოლილის ხელმეორედ, სხვა კონტექსტში ჩასმა და მისი ირონიულად გადააზრება, ყოფნა-არყოფნის, რეალობასა და წარმოსახვას, ჭეშმარიტებასა და პირობითობას შორის ზღვრის წაშლა და დროით-სივრცობრივი კატეგორიების სრული ნიველირება — ეს ყოველივე სწორედ ისაა, რასაც პიესა წარმოაჩენს და რასაც, თავის მხრივ, პოსტმოდერნიზმის აშკარა მანიფესტაცია შეიძლება ვუწოდოთ.

პიესის სათაური — როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან — შექსპირის „ჰამლეტიდან“ აღებული ციტატაა და იმთავითვე მიგვანიშნებს, რომ დანიის კარზე დატრიალებული ტრაგედია შექსპირის პიესის ამ ორი, უმნიშვნელო, „აწ გარდაცვლილი“ (მაგრამ უკვდავი ტრაგედიის წყალობით მარად ცოცხალი) პერსონაჟის პოზიციიდან, სრულიად ახალი კუთხით იქნება დანახული და გადააზრებული. თავად პერსონაჟების ხანმოკლე „სცენური ცხოვრება“ და მათი როლის „ეპიზოდური დანიშნულება“ სტოპარდის პიესის ერთ მკირე ზომის რეპლიკაშია ჩატყული:

„Rosencrantz: We, Rosencrantz and Guildenstern, from our young days brought up with prince, awakened by a man standing on his saddle, are summoned, and arrive, and are instructed to glean what afflicts him and draw him on to pleasures, such as a play,

which, unfortunately, as it turns out, is abandoned in some confusion owing to certain nuances outside our appreciation — which, among other causes, results in a high homicidal excitement in Hamlet, whom we are escorting, for his own good, to England“.

(ტ. სტოპარდი, „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარი არიან“, გვ. 20).

პიესის მთავარი გმირები იმით არიან აღსანიშნავნი, რომ მათი ერთიმეორისაგან გარჩევა არც სხვებს ძალუძთ და, დროთა განმავლობაში, თავადაც უძნელდებათ. საქმე ისაა, რომ მეტად გამჭირახი თავლისა და გონების მქონე ახალგაზრდა სტოპარდმა არა მხოლოდ ის „დაიხვია ხელზე“, რომ „ჰამლეტში“ ამ ორი პერსონაჟის სიკვდილი აბსურდული შემთხვევითობაა ყველა სხვა სიკვდილთან შედარებით, არამედ ოსტატურად „ჩაავლო“ შექსპირის ტექსტის იმ ეპიზოდს, როდესაც მეფე-დედოფალი სხვადასხვა თანამიმდევრობით მიმართავენ მათ მიერვე შორიდან გამოხმობილ პრინცის მეგობრებს და ეს გარემოებაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა — ზღვარი ორ მეგობარს შორისაც მოსპო და ისინი „ეგოდ“ და „ალტერ ეგოდ“ აქცია (სხვათა შორის, შექსპირის „ჰამლეტის“ ზოგიერთ სასცენო ვერსიაშიცაა ეს ორი გმირი ერთ გმირად წარმოდგენილი):

„**Claudius: Welkome, dear Rosencrantz...** (He raises a hand at Guil while Ros. bows late and hurriedly)... and Guildenstern (he raises a hand at Ros. while Guil. bows to him. Ros. is still straightening up from his previous bow and half way up he bows down again).

Thanks, Rosencrantz... (turning to Ros. who is caught unprepared, while Guil. bows) **and genlte Guildenstern** (turning to Guil. who is bent double).

Gertrude: (correcting) **Thanks, Guildenstern** (turning to Ros. who bows as Guil. checks upward movement to bow too — both bent double).. **and gentle Guildenstern** (turning to Guil., both straightening up)". “

(ტ. სტოპარდი, „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარი არიან“, გვ. 28).

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ისიც, რომ ციტირებული ნაწყვეტი „ერთგზის უკვე დაწერილი ტექსტის“ განსხვავებულ სიტუა-

ციურ კონტექსტში განთავსებით გამოწვეული აზრობრივი ცვლილების იდეალური ილუსტრაციაა. ამ ტიპის კონტექსტუალურმა ირონიზირებამ, როგორც ვხედავთ, შესაძლოა ტრაგედია კომედიად აქციოს და პირიქით.

ის, რითაც კრიტიკოსები ამ ორ პერსონაჟს ბეკეტის პერსონაჟებთან აიგივებენ, დაუსრულებელი მოლოდინის ხაზია (ბეკეტის პერსონაჟები გოდოს გამოჩენას ელოდებიან, სტოპარდისა — ჰამლეტის). მაგრამ მათ შორის მაინც თვისებრივი სხვაობაა — გოლო არ მოდის, თუმცა ორ მაწანწალას უნდა, რომ იგი მოვიდეს: ჰამლეტი კი მოდის, თუმცა მის მეგობრებს ეს სულაც არ უნდათ. პირიქით, მათ ერთი სული აქვთ მისგან თავი დაიხსნან, მაგრამ არ შეუძლიათ, რადგანაც მათი „ბედი“ (ანუ შექსპირის პიესა) ასეა დაწერილი. ისღა დარჩენიათ, ჰამლეტთან ეპიზოდური შეხვედრებისაგან თავისუფალ დროს, „კულისებში“ (ანუ „სცენურ ცხოვრებისმიღმეთში“) ისხდნენ და საკუთარი როლისა თუ მთელი დატრიალებული ტრაგედიის აბსურდულობაზე იფიქრონ. ამაში მათ მოხეტიალე მსახობთა დასი უწყობს ხელს. მაგრამ ეს დასი (ელსინორის სასახლეში მოსული „ჰამლეტის“ დასისაგან განსხვავებით) „გონზაგოს მკვლელობას“ კი არ განასახიერებს მეფე-დედოფლის წინაშე, არამედ — თავად შექსპირის ტრაგედიის — „ჰამლეტის“ — ეპიზოდებს თამაშობს „გაუგებარ და უსახურ გარემოში“, „მკვდარ წერტილში“ აღმოჩენილი და დასის ხელმძღვანელისა და დრამატურგის მიერ „გამოჭერილი“ ორი კინკილა „მაყურებლის“ (თავად „აწ გარდაცვლილი“ როზენკრანცისა და გილდენსტერნის) თვალწინ, რათა კიდევ ერთხელ უწინასწარმეტყველოს მათ „გარდაუვალი სიკვდილი“.

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, არსებობს ტერმინები „მხატვრული დრო“ და „მხატვრული სივრცე“, ხოლო ტერმინით „მხატვრული ქრონოტოპი“ მათი ურთიერთდამოკიდებულება აღინიშნება. როგორც ქართველი მკვლევარი რუსუდან ენუქიძე აღნიშნავს, მხატვრული ქრონოტოპი ორგანოზომილებიანი კი არ არის (დრო და სივრცე), არამედ მესამე აუცილებელ განზომილებასაც გულისხმობს — სუბიექტს (სუბიექტი + დრო + სივრცე), ვინაიდან დროცა და სივრცეც პერცეპტუალური კატეგორიებია და სუბიექტის აღქმიდან გამომდინარეობენ (ენუქიძე, 1987). თავად სუბიექტი არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი ფიზიკურად იმყოფება „სადღაც“ (სივრცე) და „ოდესღაც“ (დრო). სხვაგვარად მისი არსებობა ვერ და-

დასტურდება. ქ-ნი რუსუდანისავე აზრით, მხატვრული ქრონოტიპის რაგვარობის მიხედვით შესაძლოა განისაზღვროს ნაწარმოების ჟანრი.

აქედან გამომდინარე და სტოპარდის დრამაზე დაყრდნობით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პოსტმოდერნისტულ დრამას (მისივე ეპოქის ზოგადი განწყობის მსგავსად) მხატვრული ქრონოტიპის სრული ნიველირება ახასიათებს. როგორია ამ მეტად რთული მხატვრული ეფექტის მიღწევის სტოპარდისეული ტექნიკა?

სტოპარდის ნაწარმოებში არა მხოლოდ შექსპირის „ჰამლეტის“ სმუჟეტია მეტად ოსტატურად გადააზრებული, არამედ მისი ორი მხატვრული გამონათქვამიც: „დროთა კავშირი დაირღვა“ და „დრამა ცხოვრების სარკეა“. ის, რასაც ორი უილაჯო და უმოქმედო არსება (ცოცხალი ლეში) „სარკეში“ ხედავს, სარკისა და მათი ბუნებიდან გამომდინარე, „შენარჩუნებული კადრია“. ამ კადრს მხოლოდ მეტად შეზღუდული უკანა ფონი, ანუ რეტროსპექტივა აქვს (მათი მენსიერება), ხოლო პერსპექტივა საერთოდ არ გააჩნია. ამდენად, სტოპარდისეული დრამატურგიული „სარკე“ მკვდარი წერტილია, ის „ზღურბლია“, რომელსაც „ცოცხალ-მკვდარი“ გმირები ვერასოდეს გადააბიჯებენ. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ ამ სარკეში (ანუ უდროობას, უსივრცობასა და უმოქმედობაში) ყურება და საკუთარი სიკვდილის გააზრება.

ნაწარმოებში საინტერესოა, აგრეთვე, გადააზრებული კლასიკური დრამის ძირითადი ელემენტების დანიშნულება. როგორც ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი, მოხეტიალე დასის ხელმძღვანელი ამბობს. „პიესას შეუძლია მოგვაწოდოს უმოქმედო, სუსტი გმირები და მათი საუბარი, მაგრამ პიესას არ შეუძლია გმირებისა და მოქმედებების წარმოჩენა საუბრის გარეშე, რადგან მთავარი მუდამ საუბარია“. ამდენად, დრამის 4 ძირითადი ელემენტიდან (ამბავი, მოქმედება, გმირები და დრამატული ტექსტი) სტოპარდის პიესაში მხოლოდ 1 ელემენტი — ტექსტია დარჩენილი, რადგანაც ამბავი „არახალია, ძველია“, მოქმედება თითქმის არ ხდება, ხოლო გმირები — მკვდარნი არიან“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოსტმოდერნისტულ დრამას ახასიათებს უკვე არსებული დრამატურგიული ნაწარმოებისა თუ ცალკეული ტექსტების ირონიული გადააზრება, არსებულ დრამატურგიულ ხერხთა, მათი ესთეტიკისა და პოეტიკის პაროდირება, მხატვრული ქრონოტიპის სრული ნიველირება და დრამის ოთხი ძი-

რითადი ელემენტის ერთ ელემენტამდე — მხოლოდ დრამატულ ტექსტამდე დაყვანა.

ლიტერატურა

ბელი, 1973 — Bell D. "The Coming of Post-Industrial Society", ნიუ-იორკი, გამომც., "Basic Book", 1986.

ბოდრიარი, 1993 — Baudrillard J, "Simulacra and Simulation", მიჩიგანი, გამომც., "University of Michigan Press", 1993.

ენუქიძე, 1987 — Енукидзе Р. И. "Художественный хронотип и его лингвистическая организация", თსუ გამომცემლობა, თბ., 1987.

ნოკოლი, 2002 — Nocol B, "Postmodernism and the Conterporary Novel", ედინბურგი, გამომც., "Edinburgh University press Ltd", 2002.

სტოპარდი, 1966 — Stoppard T. "Resencrantz and Guildenstern Are Dead", ლონდონი, გამომც., "faber and faber", 1968.

ტუტინი, 1974 — Toutaine A, "The Post-Industrial Society, Tomorrow's Social History, Classes, Conficts and Culture in the Programmed Society", ლონდონი, გამომც., "Wilswood House, 1974.

ჯენსკი, 1986 — Jencks Ch, "What is Post-Modernism? ლონდონი, გამომც., "Academy", 1986.

TAMAR JAPARIDZE

Posmodern Drama

(On the material of Tom Stoppard's play 'Rosencrantz and Guildenstern Are Dead')

Summary

"Postmodernism" is the most problematic concept in contemporary cultural criticism. It has been featured in an unusually wide range of academic disciplines, changing its meaning according to the particular context.

Though the essence of the term has been much debated during the last decades, the majotity of postmodern theorists has agreed that the phenomenon is the result of the new social and economic formation established in the second half of the 20th century.

Regarded as an attitude underscoring contemporary culture, postmodernism refers to a heightened degree of self-consciousness indicating that our

experience of reality has changed – reality is no longer something we take for granted. Such an attitude is based on the new experiences brought by the advance of technology and science.

It is but natural that the postmodern mood has influenced the imaginative literature, especially one of its genres – drama that has always been "the mirror to the nature".

The paper features the main characteristics of the postmodern drama through analysing Tom Stoppard's play "Rosencrantz and Guildenstern Are Dead".

Following are the precise conclusions drawn:

- the postmodern drama is characterised by *ironical rearrangement of the already written texts*.

in most cases it tends to be a *parody* on existing dramatic means, devices and technique

- it maintains only one out of the four basic elements of drama classics – *dramatic text* – ignoring *action*, *characters* and *story*.

- it also ignores the category of the *imaginary chronotop* (i.e. subjective time and space distinctions).

ბაკა ჯაფელი

ორთოგრაფიული ცვლილებები ძველ ფრანგულში

ორთოგრაფია (ბერძნ. *orthos* — „სწორი“ და *graphō* — „ვწერ“) არის ამა თუ იმ სალიტერატურო ენის სიტყვათა წერის წესების სათანადოდ დადგენილი სისტემა; ქართულად მას შეესატყვისება — მართლწერა. ფრანგული ენის ორთოგრაფიული სისტემით დაინტერესება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ფრანგულში ერთმანეთს საგრძობლად დაშორებულია წერა და მეტყველება. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ორთოგრაფიის პრინციპები და დავინახოთ განსხვავებანი წერით და ზეპირ მეტყველებას შორის.

ორთოგრაფიის საყოველთაო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთგვაროვანი დაწერილობა, რომელიც დამოუკიდებელია ინდივიდუალური და დიალექტური გამოთქმებისაგან, აიოლებს წერითი მეტყველების გამოყენებას.

ფრანგული წარმოთქმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია საარტიკულაციო ორგანოების დაჭიმულობა. ცნობილი ფონეტიკის დელატრის აზრით, არც ერთ ენაში არ არის დაჭიმული ისე საწარმოთქმო ორგანოები, როგორც ფრანგულში. სწორედ ამის გამოა, რომ ძველ ფრანგულში არის დიფთონგები, აფრიკატები, არ ხდება ბგერის რედუქცია.

ორთოგრაფია ფრანგულ ენაში ასრულებს სამ ფუნქციას: 1) ბგერათგანმასხვავებელს, 2) გრამატიკულს, 3) სიტყვათგანმასხვავებელს. ენის ორთოგრაფიული წესები ფორმირდებოდა თანდათან ენის განვითარების პროცესში და იცვლებოდა მეტ-ნაკლები სისწრაფით საუკუნეთა განმავლობაში.


ფრანგული ენის ისტორია IX საუკუნიდან იწყება. სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა გალო-რომანულში ისეთი ცვლილებები, რომელიც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ თვისებრივად ახალ ენაზე.

ფრანგული მეტყველება ლათინურ ანბანზე იყო აგებული და ამით აიხსნება ლათინური ტრადიციების გავლენა ფრანგულ ორთოგ-

რაფიანზე. ამ დროისათვის ფრანგულ ენაში ჩნდება ახალი ბგერები, რომლებიც ლათინურისთვის უცხო იყო, მაგრამ შუა საუკუნეების „გადამწერნი“ ვერ ბედავდნენ ახალი ასოს ან რაიმე დიაკრიტიკული ნიშნების შემოტანას ახალი ბგერის აღსანიშნად და ლათინურ ასოებს ან ასოთა შეთანხმებებს ეყრდნობოდნენ. მაგალითად, ბგერა (ჯ)-ს გამოსახატავად იყენებდნენ ასოთშეთანხმებებს **ch**; (ი)-ს გამოსახატავად **gn**-ს. ზოგიერთმა ასომ მაგალითად, როგორცაა **e, i, g** სხვადასხვა პოზიციაში მიიღო სხვადასხვა ბგერითი მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ აისახა წერაში. იგი მხოლოდ გამოითქმოდა და ხელს უწყობდა გრაფიკის პოზიციური პრინციპების გამყარებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ლათინურში დამოკიდებულება ბგერასა და ასოს შორის პრაქტიკულად ერთმნიშვნელოვანი იყო. გვხვდებოდა გამონაკლისებიც:

ასო **s** გვაძლევდა (**s**) (**deus**) და (**z**) (**roza**).

იყო დიფთონგები და დიგრაფები



ძველ ბერძნულში ორთოგრაფია ძალიან ნელი ტემპით იცვლებოდა და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა ლათინურ ორთოგრაფიულ წესებს. დროთა განმავლობაში ლათინურში და განსაკუთრებით ძველ ფრანგულში ასო-ბგერების შესატყვისობა არაერთგვაროვანი ხდება. ძველფრანგულში ერთსა და იმავე ასოს შეუძლია თანაფარდობა განსხვავებულ ბგერებთან. მაგალითად, ძველ ფრანგულში გრაფემა **u** შეესატყვისება ხან (**o**)-ს **amour (amor)**, ხან (**y**)-ს **mur (myr)**; ორ განსხვავებულ ასოს შეუძლია მოგვცეს ერთი და იგივე ბგერა. მაგალითად: **vinca non vinia** სადაც **e, i = (j)** ე. ი. წარმოთქმა ერთნაირია, დაწერილობა — სხვადასხვაგვარი.

ფრანგულ ენაზე პირველი ძეგლის გამოჩენამ ფართო გზა გაუხსნა ბგერითი სისტემის განვითარებას. ამ დროისათვის ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილები დამწერლობაში აისახა. მთლიანობაში ძველ ფრანგულში გრაფიკული ნიშნები არ იმეორებდნენ ბგერით სისტემაში ლათინური ენის ყველა ფორმას. არსებული ასოებით ახალი ერთეულის გადმოსაცემად იყენებდნენ ფონეტიკურ ინტერპრეტაციას. ე. ი. ერთსა და იმავე ასოს, სხვადასხვა პოზიციაში, განსხვავებული

წარმოთქმა აქვს, მაგალითად, ძველ ფრანგულ ტექსტებში:

ასო **c** გვაძლევს ხან (**k**)-ს (**colpes**), ხან კიდევ აფრიკატ (**ts**)-ს (**ciel**)

ასო **g**-ხან (**g**)-ს (**figure**), ხან (**dz**)-ს (**argent**)

ასო **l** წარმოითქმის ზოგჯერ როგორც (**l**) → **nul**, ზოგჯერ როგორც ნახევარხმოვანი (**w**) → **saw Janet**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველ ფრანგულში ლათინურთან შედარებით მკვეთრად შეიმჩნევა არაერთმნიშვნელოვანი თანხვედრა ბგერებსა და ასოებს შორის. ეს გამოწვეულია სპეციალური ასოების უქონლობის გამო. ზეპირმეტყველებაში არსებული ბგერების გამოსახატავად, ერთსა და იმავე ფონემას მიაწერეს განსხვავებული ასოების ფუნქცია. დროთა განმავლობაში და უკვე ძველ ფრანგულ პერიოდშივე (**IX-XIII** სს) სტაბილური გახდა ბგერათა ორთოგრაფიაში ასახვის წესი.

ძველ ფრანგულ ვოკალურ სისტემას შეემატა წინარის ახალი ლაბიალიზებული ხმოვანი (**y**); იგი მოგვცა უკანა რიგის ლათინურმა (**u**) ბგერამ. (**murum**) > (**myr**). გაჩნდა ახალი ოპოზიცია: ლაბიალიზებული (**y**) არალაბიალიზებული (**i**), რომელიც პირველად ილ-დე ფრანსის დიალექტს შეეხო. ეს ბგერა, რომანული ენებიდან, მხოლოდ ფრანგულისთვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთი ლინგვისტი მის გაჩენას კულტურის გავლენით ხსნის (ბურსიე).

ძველ ფრანგულს ჰქონდა საკუთარი საწარმოთქმო სისტემა, რომლის წესებიც განსხვავდებოდნენ თანამედროვე ფრანგული წარმოთქმის წესებისაგან. ენა მდიდარი იყო დიფთონგებითა და ტრიფთონგებით; დიფთონგებიდან აღმავალია — **ie, uo**; დაღმავალი კი — **ei, oi, yi, au, eu**; ტრიფთონგი სამი იყო: **eau, ieu, ueu**.

გალო-რომანულში დიფთონგი მახვილიანი ხმოვნის გაგრძელებითა და გაორმაგებით წარმოიშობოდა, შემდეგ გაჩნდა დიფთონგიზაციის ახალი გზები. არტიკულაციის წინ გადანაცვლებას ძველი დიფთონგების ევოლუცია მოყვა:

- o > ou > eu** **o > uo > ue**
- hora > oura > eure** **nove > nuof > nuef**
- ei > oi;** **ai > ei > e**

ახალი დიფთონგების გაჩენის მიზეზი გახდა **l**-ს ვოკალიზაცია თანხმოვნის წინ.

l > u

ამ გზით წარმოიშვა ძველ ფრანგულში დიფთონგები: **au, eu, ou** და ტრიფთონგი — **eau**

a + l > au **alba > aube**

e + l > eu **feltre > fetro > feutre**

o + l > ou **colpu > coup**

ტრიფთონგი **eau** წარმოიშვა **eu** დიფთონგისაგან, ვოკალური ეპენტეზის გზით:

bels > beus > beaus

ძველი ფრანგულის ფონეტიკურ სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცხვირისმიერი (ნაზალური) ბგერების გაჩენა. იგი შეეხო ყველა ხმოვანს (**u**)-ს გარდა. თუმცა, თანამედროვე ფრანგული-საგან განსხვავებით, ხმოვანთან ერთად თანხმოვანიც წარმოითქმოდა, ამიტომ მათთვის უფრო მართებული იყო სუფთა (ორალურ) ხმოვანთა ნაზალური ვარიანტები გვეწოდებინა, ვიდრე ცხვირისმიერი ფონემები.

(**in, en, an, on, yn**)

ნაზალიზაცია ერთად არ მომხდარა. **X-XI** საუკუნეებში **a** და **e** ხმოვნებმა განიცადეს ნაზალიზაცია. **XII** საუკუნეში კი — ხმოვანმა **o**-მ. ორთოგრაფია ამ პერიოდში იყო არამყარო. ძლიერ განსხვავდებოდა დაწერილობა დიალექტებს შორის, თვით ერთი ხელნაწერის ფარგლებშიც კი. მიუხედავად ამისა, ე. ი. ორთოგრაფიის არასრულყოფილებისა, მისი წამყვანი პრინციპი ფონეტიკური იყო. მაგალითად, ცხვირისმიერი (**ā**) შეიძლება მხოლოდ **an**-ით დაწერილიყო: **tans-temps**-ის ნაცვლად (**E**)-**e**-თი: **cler** — **clair**-ის ნაცვლად.

ცვლილებები მოხდა კონსონანტურ სისტემაშიც. **XIII** საუკუნის ბოლოს იწყება აფრიკატების გამარტივება. ისინი კარგავენ პირველ ელემენტს.

(**t > tʃ**) — (**t ar - ar**) — (ორთოგრაფია: **char**)

(**d > dʒ**) (**dʒ āmbe**) — (ორთოგრაფია: **jambe**)

(**ts > s**) (**tsiel > siel**) — (ორთოგრაფია: **ciel**)

უკანა ენისმიერი (**kw**), (**gw**) გადავიდა (**k**) (**g**)-ში.

(**kwar**) > (**kar**)

(**gwant**) > (**gant**)

S, teste > tête თანხმოვნის წინ, შესუსტდა და გაქრა (**XII** ს-ში)

forest > forêt

მოგვიანებით, ნასესხები სიტყვების გავლენით, თანხმოვნის წინ, **S** კვლავ გაჩნდა.

I-ს ვოკალიზაცია და **s**-ის გაქრობა, ლინგვისტების თვალსაზრისით, უნდა მიეწეროს მარცვლის გალიაგების ტენდენციას, რამაც ჯერ კიდევ ვალ-რომანულში იჩინა თავი.

თანამედროვე ფრანგულისაგან განსხვავებით, ძველ ფრანგულში ყველა სიტყვა მახვილიანია. (რითმული მახვილი ჯერ არ არსებობს). ამის გამო, რომ მამრობითი და საშუალო სქესის ნაცვალსახელი ან ნაწილაკი, თუ ის შესუსტებულ **e**-ზე ბლოკდება და ერთმარცვლიანი სიტყვა მოსდევს, შეერწყმის მას და ქმნის ენკლიტიკურ ფორმებს

si me > sim

ne le > nel

ne les > nes

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ფრანგული ენის ორთოგრაფია ფონეტიკურ პრინციპს ემყარება. ე. ი. ყოველი ბგერა ერთი ნიშნით გადმოიცემა.

vint — (**vingt** — თანამედროვე); **set** — (**sept**) **povre** — (**pauvre**) გვხვდება გამონაკლისებიც. ჩნდება ახალი ნიშნებიც: (**tʃ**)-ს გამოსახატავად **ch**; (**ŋ**)-ს **gn**.

იმის გამო, რომ **u** წინა რიგის ლაბიალიზებულ ბგერას (**y**)-ს გამოხატავს, უკანა რიგის ლაბიალიზებული ბგერის (**u**)-ს აღსანიშნად შემოიტანეს **ou**. რაკი დიფთონგი **ei** გადავიდა **oi**-ში, ნიშნები **ei** და **e** მონოფთონგ **ai**-ს გამოხატავენ.

faire > feire (ან **ferre**)

ძველ ფრანგულში არ არსებობს დიაკრიტიკული ნიშნები, რომლებიც ხმოვნის ლიაობასა და დახურულობაზე მიუთითებენ. ფონეტიკური ცვლილებები სწრაფი ტემპით ხდება, ორთოგრაფიული კი მას ჩამორჩება. ძველ ფრანგულ ენაში დადგენილია განსაკუთრებული ორთოგრაფიული ნორმები, რაც ემსახურება ბგერითი მეტყველების დამწერლობაში ასახვას. ძველ ფრანგულში ეს ნორმები მთელი სიმკაცრით არაა გამოვლენილი. ამ პერიოდის ფონეტიკური პრინციპები განსხვავდებიან ინტენსიურობით; წარმოიქმნა მრავალრიცხოვანი ორთოგრაფიული ვარიანტის ხელსაყრელი პირობები, რომელთა განსხვავებული სახეობები წარმოჩნდებიან, როგორც ფუნქციონალური სინონიმური ერთეულები.

corre, courre, curre = courir.

defaire, defere, desfaire = defare.

ძველ ფრანგულ ეპოქაში, ფრანგული ორთოგრაფიის ევოლუციაში უკვე ჩნდება ახალი ტენდენციები. ფონეტიკური პრინციპი, რომელიც აისახებოდა ადრეულ ფრანგულ ენაში, წარმოადგენდა ერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებას ასოებსა და ბგერებს შორის. შეიქმნა ყოველგვარი წინაპირობა იმისთვის, რომ ზეპირ და წერით მეტყველებაში სიტყვათა ფლექსია სხვადასხვა სახით გამოხატულიყო.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ფრანგულმა ორთოგრაფიამ, ძველი ფრანგულიდან მოყოლებული, რთული და მრავალფეროვანი გზა განვლო და დღესაც, თანამედროვე ეპოქაში, მართლწერისა და მართლმეტყველების დახვეწა და განვითარება მეტად აქტუალური საკითხია.

MAKA JUGHELI

Orthographic Changes in Old French

Summary

The paper discusses some basic principles of French orthography and tendencies in its historical development. The following main functions of French orthography are singled out:

1. Sound distinctive 2. word distinctive 3. grammatical.

Because of the influence of Latin, Old French orthography changed showily, only after the appearance of the first French manuscripts some sweeping changes in the sound system as well as in the orthography took place.

სარჩევი

ლ. აზმაიფარაშვილი — კლასნიშნის სუფიქსები ხუნძური ენის არსებით სახელებში.....	3
ც. ბაბუხაძე — მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში.....	7
ნ. ბარნოვი — თავკიდური თანხმომავანტომპლექსები სვანურში ...	15
მ. ბერიძე — ტამალის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის.....	17
ნ. ბერიძე — აქტანტების სტატუსის საკითხისათვის ვალენტობის თეორიაში.....	26
მ. ბოლქვაძე — დროის ცნება ლინგვისტურ მეცნიერებაში.....	42
ა. ბოჭორიშვილი, ლ. გოქსაძე — ბიზნეს წერილების ეტიკეტის ლინგვისტური მახასიათებლები.....	47
ნ. გელდიაშვილი — ზმნიზედა საშუალი ქართულის სამართლის ძეგლთა ენაში.....	62
გ. გვანცელაძე — ცხოველთა სახელები შედარების როლში („ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით).....	70
გ. გოგოლაშვილი — თემის ნიშანთან დაკავშირებული ზოგი საკითხი საშუალი გვარის ზმნებში.....	78
ჟ. გუმბარიძე — ინტერსუბიექტურობა, როგორც ვერბალური კომუნიკაციის ფუნდამენტური პრინციპი.....	85
მ. გუტიძე — სიტყვათმეერთებით ნაწარმოები სახელები ვანის რაიონის ტოპონიმიაში.....	89
ლ. თავაძე — ტემპორალური მსაზღვრელები, წყობა და ღერძი...95	
ლ. თუთბერიძე — ორი დადებითი ბაზისური ემოციის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში.....	103
ნ. კვანტალიანი — ნარატიული თვალსაზრისი და მისი კავშირი ნარატიულ ხმასთან.....	118
მ. კინწურაშვილი — ტექსტი, ინტერტექსტი, დეკონსტრუქცია.....	127
თ. კურტანიძე — ქართული წერა-კითხვის მოსამზადებელი მუშაობა არაქართულ სკოლაში.....	132
მ. ლაბარტყავა — „მთის“ აღმნიშვნელი ზოგადი სახელები ქართულში.....	138

მ. მარდანი — საგაზეთო სათაურების ინფორმაციულობის ხარისხის განმსაზღვრელი ზოგი საშუალება.....	146
ნ. მაჭავარიანი — მცენარეთა სახელწოდებებთან დაკავშირებული ზოგადი ტერმინები აფხაზურში.....	155
მ. მახარაძე — Have to კვაზიმოდალის კონსტრუქციები თანამედროვე ინგლისურ ენაში.....	159
თ. მებუკე — ნარატიული ნაწარმოებების სტრუქტურა.....	166
თ. ნიჟარაძე — მეტაფორის სუბსტიტუციონალური და ინტერაქციონალური თეორიები.....	175
რ. რამიშვილი — სპარსული წარმომავლობის ერთი სიტყვის ორი ფონეტიკური ვარიანტი ქართულში.....	181
ნ. რუხაძე — თავაზიანობის საკითხი და მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში.....	186
კ. სამნიაშვილი — ფრაზეოლოგიური კვლევის ახალი პარამეტრები.....	198
მ. სიორიძე — ადამიანის კოგნიტურ-ემოციური ფსიქოსომატური მდგომარეობის ფენომენოლოგიური ეიდეტური დესკრიფცია.....	206
ე. ტატიშვილი — აღწერის როგორც სამეტყველო ფორმის ადგილი მხატვრული ტექსტის სამეტყველო-კომპოზიციურ დონეზე.....	214
ნ. უგულავა — ტექსტობრივი კატეგორიების დინამიკა და ევოლუცია.....	221
ჟ. ფეიქრიშვილი — შეთანხმების კვალიფიკაციისათვის ქართულში.....	230
თ. ფეტელავა — ინტერპრეტაციული სკოლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	237
ნ. ქათამაძე — პრესუპოზიციის თეორიის ისტორიული წინამძღვრები.....	247
ი. ქარდავა — ღერძულსიტყვიანი ფრაზეოლოგიზმების განზოგადებული მოდელი.....	253
მ. ყალამაშვილი — ზმნის ნარიანი ფორმები თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით.....	257
თ. შავლაძე — სინესთეტიური სურათი — ცალკე კატეგორია თუ ინდივიდუალურ სინესთეტიურ მეტაფორათა კრებული? კულტურათა ენაში.....	261

ნ. შარაშენიძე — ვალენტობა როგორც კოპერენცის ერთ-ერთი გამოვლინება.....	264
ნ. ჩარკვიანი — ასპექტი, როგორც ფუნქციონალურ-სემანტიკური კატეგორია.....	269
მ. ჩახანიძე — კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის ადგილისათვის ლექსიკოგრაფიის ტაქსონომიურ სისტემაში.....	276
ს. ჭეიშვილი — ინტერვიუს როგორც ჟურნალისტურ-ინფორმაციული ჟანრის, ეპოქალურ-კულტურული არსი და მისი კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პერსპექტივა.....	279
რ. ჭიკაძე — საერთო მისამართი წევრი პარატაქსულ კონსტრუქციაში.....	291
ნ. ჭილაშვილი — ავტობიოგრაფიული თხრობა როგორც მნემური პროცესების ერთ-ერთი ასპექტის - მოგონების აქტუალიზაცია მხატვრულ ტექსტში.....	301
ც. ჭყონია — ფრაზული ზმნების სტრუქტურული თავისებურებანი.....	306
თ. ჯაფარიძე — პოსტმოდერნისტული დრამა.....	312
მ. ჯუღელი — ორთოგრაფიული ცვლილებები ძველ ფრანგულში.....	321

Contents

L. Azmaiparashvili — Classmarker Suffixes in Avar Nouns	6
T. Babukhardia — The Functional-Semantic Category of Modality in English.....	14
N. Barnov — Initial Consonant-Clusters in Svan.....	16
M. Beridze — On the History and Etymology of Ṭamal	25
N. Beridze — On the Status of Actants in the Valency Theory.....	40
M. Bolkvadze — The Notion Of Time in Linguistics	46
A. Bochorishvili, L. Goksadze — Characteristic Features of the Linguistic Etiquette of Business Letters	60
N. Geldiashvili — Adverbs in the Language of Medieval Georgian Legal Documents	69
G. Gvantseladze — Animal Names in Similes (on the Material of "The Knight in the Panther's Skin").....	77
G. Gogolashvili — Some Issues Conneted with the Thematic Markers in Medial Voice Verbs.....	84
Zh. Gumbardze — Intersubjectivity as a Fundamental Principle of Verbal Communication	88
M. Gutidze — The Names Formed by Compounding in Vani Region Toponymy.....	94
L. Tavadze — Temporal Specifiers, Order and Axis	102
R. Tutberidze — English and Georgian Lexemes Denoting Two Positive Basic Emotions (Joy/sikharuli, Happiness/bedniereba) ...	116
N. Kvantaliani — Narrative Point of View and its Relation to Narrative Voice	126
M. Kintsurashvili — Text, Intertextuality And Deconstruction.....	130
T. Kurtanidze — Preparatory Work for Teaching Georgian Speaking and Writing Skills in Non-Georgian Schools	137
M. Lapartkava — Common Nouns Denoting "Mountain" in Georgian (in Reference to other Kartvelian Languages)	145
M. Marghania — Some Means Determining the Degree of Informativeness in Newspaper Headlines.....	154

N. Machavariani — Apkhazian Lexemes Denoting Parts Of Plants... 158	
M. Makharadze — The Costructions of the Quasimodal Have to in Current English.....	165
T. Mebuke — The Structure of a Narrative Piece of Fiction.....	174
T. Nizharadze — The Substitution and Interaction Theories of Metaphor	180
R. Ramishvili — Two Phonetic Versions of a Persian Borrowing in Georgian	185
N. Ruxadze — Politeness and Forms of Address in the English, Georgian and Russian Languages	197
K. Samniasvili — New Parameters of Phraseological Studies	205
M. Sioridze — Phenomenological, Eidetic Description of Man's Cognitive-Emotional, Psychosomatic Condition	213
H. Tatisvili — The Place of Description as a Speech Form in the Compositional Structure of a Literary Text	220
N. Uglava — Evolution and Dynamics of Textual Categories	229
Zh. Peikrishvili — On the Definition of Some Cases of Agreement in Georgian	236
T. Petelava — Theoretical and Methodological Bases of Interpretation School.....	246
N. Katamadze — Historical Premises of the Theory of Pre- supposition	252
I. Kardava — Generalized Model of Phraseologisms with Basic Words	256
M. Kalamashvili — Verbs with the Suffix n in Resultative I and Resultative II in Modern Georgian Press.....	260
T. Shavladze — Is the Synaesthetic Picture a Separate Category or a Collection of Individual Synaesthetic Metaphors?	263
N. Sharashenidze — Valency as one of the Means of Coherence.....	268
N. Charkviani — Aspect - a Functional-Semantic Category	275
M. Chachanidze — The Place of Computer Lexicography in the Lexicography Taxonomic System.....	278
S. Cheishvili — Epochal and Cultural Nature of the Informative Journalistic Genre Interview and Linguo-Cultural Perspectives of its Research	290
R. Chikadze — The Common Referred Member in Paratactic Constructions	300

N. Ch i l a s h v i l i — Autobiographic Narration as the Actualization of the Memory Process in Fiction.....	305
T. C h k o n i a — Some Structural Peculiarities of Phrasal Verbs	311
T. J a p a r i d z e — Posmodern Drama (on the Material of Tom Stoppard's Play 'Rosencrantz and Guildenstern are Dead')	319
M. J u g h e l i — Orthographic Changes in Old French	326